

K 16 826
4



საქართველოს
ფლტა
IV



საქართველოს
აкадеმიის
ლოგო

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ბოტანიკის ინსტიტუტი
ИНСТИТУТ БОТАНИКИ



ФЛОРА ГРУЗИИ

IV

ПЕРЕРАБОТАННОЕ ВТОРОЕ ИЗДАНИЕ

PHYTOLACCACEAE—FUMARIACEAE

«МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1978

საქართველოს ფლორა

IV

ბალახოვანობის მემორა გამოცემა

PHYTOLACCACEAE—FUMARIACEAE

შეფარულია შეფარებულია



581.5 (C 41)
581.9 (47.922)
ს-323

ტომი შეიცავს რიგ Centrospermae-ს ოჯახებს Phytolaccaceae-დან Illecebraceae-მდე, რიგ Papaverales ოჯახებს. მოცემულია გვარებისა და სახეობების აღწერები (დიანთები), თითოეული სახეობისთვის დადგენილია სწორი სახელწოდება ბიზელადი წყაროს წითითებით, სახეობის ტიპი და სინონიმია. გავრცელების პუნქტები დალაგებულია საქართველოს ფლორის პირველ გამოცემაში მიღებული დარაიონების მიხედვით. ზოგიერთ სახეობისთვის მოყვანილია კრიტიკული შენიშვნა, ქრომოსომა რიცხვი, გვარების აღწერაში შეტანილია მტრის მორფოლოგია, გვარის შიგნით გამოყოფილია სექციები, ზოგჯერ ქვესექციები ან სერიები. ტომს დართული აქვს ილუსტრაციები და იშვიათ სახე-ბათა რუკები.

შემდგენლები: შ. ქუთათელაძე, ზ. ღვინიაძე, ც. ღვინიაშვილი, ა. შხიანი, ა. ხარაძე.

მთავარი რედაქტორი — საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი ნ. ქეცხელი.

პასუხისმგებელი რედაქტორი — **ა. ხარაძე**

ტომის რედაქტორები: შ. ქუთათელაძე, ზ. ღვინიაძე

Составители: З. И. Гвинианидзе, Ц. Н. Гвиниашвили, Ш. И. Кутателадзе, А. Л. Харадзе, А. С. Шхияп.

Главный редактор — Академик Н. Н. Кецохели

Ответственный редактор — **А. Л. Харадзе**

Редакторы тома: З. И. Гвинианидзе, Ш. И. Кутателадзе.

288
16826



წინასიტყვაობა

საქართველოს ფლორის IV ტომი შეიცავს რიგ Centrospermae-ს დიდ ნაწილს. მათ შორის ოჯახებს: Caryophyllaceae, Phytolaccaceae, Aizoaceae, Illecebraceae და სხვა. ამავე ტომში შევიდა ოჯახები: Papaveraceae, Hypecoaceae, Fumariaceae. ორი უკანასკნელი ოჯახი გამოყოფილია ოჯახ Papaveraceae-ს შემადგენლობიდან. ოჯახები ვადამუშავებულა ახალი ლიტერატურული წყაროების მიხედვით (მონოგრაფიები, ფლორები, ნარკვევები და სხვა), რის შედეგადაც საქართველოს ფლორის პირველ გამოცემასთან შედარებით ორიგინალურ და ახალ მასალას შეიცავს.

მიხაკისებრთა ოჯახის უმეტესი ნაწილი დაამუშავა ზ. ღვინიაძემ. დამოუკიდებელ ოჯახად ავტორი იხილავს Illecebraceae-ს. გვარების მოცულობის განსაზღვრისას ავტორები ეყრდნობიან ნაყოფის აღნაგობასა და კოლოფის გახსნის თავისებურებებს, აგრეთვე ყვავილის და თესლების აგებულებას. ასე მაგალითად, ზ. ღვინიაძემ არ ღებულობს გვარ Silene-ს ვიწრო გაგებას. ასევე ა. ხარაძემ არ მიიღო გვარების Arenaria-ს და Cerastium-ის დაყოფა. ც. ღვინიაშვილი გვარ Queria-ს, გვარ Minuartia-სგან დამოუკიდებლად განიხილავს. გვარი Charesia ახალია საქართველოსთვის. ამ ტომში შევიდა საქართველოს ახალი გვარები და სახეობები, დაზუსტდა სწორი სახელწოდებები.

ცნობები ქრომოსომთა რიცხვის შესახებ შეიტანეს ავტორებმა და მ. დავლიანიძემ, ხოლო გვარების მტერის მარცვლის მორფოლოგია შეადგინა ი. შტეპამ.

სურათები IV ტომისათვის შეასრულეს მხატვრებმა—ქ. რუხაძემ და პ. რატიშვილმა.

IV ტომში მოთავსებული ოჯახების წარმომადგენლები გამოირჩევიან მალალი დეკორაციულობით და ალკალოიდების შემცველობით.

(რედაქცია)

ПРЕДИСЛОВИЕ

IV том 2-го издания «Флоры Грузии» содержит большинство семейств порядка центросеменных (Сауrophyllaceae, Phytolaccaceae, Aizoaceae и др.). В этот же том вошли семейства Paraveraceae, Нурсоасеae и Fumariaceae.


В очередном томе, так же как и в предыдущих томах, семейства переработаны по новым материалам; приводятся крупные таксоны: порядки, описания семейств, родов; таблицы для определения родов и видов; выделены внутривидовые категории, секции, подсекции и видовые ряды. По мере возможности указывается для видов номенклатурный тип или их местонахождение. Географические пункты приводятся для редких или мало распространенных видов по гербарным образцам. Наименования пунктов нередко не согласуются с современными грузинскими топонимами и приводятся по этикеткам гербарных экземпляров, что было вызвано необходимостью более точной документации приводимых видовых названий.

Большая часть семейства гвоздичных обработана З. И. Гвинианидзе. Ею как самостоятельное семейство выделяется Illecebraceae. В понимании объема родов гвоздичных авторы опирались на строение плода и способ раскрывания коробочки, в некоторых случаях основываясь и на признаках цветка и семян. В связи с этим авторы отказываются от узкого понимания некоторых родов, таких как: *Arenaria*, *Cerastium* (Харадзе), *Silene* (Гвинианидзе) и др. С другой стороны в качестве самостоятельных родов рассматриваются роды *Charesia* (Гвинианидзе), род *Queria* (Гвиниашвили) и др. В обработку вошли новые виды и роды, не указанные в I издании «Флоры Грузии» и уточнены многие видовые названия.

Данные по числам хромосом внесены авторами обработок и М. Т. Давлианидзе. Морфологию пыльцы для родов составила И. С. Штэпа. Рисунки к IV тому выполнены художниками К. А. Рухадзе и П. Г. Ратишвили.

Представители семейства, помещенные в IV томе, характеризуются высокодекоративными признаками и содержанием алкалоидов.

Редакция



საქართველოს ფლორის რაიონების რუკა

1 — აფხ., 2 — სვან., 3 — რაჭა-ლეჩხ., 4 — სამეგრ., 5 — იმერ., 6 — გურ., 7 — აჭარ.,
8 — სამხ.-ოს., 9 — ქართ., 10 — შიულ., 11 — თუშ-ფშავ-ხევსურ., 12 — კახ., 13 — ქიზ.,
14 — გარე კახ., 15 — გარდაბ., 16 — თრიალ., 17 — ქვ. ქართ., 18 — ჭავჭ., 19 — მესხ.

უემოკლეზულ გომოგრაფიულ სახელწოდებათა განმარტება

- ავსტრალ. — ავსტრალია (მთელი კონტინენტი ტასმანიის კუნძულითურთ).
 აზერბ. — აზერბაიჯანი.
 ამერ. — ამერია (კონტინენტი როგორც ჩრდილო ისე სამხრეთი).
 ამიერკავკ. — ამიერკავკასია.
 არაბ. — არაბეთი.
 არმ.-ქურთ. — აღმოსავლეთ ანატოლია.
 არქტ. — სსრკ არქტიკული ნაწილი (სსრკ ტუნდრის ზონა კუნძულების ჩათვლით).
 არქტ. ამერ. — არქტიკული ამერია.
 არქტ. ევრ. — არქტიკული ევროპა (ფენოსკანდიის ტუნდრის ზონა).
 აფრ. — აფრიკა (აფრიკის თითქმის მთელი კონტინენტი მადაგასკარის კუნძულითურთ, გარდა ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ნაწილისა).
 აფხ. — აფხაზეთის ასარ.
 აღმ. აზ. — აღმოსავლეთი აზია (ჩრდ. ჩინეთი, ცენტრალური ჩინეთის აღმოსავლეთი ნაწილი, სამხრეთ ჩინეთის ჩრდილო ნაწილი და იაპონია).
 აღმ. საქ. — აღმოსავლეთი საქართველო.
 აჭარ. — აჭარის ასსრ.
 ბალკან. — ბალკანეთი.

- გარე კახ. — გარე კახეთი.
 გურ. — გურია.
 დას. საქ. — დასავლეთ საქართველო.
 ევრ. ნაწ. — სსრკ ევროპული ნაწილი (გარდა არქტიკული ზონისა).
 თრიალ. — თრიალეთი.
 თუშ.-ფშავ-ხევსურ. — თუშეთ-ფშავ-ხევსურეთი.
 იმერ. — იმერეთი.
 იმერკავკ. — იმერკავკასია.
 ინდო-მალ. — ინდო-მალაი (ინდოსტანისა და ინდოჩინეთის ნახევარკუნძულები, სამხრეთ ჩინეთის სამხრეთ ნაწილი, მალაის არქიპელაგი ახალი ზელანდიის ჩათვლით).
 ირ. — ირანი და ავღანეთი.
 კახ. — კახეთი.
 მესხ. — მესხეთი.
 მთიულ. — მთიულეთი.
 მც. აზ. — მცირე აზია.
 რაკა-ლეჩხ. — რაკა-ლეჩხუმი.
 სამეგრ. — სამეგრელო.
 სამხ. ამერ. — სამხრეთ ამერია.
 სამხ.-ოს. — სამხრეთ ოსეთის ა. ო.
 საქ. სსრ — საქართველოს სსრ.
 სვან. — სვანეთი.
 სომხ. — სომხეთი.
 ქართ. — ქართლი.
 ქვ. ქართ. — ქვემო ქართლი.
 ქიზ. — ქიზიყი
 შავი ზღვა სანაბ. — შავი ზღვის სანაპირო აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთით ქერჩის სრუტემდე.
 შორ. აღმ. მხრ. — შორეული აღმოსავლეთის მხარე (პრიმორიეს მხარე, ხაბაროვსკის მხარე, ოხოტის სანაპირო, კამჩატკა და სახალინი).
 შუა აზ. — საბჭოთა შუა აზია.
 შუა ევრ. — შუა ევროპა.
 ჩრდ. ამერ. — ჩრდილო ამერია არქტიკული ნაწილის გამოკლებით.
 ჩრდ. ევრ. — ჩრდილო ევროპა არქტიკული ნაწილის გამოკლებით.
 ცენტრ. აზ. — ცენტრალური აზია (მონღოლეთი, ცენტრალური და დასავლეთი ჩინეთი).
 ციმბ. — ციმბირი.
 ხმელთაშუაზღ. მხრ. — ხმელთაშუაზღვეთის მხარე (პირენეისა და აპენინის ნახევარკუნძულები, სამხ. საფრანგეთი, ჩრდილო აფრია, პალესტინა და სირიის სანაპირო).
 ჯავახ. — ჯავახეთი.

პირობითი ნიშნების ახსნა

- ⊙ — ერთწლოვანი მცენარე
 ⊕ — ორწლოვანი „
 24 — მრავალწლოვანი „
 ზ — ბუჩქი.

- ჰ — ხე
 ○ — საქართველოს ენდემი
 ⊙ — კავკასიის ენდემი.

ყვავილი უფრო ხშირად ორსქესიანია, ანდროგინური, იშვიათად ერთსქესიანი, აქტინომორფული. ყვავილსაფარი მარტივია, 4—5-ად დაყოფილი, ნაყოფობისას ზედვე შერჩენილი. მტერიანა 5—10, ძირთან თითქმის ყოველთვის შეზრდილია. ნასკვი ზედაა, შედგება ერთი ან მრავალი ნაყოფის ფოთლისაგან. ნაყოფი უფრო ხშირად წვნიანი კენკრაა, იშვიათად კოლოფი. — ბალახოვანი ან მერქნიანი მცენარეებია, მარტივი, მორიგეობით განწყობილი ფოთლებით.

გვარი 1. PHYTOLACCA L - ზიფობრა

ყვავილები მტევნებადაა შეკრებილი; ყვავილსაფარი 5-წევრიანია, თეთრი ან ხშირად შეფერილია. მტერიანა 5—10. მტერის მარცვალი თითქმის სფერულია, მცირე ზომის, 27×30 მიკრონის სიდიდის, მერიდიონალურად განლაგებული 3 ლარით; ეგზინა თხელია, 1 მიკრონამდე; ეგზინის ზედაპირი სადაა; ბუტკო ჩვეულებრივ 10 ნაყოფის ფოთლისაგან შედგება. ნაყოფი სფეროსებრია, მოშავო-იისფერი, წვნიანი კენკრა — მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია კიდემთლიანი ფოთლებით.

1. *Ph. americana* L. Sp. Pl. (1753) 441; Walter in Engl. Pflanzr. IV 83 (1909) 52; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 84; Кузенева во Фл. СССР VI (1936) 373; Колак. Фл. Абх. II (1939) 77; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 176; Штэпа во Фл. Груз. III (1947) 196 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 529; Макашвили, Фл. окр. Тбилиси (1952) 209 (georg.); Рзаде во Фл. Азерб. III (1952) 269; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 307; Харадзе в Опред. раст. Груз. (georg.) II (1969) 210. — *Ph. decandra* L. Sp. Pl. ed. II (1762) 631; Ledeb. Fl. Ross. III (1851) 688; Boiss. Fl. Or. IV (1879) 895; Липский Фл. Кавк. (1899) 430.

Is.: Engl. 1. c. f. 17; Hegi, Ill. Fl. Mitt. Eur. III (1909) 266; Фл. СССР 1. c. Табл. 17, рис. 5, 5a.

2. მცენარეს გამსხვილებული, მძლავრი ფესვი აქვს; ღერო 1—3 მ სიმაღლისაა, მსხვილი, სწორი, შიგნით სიფრთხანა ტიხრებით, ძირთან თითქმის ღრუა, მწვანე ფერის, შემდეგში იისფერ-წითელი ხდება, შიშველი, ხშირად ღევა ნაფიფქით; ფოთლები დიდი ზომისაა, ნაზი, მოყვანილობით კვერცხისებრი ან კვერცხისებრ ლანცეტა, ყუნწი ზემოდან დაღარულია. მტევანი ფარჩხატი, მოგრძო; ყვავილები მოკლეყუნწიანია, ყვავილის ყუნწები გადახრილია; ყვავილსაფარის ფოთლები მომრგვალოა, შეზნექილი, მოთეთრო ფერის შემდეგში წითლდება; მტერიანა 10. ნაყოფი თითქმის სფეროსებრი, მოშავო იისფერი (დამწიფებამდე 10-წახანაგოვანი, მოიისფრო-წითელი) კენკრაა. თესლი თითქმის თირკმლისებრია, შავი, პრიალა. V—X.

აწერილია ვირგინიდან.

სარეველაა, გზადმოყოლილია ჩრდ. ამერიკიდან.

* დაამუშავა შ. ქუთათელაძემ.

იზრდება საცხოვრებელი ბინების მახლობლად, გზებისა და ტყის ზე 600 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.
საქ. სსრ: დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში; 9 — ქართ.; 12 — კახ.

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; აზერბ. (ლენქორანი).

საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ. (ბალკანეთი); მც. აზ.: სომხ.-ქურთ.; ირ.; ჩრდ. ამერ.

სამეურნეო მნიშვნელობა. ფესვი შეიცავს საპონინსა და ფიტოლაქსინს, რომელიც იხმარება მედიცინაში. ნაყოფი მდიდარია საღებავი ნივთიერებით. მცენარის ყველა ნაწილი შხამიანია.

ოჯახი 52. AIZOACEAE A. BR.*

ყვავილი ორსქესიანია, ანდროგინური, აქტინომორფული. ყვავილსაფარი მარტივია, ჭამისებრი, არა ღრმად ან თითქმის ძირამდეა 4—5-ად დაყოფილი. მტვრიანა მრავალია, შეზრდილი კონებად ან ყველა მტვრიანა ძირშია შეზრდილი, ზოგჯერ გარეთა მტვრიანები გვირგვინის ფურცლების მსგავს სტამინოდუმებითაა შეცვლილი. ნასკვი ზედაა, 3—5-ბუდიანი. ნაყოფი 3—5-საგდულიანი, ძლიერ გამაგრებული მტვრევია კოლოფია. — ერთ-წლოვანი ბალახოვანი მცენარეებია ჩვეულებრივ დატოტვილი ღეროებით და მოპირისპირე ან მორიგეობით განწყობილი ფოთლებით.

გვარი I. AIZOON L.

ყვავილსაფარი ღრმადაა ხუთად დაყოფილი და ნაყოფზეა შერჩენილი. მტვრიანა მრავალია, 5 კონად შეზრდილი. სტამინოდუმები არა აქვს. მტვრის მარცვლი თითქმის სფერულია, მცირე ზომის, 28 მიკრონამდე დიამეტრით, მერიდიონალურად განლაგებული 3 ღარით; ეგზინის სისქე 1 მიკრონამდეა, ეგზინის ზედაპირი თითქმის სადაა. ნასკვი ხუთბუდიანია. სვეტი 5. კოლოფი ხუთწახნაგოვანი, ხუთსაგდულიანი, ყვავილსაფრით დაფარული. — ერთ-წლოვანი ბალახოვანი მცენარეებია ხორცოვანი ფოთლებით.

1. *A. hispanicum* L. Sp. Pl. (1753) 488; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. II (1843) 144; Boiss. Fl. Or. II (1872) 765; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 86; Кузенева во Фл. СССР VI (1936) 376; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 177; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 197 (georg.); Карягин во Фл. Азерб. III (1952) 270; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 211 (georg.).

Is.: Фл. СССР I. с. табл. XIX рис. 1; Гроссг. I. с. 1945, табл. 17, p. 7,7a.

Exs.: Herb. Fl. Cauc. № 265.

©. მცენარე ქერქლოვანი ჯირკვლებითაა მოფენილი; ღერო ძირიდანვე დატოტვილია, გართხმული, 3—18 სმ სიგრძის, ღეროს ტოტები მოპირისპირედ განწყობილი ან თითქმის რგოლურად დაახლოებულ ფოთლების ილიებშია

* დაამუშავა შ. ქუთათელაძემ.



მოთავსებული; ფოთლები მჯდომარეა, ნახევრად ღერომხკევი, მოგრძო, წვერ-
ზე მობლაგვო, ხორცოვანი, მწვანე ფერის, 1,5—5 სმ სიგრძის, 3—9 მმ სიგანის.
ყვავილები მარტოულია, თითქმის მჯდომარეა ან მოკლე 1 მმ-მდე სიგრძის ყუნ-
წზეა ღეროს ილიებში განვითარებული; ყვავილსაფრის ფოთლები ლანცეტაა,
ჯამის მილს ორჯერ აღემატება, გარედან მწვანეა, შიგნით მოთეთრო; მტვრია-
ნები ძირში შეზრდილია — 2—3 ერთად და კონებად შეზრდილ ყვავილსაფრის
ფოთლებს შორის მდებარეობს; ნასკვი 5-კუთხოვანია, 5 მოკლე სვეტით. კო-
ლოფი 5-ბუდიანია, თითოეულ ბუდეში მრავალი თესლით და საგდულით იხს-
ნება. IV—V (სურ. 1).

აწერილია ესპანეთიდან.

იზრდება ნახევრადუდაბნოთა სარტყელში დამლაშებულ ადგილებზე.

საქ. სსრ.: 13-ქიზ. ელდარის დაბლობი (სამუხი) ყარღანის დაჯგუფებაში
დამლაშებულ ადგილებზე (მ. სოხაძე).

სსრკ.: ამიერკავკ.: აზერბ.

საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მზრ.; არაბეთი; ირ.

ოჯახი 53. PORTULACACEAE LINDL*.—დანდშრისებრნი

ყვავილები ორსქესიანია, ანდროგინური, აქტინომორფული. ყვავილსაფა-
რი ორმაგია. ჯამი ორ-ორადაა გაყოფილი. გვირგვინის ფურცლები 4—6.
მტვრიანა 3—15. სვეტი 1,3—6-ად გაყოფილი. ნასკვი ზედაა, 1-ბუდიანი. ნა-
ყოფი სიფრიფანა კოლოფია, სამი საგდულით იხსნება სიგრძეზე ან სიგანეზე —
ბალახოვანი მცენარეებია მთლიანი, ხორცოვანი ფოთლებითა და სიფრიფანა
თანაფოთლებით.

1. გვირგვინი ყვითელია, ღრმად დაყოფილი. ჯამის ფოთლები ნასკვზეა
მიზრდილი. კოლოფი მრავალთესლიანია . . . 1. *Portulaca* L.
- გვირგვინი მოთეთროა. ყვავილსაფრის ფოთლები შეზრდილია. ჯამის
ფოთლები თავისუფალია. კოლოფი სამთესლიანია . . . 2. *Montia* L.

გვარი 1. PORTULACA L. — დანდშრი

ჯამის ფოთლები ნასკვზეა მიზრდილი, ნაყოფობისას ცვივა. გვირგვინის
ფურცლები 5 (4—6) თავისუფალი ან ძირთანაა ოდნავ შეზრდილი. მტვრიანა
8—10. მტვრის მარცვლი სფეროიდულია 50—80 მიკრონი დიამეტრით, მრავა-
ლი (25-მდე), მოკლე, გაფანტული ღარით; ეგზინის ზედაპირი მოფენილია მცირე
ზომის ბასრი ეკლებით; ეგზინის ზედაპირული სურათი მსხვილმარცვლოვანია.
სვეტი 3—6, დაყოფილი. კოლოფი 1-ბუდიანია. მრავალთესლიანი, იხსნება
სიგანეზე.

1. *P. oleracea* L. Sp. Pl. (1753) 445; Ledeb. Fl. Ross. II (1843) 145; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 86; Кузенева во Фл. СССР VI (1936) 386; Колак. Фл. Абх. II (1939) 78; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 178; idem; Опред. раст. Кавк. (1949) 531; Кутат. во Фл. Груз. III (1947) 198 (georg.) Рагимов во Фл. Азерб. III (1952) 271; Макашвили, Фл. окр. Тбилиси I

* დამუშავა შ. ქუთათელაძემ.



(1952) 208 (georg.); Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 9; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 307; Кутателадзе во Опред. раст. Груз. II (1969) 211 (georg.); Тахт. и Фед. Фл. Еревана (1972) 70.

Is.: Hegi Fl. Mitt. Eur. III (1909) 270, tab. 98.

⊙. ღერო ხორცოვანია, გაფარჩხული, უფრო იშვიათად მიწაზე გართხმული ან წამოწეული, ძირიდანვე დატოტვილი; ფოთლები მორიგეობითია, სულ ზედა ფოთლები თითქმის მოპირისპირედაა განწყობილი, მჯდომარე, სქელი, ბრტყელი, მოყვანილობით მოგრძო, ძირში სოლივით შევიწროებული, თავში ბლაგვი. ყვავილები ფოთლის ილიებშია თითო-თითოდ ან ჯგუფ-ჯგუფად განწყობილი, ჯამის ფოთლები ხორცოვანია, ბლაგვედიანი; გვირგვინის ფურცლები მოყვანილობით უქუქვერცხისებრია, ყვითელი ფერის, 10 მმ-მდე სიგრძის. VI—VIII.

აწერილია სამხრეთ ევროპიდან.

იზრდება მთის ქვედა სარტყელში რუდერალურ ადგილებზე, ბოსტნებსა და გზის პირებზე.

საქ. სსრ: დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონში; აღმ. საქ.: კახ.: ვარეკახ.; ქართ.: თრიალ.

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ., აზერბ., სომხ.: ევრ. ნაწ.: შუა აზ.; შორ. აღმ. მხრ.

საერთო გავრცელ.: შუა ევრ: ხმელთაშუა ზღვ. მხრ.: მც აზ.: არმ.-ქურთ.: ირ.: ინდო-მალ.; ცენტრ. აზ.; აღმ. აზ.

სამეურნეო მნიშვნელობა. ნორჩი ღეროები ფოთლებთან ერთად მოხარშული იხმარება საჭმელად, ვიტამინებს შეიცავს დიდი რაოდენობით.

გვარი 2. MONTIA L.

ჯამის ფოთლები თავისუფალია, ნაყოფობისას ზედვე რჩება. გვირგვინი ძაბრისებრია, ერთი მხრიდან სიგრძეზე გახსნილი, ორი დიდი ზომის და სამი უფრო პატარა ზომის ნაკვთი აქვს. მტერის მარცვლი თითქმის სფეროიდულია, 39 მიკრონამდე დიამეტრით; მრავალი (6—7) გაფანტული ფორით; ეგზინის სისქე ერთ მიკრონამდეა, ეგზინის ზედაპირი სადაა. სვეტი მოკლეა სამად გაყოფილი. კოლოფი სამთესლიანია, სამსაგდულიანი. — ერთ ან მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია.

1. *M. minor* Gmel. Fl. Bad. I (1805) 301; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 86; Кузенева во Фл. СССР VI (1936) 384; Колак. Фл. Абх. II (1939) 78; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 178; Кутателадзе во Фл. Груз. III (1947) 199 (georg.); Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 307; Кутателадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 211 (georg.).

Is.: Фл. СССР I. с. табл. XIX, рис. 6.

⊙. მცენარე 2—10 სმ სიმაღლისაა; ღერო შიშველია, ორთითასებრ დატოტვილი; ქვედა ფოთლები ნიჩბისებრია, ზედა — მოგრძო ხაზური მოყვანილობის მოპირისპირედ განწყობილი. გვირგვინი მოთეთროა; მტვრიანა 3. კოლოფი ზომით ოდნავ აღემატება ჯამს. თესლი ბორცვებიანია, 0,8—1 მმ სიგრძის, შავი ფერის, პრილა არ არის. IV (სურ. 2).

აწერილია გერმანიიდან.

იზრდება ნესტიან ადგილებზე, სარწყავ წალეკილ მინდვრებზე, დაბლობებში.

საქ. სსრ: 1— აფხ.: კელასური, სოხუმის მახლობლად (ვორონოვი); 5— იმერ.: ზესტაფონის რაიონი სოფ. თერჯოლას მიდამოები (ქუთათელაძე).

საერთო გავრცელ.: ჩრდ. ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.: მც. აზ.; არმ.-ქურთ.

ოჯახი 54. CARYOPHYLLACEAE JUSS.—მიხაკისებრნი

ყვავილი აქტინომორფულია, ორსქესიანი, იშვიათად ერთსქესიანი, ჩვეულებრივ 5 ან 4-წვერიანი, შეკრებილი ხვეულ, საგველა, მტევნის, ქოლგის ან თავაკისებრ ყვავილედად. ჯამი თავისუფალი ან შეზრდილი, მილისებრი ან ზარისებრი, იშვიათად მარტო ძირთანაა შეზრდილი. გვირგვინის ფურცლები თავისუფალია, ძირთან შევიწროებულია ფრჩხილად, მთლიანი, ამოკვეთილი, ფოჩიანი ან ორნაკეთიანი, იშვიათად სტამინოდუმების სახითაა ან სულ არ არის. მტვრიანა 10, განლაგებული 2 წყებად, ზოგჯერ მტვრიანა 5 ან ნაკლები. სანექტრეები განვითარებულია დისკოს კიდეზე მტვრიანათა ძირთან. ნასკვი ზედა ან შუა 2—5 ნაყოფფოთლიანი, ერთბუდიანი ან ძირთან 3—5 ბუდიანი. თესლკვირტი ჩვეულებრივ მრავალია ან მცირერიცხოვანი. სვეტი 2—5, თავისუფალია ან ძირთან შეზრდილი. ნაყოფი ჩვეულებრივ კოლოფია, რომელიც სვეტების რიცხვის თანაბარ ან ორჯერ მათზე მეტი საგდულებით ან კბილებით იხსნება, იშვიათად კენკრასებრია. — მრავალწლოვანი ან ერთწლოვანი ბალახებია ან ბუჩქები მოპირისპირე, ჩვეულებრივ ძირთან შეზრდილი ან ყუნწად შევიწროებული, იშვიათად მორიგეობითი, მარტივი ფოთლებით. უთანაფოთლოა ან ქერქლისებრი თანაფოთლებითაა.

- | | |
|---|----------------------------|
| 1. ფოთლები უთანაფოთლოა | 2 |
| — ფოთლები წვრილი ქერქლისებრი თანაფოთლებითაა | 28 |
| 2. ჯამის ფოთლები თავისუფალია ან ძირთან შეზრდილი, ნაყოფი კოლოფია, კბილებით ან საგდულებით იხსნება | 3 |
| — ჯამის ფოთლები შეზრდილია გრძელ მილად | 15 |
| 3. ერთ მცენარეზე 2 ან 2—3-სვეტიანი ყვავილი ვითარდება. კოლოფი იხსნება სვეტის რიცხვის თანაბარი საგდულებით | 4 |
| — სვეტი 3—4—5; თუ ერთ მცენარეზე 3-2-ია, მაშინ კოლოფი იხსნება საგდულებით ან კბილებით, რომელნიც ორჯერ აღემატებიან სვეტების რიცხვს | 5 |
| 4. ჯამის ფოთლი 4; გვირგვინის ფურცელი 4. კოლოფი ერთბუდიანია; იხსნება ძირამდის 2 საგდულით | 6. <i>Bufonia</i> L. |
| — ჯამის ფოთლი 5 (იშვიათად 6—7); გვირგვინის ფურცელი 5. კოლოფი ერთბუდიანია, იხსნება შუამდის 2—3 საგდულით | 7. <i>Lepyroclis</i> Fenzl |
| 5. სვეტი 4—5 | 6 |
| — სვეტი 3, იშვიათად 2 | 9 |



- 6. კოლოფი იხსნება ძირამდის სვეტის რიცხვის თანაბარი საგდულებით 7
- კოლოფი იხსნება კბილებით, რომელნიც ორჯერ აღმატებიან სვეტის რიცხვს 8
- 7. ჯამის ფოთოლი 4—5; გვირგვინის ფურცელი 4—5 ან არ არის; სვეტი 4—5. 5. **Sagina L.**
- ჯამის ფოთოლი 5; გვირგვინის ფურცელი 5, მთლიანი; სვეტი 5. 9. **Minuartia (L.) Hiern**
- 8. კოლოფი კვერცხისებრი ან მოგრძო-კვერცხისებრია, იხსნება 5 ორად გაყოფილი კბილით 2. **Myosoton Moench**
- კოლოფი ცილინდრულია, იხსნება 10 კბილით 3. **Cerastium L.**
- 9. კოლოფი იხსნება 3 საგდულით 10
- კოლოფი იხსნება 6—4 კბილით ან საგდულით 11
- 10. ნასკვი ერთბუდიანია, მრავალთესლიანი. კოლოფი ძირამდის იხსნება 3 საგდულით 9. **Minuartia (L.) Hiern**
- ნასკვი ერთბუდიანია, ერთი თესლკვირტით. კოლოფი შუამდის იხსნება 3 საგდულით. ერთწლოვანი მცენარეა. თავაკისებრი ყვავილენი წვერზე მოკაუჭებული თანაყვავილებითაა შემოვლებული 8. **Queria Loefl.**
- 11. კოლოფი იხსნება წვერზე კბილებით, რომელნიც ორჯერ აღმატებიან სვეტების რიცხვს 12
- კოლოფი საგდულებით ძირამდის არ იხსნება; საგდულთა რიცხვი 2-ჯერ აღმატება სვეტების რიცხვს 14
- 12. გვირგვინის ფურცელი 5, ღრმად ორად დანაკეთული. კოლოფი ცილინდრულია 3. **Cerastium L.**
- გვირგვინის ფურცელი 5, მთლიანი ან ოდნავ ამოკვეთილი 13
- 13. კოლოფი ცილინდრულია. ყვავილები შეკრებილია ქოლგისებრ ყვავილედად 4. **Holosteam L.**
- კოლოფი ძირთან ამობერილია, წვერისკენ ეიწროვდება. ყვავილენი ჩვეულებრივ ქოლგისებრი არ არის. 10. **Arenaria L.**
- 14. გვირგვინის ფურცლები ორადაა გაყოფილი ან ამოკვეთილია, ზოგჯერ არ არის. კოლოფი ცილინდრულია, 6—4 საგდულით შუამდის იხსნება 1. **Stellaria L.**
- გვირგვინის ფურცლები მთლიანია. კოლოფი სფეროსებრ-კვერცხისებრია; სიგრძის 2/3-მდე იხსნება 6 საგდულით გარეთა მხარეზე დახვეული კბილებით. 11. **Moehringia L.**
- 15. სვეტი 2. 16
- სვეტი 3 ან 5. 23
- 16. ჯამი ძირთან შემოვლებულია სიფრიფანა თანაყვავილებით (ქერქლებით). 17
- ჯამი არ არის შემოვლებული თანაყვავილებით. 19
- 17. ყვავილები ხშირ თავაკებადაა შეკრებილი და შემოვლებულია 6 სიფრიფანა-თანაყვავილით, რომლებიდანაც შიდა ბლაგვია, აღმატება 5 -ძარღ-



- ვიან სიფრიფანა ჯამს; გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია, პატარა, მთლიანი 24. **Kohlruschia Kunth** 18.
- ჯამი ძირთან 1—4 წყვილი თანაყვავილითაა. 18.
18. ჯამი მრავალრიცხოვანი ძარღვებითაა; გვირგვინის ფურცლები გრძელფრჩხილიანია დაკბილული, ფოჩიანი, იშვიათად მთლიანი 26. **Dianthus L.**
- ჯამი 15 ძარღვით, რომელთაგან სამ-სამი დაახლოებულია; გვირგვინის ფურცლები წაგრძელებული ფრჩხილითაა, მთლიანი ან ამოკვეთილი 23. **Petrorhagia (Ser.) Link.**
19. ჯამი ძირთან გამობერილი, წვერისკენ შევიწროებული, 5 ფრთიანი წიბოთი 25. **Vaccaria Medic.**
- ჯამი მილისებრი ან ზარისებრია, ზოგჯერ ძირთან გამობერილი უფროთ წიბოებით. 20.
20. ჯამი წვრილ-მილისებრია, 15 მკაფიოდ გამოსახული ძარღვით 28. **Velezia L.**
- ჯამი მკაფიოდ გამოსახული 5 ძარღვით ან ძარღვები შეუმჩნეველია 21.
21. ჯამი მილისებრია, შეუმჩნეველი ძარღვებით, ძირთან ოდნავ გამობერილი; გვირგვინის ფურცლები თანაგვირგვინითაა და ამოკვეთილია ან ორნაკვეთიანი. 27. **Saponaria L.**
- ჯამი ზარისებრი, ძარღვებს შორის სიფრიფანა; გვირგვინის ფურცლები მთლიანია, უთანაგვირგვინო. 22.
22. ჯამი 5 მკაფიოდ გამოსახული ძარღვითაა, წიბოებიანი, მოგრძო-ზარისებრი 24. **Fiedleria Reichb.**
- ჯამი 5 შეუმჩნეველი ძარღვით, ზარისებრია 22. **Gypsophila L.**
23. ნაყოფი კენკრასებრი, სფეროსებრი, მუქი მურა ფერის მრავალრიცხოვანი თესლით. ჯამი ნაყოფობისას ფართოდაა გადაშლილი 21. **Cucubalus L.**
- ნაყოფი კოლოფია, წვერზე კბილებით იხსნება 24.
24. ჯამი 5 გრძელი კბილით, რომლებიც გვირგვინის ფურცლებს აღმატებიან, წიბოებიანი, 10 მკაფიოდ გამოსახული ძარღვით. 16. **Agrostemma L.**
- ჯამი 5, პატარა ზომის წვეტიანი ან ბლავვი, იშვიათად გრძელი სადგისისებრი 5 კბილით, 10—30 ცოტად თუ ნაკლებად მკაფიოდ გამოსახული ძარღვით. 25.
25. სვეტი 3, ნასკვი ფუქსთან 3-ბუდიანია, მრავალთესლიანი 20. **Silene L.**
- სვეტი 3, 4 ან 5; ნასკვი ერთბუდიანია 26.
26. სვეტი 5. კოლოფი 5 კბილით იხსნება 17. **Coronaria L.**
- სვეტი 3—4—5, კოლოფი სვეტების რიცხვის გაორკეცებული კბილებით იხსნება. 27.
27. სვეტი 4—5, იშვიათად 3, თესლები ზურგზე გრძელი ქიცვისებრი გამოწარადების 3—4 რიგით 19. **Charesia E. Busch**
- სვეტი 3—5. თესლები მსხვილია, ბლავგობორცვებიანი 18. **Melandrium Roehl.**



28. ფოთლები მორიგეობითია. ჯამი ხუთად გაყოფილი, ფუძესთან შეზრდილი, სვეტი 3. კოლოფი სამწახნაგოვანია, იხსნება 3 საგდულთ 14. **Telephium L.**
 — ფოთლები მოპირისპირეა, ჯამი 5—4-ად გაყოფილი, ფუძესთან შეზრდილი 29.
29. სვეტი 5. კოლოფი იხსნება 5 საგდულთ 12. **Spergula L.**
 — სვეტი 3. კოლოფი მრავალთესლიანია, იხსნება საგდულებით . 30.
30. კოლოფი იხსნება 3 საგდულთ; კოლოფი ერთბუდიანია 13. **Spergularia (Pers.) J. etc. Presl**
 — სვეტები ძირში შეზრდილია, ნაყოფი მრავალთესლიანია, იხსნება სამი საგდულთ 15. **Polycarpon Loeffl.**

გვარი 1. STELLARIA L.*

ჯამის ფოთლი 5, იშვიათად 4, განცალკევებული, გვირგვინის ფურცლები 5, ამოკეტილი ან ორად გაყოფილი; უფრო იშვიათად გვირგვინის ფურცლები განუვითარებელია. მტვრის მარცვლი სფეროსებრია, ღარს მოკლებული, 12 გაფანტული ფორით; ფორა მოზრდილია, ვიწრო არხით; ფორის მემბრანა და ეგზინის ზედაპირი წვრილმარცვლოვანია. სვეტი 3, უფრო იშვიათად 2. კოლოფი მომრგვალო-მოგრძოა ან კვერცხისებრი, იხსნება თითქმის შუამდე ექვსი საგდულთ. თესლი წვრილია, ზედაპირი მოფენილია ბორცვებით ან ნაოჭებით.— მრავალწლოვანი ან ერთ-ორწლოვანი მცენარეებია ხაზურ-ლანცეტა ან კვერცხისებრი ფოთლებით.

გვარი აერთიანებს 120-მდე სახეობას, რომლებიც გავრცელებულია მთელ დედამიწის ზურგზე, ტროპიკების გარდა. საქართველოში ამ გვარის 7 სახეობა იზრდება, რომლებიც ერთ სექციამია გაერთიანებული.

1. ღერო განიც განაჰერში მრგვალი 2
 — ღერო განიც განაჰერში ოთხწახნაგოვანია 4
2. მრავალწლოვანი მცენარეა, ხასიათდება დიდი ზომის კვერცხისებრი, მჯდომარე ფოთლებით. 3. **S. nemorum L.**
 — ერთი-ორწლოვანი მცენარეა, უფრო პატარა ზომის კვერცხისებრი ან კვერცხისებრ-ლანცეტა ფოთლებით. 3
3. ღერო სიმაღლით ჩვეულებრივ 35 სმ-ს არ აღემატება; გვირგვინის ფურცლები ჯამის ფოთლებზე მოკლეა ან სრულებით არ არის; თესლების ზედაპირი მოფენილია ბლაგვი ბორცვებით 1. **S. media (L.) Vill.**
 — ღერო სიმაღლით 30—80 სმ; გვირგვინის ფურცლები თითქმის ჯამის ფოთლების ტოლია; თესლების ზედაპირი წაწვეტილობრცვებიანია 2. **S. neglecta Weihe**
4. მცენარე ხასიათდება 4—9 სმ სიგრძის, ლანცეტა, გრძლად წაწვეტილებული შებუსხილი ფოთლებით. ჯამის ფოთლები 5—10 მმ სიგრძისაა, შიშველი 4. **S. holostea L.**
 — მცენარე ხასიათდება 4 სმ-მდე სიგრძის ხაზურ-ლანცეტა ან ფართო-ლანცეტა ფოთლებით, რომლებიც შიშველია ან იშვიათად ძირთან შებუსხილი. ჯამის ფოთლები სიგრძით 6 მმ-ს არ აღემატება . 5

* დამუშავა ე. ღვინიაშვილმა



5. მცენარე ხასიათდება ხაზური ან ხაზურ-ლანცეტა ფოთლებით, რთული მელთასიგარტე 4-ჯერ და მეტად აღმატება სიგანეს. ჯამის ფოთლები 4—6 მმ სიგრძისაა. 6
- მცენარე ხასიათდება ფართო-ლანცეტა ფოთლებით, რომლებიც სამჯერ აღმატება თავის სიგანეს. ჯამის ფოთლები სიგრძით 4 მმ-მდე 7. *S. anagalloides* C. A. Mey.
6. ფოთოლი და თანაყვავილი კიდის გაყოლებაზე შიშველია. გვირგვინის ფურცლები სიგრძით 1,5—2-ჯერ აღმატება ჯამის ფოთლებს 6. *S. persica* Boiss.
- ფოთოლი და თანაყვავილი ფუძესთან კიდეზე წამწამებია. გვირგვინის ფურცლები სიგრძით ჯამის ფოთლების ტოლია ან მათზე მოკლეა 5. *S. graminea* L.

Sect. 1. *Stellaria* — Sect. *Eustellaria* (Fenzl) Boiss. Fl. Or. I (1867) 706.

ჯამის ფოთოლი 5, იშვიათად 4, განცალკევებული. გვირგვინის ფურცელი ჩვეულებრივ კარგადაა განვითარებული. მტკრიანა 10, იშვიათად 3—8; სვეტი 3, იშვიათად 2. ნასკვი მრავალრიცხოვანი თესლკვირტითაა. კოლოფი ჩვეულებრივ მრავალთესლიანია.

1. *S. media* (L.) Vill. Hist. Pl. Dauph. III (1789) 615; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 377; Boiss. Fl. Or. I (1867) 707; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 379; Chater and Heywood in Fl. Europ. I (1964) 134; Coode in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 69; Ташт., Фед. Фл. Еревана (1972) 72. — *Alsine media* L. Sp. Pl. I (1753) 272; Cyr. Ess. Pl. Char. Comm. (1784) 36; Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 248. — *Stellaria media* (L.) Cyr. var. *gymnocalyx* Trautv. Acta Horti Petropol. I, 1 (1871) 33; idem, l. c. V, 2 (1878) 415. — *S. media* (L.) Cyr. var. *trichocalyx* Trautv. l. c. V, 2 (1878) 415. — *S. media* (L.) Cyr.: Шишк. во Фл. СССР VI (1936) 395; Колак. Фл. Абх. II (1939) 81; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 182; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 205 p.p. (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 533; Макашвили, Фл. окр. Тбилиси I (1952) 180 (georg.); Ахундов во Фл. Азерб. III (1952) 276; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 17; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 314; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 216 (georg.); Косенко, Опред. высш. раст. Сев.-Зап. Кавк. и Предкавк. (1970) 87. — *S. pallida* auct. non *S. pallida* (Dumort.) Pire: Шишк. во Фл. СССР VI (1936) 397; Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 533; Ахундов во Фл. Азерб. III (1952) 276. — *S. media* (L.) Vill. v. *pallida* (Dumort.) A. et G. secund. Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 379. — *S. media* (L.) Cyr. v. *pallida* (Dumort.) Aschers. et Greb. secund. Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 182.

lc: Hegi, Illustr. Fl. Mitt.-Europ. III, 1 (1911) Taf. 104, Fig. 1; Фл. на Българ. III (1966) 351, табл. XLVI, фиг. 2, 2a-з; Fl. Schweiz I (1967) 803; Фл. Тадж. III (1968) 477, табл. LXX VII, 6, 7; Friedrich in Hegi, Fl. III, 2 (1974) Taf. 101, Fig. 1, 1a—1c.

☉, ☉ მცენარე ღია მწვანე ფერისაა; ფესვი წვრილია, დატოტვილი; ღერო სუსტია, მწოლარე ან წამოწეული, 10—35 სმ სიმაღლის, ერთ მხარეზე ნაწევრებიანი ბეწვების ზოლით, განაკვეთში მრგვალი; ქვედა ფოთლები მომრგვალო-კვერცხისებრია, ფუძეში სოლისებრი, სიგრძით 2 სმ-მდე. გრძელყუნ-



წიანი, ზედა მოკლეყუნწიანი ან თითქმის მჯდომარე; ფოთლის ფორმები შიშველია, ზოგჯერ თეთრმეჭყეიანი, ფუტეში წამწამებით. ყვავილები ბილია ნახევარქოლგად; ყვავილის ყუნწები ნაყოფობისას ჯამის ფოთლებზე 2—3-ჯერ გრძელია, უფრო ხშირად შებუსხვილია, ზოგჯერ შიშველი; ჯამის ფოთლები კვერცხისებრ-ლანცეტაა, სიგრძით 5 მმ-მდე, წვერში მოზღაგვო, შებუსხვილი; გვირგვინის ფურცლები თეთრია, ღრმად ორად გაყოფილი, ჯამის ფოთლების 2/3-ს აღწევს ან სრულებით არ არის; მტერიანა 3—5, იშვიათად 10. კოლოფი მოგრძო-კვერცხისებრი, ჯამის ფოთლების ტოლია ან ოდნავ აღემატება მათ, იხსნება 6 საგდულით. თესლი ღია-ყავისფერია, მომრგვალო ან თირკმლისებრი, ზედაპირზე ბლაგვი ბორცვებით. III—IX. $2n=28$; 36; 40; 42; 44.

აწერილია ევროპიდან. ტიპი იხსნება ლონდონში.

დამახასიათებელია ღია ცენოზებისათვის. იზრდება ტენიან ადგილებში; როგორც სარეველა გვხვდება ბოსტნებში, საცხოვრებელი ადგილების მახლობლად, რუდერალურ ადგილებში, აზოტით მდიდარ ნიადაგებზე.

საქ. სსრ: ყველა რაიონში.

სსრკ: მთელ კავკასიაში; ევრ. ნაწ.; დას. და აღმ. ციმბ.; შუა აზ.; შორ. აღმ. მხრ.

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; ხმელთაშუაზღ. მხრ.; მც. აზ.; ცენტრ. აზ.; აღმ. აზ.; ჩრდ. ამერ.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ა. თავლოვანი მცენარეა; ზოგ რაიონში (მთიულეთი) მოსახლეობა იყენებს საჭმელად; ეტანება პირუტყვი, ხმაობენ ფრინველების საკვებადაც.

2. *S. neglecta* Weihe in Bluff et Fing. Comp. Fl. Germ. I (1825) 560; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 396; Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 533; Ахундов во Фл. Азерб. III (1952) 276; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 17; Chater and Heywood in Fl. Europ. I (1964) 134; Косенко, Опред. высш. раст. Сев.-Зап. Кавк. и Предкавк. (1970) 87.— *S. media* subsp. *neglecta* (Weihe) Murb. in Bot. Not. (1899) 198; Coode in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 70. — *S. media* v. *neglecta* (Weihe) Murb. secund. auct.: Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 379; Колак. Фл. Абх. II (1939) 82; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 182; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 205 (georg.); eadem, в Опред. раст. Груз. (1969) 216 (georg.).

Is.: Фл. Тадж. III (1968) 477, табл. LXXVII, 8, 9.

⊙, ⊕ ფესვი წვრილია, დატოტვილი; ღერო ჩვეულებრივ წამოწეულია, 30—80 სმ სიმაღლის, განაკვეთში მრგვალი; ფოთლები კვერცხისებრ-ლანცეტა ფორმისაა, ძირში მომრგვალო ან გულისებრი, სიგრძით 3 სმ-მდე; ქვედა ფოთლები ყუნწებითაა, ზედა ფოთლები მჯდომარეა, ფუტეში წამწამებით. ყვავილენდი მეჩხერია; ყვავილის ყუნწები ნაყოფობისას ჯამის ფოთლებზე 3—8-ჯერ გრძელია, შიშველი; ჯამის ფოთლები მოგრძო ლანცეტაა, სიგრძით 5—7 მმ-მდე, წვერში წაწვეტებული, შიშველი, იშვიათად შებუსხვილი; გვირგვინის ფურცლები განვითარებულია, თეთრი ფერისაა, ორად გაყოფილი თითქმის ჯამის ტოლია; მტერიანა ჩვეულებრივ 10, იშვიათად 3—5. კოლოფი კვერცხისებრია ან მოგრძო ფორმის, ჯამზე გრძელი, იხსნება 6 საგდულით. თესლი მუქი ყავის-

Typus: «Circa Mennighussen. Princip. Mindensis».

იზრდება ტყის სარტყელში დაჩრდილულ და ტენიან ადგილებში.

საქ. სსრ: ყველა რაიონში.

სსრკ: მთელ კავკასიაში; ევრ. ნაწ. (ყირიმი); შუა აზ.

საერთო გავრცელ.: დას., ცენტრ. და სამხრ. ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ. (დას., ბალკან.); მც. აზ.; აღმ. აზ.

შენიშვნა: სსრკ-ის ფლორაში [Флора СССР, VI (1936) 395] პოლიმორფულ ციკლ *Stellaria media* (L.) Vill.-სათვის კავკასიაში აღნიშნულია სამი დამოუკიდებელი სახეობა: *S. media* (L.) Cyr., *S. neglecta* Weihe და *S. pallida* (Dumort.) Pirl. „საქართველოს ფლორაში“ [III (1947) 205] ამათგან მხოლოდ *S. neglecta* განიხილულია როგორც *S. media*-ს სახესხვაობა.

S. neglecta Weihe *S. media* (L.) Vill.-სთან ახლო მდგომი სახეობაა, მაგრამ, როგორც ირკვევა, მისგან განსხვავდება რიგი მყარი მორფოლოგიური ნიშნებით: მჯდომარე ზედა ფოთლებით, შედარებით გრძელი ყვავილის ყუნწებით, თითქმის ჯამის ფოთლების ტოლი გვირგვინის ფურცლებით, ჯამზე გრძელი კოლოფით, წაწვეტებულ ბორცვებიანი თესლებით. ამიტომ შესაძლებლად ვთვლით *S. neglecta* Weihe-ს დამოუკიდებლობას.

S. pallida (Dumort.) Piré-ს გავრცელების არეალად კავკასიაში შიშკინი (1936) თვლიდა იმერკავკასიას, დაღესტანსა და აღმ. იმერკავკასიას. ჩვენს ხელთ არსებულ საქართველოში შეგროვებულ მასალებში უკანასკნელი სახეობის ნიშნების მქონე მცენარე არ აღმოჩნდა, რაც ეჭვქვეშ აყენებს ამ სახეობის არსებობას საქართველოს ტერიტორიაზე.

3. *S. nemorum* L. Sp. Pl. I (1753) 421; Ser. in DC. Prodr. I (1824) 396; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 375; Boiss. Fl. Or. I (1867) 706; idem, l. c. Suppl. (1888) 117; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 397; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 394; Колак. Фл. Абх. II (1939) 81; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 181; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 204 (georg.); Гроссг. Определ. раст. Кавк. (1949) 533; Дмитриева, Определ. раст. Аджар. (1960) 314; Chater and Heywood in Fl. Europ. I (1964) 134; Coode in Davis, Fl. Turkey] 2 (1967) 70; Харадзе в Определ. раст. Груз. II (1969) 215 (georg.); Косенко, Определ. высш. раст. Сев-Зап. Кавк. и Предкавказ. (1970) 87.

Ic.: Hegi, Illustr. Fl. Mitt.-Europ. III, 1 (1911) Taf. 104, Fig. 2; Гроссг. l. c. (1945) табл. 17, рис. 8, карт. 183; Fl. Rep. Pop. Române II (1953) 35, pl. 2, fig. 1, 1a; Фл. на Българ. III (1966) 351, табл. XLVI, фиг. 1, 1a-1z; Fl. Schweiz I (1967) 802; Friedrich in Hegi, Fl. III, 2 (1974) Taf. 101, Fig. 2, 2a.


4. მცენარე მონაცრისფრო-მწვანეა; ფესურა წვრილია, გრძელი, გართხმული, წარმოქმნის მიწისქვეშა სტოლონებს; ღერო სუსტია, ცილინდრული, სიმაღლით 65 სმ-მდე, მარტივი, იშვიათად დატოტვილი, განაქერში მრგვალი; ქვედა ნაწილში თითქმის შიშველი, ზევით ჯირკვლოვან-ნაწვერებიანი ბეწვებით შემოსილი, ქვედა ფოთლები კვერცხისებრია ან ფართო ლანცეტა, ფუძესთან გულისებრი, წვერში წაწვეტებული, 2,5—8 სმ სიგრძის, 1,5—5 სმ სიგანის, ორივე მხრიდან სუსტადაა შებუსხილი ჯირკვლოვანი ბეწვებით, კიდზე მოკ-



ლემწამწამებიანია, გრძელი ყუნწებით; ზედა ფოთლები მოგრძო-კვერცხისებრია, ზომით უფრო მცირე, მჯდომარე. ყვავილები შეკრებილია ნახევარტოტო-სებრ კენწრულ ან ილიურ მრავალყვავილიან გაშლილ ყვავილედად; ყვავილის ყუნწი გრძელია, ცოტად თუ ბევრად ხშირი შებუსვით, დაყვავილებისას ქვემოთ გადაღუნულია; ჯამის ფოთლები 4—6 მმ სიგრძისაა, ლანცეტა ფორმის, წვერში მომრგვალებული, კიდეზე სიფრიფანა, შებუსვილი; თანაყვავილები ბალახისებრია, შებუსვილი; გვირგვინის ფურცლები თეთრია, თითქმის ორჯერ გრძელია ჯამის ფოთლებზე, ღრმად ორადაა გაყოფილი. კოლოფი მოგრძოა, 1.5-ჯერ აღემატება ჯამს, იხსნება 6 საგდულით, საგდულის კბილები გარეთაა გადაღუნული; თესლი მომრგვალო-თირკმლისებრი ფორმისაა; მომწიფებულ თესლს კიდეზე გასდევს ნახევარსფერული 4—5 რიგად განწყობილი მოზღაგვო ბორცვებიანი არშია. VI—III. $2n=26$. (სურ. 3).

აღწერილია ევროპიდან. «Habitat in Europae nemoribus». ტიპი ინახება ლონდონში.

საქ. სსრ.: 1 — აფხ.: მდ. გვანდრას ხეობა (ალბოვი); 2 — სვან.: თხეიშის სათავეები (გაგნიანე, ღვინიაშვილი, მუყებანიანი); 3 — რაჭა-ლეჩხ.: სოფ. გლოლას მიდამოები, სახარო ტბისაკენ მიმავალი გზა (მიქელაძე, ღვინიაშვილი); 4 — სამეგრ.: დიდი — ეგესა და ხობის-თავს შორის (შიშკინი); მდ. ლეზარდეს სათავეები (შიშკინი); ლეზარდესა და ჩეგოლას შორის (შიშკინი); მდ. ტეხურის ხეობა (შიშკინი); 6 — გურ.: აჭარა-იმერეთის ქედი, ბახმაროსთან (გროსპეიმი); ბახმაროსა და ბაისურას შორის (გროსპეიმი); 7 — აჭარ.: პატარო (ვაშალომიძე); გოდერძის უღელტეხილი, კურორტ ბემუმის მიდამოები (დმიტრიევი); აჭარა-სამეგრეთის ქედი, მაცკვალტას მიდამოები (დმიტრიევი). (რუკა 1).



რუკა 1
Stellaria nemorum L.

სსრკ: იმერკავკ.: ევრ. ნაწ.

საერთო გავრცელ.: ჩრდ. და შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.: არმ. — ქურთ.

სამეურნეო მნიშვნელობა: თაფლოვანი მცენარეა, იძლევა ნექტარს.



4. *S. holostea* L. Sp. Pl. I (1753) 422; Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 342; Ser. in DC. Prodr. I (1824) 397; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 381; Boiss. Fl. Or. I (1867) 707; idem, l. c. Suppl. (1888) 117; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 380; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 402; Колак. Фл. Абх. II (1939) 82; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 182; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 204 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 533; Макашвили, Фл. окр. Тбилиси I (1952) 180 (georg.); Ахундов во Фл. Азерб. III (1952) 277; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 313; Chater and Heywood, Fl. Europ. I (1964) 135; Coode in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 71; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 215 (georg.); Косенко, Опред. высш. раст. Сев.-Зап. Кавк. и Предкавказ. (1970) 87.

Ис.: Hegi, Illustr. Fl. Mitt.-Europ. III, 1 (1911) Taf. 104, Fig. 4; Фл. СССР I. с. табл. XX, рис. 5; Гроссг. I. с. (1945) табл. 17, рис. 9, 9а, карт. 187; Fl. Rep. Pop. Române II (1953) 35, Pl. 2, fig. 2, 2a-2c; Фл. на Българ. III (1966) 355, табл. XLVII, фиг. 1, 1a-1з; Fl. Schweiz I (1967) 804; Friedrich in Hegi, Fl. III, 2 (1974) Taf. 101, Fig. 4, 4a-4c.

2. მცენარე ღია მწვანე ფერისაა; ფესურა მცოცავია, წვრილი, მოკლე უნაყოფო და გრძელი საყვავილე ყლორტებით; ღერო სიმაღლით 40 სმ-მდე, წამოწეული, განაკვეთში ოთხწახნაგოვანია, ზედა ნაწილში დატოტვილი, ქვედა მუხლთშორისები შემოკლებული აქვს; თითქმის მთელი მცენარე შებუსვლილია წვრილი კონუსური და მკდომარე ბეწვებით; ფოთლები ვიწრო სამკუთხა ფორმისაა, გრძლად წამახვილებული წვერით; 1,5—10,5 სმ სიგრძის და 1,5—10 მმ სიგანის, მკდომარეა, მოპირისპირე, ფუძეებით შეზრდილი, ფოთლის ქვედა მხარე მთავარი ძარღვის გაყოლებაზე სწორი შებუსვითაა, ფოთლის ფირფიტა გაფანტულბეწვებიანია, კიდეზე წვრილწამწამებიანი. ყვავილები შეკრებილია მცირეყვავილიან მეჩხერ ნახევარქოლგად; ყვავილების ყუნწები გრძელია, ყვავილობის ბოლოსთვის სწორი შებუსვით; თანაყვავილები მცირე ზომისაა, ბალახისებრია; ჯამის ფოთლები მახვილწვერიანია, კვერცხისებრ-ლანცეტა, მეჩხერი შებუსვით, კიდეზე ვიწრო სიფრიფანა 7—10 მმ სიგრძის; გვირგვინის ფურცლები თეთრია, თითქმის ნახევრამდე ორადაა გაყოფილი, ჯამის ფოთლებზე ორჯერ გრძელია. კოლოფი თითქმის სფერულია, 6 საგდულიანი, ჯამზე ოდნავ მოკლე ან ჯამის ტოლი, ხასიათდება გარეთ გადაღუნული საგდულების კბილებით. თესლი თირკმლისებრი ფორმისაა, 2—3 მმ სიგანის, ზედაპირი მოფენილია წაწვეტებული ბორცვებით. IV—VIII. $2n=26$.

აწერილია ევროპიდან. «Habitat in Europae nemoribus». ტიპინახება ლონდონში.

ხასიათდება ვერტიკალური გავრცელების ფართო ამპლიტუდით. იზრდება მდელოებზე, ბუჩქნარებს შორის ქვედა სარტყლიდან მთის ზედა სარტყელამდე 2000 მ სიმაღლემდე ზღვ. დონიდან: შერეულ ფართოფოთლოვან, მუხნარ, ფიჭვნარ, სუბალპურ ირიბ და პარკულ ტყეებში.

საქ. სსრ: ყველა რაიონში.

სსრკ: მთელ კავკასიაში, ევრ. ნაწ.; დას. ციმბ.

საერთო გავრცელ.: ჩრდ., შუა და სამხრ. ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.; არმ.-ქურთ. მითითებულია ჩრდ. ამერიკისათვის როგორც გზადმოყოლილი.

სამეურნეო მნიშვნელობა: ნექტარის მომცემი მცენარეა მხოლოდ კარგად ჰამს პირუტყვი.

5. *S. graminea* L. Sp. Pl. (1753) 422; Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 342; DC. Prodr. I (1824) 397; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 391; Boiss. Fl. Or. I (1867) 707; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 380; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 404; Қолак. Фл. Абх. II (1939) 82; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 183; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 207 (georg.); Гроссг. - Опред. раст. Кавк. (1949) 534; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 314; Қолак. Раст. мир Колх. (1961) 184; Chater and Heywood in Fl. Europ. I (1964) 135; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 216 (georg.); Косенко, Опред. высш. раст. Сев.-Зап. Кавк. и Предкавказ. (1970) 87. — *Alsine graminea* Britt. Mem. Torr. Club. V (1894) 150.

Is.: Reichb. Ic. Fl. Germ. V (1842—1843) tab. 224; Hegi, Illustr. Fl. Mitt.—Europ. I (1911) Taf. 104, Fig. 7; Fl. Rep. Pop. Române II (1953) 29, Pl. 1, fig. 2, 2a, 5; Фл. на Българ. III (1966) 355, табл. XLVII фиг. 3, 3a-e; Friedrich in Hegi, Fl. III, 2 (1974) Taf. 101, Fig. 7, 7a.

4. მცენარე შიშველია; ხასიათდება წვრილი და წამოწეული ოთხწახნაგოვანი ღეროებით, რომლებიც სიმალლით 15—50 სმ-ია; ფოთოლი ხაზურ-ლანცეტა, მახვილწვერიანი, 1—4 სმ სიგრძის და 2—4 მმ სიგანის, ფუძესთან კიდეზე წვრილი და მეჩხერი წამწამებით. ყვავილეთი მრავალყვავილიანია; ყვავილები მოთავსებულია გრძელ, განზე გადაწეულ ყუნწებზე; თანაყვავილი სიფრიფანაა, ფუძესთან კიდეზე წამწამებიანი, ჯამის ფოთლები 4—6 მმ სიგრძისაა, ლანცეტა, გრძლადწაწვეტილი, 3 ძარღვიანი, კიდეზე სიფრიფანა, შიშველი ან წამწამებიანი; გვირგვინის ფურცლები თითქმის ძირამდე ორადაა გაყოფილი, ჯამის ფოთლების ტოლია ან მათზე მოკლე. კოლოფი მოგრძო კვერცხისებრია, იხსნება 6 საგდულთ, 1,5-ჯერ აღემატება ჯამს; თესლი წვრილია, ყავისფერი, მომრგვალო, ჰობთან სუსტად გამოსახული ნისკარტით, ზედაპირი ტალღოვანი ნაოქებითაა. V—IX. $2n=26$. (სურ. 6).

აწერილია ევროპიდან. «Habitat in siccis juniperetis sepibus textis Europae». ტიპი დაცულია ლონდონში.

იზრდება მდელოებზე დაბლობში, ნატყევეარ ადგილებზე, მთის სარტყელში მუქ-წიწვიან ტყის პირებზე, ფიქვნარში.

საქ. სსრ.: 1-აფხ.: მაქარას ხეობა (კოლკოვსკის მიხედვით I. c. 1939; 1961). 7 — აჭარ.: დმიტრიევას I. c. (1960) მოყავს ბათუმის ბოტანიკურ ბაღში შეგროვილი მასალის მიხედვით; 15 — გარდაბ.: მიითებულა ქუკოვსკის მიერ [Зап. научн. прикл. отд. Тифл. Бот. сада I (1919) 87] გარდაბანისათვის, 19 — მესხ.: ერუშეთის ქელი, ფიქვნარში (ღვინიაშვილი).

სსრკ: იმიერკავკ.; ევრ. ნაწ.: დას. და აღმ. ციმბ.; შუა აზ.; შორ. აღმ. მხრ. (ვლადივოსტოკი, სახალინი).

საერთო გავრცელება: ევრ.; ცენტრ. აზ.; ჩრდ. ამერ. (იშვითად, შემოტანილია).

სამეურნეო მნიშვნელობა: ცხენებისათვის შხამიანი მცენარეა. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.




6. *S. persica* Boiss. Diagn. ser. II, 1 (1853) 85; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 407; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 183; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 207 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 534; Макашвили, Фл. окр. Тбилиси I (1952) 180 (georg.); Ахундов во Фл. Азерб. III (1952) 277; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 18; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 314; Колак. Раст. мир Кавк. (1961) 184; Coode in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 71; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 216 (georg.); Косенко, Опред. высш. раст. Сев.-Зап. Кавк. и Предкавказья (1970) 87. — *S. glauca* With. β *virens* Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 390, ex parte. — *S. glauca* With. β . *persica* (Boiss.) Boiss. Fl. Or. I (1867) 708. — *S. virens* (Fenzl) Rupr. Fl. Cauc. I (1868) 222; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 380.

24. მცენარე ლევა მწვანე ფერისაა, შიშველი; ფესურა მცოცავია; წვრილი; ღერო სიმაღლით 10—40 სმ-მდეა, აღმავალი, განაკვეთში ოთხწახნაგოვანი, ზედა ნაწილში გაფარჩხულად დატოტვილი უწყაფო და საყვავილე ყლორტებით; ფოთოლი ხაზურ-ლანცეტა, $i=1,5$ სმ სიგრძის, $1-2$ მმ სივანის, უფრო იშვიათად წაგრძელებული, თითქმის ხაზური 2 სმ-მდე ან გაფართოებული 4 მმ-მდე, ქვედა მხარეზე ქედისებრ ამოწეული ძარღვით, ზედა მხარეზე მთავარი ძარღვის გაყოლებაზე ჩაზნექილი. თანაყვავილი მთლიანად ან კიდის გაყოლებაზე სიფრიფანაა, შიშველი; ყვავილები შეკრებილია კენწრულ მცირეყვავილიან ყვავილედებად, რომლებსაც ყვავილობის დასასრულს ქვემოთ გადაღუნული ყუნწები აქვს, ჯამის ფოთლები 4—6 მმ სიგრძისაა, ლანცეტა, მახვილწვერიანი, კიდეებზე ვიწრო სიფრიფანა; გვირგვინის ფურცლები თეთრია, ჯამის ფოთლებზე 1,5-ჯერ გრძელი, ღრმად, თითქმის ძირამდე ორად გაყოფილი ფირფიტით; კოლოფი ჯამზე 1/4-ით მოკლეა, იხსნება 6 საგდულით; თესლი სფეროსებრი ფორმისაა, წვრილი, ზედაპირი მოფენილია ნაოჭებით. VII—IX. (სურ. 5).

აწერილია ირანიდან. «Monta Ellwind Persiae». ტიპი დაცულია ქენევაში (G). იზრდება დაქობებულ მდელოებზე, ტბების ნაპირებზე, უმეტესად ტყისა და სუბალპურ სარტყელში.

საქ. სსრ: 1 — აფხ.: კოლაკოვსკის მიხედვით (1. ს. 1961); 7 — აჭარ.: სარი-ჩაირი, ჩირუხი, ბეშუმი [დმიტრიევას მიხედვით (1. ს. 1960)]. 9 — ქართ.: ბორჯომი, საკოჭავი (კოზლოვსკი; ტროიცი; შიშკინი); ბაკურიანი (აკინფიევი; კოზლოვსკი; გროსპეიმი; შიშკინი); მდ. ქციის სათავეები (კოზლოვსკი, შიშკინი); ატენის ხეობა (სოსნოვსკი; ქიქოძე); სოფ. ციხისჯვარსა და მთა კოდინას შორის (კოზლოვსკი); მთა კოდინა (ქუთათელაძე, შხიანი); მთა კენჭისყაროს ძირში (ტროიცი); 16 — თრიალ.: წალკა (ზედელმეიერი; ღვინიაშვილი); მანგლისი (ზედელმეიერი; ქიქოძე); თეთრი-წყარო, ჩერეპანოვის დასახლება (ტროიცი; ზედელმეიერი); 18 — ჯავახ.: ტაბაწყურის ტბა, სოფ. მოლითთან (კოზლოვსკი); ახალქალაქსა და ხერთვისის შორის (სოსნოვსკი, ქუთათელაძე, მანდენოვი); ხაშლის ტბის ნაპირები (ღვინიაშვილი); ზრესის ტბა (ზედელმეიერი); სულდის ტბის ნაპირები (ღვინიაშვილი); ტბა ხანჩალის მახლობლად (ზედელმეიერი); ეფრემოვკასა და გორელოვკას შორის (გროსპეიმი); 19 — მესხ.: ერუშეთის ქედი, მთა აყუტა (ღვინიაშვილი); რაყის-წყლის ხეობა (ღვინიაშვილი). (რუკა 2)



რუკა 2
Stellaria persica Boiss.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სსრკ-ის ფლორაში [Фл. СССР (1936) 407] ამიერკავკასიისთვის მოყვანილია აგრეთვე *Stellaria palustris* Ehrh., სახეობა, რომელიც პალე-არქტიკული არეალით ხასიათდება; საქართველოს ტერიტორიაზე იზრდება სახეობა, რომელიც თავისი ნიშნებით უფრო უახლოვდება *S. persica*-ს, რომლისაგანაც *S. palustris* განსხვავდება უფრო დიდი ზომის (უფრო გრძელი და ფართო) ფოთლებით, რომლებიც კიდეებზე გადაღუნულია; აგრეთვე ზოგჯერ შებუსხვითი ჯამის ფოთლებით, მრავალყვავილიანი ყვავილედით და შედარებით დიდი ზომის ყვავილებით.

©. 7. *S. anagalloides* C. A. Mey. ex Rupr. Mem. Acad. Sci. Petersb. (Fl. Cauc.) ser. 7, 15, 2(1869) 222; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 379; Колак. Фл. Абх. II (1939) 82; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2 III (1945) 182; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 208 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 534; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 18; Колак. Раст. мир Колх. (1961) 184; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 217 (georg.); Косенко, Опред. высш. раст. Сев.-Зап. Кавк. и Предкавказ. (1970) 87. — *S. aquatica* (non Poll.) C. A. Mey. Verzeichn. Pfl. Cauc. (1831) 221. — *S. uliginosa* (non Murr.) Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 393 p.-p.; Boiss. Fl. Or. I (1867) 708 p. p.

Is.: Гроссг. I. с. (1945) табл. 17, рис. 11.


4. მცენარე შიშველია, მხოხავი ფესურით და წვრილი ფესვებით; ღერო სუსტია, მწოლარე და აღმავალი, 10—40 სმ სიმაღლის, განაკვეთში ოთხწახანაგოვანი; ფოთლები ფართო ლანცეტა ფორმისაა, მჯდომარე, ფუძეში შეზრდილი, მახვილწვერიანი, კიდეებზე ოდნავ ტალღისებრი, სიგრძით 2,5 სმ-მდე, სიგანით 1 სმ-მდე. ყვავილენი ილიურობა, არამრავალყვავილიანი, ნახევარ-



ქოლგისებრი. ყვავილები გრძელყუნწიანია, ყუნწები ნაყოფობისას ქვემოთადა დახრილი; თანაყვავილები პატარა ზომისაა, ფორმით ლანცეტა, სიფრფველია ჯამის ფოთლები ლანცეტაა, მახვილწვერიანი, კიდეებზე სიფრფველია, სიგრძით 4 სმ-მდე; გვირგვინის ფურცლები თეთრია, ჯამის ფოთლების ტოლია ან ოდნავ აღმატება მათ, ღრმად ორად გაყოფილი. კოლოფი მოგრძო ელიფსურია, ჯამზე ოდნავ გრძელი, იხსნება 6 საგდულოთ. თესლი წვრილია, მომრგვალო, ჭიბთან ნაჭდევით, ზედაპირზე კონცენტრულად განწყობილი ნაოჭებით. V—VIII (სურ. 4).

აწერილია ჩრდ. კავკასიის შემდეგი პუნქტებიდან: «m. Pagun; Baidara et infra Baidara in declivitate Terekiensi; Dido: inter Kidero et Kituri». ტიპი დაცულია ლენინგრადში (LE).

იზრდება ტყის სარტყელში — წიფლნარში, სუბალპურ სარტყელში — არყნარში და მდელოებზე და ალპურ სარტყელში ტოროფიან ჭაობებსა და მდელოებზე.



რუკა 3
Stellaria anagaloides C. A. Mey.

საქ. სსრ.: 1 — აფხ.: კოლაკოვსკის მოყავს 1. c. (1939, 1961) პანიუტინის ნიერ სეკენის სათავეებსა და არმიუას საძოვრებზე შეგროვებული მასალის მიხედვით; 3 — რაჭა-ლეჩხ.: ზემო რაჭა, ფასის მთა (გაგნიძე, მიქელაძე, ლვინიაშვილი, ოდიშვილი); მდ. რიციულას აუზი, ყრინავი (გაგნიძე, მიქელაძე, ლვინიაშვილი); მდ. ბოყოს-წყლის მიდამოები, ნოწარასა და ბოყოს-წყალს შორის (მიქელაძე, ლვინიაშვილი); 4 — სამეგრ. კემლაკესარსა და ლებარდეს შორის (შიშკინი); 8 — სამხ.-ოს.: ერმანი. ტბა ედისის დასახლებასთან (სემიონოვა-ტიან-შანსკაია); 9 — ქართ.: მიტარბი, წაღვერის მახლობლად (კოზლოვსკი); ბაკურიანი, ცხრაწყარო (კოზლოვსკი); იმერეთის მთები (კოზლოვსკი); თრიალეთის ქედი, მთა სანისლო (ტროიციკი); მთა სანისლო, არყნარში (ლვინიაშვილი); 11 — თუშ-ფშავ-ხევსურ.: ლებაის-კარი (ქიმერიძე; ოჩიაური). (რუკა 3).



მითითებულია აგრეთვე სვანეთის, იმერეთის, კახეთის (ლაგოდეხი) ტერიტორიის რაიონებისათვის ხარაძის მიხედვით (1. ს. 1947; 1969).

სსრკ: იმიერკავკ.; დაღესტანი; დას. და აღმ. ამიერკავკასია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: „საქართველოს ფლორასა“ (1947) და „საქართველოს მცენარეთა სარკვევში“ (1969) შეტანილია სახეობა *S. crassifolia* Ehrh. აღნიშვნით: „მითითებულია ჯავახეთისათვის“. *S. crassifolia* ჰოლარქტიკული სახეობა, მისი საპერბარიუმო მასალა საქართველოდან არ მოგვეპოვება. საქართველოში მოზარდ *Stellaria*-ს სახეობებიდან ჩვენ გამოვრიცხავთ *S. crassifolia*-ს.

მ. პობოვის მიერ 1938 წელს ბათუმის ბოტანიკური ბაღის სანერგეში შეგროვილია სახეობა *S. alsine* Grimm. (*S. uliginosa* Murr.) Гроссг. Изв. Азерб. фл. АН СССР I (1940) 32 J. აღნიშნული სახეობა სოხუმის და ბათუმის ბოტანიკური ბაღების სანერგეებისათვის როგორც სარეველა მოყავთ კოლკოვსკის I. ს. (1961) და დმიტრიევას I. ს. (1960). ხარაძემ I. ს. (1969) იგი შეიტანა საქართველოს მცენარეთა სარკვევში“. იმის გამო რომ დღემდე *S. alsine*, ბოტანიკური ბაღის გარეშე არსად არაა შეგროვილი, საქართველოს ტერიტორიაზე მოზარდ *Stellaria*-ს სახეობათა რიცხვში არ შეგვყავს.

გვარი 2. MYOSOTON MOENCH*

ჯამის ფოთოლი 5, განცალკევებული. გვირგვინის ფურცელი 5, თითქმის ძირამდე ორად გაყოფილი. მტვრიანა 10. მტვრის მარცვალი სფეროსებრია, ღარს მოკლებული, 12 გვანტული ფორით; ფორის მემბრანა უთანაბროდ წვრილმარცვლოვანია; ეგზინის ზედაპირი უთანაბროდ ბორცვოვანია. სვეტი 5. კოლოფი კვერცხისებრია, იხსნება წვერში ორად გაყოფილი 5 კბილით. თესლი წვრილია, სფეროსებრი, ზედაპირი მოფენილია ვარსკვლავისებრფუძიანი ბლავი ბორცვებით. — მრავალწლოვანი მცენარეა წამოწეული ღეროთი და წაწვეტებულ-კვერცხისებრი ან მოგრძო-კვერცხისებრი ფოთლებით.

მონოტიპური გვარია, გავრცელებულია ევრაზიაში.

1. *M. aquaticum* (L.) Moench, Meth. Pl. (1794) 225; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 378; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 184; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 208 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 534; Ахундов во Фл. Азерб. III (1952) 278; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 18; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 314; Колак. Раст. мир Колх. (1961) 180; Clapham in Fl. Europ. I (1964) 146; Coode in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 73; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 217 (georg.); Косенко, Опред. высш. раст. Сев.-Зап. Кавк. и Предкавказ. (1970) 88; Тахт., Фед. Фл. Еревана (1972) 73. — *Cerastium aquaticum* L. Sp. Pl. I (1753) 439. — *Stellaria aquatica* (L.) Scop. Fl. Carn. II, 1 (1772) 319. — *Malachium aquaticum* (L.) Fries, Fl. Hall. (1817) 78; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 416; Boiss. Fl. Or. I (1867) 731; Муравьева во Фл. СССР VI (1936) 430; Колак. Фл. Абх. II (1939) 83.

Ис.: Hegi, Illustr. Fl. Mitt.-Europ. III, 1 (1911) Taf. 104, Fig. 6, 6a-6e; Фл. СССР I. с. табл. XXII, рис. 7; Фл. Арм. I. с. табл. III; Фл.

* დაამუშავა ც. ლენიაშვილმა

на Българ. III (1966) 399, табл. LIV, фиг. 4, 4a-d; Friedrich in Hegi, Fl. III, 2 (1974) Taf. 101, Fig. 6, 6a-6e.

4. მთელი მცენარე ქვედა ნაწილში შიშველია ან გაბნეულბუნჯიანი, ზედა ნაწილში კი ჯირკვლოვანი შებუსვითაა; ღერო სუსტია, მხოხავი, მუხლებთან ფესვიანდება, ზედა ნაწილში წამოწეულია, ძირიდანვე დატოტვილი, 20—70 სმ სიმაღლის; ფოთოლი წაწვეტებულ-კვერცხისებრია ან მოგრძოკვერცხისებრი, ზოგჯერ გულისებრი ფუძით, ქვედა მოკლეყუნწიანია, ზედა — მჯდომარე, შიშველი ან ჯირკვლოვანი შებუსვითაა, 1—6 სმ სიგრძის, 0,3—2,5 სმ სიგანის. ყვავილები კენწრულია, შეკრებილია ნახევარქოლვისებრ გაშლილ ყვავილედად; ყვავილის ყუნწი გრძელია, ნაყოფობისას ქვევით გადახრილი; ჯამის ფოთლები კვერცხისებრია ან მოგრძოკვერცხისებრი, 4—7 მმ სიგრძის; გვირგვინის ფურცლები თეთრია, თითქმის ძირამდე ორად გაყოფილი. კოლოფი კვერცხისებრია, ჯამს აღემატება, იხსნება წვერში ორად გაყოფილი 5 კბილით. თესლი წვრილია, სფეროსებრი, ჭიბთან ახლოს კარგად გამოსახული ნაჭდევით, ზედაპირი მოფენილია ვარსკვლავისებრფუძიანი ბლავი ბორცვებით. III—V. 2n = 28.

აწერილია პოლანდიიდან. ტიპი იხსება ლონდონში.

იზრდება ტყის ქვედა სარტყელში მდინარეთა ნაპირებზე, ტენიან ან დაჰაობებულ, იშვიათად რუდერალურ ადგილებში.

საქ. სსრ: მთელს რესპუბლიკაში.

სსრკ: იმერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ.: სომხ.; ევრ. ნაწ.; დას. და აღმ. ციმბ.; შუა აზ.; შორ. აღმ. მზრ. (მითითებულია კამჩატკისათვის).

საერთო გავრცელ.: ჩრდ. და შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მზრ. (ბალკ.); მც. აზ.; აღმ. აზ.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა : გამოიყენება როგორც ბოსტნეული ისპანახის მაგივრად; ეტანება პირუტყვი. ხალხურ მედიცინაში ცნობილია როგორც სამკურნალო მცენარე.

ზნაი 3. CERASTIUM L.*

ჯამის ფოთოლი 5, განცალკევებული. გვირგვინის ფურცელი 5, ამოკვეთილი ან თავისი სიგრძის ნახევრამდე ორად გაყოფილი, უფრო იშვიათად მთლიანი ან დაკბილული; ზოგჯერ გვირგვინის ფურცლები არა აქვს. მტვრის მარცვალი სფეროსებრია, ღარს მოკლებული, 12—14 გაფანტული ფორით; ფორა მოზრდილია, ვიწრო არხით; ფორის მემბრანა წვრილი ბორცვებითაა; ეგზინის ზედაპირი ბორცვოვანია (*C. dubium*, *C. cerastioides*, *C. holostium*, *C. nemorale*, *C. ruderale*, *C. tauricum*, *C. glomeratum* — ის მიხედვით). სვეტი 5 ან 3. კოლოფი მოგრძოა, იხსნება სწორი ან გარეთევენ დაგრეხილი კბილებით, რომლებიც ორჯერ აღემატება სვეტების რიცხვს. — მრავალწლოვანი და ერთწლოვანი მცენარეებია, ხასიათდება კვერცხისებრი, ელიფსური და ლანცეტა, უფრო იშვიათად მოგრძო ხაზური ფოთლები.

1. სვეტი 3. კოლოფი 6 კბილით იხსნება 2

* დაამუშავა ა. ხარაძემ

- სვეტი 5. კოლოფი 10 კბილით იხსნება
- 2. ღერო ვართხმულია ან წამოწეული; ფოთოლი მოგრძო-ხაზურია. კოლოფი ხასიათდება გარეთკენ გადაღუნული კბილებით I. **C. cerastoides** (L.) Britt.
- ღერო სწორია ან აღმავალი; ფოთოლი ვიწრო-ხაზურია. კოლოფი იხსნება სწორი კბილებით 2. **C. dubium** (Bast.) Guepin.
- 3. მთელ მცენარეს ან მის ნაწილებს აქვს თეთრ-ქეჩისებრი ან მატყლისებრი შებუსვა ხუჭუჭა ან ტალღისებრი ბეწვებისაგან 4
- მთელი მცენარე ან მისი ნაწილები ცოტად თუ მეტად შებუსვილია მარტივი, სახსრებიანი ან ჭირკვალა ბეწვებით; ზოგჯერ სრულიად შიშველია 7
- 4. ფოთოლი ვიწრო-ხაზურია ან ხაზურ-ლანცეტა, გრძელი, ღეროსაგან გადაღუნული 5
- ფოთოლი უფრო მოკლეა, ხაზურ-ლანცეტა ან ელიფსური 6
- 5. სქელკორდიანი მცენარეა; მთელი მცენარე თეთრ-ქეჩისებრი შებუსვილია ფოთლის კიდეები ქვევითკენაა გადახვეული. ჯამის ფოთლები მოგრძო-ელიფსურია, რამდენადმე მახვილწვერიანი 18. **C. argenteum** Bieb.
- ფხვიერკორდიანი მცენარეა, რომელიც ქვედა ნაწილში ცოტად თუ მეტად გახევებულია; ფოთოლი შიშველია. ჯამის ფოთლები კვერცხისებრია, წვერში მობლაგვა 19. **C. Sosnowskyi** Schischk.
- 6. ღერო მარტივია; ქვედა ფოთლები მოგრძო-ელიფსურია, ღეროდან გადაღუნული, ზედა ფოთლები ელიფსური, თეთრი ქეჩისებრ შებუსვით, უფრო იშვიათად შიშველი. ყვავილენი მრავალყვავილიანია. კოლოფი ჯამზე 1 1/2-ჯერ უფრო გრძელია და ხასიათდება სწორი ან ოდნავ გადაღუნული კბილებით 17. **C. ponticum** Alb.
- მცენარე ხასიათდება დამოკლებული უნაყოფო და წაგრძელებული საყვავილე ყლორტებით; უნაყოფო ყლორტების ფოთოლი ხაზურ-ლანცეტა ძირთან შევიწროებული. ყვავილენი არ არის მრავალყვავილიანი, აქვს 1—4 ყვავილი. კოლოფი ჯამზე ორჯერ უფრო გრძელია და ხასიათდება სწორი ან ცოტათი გადაღუნული კბილებით 20. **C. araraticum** Rupr.
- 7. მრავალწლოვანია 8
- ერთწლოვანია 19
- 8. კოლოფი ხასიათდება გარეთკენ დაგრეხილი კბილებით 9
- კოლოფი ხასიათდება სწორი ან კიდეებზე ოდნავ გადაღუნული კბილებით 15
- 9. ჯამის ფოთლები და ყვავილის ყუნწი შებუსვილია მარტივი ან ჭირკვალა ბეწვებით 10
- ჯამის ფოთლები და ყვავილის ყუნწი შიშველია 13.
- 10. ჯამის ფოთლები ფართო-კვერცხისებრია. კოლოფი გაფართოებულია, კვერცხისებრ-მოგრძო . . . 3. **C. undulatifolium** Somm. et Levier
- ჯამის ფოთლები მოგრძო-ლანცეტა ან მოგრძო-ელიფსური. კოლოფი მოგრძოა ცილინდრისებრი 11.



11. კორდიანი მცენარეა და ხასიათდება გართხმული ღეროებით, ფოთო-
ლი წვრილია, ოვალური, ძირთან შევიწროებული, ქვედა ფოთლები წა-
გრძელებულია გრძელ ყუნწად. გვირგვინის ფურცლის ფრჩხილი და
მტვრიანათა ძაფები შიშველია 4. **C. kasbek Parrot**
— ფოთლები ძირთან შევიწროებული არ არის ან მხოლოდ ქვედა ფოთ-
ლებია ყუნწად წაგრძელებული, გვირგვინის ფურცლის ფრჩხილი და
მტვრიანათა ძაფები გაფანტულბეწვინია 12.
12. მცენარე ხასიათდება მრავალი გართხმული ან წამოწეული ღეროთი,
ყვავილენი გაფარჩხული დიქაზიუმის სახითაა, ძირთან შექუჩულ
ფოთლებს აღემატება. ფოთოლი კვერცხისებრ-ლანცეტა ან ლანცეტა,
წვერწაწვეტებული, კიდის გაყოლებაზე ტალღისებრი, ქვედა ფოთლები
ზოგჯერ შევიწროებულია ძირისკენ. კოლოფი თითქმის 1 1/2—2-ჯერ
აღემატება ჯამს. 5. **C. multiflorum C. A. Mey.**
— სქელკორდიანი მცენარეა მრავალი უწყაფო და საყვავილე ღეროთი.
ყვავილები ფოთლებს არ აღემატება ან ცოტათი აღემატება. საყვავილე
ღერო ცოტაყვავილიანი ან ერთყვავილიანია. კოლოფი ჯამს ცოტათი
აღემატება 6. **C. salatavicum Rupr.**
13. მაღალი მცენარეა, სიმაღლით 60 ან 100 სმ-მდე; ჩვეულებრივ
ხასიათდება ადრეცვენია ბოლქვებით ქვედა ფოთლების ილიებში;
ფესურას აქვს თითისტარისებრი ტუბერები
. 7. **C. hemschinicum Schischk.**
— უფრო დაბალი მცენარეა, სიმაღლით 30 სმ-მდე; ბოლქვები არა აქვს
ფოთლების ილიებში; ფესვი თითისტარისებრია ან წაგრძელებულ-
ცილინდრული, დატოტვილი 14.
14. ფესვი თითისტარისებრი ტუბერის სახისაა; ღერო ძირიდანვე აღმა-
ვალია. ყვავილის ყუნწი ყვავილობის ბოლოსათვის ქვევითკენ იხრება,
ნაყოფობისას სწორდება; ჯამის ფოთლები ლანცეტის მაგვარია; მახვილ-
წვერიანი, კოლოფიჯამზე 1 1/2-2-ჯერ უგრძესია... 8. **C. oreades Schischk.**
— ფესვი მთავარღერძიანია, გამსხვილებული, დატოტვილი; ღერო გარ-
თხმულია, მიწისქვეშა ნაწილში მრავალი წაგრძელებული ყლორტით.
ყვავილის ყუნწი ნაყოფობისას ცალმხრივად ქვევითკენ არის გადაღუნუ-
ლი; ჯამის ფოთლები კვერცხისებრელიფსურია, ოდნავ მახვილწვერი-
ანი, ძირში ზოგჯერ მეჩხერწამწამებიანი. კოლოფი ჯამზე 2—2 1/2-ჯერ
უგრძესია 9. **C. svanicum Charadze**
15. გვირგვინის ფურცლები ჯამის ფოთლების ტოლია ან უფრო მოკლე.
კოლოფი ჯამზე უგრძესია 1 1/2-ჯერამდე, წვერში მოღუნულია. კორ-
დიანი მცენარეა აღმავალი საყვავილე ღეროებით და გართხმული და-
მოკლებული უწყაფო ყლორტებით . . . 14. **C. holosteoides Fries**
— გვირგვინის ფურცლები ჯამზე 1 1/2—2-ჯერ, გრძელია . . . 16.
16. ფოთოლი ცოტად თუ მეტად ვიწრო-ლანცეტა, ილიებში დამოკ-
ლებული უწყაფო ყლორტებით, ფოთოლთა კონის სახით. კოლოფი
ჯამზე გრძელია თითქმის 1 1/2-ჯერ, წვერში მოღუნულია
. 16. **C. arvense L.**



- ფოთლის ილიაში დამოკლებული უნაყოფო ყლორტები არ ვითარდება
17. ღერო აღმავალია, 2—50 სმ სიმაღლის. ჯამის ფოთლები კერცხისებრია, ოდნავ მახვილწვერიანი, წვერში ცოტად თუ მეტად მეწამული ფერის. კოლოფი ვიწროა, ჯამზე 2—3-ჯერ უგრძესი 12. **C. purpurascens** Adams.
- მცენარე ხასიათდება წაგრძელებული მხოხავი ყლორტებით 18
18. მცენარე ქვედა ნაწილში მხოხავი ყლორტებითაა, ზევით მწოლარე ყლორტებით, სიგრძით 7—20 სმ-მდე; ფოთოლი კვერცხისებრია, კვეცხისებრ-ლანცეტა ან ხაზურ-ლანცეტა. კოლოფი ცილინდრულია, ჯამზე ორჯერ უგრძესი 15. **C. polymorphum** Rupr.
- მრავალღეროიანი მიწისქვეშა წაგრძელებული ღეროებით, პატარა-ზომის კორდიანი მცენარეა. ქვედა ფოთლები ძირთან ყუნწადაა წაგრძელებული. ყვავილეთი ერთ ან ცოტაყვავილიანია ხშირშეფოთილ ღეროებს ოდნავ აღემატება. ნაყოფი ჯამს 2-ჯერ აღემატება 13. **C. pseudokasbek** Visokoost.
19. კოლოფი ხასიათდება გარეთკენ დაგრეხილი კბილებით 20
- კოლოფი ხასიათდება სწორი ან კიდებე ოდნავ მოხრილი კბილებით 21.
20. მცენარე შებუსვილია ხუჭუჭა ბეწვით; ღერო აღმავალია, 20—55 სმ სიმაღლის, ზედა ნაწილში ცალ მხარეზე ბეწვიანი; ფოთოლი ლანცეტაა, წაგრძელებული, ოდნავ მახვილწვერიანი. ჯამის ფოთლები სიგრძით 10 მმ-მდე. გვირგვინის ფურცლები მათი ტოლია ან 1 1/2-ჯერ აღემატება მათ. კოლოფი ჯამზე 1 1/2—2-ჯერ გრძელია 10. **C. holosteam** Fisch.
- მთელი მცენარე სქლად არის შებუსვილი რბილი ბეწვით; ღერო სუსტია აღმავალი, 15—60 სმ სიმაღლის; ფოთოლი ლანცეტისებრი, ფუძესთან გულისებრი, ბლავი. ჯამის ფოთლები სიგრძით 6—10 მმ-მდეა; გვირგვინის ფურცლები ჯამის ტოლია ან ოდნავ მოკლე. კოლოფი ჯამზე ორჯერ გრძელია 11. **C. nemorale** Bieb.
21. მცენარე შებუსვილია ჯირკვალა ბეწვით; ღერო აღმავალია, 7—30 სმ სიმაღლის; ფოთოლი მოგრძო კვერცხისებრია ან ელიფსური. ჯამის ფოთლები 7—13 სმ სიგრძისაა; გვირგვინის ფურცლები თითქმის მათი ტოლია ან ოდნავ გრძელი, კოლოფი 2—3-ჯერ აღემატება ჯამს 21. **C. ruderale** Bieb.
- ჯამის ფოთლები სიგრძით 6 მმ არ აღემატება 22.
22. თანაყვავილები ბალახოვანია 23.
- თანაყვავილები კიდებზე სიფრიფანაა 24.
23. ყვავილეთი წარმოდგენილია ცალმხრივი მეჩხერი დიქაზიუმის სახით, ტოტების ბოლოზე; ყვავილის ყუნწი ჯამზე გრძელია; ყვავილი ყვავილობის ბოლოსათვის დახრილია 22. **C. tauricum** Spreng.
- ყვავილეთი თითქმის თავაკია ან ფარისმავარი; ყვავილის ყუნწი ძლიერ დამოკლებულია 23. **C. glomeratum** Thuill.

24. მცენარე სქლად არის შებუსხვილი მოკლე დამორიშორებული, ზედა ნაწილში ჯირკვალა ბეწვით. ჯამის ფოთლები და თანაყვავილები 3—4,5 მმ სიგრძისა 24. *C. semidecandrum* L.

— ჯამის ფოთლები და თანაყვავილები მხოლოდ კიდევბზეა ვიწრო-სიფრიფანა; ჯამის ფოთლები სიგრძით 3,5-დან 6 მმ-მდეა . . . 25.

25. მთელი მცენარე სქლად არის შებუსხვილი ჯირკვალა ბეწვით; ღერო აღმავალია, 3—30 სმ სიმაღლის. ყვავილის ყუნწი წაგრძელებულია; ყვავილები ნაყოფობისას დახრილია. კოლოფი ვიწროა, ოდნავ მოხრილი 25. *C. glutinosum* Fries.

— მცენარე მოკლე სწორმდგომი ბეწვითაა შებუსხვილი. ყვავილის ყუნწი დამოკლებულია, ნაყოფობისას გადაღუნული. კოლოფი უფრო ფართოა, წვერში მოღუნული 14. *C. holosteoides* Fries.

Subgen. 1. *Dichodon* (Bartl.) Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 496; Шишк. и Кнорр. во Фл. СССР 6 (1936) 435;—Gen. *Dichodon* (Bartl.) Reichenb. Nomencl. Bot. (1841) 205; Иконн. Нов. сист. высш. раст. 10 (1973) 141.—*Stellaria* sect. *Dichodon* Bartl. in Koch, Syn. Fl. Germ. I (1836) 118.—*Cerastium* sect. *Dichodon* (Bartl.) Boiss.

Typus; *Cerastium dubium* (Bast.) Guepin.

სუბტი 3, იშვიათად 4—5. კოლოფი წვერთან 6 კბილით იხსნება.

Sect. 1. *Perennia* Иконн. 1. c. 142.

მრავალწლოვანი მცენარეები

1. *C. cerastoides* (L.) Britt. Mém. Torrey Bot. Club. 5 (1894) 150; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 380; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 435; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 188; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 212 (Georg.); Халилов во Фл. Азерб. III (1952) 280; Шишк. и Авет. во Фл. Арм. 2 (1956) 29; Cullen in Davis Fl. Turk. 2 (1967) 75; Jailas, in Fl. Europ. I (1964) 137.—*Stellaria cerastoides* L. Sp. Pl. (1753) 422.—*Cerastium trigynum* Vill. Hist. Pl. Dauph. III (1789) 645.—*Arenaria trigyna* (Vill.) Shinners, Sida I (1962) 51.—*Dichodon cerastoides* (L.) Reichb. Icon. Fl. Germ. V (1842) 34; Иконн. Новости сист. высш. раст. 10 (1973) 142.

Ис.: Vill. 1. c. tabl. 46; Fridrich in Hegi, Fl. III, 2, Lief. 6 fig. 402 a-d, Фл. Арм. 1. c. табл. IV; Фл. Кавк. 1. c. (1945) табл. 18, I; Фл. СССР 1. c. табл. XXII, 8.

2. მცენარე კორდიანია და ჩასიათდება სუსტი გართხმული, ქვედა ნაწილში დაფესვიანებული ყლორტებით; ღერო 5—20 სმ სიმაღლისაა, მხოლოდ ზედა ნაწილშია შებუსხვილი წვრილი ჯირკვალა ბეწვებით; ფოთოლი შიშველია, მოგრძო-ხაზური, ზოგჯერ ზედა ნაწილში ცოტათი გაფართოებული ან ხაზურ-ლანცეტა, წვერში მომრგვალებული ან ოდნავ წაწვეტებული, 1—2 [3] მმ სიგანის, 5—15 მმ სიგრძის. ყვავილედი არ არის მრავალყვავილიანი, შეიცავს [1] 3 — 5 ყვავილს, კენწრულია; ყვავილის ყუნწი წაგრძელებულია, ჯირკვალბუსუსებიანი, ყვავილობის ბოლოსათვის განზე გადახრილია; ჯამის ფოთლები მოგრძო-ლანცეტაა, წვერში ბლაგვი, წვრილი ჯირკვალა ბუსუსებით შებუსხვილი, კიდევბზე სიფრიფანა, 4—7 მმ სიგრძის; გვირგვინის ფურც-

ლები ჯამის ფოთლებს თითქმის ორჯერ აღემატება, ძირთან შიშველია, 1/2—1/4-მდე ჩაჭრილია; მტერიანას ძაფი შიშველია, სვეტი 3, ძალიან იშვიათად კოლოფი ჯამზე 1 1/2—2-ჯერ გრძელია და იხსნება გარეთეკენ გადაღუნული კბილით. თესლები 0,5 მმ, ბორცვიანი ზედაპირით. VI—VIII. $2n=38,36$ (Eur.). აწერილია შეედეთსა და საფრანგეთიდან. ტიპი დაცულია ლინეის პერბარიუმში ლონდონში.

იზრდება ალპურ და სუბნეივალურ სარტყელში ხალებზე, ღორღიან ჩამონახვავებზე, მდნობი თოვლის მახლობლად, სუბალპურ სარტყელში მეორად ხალებზე.

საქ. სსრ: რესპუბლიკის ყველა მაღალმთიან რაიონში.

სსრუ: იმიერკავკ., ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ.; დას. და აღმ. ციმბ.; შუა აზ.

საერთო გავრცელ. ჩრდ. და შუა ევრ.; ხმელთაშუა ზღვ. მხრ.; მც. აზ.; ირ.; ცენტრ. აზ.; არქტ.: ჩრდ. ამერ.

Sect. 2. D'chodon Ikonn. l. c. 141.

ერთწლოვანი მცენარეებია სწორმდგომი ღეროებით.

2. *C. dubium* (Bast.) Guepin, Fl. Maine Loire (1830) 267; O. Schwarz, Mitt. Thur. Bot. Ges. I, 1 (1949) 98; Sell et Whitehead in Fl. Europ. I (1964) 138.—*Stellaria dubia* Bast. Ess. Fl. Maine Loire (1812), Suppl. 24.—*Cerastium anomalum* Waldst. et Kit. in Willd. Sp. Pl. II (1798) 812, non Schrank 1795; Шинк. во Фл. СССР VI (1936) 436; Колак. Фл. Абх. II (1939) 85; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 188; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 212 (georg.); Халилов во Фл. Азерб. III (1952) 280; Шинк. и Аветис. во Фл. Арм. 2 (1956) 29; Cullen in Davis Fl. Turk. 2 (1967) 75.—*Stellaria viscida* Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808), 342, nom. illegit.—*Holosteum dichotomum* Koch in Linnaea XV (1891) 708.—*Dichodon anomalum* (Waldst. et Kit.) Reichenb. Icon. Fl. Germ. V (1842) 34.—*Arenaria anomala* (Waldst. et Kit.) Shinners, Sida I, 1 (1962) 50 nom. illegit.—*Dichodon dubium* (Bast.) Ikonn. Новости сист. высш. раст. 10 (1973) 141.

Ис.: Fridrich in Hegi, Fl. III, 2 Lief. 6, Fig. 402 c-1; Фл. Кавк. l. c. (1945) табл. 18, 2; Фл. СССР l. c. табл. XXII, 9.

○. ღერო სწორია ან აღმავალი, მარტივი ან დატოტვილი, 5—20 სმ სიმაღლის, შემოსილი მარტივი ან იშვიათად ჯირკვალა წვრილი ბუსუსით; ფოთოლი ვიწრო-ხაზურია, სიგრძით 2,5 სმ-მდე, სიგანით 1—1,5 მმ წვრილბუსუსიანი, ზღაგვი ყვავილედ კენწრულია უფრო ხშირად 5—7-ყვავილიანი, დიქაზიუმის სახით მოთავსებული წაგრძელებულ ჯირკვალბეწვიან ყუნწებზე; ჯამის ფოთლები მოგრძო-ხაზურია ან ლანცეტა-ხაზური, კიდებზე სიფრიფანა, 4—6 მმ სიგრძის; გვირგვინის ფურცლები ოდნავ ან 1 1/2-ჯერ აღემატება ჯამის ფოთლებს, 1 1/5-დან 1/2-მდე ორად გაყოფილია; სვეტი 3. კოლოფი ჯამის ფოთლებზე 1 1/2-ჯერ გრძელია, იხსნება 6 სწორი კბილით. თესლები 0,6 მმ ზომის ღია წაბლისფერი, ბორცვიანი. IV—VII. $2n=38$. (Eur.).

სახეობა აწერილია უნგრეთიდან.

იზრდება ბიცობიან ადგილებში ველებისა და ნახევრადუდაბნოების სარტყელში; ტენიან სილნარ ადგილებზე ტყის სარტყელში.



საქ. სსრ: 9 — ქართ: ივერია (ვილჰელმსი): კუკის ტბასთან (შიშკინი); ბაკურიანი (კოზლოვსკი); ცხრა-წყარი (აკინფიევი); სანისლო (ლენინაშვილი, ხინთიბიძე); 10 — მთიულ.: გულამაყარი, არაგვის სათავე (მცხვეთაძე, მუყანა-სიანი); 18 — ჯავახ.: ტაბიწყურის ტბასთან (კოზლოვსკი); 19 — მესხ.: ოშორის ქედი (კოზლოვსკი).

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; შავი ზღვ. სანაპ., აზერბ., სომხ.,

საერთო გავრცელ.; ევრ.: ხმელთაშუა ზღვ. მხრ.; მც. აზ.; არმ.-ქურთ.; ირ.

Subgen. 2. *Cerastium*—Subgen. *Eucerastium* (Boiss.) Pax in Engl. u. Prantl, *Natürl. Pflanzenfam*, II, 1 (1884) 80. — Sect. *Eucerastium* Boiss. Fl. Or. I (1867) 713.

სვეტი 5. კოლოფი 10 კბილით იხსნება.

Sect. 1. *Strephodon* Ser. in DC. *Prodr.* I (1824) 414.

კოლოფის კბილები გარეთეცნა გადალუნული და მეტ-ნაკლებად დახვეული.

შენიშვნა: მრავალფეროვანი სექციაა, რომელიც შეიცავს მრავალწლოვან და ერთწლოვან წარმომადგენლებს ბ. შიშკინის (1. c). მიერ ამ სექციის ფარგლებში მიღებული რიგები — სერიები მეტად ფართოა და ნათესაური ურთიერთობის მიხედვით ერთიმეორისგან დაშორებულ ჯგუფებს შეიცავს. ჩვენ შევეცადეთ უფრო ვიწრო და ჩვენის აზრით უფრო ბუნებრივი რიგები გამოგვეყო, ზოგი მათგანი მონოტიპურია, ე. ი. მხოლოდ ერთ სახეობას შეიცავს.

Ser. I. *Undulatifolia* Char. ser. nov. in *Addenda ჯირკვლოვანბეწვიანი მცენარეებია*. გვირგვინის ფურცლების ფრჩხილი და მტვრიანთა ძაფები შიშველია. ფოთლები ფართოკვერცხისებრია. კოლოფი ფართოა 1 1/2-ჯერ აღმატება ჯამს.

Typus: *C. undulatifolium* Somm. et Levier.

ამავე რიგს ალბათ უნდა მიეკუთნოს სახეობა *C. lazicum* Boiss. აწერილი ბონტოს ქედიდან თურქეთში.

©. 3. *C. undulat.fol.um* Somm. et Levier, *Acta Horti Petropol.* XIII, № 3 (1893) 41 et XVI (1900) 89; *Гроссг. Фл. Кавк. II* (1930) 381; *Шншк. Фл. во СССР VI* (1936) 440; *Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III* (1945) 188; *Харадзе во Фл. Груз. III* (1947) 213 (georg.); *Гроссг. Опред. раст. Кавк.* (1949) 535; *Колак. Растит. мир Колхиды* (1961) 175.

ს.: *Фл. Кавк. I. c.* (1945) *табл. 18, 3*; *Фл. СССР, I. c.* *табл. XXIII, I.*

4. მთელი მცენარე შებუსხვილია ჯირკვალა, ხუჭუჭა ბეწვებით; ღერო მწოლარე ან წამოწეული, ქვედა ნაწილში მხოხავი, შიშველი, პრილა, ზედა ნაწილში შებუსხვილი, სიმალით 13 სმ-მდე; ფოთოლი მჭდომარეა, ფართო-კვერცხისებრი, ელიფსური, კიდეებზე ტალღისებრი, ბლაგვი ან ოდნავ წაწვეტებული, 1—3 სმ სიგრძის და 0,5—1,5 სმ სიგანის. ყვავილები, რიცხვით 1—3 მოთავსებულია წაგრძელებულ, ნაყოფობის დროს ქვევითკენ გადალუნულ ყვავილის ყუნწზე; ჯამის ფოთლები ფართოა, კვერცხისებრი, კიდეებზე სიფრიფანა, 6—8 მმ სიგრძის; გვირგვინის ფურცლები 1 1/2—2-ჯერ გრძელია ჯამის ფოთლებზე, წვერში ამოკვეთილია და აქვს შიშველი ფრჩხილი; მტვრიანის ძაფე-



ბი შიშველია; სვეტი 5. კოლოფი გაფართოებულია, კვერცხისებრ-მოგრძობ. ჯამზე 1 1/2-ჯერ უფრო გრძელი, იხსნება 10 გარეთკენ გადაღუნული VII—IX.

Typus: აწერილია იალბუჯის დასავლეთ ნაწილის ხეობა კუკურტლის სათავიდან: «in lapidosis alpinis supra flumen Kükürtli. 3000 m 9 sept. 1890», სომიე და ლევიეს მიერ შეგროვებულ ეგზემპლარების მიხედვით.

ტიპი ინახება ფლორენციაში (FL), იზოტიპი ლენინგრადში (LE) და თბილისში საქ. მუზეუმში. (TGM).

იზრდება ჩამონახვავებზე, მორენებზე, ღორღიან ადგილებში, უმთავრესად სუბნივალურ, ნივალურ და ალპურ სარტყელში 2500 მ-დან 4500 მ-მდე ზღვის დონიდან; უფრო იშვიათად ჩამოდის სუბალპურ სარტყელში მყინვართა მორენების გასწვრივ 2000 მ-დე.

საქ. სსრ: 1 — აფხ.: ჯოდისიკის გადასავალი აფხაზეთსა და ზემო სვანეთს შორის. (მოყავთ სომიესა და ლევიეს); 2 — სვან.: ცაყუცა — ლაარტყალის მწვერვალი, ღორღზე (სანებლიძე, შ. მიქელაძე); მყინვ. ლეყზირის კლდე-ღორღებზე (ზურებიანი). 3 — რაჭა-ლეჩხ.: ზოფხითურას სათავე (ი. მიქელაძე). (რუკა 4).

სსრკ: იმიერკავკ. (ცენტრალური კავკასიონი).

Ser. 2. Multiflora Char. ser. nov. in Addenda.

მრავალწლოვანი მრავალღეროიანი გართხმული მცენარეებია. გვირგვინის ფურცლების ფრჩხილი და მტვრიანას ძაფები ძირთან ბეწვიანია ან შიშველი; ფოთლები ძირთან შევიწროებულია.

Typus: *C. multiflorum* C. A. Mey.

©. 4. **C. Kasbek** Parrot Reise Cauc. II (1815) 88; C. A. Mey. Verzeichn. Pflanz. Cauc. (1831) 223; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 399; Boiss. Fl. Or. I (1867) 717; Rupr. Fl. Cauc. (1869) 224; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 381; Шишк. во Фл. СССР VI (1939) 441; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2. III (1945) 189; Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 335; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 214; Халилов во Фл. Азерб. III (1952) 281; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 219 (Georg.). — *C. chewsuricum* Somm. et Levier, Bull. Soc. Bot. Ital. (1898) 129.

Is.: Parrot, l. c. tab. 3; Харадзе, l. c. (1947) рис. 106; Dechy, Caucasus III (1907) tab. A (Sub. *C. chewsuricum* Somm. et Levier).


4. კორდიანი მცენარეა, ხუჭუტა ბეწვებით შემოსილი, ხასიათდება მრავალი, ძირიდანვე დატოტვილი გართხმული ღეროთი; საყვავილე ყლორტები 2,5—10 სმ სიგრძისაა, უნაყოფოები დამოკლებულია; ფოთოლი წვრილია, სიგრძით 5—8 მმ-მდე, ოვალური, ქვედა ფოთლები წარზიდულია გრძელ ყუნწად, ზედა ფოთლები ზოგჯერ მოგრძო-ხაზურია, ძირისაკენ შევიწროებული. ყვავილები რიცხვით 1—3, მოთავსებული წაგრძელებულ, ყვავილობის ბოლოსთვის ქვევითკენ გადაღუნულ ყუნწებზე; ჯამის ფოთლები მოგრძო ლანცეტაა, ოდნავ წაწვეტებული, ზედა ნაწილში კიდევ სიფრიფანა, 6—7 მმ სიგრძის; გვირგვინის ფურცლები 1 1/2—2-ჯერ უგრძესია ჯამზე, ძირში წამწამებანი, 1/3-მდე ჩაჭრილი; მტვრიანას ძაფები შიშველია; სვეტი 5. კოლოფი ოდნავ გაფართოებულია, ჯამის ტოლია ან მასზე გრძელია და ხასიათდება გარეთა მხარეზე დახვეული 10 კბილით. VII—IX.

აწერილია მწვ. ყაზბეგის ფერდობებიდან „Kaztek, Parrot“. ისტობი ინახება ლენინგრადში (LE).

იზრდება ღორღიან ჩამონახვავებზე, უმთავრესად სუბნივალურ და ალპურ სარტყელში 3000-მ-დან 3800 მ-მდე ზღვის დონიდან, ზოგჯერ უფრო ქვევითაც ჩამოდის.

ს აქ. ს ს რ.: 10—მთიულ.: ყაზბეგის რაიონი—ყურო (ხარაძე); თრუსოს ხეობა, მწვ. კასარა (ხარაძე); ორწვერის ყინვარის მორენები (ძეგანოვსკი); გერგეთის მყინვარი, მორენებზე (ე. ხუციშვილი), იქვე მაღალმთის მეტეოროლოგიურ სადგურთან (შარაშიძე, ნოზაძე); კლდეებზე მეტეოროლოგიურ სადგურის შემოთ 4000 მ. ზღ. დონ. (გ. სულაქველიძე); ბურსაჭილის ხეობის სათავე (ოჩიაური). 11—თუშ-ფშაე-ხევსურ.: ტებულოს მთა (რადლე-კენიგი); კერიგო (რადლე) ყვავოს მთა (რადლე); 13 — რაჭა-ლეჩხ.: მამისონი (ზურებანი). (რუკა 4).

ს ს რ კ: ამიერკავკ. (კავკასიონის ცენტრალური და აღმოსავლეთი ნაწ.).



რუკა 4 1. *Cerastium undelatifolium* Somm. et Levilr 2. *C. Kasbek Parrot*

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ სახეობის გავრცელება არარატის მთაზე (აგრი-დაგი) საეჭვოდ მიგვაჩნია. შესაძლებელია Parrot-ის მიერ არარატზე შეგროვებული ეგზემპლარი უფრო გვიან (1950) ვისოკოსტროვსკიას მიერ არაგაციდან აღწერილ სახეობას *C. pseudokasbek* Vysokostr.-ს უნდა მიეკუთვნოს. თურქეთის ფლორაში (Davis, Fl. Turk. 2, 77) სახეობა *C. kasbek* Parr. მოყვანილია მხოლოდ Parrot-ის ზემოაღნიშნული ეგზემპლარის მიხედვით.

©. 5. *C. multiflorum* C. A. Mey. Verzeich. Pflanz. Cauc. (1831) 222; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 401; Boiss. Fl. Or. I (1867) 718; Rupr. Fl. Cauc. (1869) 227, 297; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 382; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 442; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 189; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 214 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 535; Халилов во Фл. Азерб. III (1952) 281.

Is.: Green. Monogr. Cerast. tab. 2; Фл. Кавк. 1. с. (1945) Табл. 184.
Exs.: Herb. Fl. Ross. № 1059.



4. მცენარე ხასიათდება მრავალი, ძირიდანვე დატოტვილი, მწოლარე, ან წამოწეული ღეროთი, შებუსვილია ხეჭუჭა, მწოლარე ბეწვებით; ღეროს ქვედა ნაწილში არის დამოკლებული უნაყოფო ყლორტები, საყვავილე ყლორტები წაგრძელებულია, 8—30 სმ სიმაღლის; ფოთოლი კვერცხისებრ-ლანცეტა ან ლანცეტა, წაწვეტებული, კიდეებზე ტალღისებური, ქვედა ფოთლები ზოგჯერ ძირისკენ შევიწროებულია, 1—3 სმ სიგრძისაა და 3—10 მმ სიგანის. ყვავილები ვითარდება 3—7 ყვავილიან ყვავილედში და ხასიათდება გრძელი, ყვავილობის ბოლოსათვის ქვევითკენ გადაღული, ნაყოფობისას კვლავ გასწორებული ყუნწებით; ჯამის ფოთლები 6—9 მმ სიგრძისაა, მოგრძო-ელიფსური, წაწვეტებულწვერიანი, კიდეებზე ვიწრო-სიფრიფანა; გვირგვინის ფურცლები ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელია და 1/4-მდეა ჩაჭრილი, ძირში წამწამებიანია; მტვრიანას ძაფები მეჩხერბეწვიანია; სვეტი 5. კოლოფი მოგრძოა, 1 1/2-ჯერ აღემატება ჯამს და ხასიათდება გარეთკენ დახვეული 10 კბილით. VI—VIII.

Typus: აწერილია თერგის ხეობიდან, კობსა და სიონს შორის შეგროვებულ ეგზემპლარების მიხედვით, «versus torrentem Terek pr. pag. Kobi et Sion». ტიპი ინახება ლენინგრადში (LE).

იზრდება ღორილიან ჩამონახვავებზე, რიყნარზე და მორენებზე, უმთავრესად სუბალპურ, უფრო იშვიათად ალპურ სარტყელში 1800-დან 3000 მ-მდე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ.: 8 — სამხ. ოს.: ერმანი, ფიდარ-ხოხი (დარბინი); 10 — მთიულ.: ყაზბეგის რ-ნი, ართხმოს ხეობა (ხუციშვილი); ყაზბეგი (რადდე); ანა ხარაძის მიერ შეგროვებულია: ხდის ხეობა; ყუროს ხეობა; თრუსო-მნისიღონ; დარიალი — ჩათა; ყაზბეგი ჯუთის წყალი (ბურსაჭირის გადასავალი; მთა მილიონი; საძროხია; ჯუთასთან (ხარაქ); არაგვის აუზი, ბურსაჭირი (სატუნინი); გულდამაყარი; სადუცია (გრიგორაშვილი); სადუცია; ქვენა-მთა ბურსაჭირი, მთა საღმთო მაღალი (ოჩიაური); ბურსაჭირის ნათავე (ოჩიაური); 11 — თუშეთში-ფშავ-ხევსურ.: ბორბალო (რადდე), შიბულელე (გრიგორაშვილი); ხევსურეთი, ხახმატის მიდამოები; დათვის ჯვრის გადასავალი (მცხეთათმე, მუყუბანიანი). არხოტი; ამლი; ამლასა და ახიცს შორის; შატლის წყლის ხეობა; მითხულის წყლის ხეობა; არხოტი, თათხელის ხევთან; მახის მაღალი; გუროს მიდამოები (ოჩიაური); 12 — კახ.: ლავოდეხის მიდამოები (შტეპა, დოლუხანოვი).

სსრკ.: იმიერკავკ. (სპორადიულად კავკასიონის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში).

შ ე ნ ი შ ე ნ ა: პოლიმორფული სახეობაა, რომლისათვის რუპრეხტს (Ruprecht, I. c.) მოყავდა ფომები: 1. *salatavica* Rupr. და 2. *porrhosperma* Rupr. განსხვავებული თესლების აღნაგობით. ამავე ნაშრომში რუპრეხტი იძლევა მაღალმთის ფორმის აღწერას რომელიც ჰაბიტუსით *C. kasbek Parrot*-ს ემსგავსება და აძლევს მას სახელწოდებას *Cerastium salatavicum* Rupr. ეს უკანასკნელი დამატებით შესწავლას მოითხოვს. *C. kasbek*-ისგან განსხვავდება ცოტათი შებუსვილი მტვრიანათა ძაფებით, უფრო წაწვეტებული ჯამის ფოთლებით და ფოთლების ფორმით. უფრო ახლოა *C. multiflorum*-თან, რომლისგან წვრილი ფოთლებით და მცირე ყვავილოვანი ყვავილედით განსხვავდება, საყვავილე ყლორტები უნაყოფო ყლორტებს თითქმის არ აღემატება. უკანასკნელი აღმოსავლეთ კავკასიონზე გავრცელებული და სამხრეთ ფერდობებზე აღნიშნულია ცენტრალურ ნა-

წილში — სამხრეთ ოსეთში. შესაძლებელია სომეხ და ლეკვის (I. c.) სწორედ ეს სახეობა მოყავდათ ტბებრდის სათავეებიდან სახელწოდებით *C. multiflorum* C. A. Mey. var. *salatavicum* Rupr. აღსანიშნავია რომ იმავე ადგილებსათვის მათ აგრეთვე *C. kasbek Parrot* მოყავდათ.

©. 6. *C. salatavicum* Rupr. Fl. Cauc. (1869) 229—*C. multiflorum* var. *salatavicum* (Rupr.) Somm. et Levier, Tp. Перепр. ნოტ. cada XVI (1900) 85—*C. kasbek* Somm. et Levier, ibid. 85 non Parrot.


2. ფესვი მთავარღერძიანია; ღერო მრავალი, მიწისქვეშა ნაწილში წაგრძელებული, სუსტი, მიწისზედა ნაწილში წვრილი გართხმული ან წამოწეული, 1—4 ყვავილიანი, გაფარჩხულ ყუნწებზე. ქვედა ფოთლები მოკლეყუნწიანია, ღეროსეული მოგრძოა ძირთან ცოტათი გავანიერებული, წვერთან მობლავგო, მჯდომარე. ჯამის ფოთლები 6—8 მმ სიგრძის წაწვეტებული, კიდეზე სიფრთხანა, წვერთან მეწამული შეფერვით. გვირგვინი 12 მმ-მდე ძირთან შიშველი მტკრიანას ძაფები ძირთან გაფართოებულია, გაფანტულ ბეწვიანი. კოლოფი 13—14 მმ სიგრძის გარეთკენ გადახვეული კბილებით იხსნება. ყვავილის ყუნწები ზედა ნაწილში შემოსილია ხშირი ბეწვით. VIII—IX. (სურ. 7).

აწერილია აღმოსავლეთ კავკასიონიდან, ხანაკოი-ტაუტს მთიდან ოვერინის მიერ შეგროვებული ეგზემპლარების მიხედვით.

ტიპი ინახება ლენინგრადში (LE).

იზრდება ალპურ და სუბალპურ სარტყელში, ღორღიანებზე და მორენებზე.

საქ. სსრ: 8 — სამხ. ოს.: ერმანი, ყელის ტბა (დოლუხანოვი); 11 — თუშ-ფშავ-ხევსურ.: უკანა ფშავი, დიდი ბორბალო (გრიგორაშვილი); ბორბალო (რადდე); გურო (რადდე); ქაუხი (რადდე). 12 — კას.: ქოჩალ-დაღის ქედი და ლესტნის საზღვარზე (შტეპა; დოლუხანოვი). (რუკა 5).



რუკა 5 1. *Cerastium salatavicum* Rupr. 2. *C. pseudokasbek* Vjsokoost.

სსრკ: კავკასიონი (აღმოსავლეთი და ცენტრალური ნაწილი). ეს სახეობა ი. თუმაჯანოვმა შეაგროვა ტბებრდიდან. მისი გავრცელება დასავლეთ კავკასიონზე შესწავლას მოითხოვს.



შენიშვნა: ეს მალაღმოსის სახეობა უნდა გამოიყოს *C. multiflorum* C. A. Mey.-იდან. მისი ეგზემპლარები ნაწილობრივ გარკვეული იყო როგორც *C. kasbek Parrot*. ასეთია რადღეს მიერ ფშავ-ხევსურეთიდან ცნობილი მასალა (ბორბალო, გურო, ჭაუხი). უკანასკნელიდან ის განსხვავდება ღეროსეული, ძირთან გაგანიერებული ფოთლებით, შებუსეილი მტვრიანას ძაფებით. რუპრესტი მას აგრეთვე თესლების შეფერვითა და აღნაგობით ანსხვავებს. ჰაბიტუსით განსხვავებულია *C. multiflorum* C. A. Mey.-საგან. ძირითადად მისგან ფოთლების ფორმით ზომით ყვავილედის აღნაგობით განსხვავდება. ტებერდიდან სომეხ და ლევიეს და შემდეგ ი. თუმაჯანოვის მიერ შეგროვებული ეგზემპლარებიც ამ სახეობას მიეკუთვნება.

Ser. 3. *Oreades Schischk.* во Фл. СССР VI (1936) 444 (descr. ross.).

ფესვები კრიალოსნისებრ ან თითისტარისებრ გამსხვილებულია; ჯამის ფოთლები შიშველია. გვირგვინის ფურცლების ფრჩხილი წამწამისებრ ბეწვიანია ან შიშველი. მტვრიანათა ძაფები შიშველია.

Typus: *C. oreades Schischk.* (*C. dahuricum* f. *diffusum* Somm. et Levier).

7. *C. hemschinicum Schischk.* in Grossh. Фл. Кавк. II (1930) 381; Шншк. Тр. Бот. инст. АН СССР, сер. 1, 2 (1936) 136 (diagn.); Шншк. во Фл. СССР VI (1936) 445; Колак. Фл. Абх. II (1939) 85; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 190; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 216 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 535; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 215 (georg.).—*C. dahuricum* auct. cauc. non Fisch ex Spreng. *C. dahuricum* var. *glabrum* et var. *pilosum* Grossh. l. c. (1945) 190; *C. dahuricum* c) *elatum* Somm. et Levier, Acta Horti Petropol. XVI (1900) 86. — *C. dahuricum* Cullen in Davis, Fl. Turk. 2 (1967) 76 p.p. — *C. amplexicaule* auct. cauc. non Sims.

4. ფესურაზე თითისტარისებრი ტუბერებია განვითარებული; ღერო სუსტია, გართხმული ან აღმაელი, 60—100 სმ სიმაღლის, ქვედა ნაწილში ბეწვიანია ან შიშველი, ხშირად ხასიათდება აღრეცევენია ბოლქვებით (ჩვეია კვირტებით) ქვედა ფოთლების ილიებში, ზოგჯერ აგრეთვე ფესურებზედაც; ფოთოლი კვერცხისებრია, ღერომხვევი, შიშველი ან ბეწვიანი, სიგრძით 8 სმ-მდე და სიგანით 3 სმ-მდე, მობლაგვო ან წაწვეტებული. ქვედა ფოთლები ჩვეულებრივ ქვევითყენაა გადახრილი. ყვავილები შეკრებილია გადაშლილ (ფარჩხატ) ყვავილედად და მოთავსებულია წაგრძელებულ, შიშველ გაფარჩხულ ყუნწებზე; ჯამის ფოთლები შიშველია, ლანცეტა, მახვილწვერიანი, სიგრძით 13 მმ-მდე, კიდეებზე სიფრიფანა; გვირგვინის ფურცლები თეთრია, ჯამზე ორჯერ გრძელი, ძირში წამწამებიანი; მტვრიანათა ძაფები შიშველია. კოლოფი 1 1/2-ჯერ აღმატება ჯამს და ხასიათდება გარეთყენ გადაღუნული კბილებით. VI—VIII.

Typus: აწერილია ჭანეთიდან, ტურტუნა-დერეს ხეობიდან. «*Lazistania turcica, fauces flum. Turtuna-dere, prope pag. Czaf, in rupestribus, alt. circa 1300m.*»

ტიპი დაცულია ლენინგრადში (LE). იზრდება უმთავრესად სუბალპურ სარტყელში მდელოებზე, ღორღიან ფერდობებზე. შედის მალაღმალახეულობის ასოციაციებში.



საქ. სსრ: მთელ რესპუბლიკაში, უფრო ხშირად დასავლეთ საქართველოში.

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.

საერთო გავრცელება: მც. აზ. (ჭანეთი); ირანი.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: პოლიმორფული სახეობაა, რომლის ცვალებადობა ეკოლოგიურ პირობებთანაა დაკავშირებული. კავკასიის ავტორებს მოყავდათ *Cerastium dahuricum* Fisch. ex Spreng-ის სახელწოდებით. უკანასკნელი სახეობა აღმოსავლეთ ციმბირიდან „ზაბაიკალიედან“ -ა აღწერილი და კავკასიის სახეობასთან როგორც სჩანს საერთო წინაპრითაა დაკავშირებული. *C. hemschianicum* Schischk.-ის განსხვავდება ფესურაზე განვითარებულ ტუბერებით, სუსტი, ქვედა ნაწილში გართხმული ღეროთი და ქვემოდ გადაღუნული ღეროსეული ქვედა ფოთლებით, რომელთა ილღიაში ხშირად ჩეკია კვირტებია განვითარებული. კოლოფი ჯამის 1 1/2 სიგრძეს არ აღემატება. კავკასიონზეა აგრეთვე ამ სახეობის ახლო მონათესავე *C. oreades* Schischk. და *C. svanicum* Char. სასურველია ზემოაღნიშნულ პოლიმორფული სახეობათა რიგის უფრო ღრმა შესწავლა.

8. *C. oreades* Schischk. Tr. Bot. Inst. AN CCCP ser. 1,2 (1936) 135; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 445; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 191; Колак. Фл. Абх. II (1939) 85; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 217 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 535; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 15; Халилов во Фл. Азерб. III (1952) 285; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 315. — *C. dahuricum* b) *diffusum* Somm. et Levier, Acta Horti Petropol. XVI (1900) 86. — *C. dahuricum* auct. cauc. non Fisch. ex Spreng. p.p. — *C. dahuricum* Cullen in Davis, Fl. Turk. 2 (1967) 76 p.p.

Is.: Шишк. Tr. Bot. Inst. I. c. f. I; Харадзе, Tr. Тбил. Бот. инст. II (1938) 189, рис. 13, 1, 2; Фл. Кавк. I. c. (1945) Табл. 18, 6.

Exs.: Herb. Fl. USSR № 3209.

4. ფესვი თითისტარისებრ გასქელებული ტუბერის სახითაა, ზოგჯერ მრავალი ღეროთი; ღერო 10—13 სმ სიმაღლისაა, ძირიდანვე აღმავალი, ქვედა ნაწილში შებუსხილი მეჩხერი, ხუჭუჭა ბეწვებით, ზედა ნაწილში შიშველი, მარტივი ან ზედა ნაწილში დიქოტომიურად დატოტეილი; ფოთოლი კვერცხისებრია ან კვერცხისებრ-ლანცეტა, მოკლებეწვიანი, ოდნავ მახვილწვერიანი, ძირში ნახევრად ღერომხვევი, 1—3,5 სმ სიგრძის; 0,7—2 სმ სიგანის. ყვავილები შეკრებილია არამრავალყვავილიან ყვავილედად და მოთავსებულია წაგრძელებულ შიშველ ყუნწებზე, რომლებიც ყვავილობის ბოლოსათვის გაფარჩხულია ან გადაღუნული, ნაყოფობის დროს კი ზევითენ მიმართული; თანაყვავილები ბალახოვანია, კვერცხისებრი, ჯამის ფოთლები შიშველია, ლანცეტისებრი მახვილწვერიანი, პრილა, კიდეებზე ფართო-სიფრიფანა; გვირგვინის ფურცლები ჯამზე 1 1/2—2-ჯერ უფრო გრძელია, ძირში წამწამებიანი; მტვრიანათა ძაფები შიშველია. კოლოფი ჯამზე გრძელია 1 1/2-ჯერ, სწორია, ბლაგვად გადაკვეთილი, გარეთენ გადახვეული კბილებით. VI—VIII.

Typus: აწერილია მამისონიდან «in alpinis jugi Mamisson, 29. VII—1916, Vvedensky». ტიპი დაცულია ლენინგრადში (LE).

იზრდება უმთავრესად ალპურ სარტყელში მდელოებზე და ღორღიან ფერობებზე 2800 მ ზღვ. დონიდან.

საქ. სსრ: 1—აფხ.: ა. კოლაკოვსკის მოჰყავს ქლუხორის ვადასავალსა,



ლაშქარის საძოვრებისათვის (ფანავის ქედი) და ერცოგისათვის; 2—სვეტი-
 ყვა (ხარაძე); ლაილ-ჭალა (დოლუხანოვი); ცხვანდირი (დოლუხანოვი); ლაილ-
 ჭალა (დოლუხანოვი); უტვირის გადასავალი (დოლუხანოვი, სოხაძე); ჩხვეტი-
 რის ქედი (დოლუხანოვი, სოხაძე); ტობულდარა (დოლუხანოვი, სოხაძე); გორ-
 ვაშის გადასავალი (ხარაძე); ადიში (ქიმერიძე); 3—რაჭა-ლენჩხ.: ჰანჭახი (მედ-
 ვედვეის ჰერბ.); მთა შაქრი—თავი (კემულარია-ნათაძე); მამისონი (დავლია-
 ნიძე, ლვინიანიძე, ხარაძე); მამისონის გადასავალთან (კემულარია-ნათაძე);
 4—სამეგრ.: ლებარდესა და ჩეგვალას შორის (შიშკინი); 4—სამეგრელო-კემ-
 ლაქესარ (შიშკინი); 6—გურ.: გურია (არდასენოვი); საყორნია (კიკნაძე); 7—
 აჭარ.: კობლიანი (რადდე); მდ. კინტრიშის სათავე (დმიტრიევი); 8—სამხრ.
 ოს.: მცირე ლიხვი, ფაჩურას სათავე (ე. და ნ. ბუშუბი).

სსრკ: კავკასიონის ალპური სარტყელი.
 საერთო გავრცელ.: მც. აზ. (ქანეთი).

9. *C. svanicum* Charadze Tr. Тбил. Ботанич. инст. II (1938) 186; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 217 (georg.); Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 219 (georg.). — *C. oreades* var. *svanicum* (Char.) Grossh. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 191.

Is.: Харадзе l. c. (1938) 189. рис. 4 а, в.

24. ფესვები გრძელია, დატოტვილი, ტუბერისებრ გასქელებული; ღე-
 რო მრავალია, 10—20 სმ სიმაღლის, ქვედა ნაწილში ძლიერ წაგრძელებული,
 მხოხავი, ზედა ნაწილში განრთხმული, ცოტად თუ მეტად შებუსხვილი გრძელი,
 სახსრიანი ბეწვებით; ფოთოლი კვერცხისებრ-ელიფსური. მოგრძო-ელიფსური,
 ქვედა ფოთლები ნიჩბისებრია, ყუნწად წარზიდული, 15—20 მმ სიგრძის, 5—
 15 მმ სიგანის, შებუსხვილი განსაკუთრებით ზედა მხარეზე ხუჭუჭა ბეწვებით.
 ყვავილედი ქოლგაა. 3—10-ყვავილიანი; ყვავილის ყუნწები წაგრძელებულია.
 შიშველი, ნაყოფობისას ცალმხრივად ქვევით გადაღუნული და ძირთან გამსხ-
 ვილებული; თანაყვავილები ძლიერ დაპატარავებულია, ნამგლისებრია, კიდე-
 ებზე ვიწრო-სიფრიფანა, ჯამის ფოთლები შიშველია ან ძირში წამწამებიანი,
 კვერცხისებრ-ელიფსური, ოდნავ მახვილწვერიანი, 8—10 მმ სიგრძის, კიდე-
 ებზე ვიწრო სიფრიფანა; გვირგვინის ფურცლები 1/3-მდე აღემატება ჯამს.
 ძირში წამწამებიანია; მტვრიანათა ძაფები შიშველია. კოლოფი ჯამზე 2—2
 1/2-ჯერ გრძელია, ოდნავ მოხრილია, წვერისკენ შევიწროებული და ხასიათდე-
 ბა გარეთ გადაღუნული კბილებით. VII—IX.

იზრდება ფიქლებზე, ღორღიან ჩამონახვავებზე და მორენებზე, ალპურ,
 უფრო ხშირად სუბნივალურ სარტყელში. 2550 მ—3100 მ ზ. დ.

აწერილია რამდენიმე ეგზემპლარის მიხედვით სვანეთიდან. ლექტოტიპად*
 ჩაითვლება ა. ხარაძის მიერ ტვიბერის ყინვართან აღებული ეგზემპლარი. ტიპი
 ინახება თბილისში (TBI).

საქ. სსრ: 2—სვან.: ზემო სვან. მყინვ. ტვიბერთან (ხარაძე); გულის მთა,
 გვალდას ქედი (ხარაძე, ჩხუბიანი-ნიძე); სვანეთის ქედი, შაკილდ (დოლუხა-

*Lectotypus: Svania, in detritu mobili ad morenam glaciae Tviber, ONO 2500 mt. 3.IX.1933 fl. fr. Charadze (TBI).

ნოვი); მესტია-ჭალა, ლესხორის ტიბ (ზურებიანი); მესტია, მთა ლაშქარის (ოჩიაური).

შ ე ნ ი შ ე ნ ა: წვრილი სახეობაა. მორფოლოგიური ნიშნებით ახლოა *C. oreades Schischk.* -თან. ა. კოლაკოვსკი (Фл. Абх. II, 86) უკანასკნელი სახეობისათვის მოყვანილ შენიშვნაში ექვს გამოსთქვამს *C. swanicum*-ის დამოუკიდებლობის შესახებ. შემდეგში ა. გროსპეიმმა (I. c.) მოიყვანა ჩვენი სახეობა როგორც სახესხვაობა. ბოლო წლებში *C. svanicum*-ი შეგროვებული იყო სვანეთში ბ. ზურებიანის მიერ. ყველა ეგზემპლარი ინარჩუნებს *C. oreades*-იდან განმასხვავებელ ნიშნებს და უფრო ღრმა კვლევამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ეს თავისებური უკიდურეს პირობებთან ადაპტირებული ფორმა დამოუკიდებელ სახეობად მივიღოთ.

Ser. 4. Nemorales Char. ser. nov. Addenda

ერთწლოვნებია, მოგრობო ფოთლებით. ჯამის ფოთლები ბეწვიანია, გვირგვინის ფურცლები და მტვრიანათა ძაფები ძირთან გაფანტული ბეწვებითაა შემოსილი.

Typus: *C. nemorale* Bieb.

10. *C. holosteam* Fisch. ex Hornem. Hort. Hafn. (1813) 434; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 443; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 190; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 215 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 537; Халилов во Фл. Азерб. III (1952) 282; Шишк. и Аветис. во Фл. Арм. 2 (1956) 29; Харадзе во Опред. раст. Груз. II (1969) 220 (georg.). — *C. caucasicum* Fisch. ex Ser. in DC. Prodr. I (1824) 414; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 385. — *C. elongatum* Bieb. Fl. Tauc.-Cauc. III (1819) 316 non Pursh; Rupr. Fl. Cauc. I (1869) 230, 297; — *C. dahuricum* β. *holosteam* Ser. in DC. Prodr. I (1824) 415. — *C. nemorale* β. *glabrescens* Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 400. — *C. nemorale* var. *unilaterale* Lipsky Зап. Киевск. Общ. Естеств. XII (1892) 351.

Is.: Фл. СССР I. c. табл. XXIV, 4; Фл. Кавк. I. c. (1945) табл. 18, 5. Exs.: Herb. Fl. Ross. n° 1314.

⊙. მცენარე ხასიათდება აღმავალი, სიგრძით 20—50 სმ, ზუქუჭა ბეწვებით შებუსხილი ღეროებით; ღერო მარტივია, ზედა ნაწილში დატოტვილი და ცალმხრივბეწვებიანი; ქვედა ფოთლები უკულანცეტა და წარზიდულია ყუნწად, ზედა ფოთლები წაგრძელებულლანცეტა, მახვილწვერიანი, სიგრძით 6 სმ-მდე და სიგანით 10 მმ-მდე. ყვავილები მოთავსებულია გრძელ ცალმხრივბეწვებიან ყუნწებზე, რომლებიც ყვავილობის ბოლოსათვის იღუნება; თანაყვავილები ბალახოვანია; ჯამის ფოთლები შიშველია ანდა ძირში მეჩხერბეწვიანია, ლანცეტა, მახვილწვერიანი, კიდებზე სიფრიფანა, სიგრძით 10 მმ-მდე; გვირგვინის ფურცლები ჯამის ტოლია ან 1 1/2-ჯერ აღმატება მას; გვირგვინის ფურცლების ფრჩხილები და მტვრიანათა ძაფები ბეწვიანია. კოლოფი ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელია და ხასიათდება გარეთკენ გადაღუნული კბილებით. V—VI.

აწერილია კავკასიიდან. ტიპი ინახება ლენინგრადში (LE).

იზრდება მთის შუა სარტყელში, გზის პირებზე, ტყეებში.

საქ. სსრ: 10 — მთიულ. ყაზბეგის რაიონი — დარიალის ხეობა (ხარაძე) ნაწილი
გერგეტის (ხუციშვილი); კობი (პოპენაყერის ჰერბ.).
სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ლენინგრადში ტიპების ჰერბარიუმში დაცულია სახელწოდებით *Cerastium caucasicum* Fisch. ორი ეგზემპლარი ფიშერის ჰერბარიუმიდან, «Hb. Fischer, Adams» და «Hb. Fisch. Cauc. Ross.» (უნდა ვიგულისხმობთ რომ ისინი დუბლეტებია) ეს ეგზემპლარები გადარკვეულია როგორც *C. nemorale* Bieb. ლიპსკის მიერ, *C. holosteam* Fisch. გროსჰეიმის მიერ და *C. elongatum* Bieb.-შიშკინის მიერ. ყველა ზემოაღნიშნული სახელწოდება *C. holosteam* Fisch. ex Hornem-ის სინონიმად უნდა ჩაითვალოს, *C. nemorales* Bieb.-ს გარდა.

II. *C. nemorale* Bieb. Fl. Taur.-Cauc. III (1819) 317; Boiss. Fl. Or. I (1967) 718 p.-r.; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 444; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 190; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 215 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 537; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 30; Халилов во Фл. Азерб. III (1952) 282; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 220; Sell z. Whitehead in Fl. Europ. I (1964) 138; Тахт. и Фед. Фл. Ерев. (1972) 873. — *C. nemorale* β *villosa* Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 401.

Is.: Фл. СССР I. с. табл.: XXIII, 3; Фл. Арм. I. с. табл. V.

⊙. მთელი მცენარე სქლად არის შემოსილი წვრილი და რბილი ბეწვით: ღერო სუსტია, აღმავალი, 15—60 სმ სიმაღლის, ზედა ნაწილში დატოტვილი; ქვედა ფოთლები ნიჩბისებრია, ყუნწად წარზიდული, ზედა ფოთლები ლანცეტის მაგვარია, მობლაგვო ან ოდნავ წაწვეტებულია, სიგრძით 7 სმ-მდე და სიგანით 15 მმ-მდე. ყვავილის ყუნწი შებუსხვილია, ნაყოფობისას ქვევითკენ გადაღუნული; თანაყვავილები დიდი ზომისაა, ბალახოვანი; ჯამის ფოთლები კვერცხისებრ-ლანცეტაა, ოდნავ წაწვეტებული, კიდეზე ვიწრო-სიფრიფანა, 7—9 მმ სიგრძის წვრილი რბილი ბეწვით შემოსილი; გვირგვინის ფურცლები ჯამის ფოთლების ტოლია ან ოდნავ მათზე გრძელი, ძირში წამწამებინა; გვირგვინის ფურცლები და მტვრიანათა ძაფები ძირთან ბეწვიანია. კოლოფი ჯამზე ორჯერ გრძელია, ოდნავ მოხრილია და ხასიათდება გარეთკენ დაგრეხილი კბილებით. IV—VII.

Typus: აწერილია სტავროპოლის მიდამოებიდან «circa oppida Stauropolin, Alexandrov et al.» ტიპი ინახება ლენინგრადში (LE).

იზრდება მთის შუა სარტყელში ტყის პირებსა და ბუჩქებს შორის.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: ბაქურიანსა და ცხრაწყაროს შორის (შიშკინი); 10 — მთიულ.: საქ. ფლ.-ის I გამოცემაში მოყვანილია ყაზბეგისათვის (გერგეტი).

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ.; სომხ.; ევრ. ნაწ. (სამხრ. დასავლ. ნაწ. და ყირიმი).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მოყვანილი იყო გროსჰეიმის მიერ «Флора Кавказа»-ს II გამოცემაში თბილისსა და კოჯრისათვის. აგრეთვე „საქართველოს ფლორის“ I გამოცემაში მითითებულია ყაზბეგის რაიონისათვის. მასალის შემოწმებამ დაადასტურა ამ სახეობის გავრცელება (შიშკინის მასალის მიხედვით) თრი-

ალეთის ქედისათვის. შემდგომმა კვლევამ უნდა დააზუსტოს მისი გავრცელება ჩვენს ტერიტორიაზე.

Sect. 2. *Cerastium*—Sect. *Orthodon* Ser. in DC. Prodr. I (1824) 415; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 448. — Subgen. *Orthodon* Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 403.

კოლოფი ცილინდრულია ან წვერში ოდნავ ნამგლისებრ მოხრილი, სწორი ან გარეთეკნ გადახრილი, ხშირად ნაპირზე ოდნავ ჩახვეული კბილებით.

Subsect. *Perennia* Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 406; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 453.

მრავალწლოვანი მცენარეებია, იშვიათად ერთ-ორწლოვანი.

Ser. 1. *Lasiostemona* (Fenzl) Schischk. l. c. 453—a. *Lasiostemona* Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 406.

მტვრიანათა ძაფები ბეწვიანია. გვირგვინის ფურცლები ჯამზე ორჯერ გრძელია.

Typus: *C. purpurascens* Adam.

12. *C. purpurascens* Adam in Weber et Mohr Beitr. Naturk. I (1805) 60; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 453; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. (1842) 406; Boiss. Fl. Or. I (1867) 729; Rupr. Fl. Cauc. (1869) 235; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 453; Колак. Фл. Абх. II (1939) 89; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 194; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 221 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 536; Халилов, Фл. Азерб. III (1952) 289; Шишк. и Аветис. во Фл. Арм. 2 (1956) 35; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 315; Cullen in Davis Fl. Turk. 2 (1967) 80; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 220 (georg.) — *C. frigidum* Bieb. Fl. Taur.-Cauc. 1 (1808) 362. — *C. umbellatum* C. Koch in Linnaea XV (1841) 708.

Is.: Колак. l. c. табл. VI, ф. I; Фл. Арм. l. c. табл. VIII, Gren. Monogr. Cerast. tab. 8.

4. მცენარე ქვედა ნაწილში შებუხვილია მწოლარე, ზედა ნაწილში ოდნავ წამოწეული, ზოგჯერ ჯირკვალა ბეწვებით; ღეროები მარტოულია ან რამდენიმე ერთად, ზედა ნაწილში დატოტვილი, (10) 20—50 სმ სიმაღლის, აღმავალი; ფესვთანური ფოთლები მოგრძო-ელიფსურია, ოდნავ მახვილწვერიანი, ძირთან თანდათან შევეწროებული; ღეროსეული ფოთლები კვერცხისებრ-ლანცეტა. ყვავილედ კენწრულია, ქოლგისმავარი, ხასიათდება ყვავილობის ბოლოსათვის წაგრძელებული, ქვევითეკნ გადახრილი, ნაყოფის დამწიფების დროსათვის კი გასწორებული ყვავილის ყუნწებით; თანაყვავილები წვრილია, ბალახოვანი; ჯამის ფოთლები კვერცხისებრია, ოდნავ მახვილწვერიანი, 5—12 მმ სიგრძის, ჩვეულებრივ ზედა ნაწილში მეწამული ფერის, კიდევებზე სივრიფანა; გვირგვინის ფურცლები 2—3-ჯერ გრძელია ჯამზე, ძირში ბეწვიანია; მტვრიანათა ძაფები ქვედა ნაწილში ბეწვიანია, კოლოფი ვიწროა, 2—3-ჯერ გრძელია ჯამზე და ხასიათდება სწორი კბილებით; თესლი სივრძით 2 მმ-მდეა. VI—IX.

აწერილია კაიშაურიდან (სამხედრო გზა). ტიპი დაცულია ლენინგრადში (LE).

იზრდება სუბალპურ და ალპურ სარტყელში, შედის უმთავრესად მდინარეების ღმრთაობის უფრო იშვიათად მკვირვკორდიანთა ასოციაციების შემადგენლობაში.

საქ. სსრ.: ყველა მთამალა რაიონში.

სსრკ.: იმიერკავკ., ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.

საერთო გავრცელ.: მც. აზ.; არმ.-ქურთ.; ჩრდ. ირ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მეტად პოლიმორფული სახეობაა, რომლისათვის მოყვადით სახესხვაობები: var. *microspermum* Rupr., var. *parviflorum* Trautv., var. *subacaule* Trautv., var. *tenuicaule* Trautv., (sec. Grossh. l. c. 1945, 194).

ბაკურიანსა და ცხრაწყაროსათვის ხარაძეს (l. c. 1947, 221) მოყავს var. *Sosnowskyi* Schischk., უფრო დიდი ზომის ფოთლებით; სამხრეთ საქართველოსთვის var. *microspermum* Rupr., რომელიც წვერილი თესლებით გამოირჩევა. ზემოალბანური სახესხვაობები სახეობის პოლიმორფიზმს ვერ ამოწურავს და სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. განსაკუთრებით დიდი ცვალებადობა ემჩნევა სახეობის არეალის სამხრეთ ნაწილში — თრიალეთის ქედზე და მესხეთ-ჯავახეთში.

13. *C. pseudo-kasbek* Vysokoostrovskaja Tr. Botan. Inst. AN Arm. SSR 7 (1950) 61. — Шишк. и Аветис. во Фл. Арм. 2 (1956) 35; *C. kasbek* Cullen non Parrot, Fl. Turk. 2 (1967) 77, quoad pl. ex Ararat.

loc.: Vysokoostrovskaja l. c. стр. 62, рис. 3a-d.

2. კორდიანი მცენარეა, მოგრძო მთავარღერძიანი ფესვით და მრავალი მიწისქვეშა ნაწილში მხოხავი შემდეგ განრთხმული და წამოწეული, 4—12 სმ სიგრძის, ჭირკვალა ბეწვებიანი, ხშირ შეფოთილი ღეროებით; ფოთლები 7—14 მმ, 3—5 მმ სიგანის, მოგრძო-ელფისებრი ან მოგრძო-ლანცეტისებრი ფორმის, ჭირკვალა ბეწვებიანი წვერში, მოზღაგო, ქვედა ფოთლები ბირთან შევიწროებულია თითქმის ნიჩბისებრი ფორმის. ყვავილები 1—3, კენწრული იშვიათად ილიური, მათი თანაყვავილი ყვავილების ტოლია ან მათზე უფრო გრძელი, დაყვავილების ბოლოს ქვევითეკნ გადახრილი; ჯამის ფოთლები მოგრძო-კვერცხისებრია 5—10 მმ სიგრძის 3—4 მმ სიგანის, ჭირკვლოვან-ბეწვიანი მორუხო-მეწამული იერით, კიდეზე თეთრ სიფრიფანა აკით. გვირგვინის ფურცლები 8—12 მმ სიგრძის 1/4-მდე ორად ჩაჭრილი; მათი ფრჩხილი და მტვრიანათა ძაფები გაფანტულბეწვიანია. კოლოფი 10—15 მმ სიგრძის, წვერზე სწორი, ოდნავ კიდეზე გადაღუნული მოგრძო კბილით იხსნება. თესლები 1,5 მმ-მდე სიგრძის, მომრგვალოა, ბორცვიანი ზედაპირით. VIII—IX. (სურ. 11).

აწერილია სომხეთიდან არაგაცის (ალაგოზის) ჩრდილოეთ მწვერვალთან 3 900 მ სიმაღლეზე ი. ვისოკოვსკოვსკაის მიერ შეგროვებული ეგზემპლარების მიხედვით. ტიპი დაცულია ლენინგრადში (LE), იზოტოპი ერევანში (ERE).

იზრდება ღორღიანებზე სუბნივალურ სარტყელში.

საქ. სსრ.: 18 — ჯავახ.: მთა აბულზე 3300 მ სიმაღლეზე (ხინთიბიძე). (რუკა 5).

სსრკ.: სომხეთი (მთა არაგაცი).

საერთო გავრცელება: მც. აზ. (მთა არარატი).

შ ე ნ ი შ ე ნ ა: ვისოკოსტროვსკაია თავის სახეობას ჰაბიტუალურად *C. kazbek Parrot*-ს ადარებს, მხოლოდ ამ უკანასკნელისაგან ის მკვეთრად განსხვავდება კოლოფის აღნაგობით, რის გამოც ეს სახეობა სექცია *Orthodon*-ს უნდა მიეკუთვნოს, განსხვავებულია აგრეთვე ფოთლების ფორმა და სხვა. ავტორი აღნიშნავს რომ რადღეს მიერ არარატიდან შეგროვებული ეგზემპლარები არა მართებულად გარკვეული იყო როგორც *C. purpurascens var. subacaulis Trautv.*, *C. purpurascens var. tenuicaulis Trautv.*

შემდეგში ეს სახეობა ლ. ხინთიბიძემ მთა აბულზე შეაგროვა და პირველად მოიყვანა საქართველოს ტერიტორიისათვის. შესაძლებელია *Parrot*-ის ეგზემპლარი არარატიდან, რომელიც თურქეთის ფლორაშია მოყვანილი *C. Kazbek Parrot*-ის სახელწოდებით აგრეთვე ამ სახეობას უნდა მიეკუთვნოს.

ეს მეტად საინტერესო სახეობა ჯერ-ჯერობით 3 იზოლირებულ მწვერვალზეა აღნიშნული: არარატზე, ახმანგანსა და აბულ-სამსარზე. სამხრეთ საქართველოს მაღალმთის ელემენტების წინააზიური კავშირების და გავრცელების ერთ-ერთი ტიპის მაჩვენებელია.

Ser. 2. *Leiostemona* (Fenzl) Schischk. in Фл. СССР VI (1936) 455. — *b. Leiostemona Fenzl* in Ledeb. Fl. Ross. 1 (1842) 407.

მტერიანათა ძაფები შიშველია. გვირგვინის ფურცლები ჯამზე ცოტათი გრძელია ან ოდნავ მოკლე.

Typus: *C. holosteoides* Fries (*C. vulgatum* L. Sp. Pl. ed II (1762) 267 parte).

14. *C. holosteoides* Fries Nov. Fl. Suecc. 4 (1817) 52; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 35. — *C. fontanum* Baumg. Enum. Strip. Transs. I (1816) 425 s. l.; Клоков, Визн. росл. УРСР (1950) 62 p.-; Клоков во Фл. УРСР 4 (1952) 457 p.-. — *C. fontanum* subsp. *triviale* (Murb.) Jajlas. Arch. Soc. Zool.-Bot.Fenn. Vanamo 18,1 (1963) cum auct. epith. Link (sec. Черепанов, Свод. дополн. и измен. к Фл. СССР (1973) 157); Cullen in Davis Fl. Turk. 20 (1967) 80 — *C. caespitosum* Gilib. Fl. Lithuan. 2 (1781) 159, nom. illegit. ; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 382; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 455; Колак. Фл. Абх. II (1939) 89; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, II (1945) 194; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 221 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 535; Халилов во Фл. Азерб. III (1952) 290; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 315; Харадзев Опред. раст. Груз. II (1969) 219 (georg.); — *C. triviale* Link, Enum. Pl. Horti Berol. Alt. I (1821) 433 nom. illegit. superfl. — *C. vulgatum* L. Sp. Pl. ed 2 (1762) 267 non (1753); Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 48 p.-.

Is.: Клоков, l. c. (1952) рис. 82; Фл. Кавк. l. c. (1945) табл. 19,2; Hegi, Ill. Fl. Mitt.-Eur. III (1909) tab. 105; Fridrich in Hegi, Fl. III 2 Leif. 6, tal. 102, 2.

Exs.: Herb. Fl. Ross. n° 1562.

2. ☉, ☉. მცენარე შებუსვილია განზე მდგომი ბეწვებით, ივითარებს უნაყოფო, დამოკლებულ, გართხმულ ყლორტებს და წამოწეულ საყვავილე ღეროებს, რომლებიც 10—30 სმ სიმაღლისაა და ზედა ნაწილში დატოტვილია; ფოთოლი მოგრძო-კვერცხისებრია. 1—3 სმ სიგრძის და 10 მმ-მდე სიგანის, ზე-



და მხარეზე შებუსხვილია გრძელი ბეწვებით; ქვედა ფოთლები ძირისკენ შევიწროებულია; ყვავილენი დიქაზიუმის სახისაა; ყვავილები მოთავსებულია მოკლე ყუნწებზე, რომლებიც ნაყოფობისას ქვევითყენაა გადაღუნულნი; თანაყვავილები წვრილია, კიდებზე ვიწრო-სიფრიფანა; ჯამის ფოთლები 5—6 მმ სიგრძისაა, კვერცხისებრი, კიდებზე სიფრიფანა, გვირგვინის ფურცლები ჯამის ფოთლების ტოლია ან ოდნავ მათზე მოკლე, ძირში შიშველი; მტკრიანათა ძაფები შიშველია. კოლოფი 1 1/2—2-ჯერ აღემატება ჯამს, ზედა ნაწილში მოხრილია და ხასიათდება სწორი კბილებით. V—VIII.

აწერილია ევროპიდან.

Sect. 1. *Spergella* (Reichb.) Koch, Syn. Fl. Germ. II, 1 (1843) 118.

ყვავილები (თითქმის ყოველთვის) ხუთწვერიანია; მტვრიანა 8—10, იშვიათად 5, კოლოფი იხსნება 5 კბილით; გვირგვინის ფურცლები ჯამის ფოთლებზე რამდენადმე გრძელია ან ორჯერ აღემატება მას.

1. *S. saginoides* (L.) Karst. Deutsch. Fl. (Pharm.-med. Bot.) (1882) 539; Колак. Раст. мир Колх. (1961) 180; Clapham and N. Jardine in Fl. Europ. 1 (1964) 147; Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 90. — *Spergula saginoides* L. Sp. Pl. I (1753) 441. — *Sagina saginoides* (L.) Dalla Torre, Anl. Beobacht. Alpenfl. (1882) 189; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 387; Штейнберг во Фл. СССР VI (1936) 472; Колак. Фл. Абх. II (1939) 91; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 200; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 228 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 538; Ахундов во Фл. Азерб. III (1952) 293; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 316; Харадзе в Опред. раст.

Груз. II (1969) 222 (georg.); Косенко, Опред. вышс. раст. Сев-Зап. Кавк. и Предкавк. (1970) 91. — S. Linnaei Presl., Rel. Haenk. II (1835—1836) 14; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 339.— *Arenaria frigida* Rupr. Fl. Cauc. (1869) 202.

lc.: Hegi, Illustr. Fl. Mitt.-Europ. III, 1 (1911) Taf. 106, Fig. 1, 1a-1b (sub S. Linnaei); Фл. Тадж. III (1968) 495, табл. LXXX, 3; Friedrich in Hegi, Fl. III, 2 (1974) Taf. 100, Fig. 1, 1a-1b.

4. კორდის წარმომქმნელი შიშველი მცენარეა, მრავალი წვრილი, 2—10 სმ სიმაღლის ღეროთი; ზოგი ღერო მსოხავია, მუხლებში ფესვიანდება. ფოთლები ხაზურ-ლანცეტაა, ვიწრო სიფრიფანა კილით და მოკლე წვეტით. ყვავილი მარტოულია, კენწრული ან ფოთლის ილიაში მოთავსებული; ყვავილის ყუნწი ძალიან გრძელია და სწორი, ჯამიდან ცოტა დაშორებით ქვემოთ გადაღუნული; ჯამის ფოთლები 5 (იშვიათად 6), მოგრძო კვერცხისებრია, კიდეებზე ვიწრო სიფრიფანა, სიგრძით 3 მმ-მდე; გვირგვინის ფურცლები 5 (იშვიათად 6), სიგრძით ჯამის ნახევარს აღემატება ან გვირგვინის ფურცლები განუვითარებელია; მტკრიანა 5 ან 10; სვეტი 5. კოლოფი თითქმის ორჯერ აღემატება ჯამს და იხსნება 5 (იშვიათად 6) საგდულით. V—IX. 2n=22.

აწერილია საფრანგეთიდან და ციმბირიდან. ტიპი ლონდონშია.

იზრდება ტყის ზედა და სუბალპურ სარტყლებში, ტენიან მდელოებზე, ქვიან ფერდობებზე, მდინარეთა რიყნარებზე.

საქ. სსრ: მთელს რესპუბლიკაში.

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ.; არქტ.; დას. და აღმ. ციმბ.; შუა აზ.; შორ. აღმ. მზრ. (კამჩატკა, კურილის და ალუუტის კუნძულები).

საერთო გავრცელ.: ჩრდ., შუა და სამხრ. ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მზრ.; მც. აზ.: ცენტრ. აზ.; ჩრდ. ამერ.

Sect. 2. *Sagina* — Sect. *Saginella* Koch., Syn. Fl. Germ. II, 1 (1843) 117.

ყვავილები ოთხწევრიანია (იშვიათად ხუთწევრიანი); კოლოფი იხსნება 4 საგდულით; გვირგვინის ფურცლები ჯამის ფოთლების სიგრძის ნახევარს აღწევს, ხშირად განუვითარებელია ან ადრე ცვივა.

2. *S. procumbens* L. Sp. Pl. I (1753) 128; DC. Prodr. I (1824) 389; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 338; Boiss. Fl. Or. I (1867) 662; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 387; Штейнберг во Фл. СССР VI (1936) 474; Колак. Фл. Абх. II (1939) 91; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 200; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 229 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 538; Ахундов во Фл. Азерб. III (1952) 293; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 44; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 316; Колак. Раст. мир Колх. (1961) 180; Clapham and N. Jardine in Fl. Europ. I (1964) 147; Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 91; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 223 (georg.); Косенко, Опред. вышс. раст. Сев-Зап. Кавк. и Предкавк. (1970) 91. — *Arenaria procumbens* Rupr. Fl. Cauc. (1869) 202.

lc.: Hegi, Illustr. Fl. Mitt.-Europ. III, 1 (1911) Taf. 106, Fig. 3, 3a-3c; Fl. Rep. Pop. Române II (1953) 67, Pl. 7, fig. 2, 2a; Fl. Schweiz I (1967): 829; Friedrich in Hegi, Fl. III, 2 (1974) Taf. 101, fig. 3, 3a-3c.

4. კორდის წარმომქმნელი მცენარეა მრავალი, ნახი, 2—8 სმ სიმაღლის ღეროთი; ღერო მწოლარეა ან წამოწეული; ფოთლები ლანცეტა ფორმისაა ვიწრო სიფრიფანა კიდი და მოკლე წვეტი; ყვავილი მარტოულია გრძელი ყუნწით; ყუნწი ზოგჯერ ზედა ნაწილში ჭირკვალაბუსუსებია, დაყვავილებისას ქვემოთაა გადაღუნული, თესლების მომწიფებისას კი სწორდება; ჯამის ფოთოლი 4 (იშვიათად 5) კვერცხისებრი, წვეროში ბლაგვი, ვიწრო სიფრიფანა კიდი, სიგრძით 2 მმ-მდე, იშვიათად ჭირკვლოვანი შებუსებით; გვირგვინის ფურცელი 4 (იშვიათად 5), ჯამის სიგრძის ნახევარზე მოკლე; მტვრიანა 4 (იშვიათად 5). კოლოფი იხსნება 4 (იშვიათად 5) სავდულით და 1,5-ჯერ აღემატება ჯამს. V—I X. 2n=22.

აწერილია ევროპიდან. «Habitat in Europae pascuis sterilibus uliginosis aridis». ტიპი ლონდონშია.

იზრდება ტყისა და სუბალპურ სარტყლებში ტენიან მდელოებზე, კირქვიან კლდეებზე, საცხოვრებელი ადგილების მახლობლად, მდინარეთა რიყნარებზე.

საქ. სსრ: მთელს რესპუბლიკაში.

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ.; აზერბ.; სომხ.: არქტ. ევრ. ნაწ.; დას. ციმბ.; შორ. აღმ. მხრ. (კამჩატკა).

საერთო გავრცელ.: არქტ. ევრ.: ჩრდ., შუა და სამხრ. ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.; არმ.-ქურთ.; ცენტრ. აზ.; აღმ. აზ. (იაპონია, ფილიპინები); ინდო-მალ. (ჰიმალაი, ახალი ზელანდია); აესტრ.; ჩრდ. ამერ.

3. *S. apetala* Ard. Animadv. Bot. Spec. Alt. 2 (1763) 22; DC. Prodr. I (1824) 389; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 338; Boiss. Fl. Or. I (1867) 663; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 388; Штейнберг во Фл. СССР VI (1936) 474 (პირველადი წყარო არაზუსტადაა მითითებული); Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 200; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 229 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 538; Ахундов во Фл. Азерб. III (1952) 293; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 316; Колак. Раст. мир Колх. (1961) 180; Clapham and N. Jardine in Fl. Europ. I (1964) 147; Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 91; Харадзе во Фл. Груз. II (1969) 223 (georg.).

lc.: Hegi, Illustr. Fl. Mitt.-Europ. III, 1 (1911) Taf. 106, fig. 2, 2a—2f; Friedrich in Hegi, Fl. III, 2 (1974) Taf. 100, fig. 2, 2a—2f.

⊙. მცენარე ხასიათდება წამოწეული ან ზემოთ აღმართული, ძირიდანვე დატოტვილი, 2—10 სმ სიმაღლის ღეროებით, რომლებიც ზედა ნაწილში შიშველია ან გაფანტულ ჭირკვალაბუსუსებია; ფოთოლი ვიწრო-ხახურია, წვეროში საკმაოდ გრძელი წვეტი, ფუძესთან კი გრძელწამოწეულია; ყვავილედ მცირეყვავილიანია, ყვავილის ყუნწი ყოველთვის ზემოთაა მიმართული, შიშველია ან ჭირკვალაბუსუსებია; ჯამის ფოთოლი 4, სიგრძით 2—3 მმ, კვერცხისებრი, მათ შორის შიგნითა ფურცლები ბლაგვია, გარეთეები კი მახვილწვერიანი თალფაქით წვერზე, შიგნითა ფურცლებზე ოდნავ გრძელი; გვირგვინის ფურცელი 4, ძალიან პატარა, ადრე ცვივა ან იშვიათად განუვითარებელია; მტვრიანა 4. კოლოფი ჯამს აღემატება, იხსნება 4 სავდულით; თესლი ძალიან წვრილია, ზედაპირი მოფენილია ბლაგვი ბორცვებით. V—VII. 2n=12. (სურ. 13,2).



სახეობა აწერილია გეოგრაფიული პუნქტის მითითების გარეშე.
 იზრდება ზღვის სანაპირო სილნარებზე, რიყნარებზე, გზების მახლობლად.
 საქ. სსრ: 6 — გურ.: ნატანები, რკინიგზის სადგურის ახლოს (გროსპეიმი);
 7 — აჭარ.: ბათუმსა და გონიოს შორის (ალექსეენკო და ვორონოვი); 12 —
 კახ.: ყვარელი, მდ. ბურსა (ლაჩაშვილი). (რუკა 10).
 სსრკ: მც. აზ. (ტრაპიზონი); არმ.-ჭურთ.

4. *S. oxysepala* Boiss. Fl. Or. I (1867) 663; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 387; Штейнберг во Фл. СССР VI (1936) 475; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 200; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 229 (georg.); Колак. Фл. Абх. III (1948) 307 (sub *oxysepala*); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 538; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 316; Колак. Раст. мир Колх. (1961) 180; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 223 (georg.).


Is.: Фл. СССР I. с. табл. XXV, рис. 5.

©. წინა სახეობის მსგავსია, მაგრამ მისგან განსხვავდება შემდეგი ნიშნებით: ღერო ზედა ნაწილში ყოველთვის ჯირკვლოვანი შებუსვითაა; ფოთლის ილიაში ფოთლების კონაა განუვითარებელი ან განვითარებული სანაყოფე ღეროთი; ფოთოლი წვერში მოკლე წვეტითაა, ფუძესთან წამწამებია. ჯამის ფოთოლი სიგრძით 4 მმ-მდეა, მოგრძო-კვერცხისებრი, მახვილწვერიანი, არათანაბარი ზომის, მიკრულია კოლოფზე; გვირგვინის ფურცლები განვითარებული არაა; კოლოფი ჯამზე მოკლეა; თესლის ზედაპირი მოფენილია ბორცვებით, რომლებსაც წვერში პატარა დვრილები აქვს V—VI. (სურ. 13, 1).

Typus: «In Armenia (Szow).».

იზრდება ტენიან კლდეებზე, მდინარეთა ნაპირებზე.

საქ. სსრ: 1 — აფხ.: სოხუმი (ვორონოვი); 6 — გურ.: მდ. ბეჟუას ნაპირები (ზედელმეიერი); 7 — აჭარ.: ბათუმი. ერგესა და კაპანდიბს შორის (ალექსეენკო და ვორონოვი). (რუკა 10).



რუკა 10

1. *Sagina apetala* Ard.
2. *S. oxysepala* Boiss.

სსრკ: ამიერკავკ.: აზერბ. (ლენქორანი); ვერ. ნაწ. (სამხრ.).

საერთო გავრცელ.: ჩრდ. და შუა ვერ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ. კავკასიაში.
ნარის კუნძულები.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: სსრკ-ის ფლორაში [Флора СССР, VI (1936) 475] მითითებულია, რომ *S. oxysepala*-ს ტიპი ინახება ლენინგრადში. *S. oxysepala* აწერილია ბუასის მხარის სომხეთიდან შოვეციის მასალების მიხედვით. გროსპეიმი [Фл. Кавк. III (1945) 315] შენიშნავს, რომ აღნიშნული მასალა მან ვერ ნახა ლენინგრადის ბოტანიკის ინსტიტუტის ჰერბარიუმში, როგორც ამის შესახებ მიუთითებდა შტეინბერგი. *S. oxysepala*-ს ტიპი ჩვენთვისაც ხელმიუწვდომი დარჩა (ლენინგრადის ჰერბარიუმში იგი ვერც ჩვენ ვნახეთ).

ლენინგრადის ბოტანიკის ინსტიტუტის კავკასიის ჰერბარიუმში საშუალება გვქონდა გვენახა ორი საჰერბარიუმო ფურცელი ლაგოცის მხარე შეგროვებული თითქოს ყაზბეგსა და დაღესტანში, რომლებიც სწორადაა გარკვეული შტეინბერგის მხარე (შტეინბერგმა ეს გვარი დაამუშავა სსრკ-ის ფლორისათვის) როგორც *Sagina nodosa* (L.) Fenzl. *S. nodosa*-ს სხვა საჰერბარიუმო მასალა ყაზბეგიდან და საერთოდ საქართველოდან დღემდე არაა ცნობილი; ამასთანავე ლაგოცის მხარე ამ მცენარის ყაზბეგში შეგროვება საეჭვოდ მიგვაჩნია, რის გამოც *S. nodosa*-ს გამოვრიცხავთ „საქართველოს ფლორის“ შემადგენლობიდან.

გვარი 6. BUFONIA L*.

ჯამის ფოთლოვანი, განცალკევებული; გვირგვინის ფურცელი 4, წვერში მთლიანი ან ამოკვეთილი; მტერიანა 2-დან 8-მდე. მტერის მარცვალი სფეროსებრია, ღარსმოკლებული, 12 მცირე ზომის გაფანტული ფორით; ფორის მემბრანა და ეგზინის ზედაპირი წვრილბორცოვანია. სვეტი 2. კოლოფი 1-ბუდიანია, ორთესლიანი, იხსნება ძირამდე 2 საგდულით; თესლის ზედაპირი თითქმის სადაა, კიდებზე გასდევს წაწვეტებულ ბორცვებიანი არშია. — ერთ-ორწლოვანი ბალახებია, უფრო იშვიათად ნახევრად ბუჩქები, ღეროზე მიწოლილი ფოთლებით.

გვარი აერთიანებს 10-მდე სახეობას, რომლებიც გავრცელებულია ევროპაში, ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებსა და დასავლეთ აზიაში. საქართველოში ამ გვარის მხოლოდ ერთი სახეობა იზრდება.

1. *B. tenuifolia* L. Sp. Pl. I (1753) 123; Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 115; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 341; Boiss. Fl. Or. I (1867) 665; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 388; Halliday in Fl. Europ. I (1964) 133; Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1966) 89; Тахт., Фед. Фл. Еревана (1972) 74. — *B. parviflora* Griseb. Spicil. Fl. Rum. Bith. I (1843) 197; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 476; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 201; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 230 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 538; Макашвили, Фл. окр. Тбилиси I (1952) 184 (georg.); Ахундов во Фл. Азерб. III (1952) 295; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 44; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 223 (georg.); Косенко, Опред. высш. раст. Сев.-Зап. Кавк. и Предкавказ. (1970) 91. — *B. tenuifolia* L. β . *intermedia* Fenzl in Ledeb. Fl.

* დაამუშავა ც. ლენინაშვილმა.



Ross. I (1842) 341. — *B. macrosperma* Boiss. Fl. Or. I (1867) 664 (non J. Gay).


იხ.: Фл. СССР I. с. табл. XXVI, рис. 4; Гроссг. I. с. (1945) 201; Фл. Арм. I. с. табл. XII (sub. *B. parviflora*); Fl. Rep. Pop. Române II (1953) 81, Pl. 9, fig. 4, 4a; Фл. на Българ. III (1966) 303, табл. XL, фиг. 3, 3а-3г.

⊙. ან ⊙. ღერო 15—50 სმ სიმაღლისაა, მარტივი ან ზედა ნაწილში დატოტილი, შიშველი ან ქვედა ნაწილში ხაოიანი; ფოთოლი ვიწრო-ხაზურია, ღეროზე მიწოლილი, ფუძეში გაფართოებული, მოკლე ვაგინალ შეზრდილი, 3-ძარღვიანი, ვიწრო სიფრიფანა არშიით მოვლებული, არშია კიდის გაყოლებაზე წამწამებიანია. ყვავილები დამოკლებულ, მტევნისებრ ყვავილედებადა შეკრებილი, რომლებიც თავის მხრივ ვიწრო საგველას ქმნის, თანაყვავილები ლანცეტა-სადგისისებრია, 3-ძარღვიანი, ფართო სიფრიფანა; ყვავილის ყუნწები მოკლე ჯაგრისებრ-ბეწვიანია; ჯამის ფოთოლი 4, მახვილწვერიანი, ლანცეტა, 3—5-ძარღვიანი, კიდეებზე სიფრიფანა, ჯამის შიგნითა ფოთლები გარეთა ფოთლებზე ოდნავ გრძელია; გვირგვინის ფურცელი 4, თეთრი, წვერში არა-ღრმად და არათანაბრად ამოკვეთილკბილებიანი, ჯამის შიგნითა ფოთლის სიგრძის 2/3-ის ტოლია; კოლოფი უკუკვერცხისებრია, ჯამის ფოთლებზე მოკლე. თესლი ორია, კიდეზე წაწვეტებული ბორცვებით. VII—IX. 2n=16.

აწერილია ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან და ესპანეთიდან. «Habitat in Anglia, Galia, Hispania».

იზრდება ლორღიან ფერდობებზე ტყის ქვედა სარტყელში.

საქ. სსრ: 8 — სამხრ.-ოს.; სტალინირი (აბრამოვი); 9 — ქართ.: იბერია (ვილქელმსი); თბილისი, ბოტანიკური ბაღი (კენივი). (რუკა 11).



რუკა 11

1. *Bufonia tenuifolia* L.
2. *Lepyrodiclis holosteoides* (C. A. Mey.) Fenzl ex Fisch. et Mey.

სსრკ: ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ. (ყირიმი, შავი ზღვ. სანაპ.).
საერთო გავრცელ.: ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.

გვ. 60 7. LEPYROD'CLIS FENZL*

ჯამის ფოთოლი 5 (იშვიათად 6—7), თავისუფალი. გვირგვინის ფურცელი 5, მთლიანი ან წვერში არაღრმა ამონაკვეთით. მტკრიანა 7—10. მტკრის მარცვლი სფეროსებრია, ღარსმოკლებული, 26—30 მცირე ზომის გაფანტული ფორით; ფორის მემბრანა მარცკლოვანია; ეგზინის ზედაპირი მიმოფანტულ-ბორცკოვანია. სვეტი 2—3. კოლოფი სფეროსებრია, იხსნება ძირამდე 2—3 საგდულით. ნასკვი 1-ბუდიანია, 1—3 თესლით. — ერთწლოვანი, მაღალი, ძლიერ დატოტვილი ბალახებია მოგრძო სამკუთხა ან ხაზურ-ლანცეტა ფოთლებით.

გვარში შემავალი რამდენიმე სახეობიდან, რომლებიც გავრცელებულია ხმელთაშუაზღვეთის აღმოსავლეთით და აზიაში ჰიმალაიმიდე, საქართველოში გვხვდება ერთი სახეობა.

1. *L. holosteoides* (C. A. Mey.) Fenzl ex Fisch et Mey. Enum. Pl. Nov. Schrenk 1 (1841) 93; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 359; Boiss. Fl. Or. I (1867) 668; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 388; Горшкова во Фл. СССР VI (1936) 480; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 201; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 231 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 539; Ахундов во Фл. Азерб. III (1952) 295; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 53; McNeill, Notes Roy. Bot. Gard. Edinb. 24, 3 (1963) 401; Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 68; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 223 (georg.). — *Gouffea holosteoides* C. A. Mey. Verz. Pfl. Cauc. (1831) 217. — *Arenaria holosteoides* (C. A. Mey.) Edgew. in Hook. Fl. Brit. Ind. I (1874) 241.

Is.: Фл. СССР I. с. табл. XXVI, рис. 3; Гроссг. I. с. (1945) 213, табл. 20, рис. 1, 1a.

⊙. მცენარე ხასიათდება სუსტი, წამოწეული, ჯაგრისებრი ბეწვებით შებუსევილი, 30—100 სმ სიმაღლის ძლიერ დატოტვილი. ღეროებით; ფოთოლი მოგრძო-სამკუთხა ფორმისაა, გრძლად წაწვეტებული წვერით, კიდეებზე მოკლე ჯაგრისებრი ბეწვებით. ყვავილენი მრავალყვავილიანია, გაფარჩხულ საგველასებრი; ყვავილის ყუნწი ჯამზე გრძელია, სქლადაა შებუსევილი ჯაგრისებრი ბეწვებით და ჯირკვალა ბუსუსებით, დაყვავილების შემდეგ ქვევითკენაა გადაღუნული; ჯამის ფოთლები ვიწრო კვერცხისებრია, კიდეებზე ვიწრო სიფრიფანა არაა; გვირგვინის ფურცლები თეთრია ან მოვარდისფრო, ჯამზე 1,5-ჯერ გრძელი, უკუ-კვერცხისებრი, წვერში არაღრმა ამონაკვეთით ან მთლიანი. კოლოფი სფეროსებრი-მომრგვალოა, იხსნება ძირამდე 2—3 საგდულით; თესლი 1—3-ია, თირკმლისებრი-მომრგვალო, ზედაპირი მოფენილია წვრილი წაწვეტებული ბორცვებით. IV—VII.

Typus: «In montibus Talusch prope pagum Swant, C. A. Meyer». ჰოლოტიპი ლენინგრადშია (LE), იზოტიპი ვეტინგენში (GOET).

იზრდება ტენიან ადგილებში მდინარეთა ნაპირებზე, ნათესებში, ბოსტნებში, მდელოებზე, ტყისა და სუბალპურ სარტყელში.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: კოზლოვსკის მიერ შეგროვებული მასალა: ბორჯომი, პეტრეს ციხის მიდამოები; ბაკურიანი, ცხრაწყარო, ალათუბანი; 16 —

* დაამუშავა ც. ლენინაშვილი

თრილა.: წალკა, ბაშკოი (ზედელმეიერი); დიდი გომარეთი (ტროიცი); მემელა, სოფელი (იგივე); 18 — ჯავახ.: ტაბაწყურის ტბასთან (კოზლოვსკი); აბული (მაყაშვილი); ყუმურდო (ღვინიაშვილი); კარწახი (იგივე); ტბა ხანჩალი (ზედელმეიერი), (რუკა 11).

სსრკ.: ამიერკავკ.: აზერბ. (ლენქორანი), სომხ.; შუა აზ.

საერთო გავრცელ.: მც. აზ.; არმ.-ქურთ.; ირ.; ცენტრ. აზ.

გვარი 8. QUERIA LOEFL*.

ჯამის ფოთოლი ჩვეულებრივ 5, შებუსვილი, განცალკევებული; უნაყოფო ყვავილებს 2 ჯამის ფოთოლი აქვს; გვირგვინის ფურცელი 5, ხაზური, ძირში გაფართოებული, მტვრიანა 10. მტვრის მარცვალი სფეროსებრია, ღარსმოკლებული, 10—12 გაფანტული ფორით; ფორა ვიწროარხიანია, ფორის მემბრანა მარცვლოვანია; ეგზინის ზედაპირი ბორცვოვანია. სვეტი 3, ნასკვი 1-ბუღიანია, 1 თესლკვირტით. კოლოფი იხსნება შუამდე სამი საგდულით. თესლი თირკმლისებრია, გვერდებზე შებრტყელებული, ჰიპთან ნისკარტისებრი გამონაზარდით, ზურგზე (ზოგიერთ ნაწილში) ქიცვისებრი გამონაზარდებითაა. — პატარა ზომის ერთწლოვანი მცენარეებია. ყვავილები შეკრებილია მკვირვ თავაკისებრ ყვავილელებად; თანაყვავილები ფუძესთან კვერცხისებრია, კიდებზე სიფრიფანა, წვერისკენ წარზიდული მახვილ წვეტად.

მონოტიპური გვარია. გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისა, წინა და შუა აზიაში.

1. *Q. hispanica* L. Sp. Pl. I (1753) 90; Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 90; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 341; Boiss. Fl. Or. I (1867) 688; Гросср. Фл. Кавк. II (1930) 389; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 481; Гросср. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 202; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 231 (georg.); Гросср. Опред. раст. Кавк. (1949) 539; Макашвили, Фл. окр. Тбилиси I (1952) 186 (georg.); Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 54; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 224 (georg.). — *Querezia hispanica* L. Sp. Pl. I (1753) 89 (cancelled page). — *Alsine hispanica* (L.) Fenzl *Verbreit. Vertheil. Alsin.* (1833) tab. ad. p. 46. — *Minuartia hamata* (Haußkn.) Mattf. *secund. McNeill in Davis, Fl. Turkey* 2 (1966) 56. — *M. hamata* Mattf. in Engl. Bot. Jahrb. LVIII, Beibl. 126 (1921) 29 (sine comb.). — *Scleranthus hamatus* Haußkn. in Mitt. thür. Bot. Ver. IX (1890) 17.

Is.: Гросср. l. c. (1945) табл. 20, рис. 3—3а; Фл. Арм. l. c. табл. XIX.

Exs.: Herb. Fl. URSS n° 2852; Herb. Fl. Cauc. n° 172.

©. მცენარე მომწვანო-მონაცრისფრო ფერისაა, ღერო ძირიდანვე დატოტვილია, 3—12 სმ სიმაღლისაა, ხუჭუჭა ბეწვებით შებუსვილი; ფოთოლი პატარა ზომისაა, ხაზურ-სადგისისებრი, 5-ძარღვიანი, ფუძესთან შეზრდილი. ყვავილები შეკრებილია თავაკისებრ ყვავილედად, ძლიერ დამოკლებული ტოტებით; ქვედა მხრიდან ყვავილედს მკიდროდ ეკვრის ყვავილედის ძირში განვითარებული თანაყვავილები, რომლებიც ფუძესთან კვერცხისებრი ფორმისაა, კი-

* დაამუშავა ც. ღვინიაშვილმა

დედებზე ფართო სიფრიფანა, წვერში კი მახვილ წვეტადაა წარზიდული, ლვიანი; ყვავილის ძირში განვითარებული თანაყვავილები ვიწროა, გრძლად წაწვეტებული, წვერში მოკაუჭებული (გარეთეენი); დიქაზიუმის ცენტრალური ყვავილები ნაყოფიანია, მათი ორი ჯამის ფოთოლი, რომლებიც შემდგომ მაგრდება, კაუჭისებრია, 3-მარლიანი; გვერდითი ყვავილები უნაყოფოა და აქვთ 2 ჯამის ფოთოლი. V—VII.

აწერილია ესპანეთიდან. «Habitat in Hispania». ტიპი დაცულია ლონდონში.

იზრდება ველების, ნახევრადუდაბნოს და მთის ქვედა ტყის სარტყლებში; გვხვდება ველებში, მშრალ, ქვიან ფერდობებზე, კლდეებზე, გვერძიანებში, ჯავრციხილნარებში, ფიჭვნარებში.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირო, სლესის ციხის მახლობლად (ხინთიბიძე); ზორჯომის მიდამოები, ჭობის-ხევი (კოზლოვსკი); ბაკურიანი (იგივე); მდ. ტანას ხეობა, ატენი (ვორონოვი; ქუთათელაძე, შხიანი, ხინთიბიძე, მცხეთაძე); მდ. ტანას მარცხენა სანაპირო, სოფ. ბოშურთან (ქუთათელაძე, შხიანი, ხინთიბიძე, ლვინიანიძე); მდ. თეძამის მარჯვენა სანაპირო (ქუთათელაძე, შხიანი, ხინთიბიძე, მცხეთაძე); მდ. თეძამის მარცხენა სანაპირო, რკონის მიდამოები (ქუთათელაძე, შხიანი, ხინთიბიძე, ლვინიანიძე); არმაზის ხევი (შიშკინი); მცხეთა (ლიპსკი; სოსნოვსკი); მთა საყენჭა (შიშკინი); ქედი ლისის ტბის მარჯვნივ (იგივე); ტფილისი (ვილჰელმსი; რადე; ლიპსკი; შიშკინი; სმირნოვი; პაგირევი); მახათას მთა (სოსნოვსკი; კოზლოვსკი); თბილისი, ვერა (სოსნოვსკი); ხუდადოვის ტყე (ზედელმეიერი); თბილისი, ბოტანიკური ბაღის მიდამოები (ვორონოვი; სოსნოვსკი); თელეთი (მედვედევის პერბარიუმიდან; ზედელმეიერი; ქუთათელაძე, მცხეთაძე); კრწანისსა და ხატის თელეთს შორის (შიშკინი); სოლანლული (რუპრეხტი); მთა იაღლუჯა (შიშკინი); 14 — გარე კახ.: დავით გარეჯის მონასტრის ახლოს (ხინთიბიძე); 18 — ჯავახ.: ახალქალაქი (გროსპეიმი); ტბა ხოზაპინის მიდამოები, სოფ. კარწახი (ლვინიაშვილი); 19 — მესხ.: ახალციხესა და აწყურს შორის (სოსნოვსკი); მდ. ფოცხოვის მარცხენა სანაპირო, ახალციხის მიდამოები (ხინთიბიძე); მდ. ურაველის მარცხენა სანაპირო, ურაველის მიდამოები (ხინთიბიძე, ლვინიაშვილი); ასპინძის მიდამოები (ქიქოძე). (რუკა 12).


სსრკ: იმერკავკ.: ევრ. ნაწ. (ყირიმი); ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.

საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ.; ბალკან.; მც. აზ.: არმ.-ქურთ.; ირ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: *Queria hispanica* L. პაბიტუსით რამდენადმე გავს გვარ *Minuartia* L.-ს ზოგიერთ წარმომადგენელს [მაგ.: *M. sclerantha* (Fisch. et Mey.) Thell., *M. dichotoma* L.]. ფენცილი (Fenzl l. c.) და მატფელდი (Mattfeld l. c.) აღნიშნულ მცენარეს აკუთვნებდნენ გვარ *Minuartia* L. (*Alsine* L.)-ს. ჰოლიდის (Halliday) „ევროპის ფლორაში“ და მაკნილს (McNeill) „თურქეთის ფლორაში“ *Queria hispanica* *Minuartia hamata* (Hauusskn.) Mattf.-ს სახელწოდებით მოკავთ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მონოტიპურ გვარ *Queria*-სათვის დამოუკიდებლობა შენარჩუნებულ უნდა იქნას, რადგან *Queria*-ს ნასკვში მხოლოდ ერთი თესლკვირტი ვითარდება (და არა მრავალი, როგორც ეს *Minuartia*-ს წარმომადგენლებში);

კოლოფი ერთთესლიანია, აქვს თხელი კედელი და იხსნება სამი საგდულოთ მხოლოდ ლოდ შუამდე (*Minuartia*-ს წარმომადგენლების კოლოფში მრავალი თესლია და კოლოფი იხსნება ძირამდე); *Q. hispanica*-სათვის დამახასიათებელია ისიც, რომ ნაყოფი ცვივა ყვავილის ნაწილებთან ერთად.



რუკა 12 *Queria hispanica* L.

გვარი 9. *MINUARTIA* L.

ჯამის ფოთლები 5, განცალკევებული; გვირგვინის ფურცლები 5, მლლიანი; სვეტი 3, უფრო იშვიათად 5, გამონაკლისის სახით 4—6. კოლოფი იხსნება ძირამდე საგდულებად, რომელთა რიცხვიც სვეტების რიცხვის ტოლია. — სქელ ან ფაშარკორდიანი მრავალწლოვანი მცენარეებია, ან პატარა ზომის ერთწლოვანებია, ვიწრო, უმთავრესად ხაზური ან სადგისისებრი ფოთლებით.

მტერის მარცვლი (*M. hybrida*, *M. imbricata*, *M. aizoides*, *M. oreina*, *M. lineata*, *M. caucasica*, *M. weisnerii*, *M. intermedia*-ს მიხედვით) სფეროსებრია, ლარსმოკლებული, 10—12 გაფანტული ფორით; ფორის მემბრანა და ეგზინის ზედაპირი ბორცვოვანია.

- | | |
|---|---------------------------------------|
| 1. ჯამის ფოთლები ბლავგია | 2 |
| — ჯამის ფოთლები მახვილწვერიანია ან წაწვეტებული | 9 |
| 2. თესლი კიდის გაყოლებაზე ფოჩიან-წამწამებიანია, ცოტად თუ ბევრად სქელკორდიანი მცენარეებია; საყვავილე ყლორტები არ განიჩევიან უნაყოფო ყლორტებისაგან | 3 |
| — თესლი გლუვია, კიდის გაყოლებაზე ფოჩიან-წამწამებიანი ქობა არა აქვს, საყვავილე ყლორტები განსხვავდება უნაყოფო დამოკლებული ყლორტებისაგან, რომლებიც ფოთლების სქელ როზეტს ქმნიან | 8 |
| 3. ჯამის ფოთლები მუქი წითელი ფერისაა; სვეტი 5 (იშვიათად 4—6). კოლოფი 5 (იშვიათად 4—6) საგდულიანია. ჯამის და ყვავილის ყუნწი ჯირკვალა ბეწვიანია | 1. <i>M. rhodocalyx</i> (Alb.) Woron. |

* დაამუშავა ა. ხარაძემ



- ჯამის ფოთლები მწვანეა; სვეტი 3 (იშვიათად 4). კოლოფი 3 (იშვიათად 4) საგდულიანია 4
- 4. მცენარე ქმნის სქელ ბალიშისებრ კორდს; ჩვეულებრივ კორდში ჩამალული ან ამოყოფილი ყვავილებითა და ნაყოფებით 6. **M. Trautvetteriana** Sosn. et Char.
- მცენარე ცოტად თუ ბევრად სქელკორდიანია, არ ქმნის მკვრივ ბალიშს; უნაყოფო ყლორტები გართხმულია ან წამოწეული, საყვავილე ყლორტები კი წამოწეულია 5
- 5. გვირგვინის ფურცლები და კოლოფი ჯამის ტოლია ან ოდნავ აღემატება მას; ჯამის ფოთლები წვერში ჩაზნექილია 3. **M. inamoena** (C. A. Mey.) Woron.
- გვირგვინის ფურცლები და კოლოფი ჯამის ფოთლებზე გრძელია 1 1/3-დან 2 1/2-ჯერ; ჯამის ფოთლები წვერში ბრტყელია 6
- 6. ჯამის ფოთლების ძარღვები შეუმჩნეველია; ჯამის ფოთლები კვერცხისებრმოგრძოა ან ნიჩბისებრი. კოლოფი კვერცხისებრია და ჯამის ფოთლებზე 1 1/2-ჯერ გრძელია. ფოთოლი შეუმჩნეველი ძარღვებითაა, მოსქელო, ზევიდან ბრტყელი, ქვევიდან ამოზნექილი, წვერში ბლაკვი; ღერო ქვედა ნაწილში ხევდება 5. **M. Brotherana** (Trautv.) Woron.
- ჯამის ფოთლები სამძარღვოვანია. ფოთოლი 1-ძარღვიანი ან არამკაფიოდ 3-ძარღვიანი, გასქელებული არ არის, ოდნავ მახვილწვერიანია; ღერო არ ხევდება 7
- 7. ყვავილები მილისებრია; ჯამის ფოთლები ლანცეტაა. კოლოფი ცილინდრულკონუსურია, ძირთან შევიწროებული, ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელი, მცენარე ხასიათდება უხეში ღეროებითა და ფოთლებით 2. **M. ibricata** (Bieb.) Woron. s. str.
- ყვავილები ძაბრისებრია; ჯამის ფოთლები კვერცხისებრია ან მოგრძო ნიჩბისებრი, კოლოფი კონუსურია, გაფართოებული ძირიდან თანდათანობით ვიწროვდება; წაგრძელებულია წვერისაკენ, 2—2 1/2-ჯერ აღემატება ჯამს. ღეროები და ფოთლები არ არის უხეში და პრილაა 4. **M. colchica** Char.
- 8. ჯამის ფოთლები 4—7 მმ სიგრძისაა; გვირგვინის ფურცლები ჯამის ფოთლებზე 1 1/2-ჯერ გრძელია. ცოტად თუ მეტად სქელკორდიანი მცენარეა; დამოკლებული უნაყოფო ყლორტებით 7. **M. circassica** (Albow) Woron.
- ჯამის ფოთლები სიგრძით 4 მმ-მდეა; გვირგვინის ფურცლები ჯამის ფოთლების ტოლია ან მათზე ოდნავ გრძელი. სქელკორდიანი მცენარეებია, რომლებიც ხასიათდება წაგრძელებული მხოზავი უნაყოფო ყლორტებით და წამოწეული საყვავილე ღეროებით 8. **M. aizoides** (Boiss.) Bornm.
- 9. მრავალწლოვანია 10.
- ერთწლოვანია 18.
- 10. ჯამის ფოთლები 5—9 ძარღვიანია; ყვავილენი 3—15 ყვავილიანია, ფარისმაგვარ-საგველასებრია. სქელ ან ფხვიერკორდიანი მცენარეა;



- ფოთოლი ვიწრო-ხაზურია, მახვილწვერიანი და შეუმჩნეველი ძარღვი-
 ბით ხასიათდება 13. *M. oreina* (Mattf.) Schischk.
- ჯამის ფოთლები 3-ძარღვიანია ან 1-ძარღვიანი 11.
11. ჯამის ფოთლები 1-ძარღვიანია ან 3-ძარღვიანი და ხასიათდება ცო-
 ტად თუ ბევრად ფართო თეთრი ხრტილისებრი კიდით 12.
- ჯამის ფოთლები 3-ძარღვიანია, თეთრი, ხრტილისებრი კიდე არა აქვს
 15
12. ჯამის ფოთლები ძირში მკაფიოდ 3-ძარღვიანია, ზურვის გაყოლებაზე
 ოდნავ ჯიჯვალბუსუსებია, 4—5 მმ სიგრძისაა, ფხვიერ-კორდიანი
 მცენარეა 14. *M. abchasica* Schischk.
- ჯამის ფოთლები 1-ძარღვიანია, შიშველი, 2 მწვანე ზოლით ზურგზე
 და ფართო თეთრი კიდით 13.
13. ჯამის ფოთლები 2,5—3,5 მმ სიგრძისაა, სქელკორდიანი მცენარეა
 აღმავალი დატოტვილი ლერობით, რომლებიც ქვედა ნაწილში ხევდება
 16. *M. micrantha* Schischk.
- ჯამის ფოთლები 3,5—5,5 მმ სიგრძისაა 14.
14. ჯამის ფოთლები 3,5—5 მმ სიგრძისაა, თესლი კიდის გაყოლებაზე
 მახვილბორცვებია, ფხვიერკორდიანი მცენარეებია
 15. *M. Buschiana* Schischk.
- ჯამის ფოთლები 4—5,5 მმ სიგრძისაა. თესლი გლუვია ან წვრილ-
 ბლაგვბორცვებია. ძირთან უფრო სქელკორდიანი მცენარეებია . . .
 17. *M. Woronowii* Schischk.
15. ჯამის ფოთლები 3—4 მმ სიგრძისაა; გვირგვინის ფურცლები ჯამის
 ფოთლების ტოლია ან ოდნავ აღემატება მათ. ფოთოლი ვიწრო-ხაზუ-
 რია ან სადგისისებრი, 3-ძარღვიანი
 12. *M. verna* (L.) Hiern.
- ჯამის ფოთლები დაახლოებით 4—6 მმ სიგრძისაა; გვირგვინის ფურ-
 ცლები სიგრძით 1 1/2—2 1/2-ჯერ აღემატება ჯამის ფოთლებს. ფო-
 თოლი ბრტყელია, ხაზური 3-ძარღვიანი 16.
16. ყვავილედ 2—3-ყვავილიანია, მოთავსებულია ყუნწზე, რომელიც
 ცოტათი აღემატება ჯამს, ფოთოლი ხეშეშია; ლერო ქვედა ნაწილში
 ხევდება 11. *M. lineata* C. A. Mey. ex Bornm.
- ყვავილის ყუნწი მრავალჯერ აღემატება ჯამს. ლერო ქვედა ნაწილში
 არ ხევდება 17.
17. ყვავილედ 2—5-ყვავილიანია; ჯამის ფოთლები ლანცეტა, გრძლად
 წაწვეტებული, თესლი 0,4 მმ სიგრძისაა
 9. *M. Biebersteinii*(Rupr.) Schischk.
- ყვავილის ყუნწი 1, უფრო იშვიათად 2; ჯამის ფოთლები კვერცხი-
 სებრ-ლანცეტა, მახვილწვერიანი. თესლი 1 მმ სიგრძისაა
 10. *M. subuniflora* (Alb.) Woron.
18. ჯამის ფოთლები 3—3,5 მმ სიგრძისაა; ყვავილის ყუნწი 2—4-ჯერ
 აღემატება ჯამს. ფოთოლი ძირში 3-ძარღვიანია
 21. *M. hybrida* (Vill.) Schischk.



- ყვავილები თითქმის მჯდომარეა ან მოთავსებულია ყუნწებზე, რომლებიც ჯამს არ აღემატება. ფოთოლი ძირში 5—9 ძარღვიანია . . . 19.
- 19. ჯამის ფოთლები 3-ძარღვიანია; 5—7 მმ სიგრძის; ყვავილის ყუნწი 3—4 მმ სიგრძისაა. ყვავილენი საგველასებრ დატოტვილია. ფოთოლი 5—9-ძარღვიანია 18. **M. Akinfiewii** (Schmalh.) Woron.
- ყვავილები მჯდომარეა, ან თითქმის მჯდომარე 20
- 20. ყვავილები შეკრებილია კონებად, რომლებიც ქმნიან მტევნისებრ ყვავილედს; ჯამის ფოთლები 4—5 მმ სიგრძისაა, 3 ძლიერ ამოწეული ძარღვით, ძირთან წაკვეთილია 20. **M. intermedia** (Boiss.) Hand.-Mazz.
- ყვავილები შეკრებილია სქელ თავაკისებრ კონებად; ჯამის ფოთლები 5—7 მმ სიგრძისაა, 3-ძარღვიანია, არათანატოლი, ძირთან წაკვეთილი არ არის 19. **M. Wiesneri** (Strapf) Schischk.

Sect. I. Spectabiles (Fenzl) Hayek, Fl. Steierm. I (1908) 274; McNeill, Not. Roy. Bot. Gard. Edinb. XXIV, 2 (1962) 140. — Alsine Spectabiles Fenzl in Endlicher, Gen. Pl. (1840) 965. — Alsine Sect. Spectabiles (Fenzl) Fenzl in Ledebour, Fl. Ross. I (1842) 352.

მრავალწლოვანებია, ჯამი ცილინდრულია; ჯამის ფოთლები წვერში მოზღაგვოა, ყვავილობის დროს ზემოთაა აღმართული. ფოთლები ბრტყელია ან ოდნავ ცილინდრული.

Lectotypus: *M. biflora* (L.) Schinz et Thell. sec. McNeill, l. c.

Subsect. 1. Laricinae (McNeill) Charadze — Laricinae Mattf. in Fedde Repert. Bieb. XV (1922) 182. — Subsect. Spectabiles Series Laricinae McNeill l. c. (1962) 140.

თესლები კილის გაყოფებით ფოჩიან-წამწამებიანია.

Lectotypus: *M. Laricina* (L.) Mattf.

Series 1. Rhodocalyces Char. ser. n. in Addenda—Laricinae Mattf. in Feddes Repert. Beih. XV (1922) 182; — Series Laricinae McNeill. l. c. (1962) 140 p.p.

სვეტები 5 [4]; ნაყოფი იხსნება 5 [4] ტიხრით, მხოხავი ყლორტების ფოთლები ჯგუფ-ჯგუფადაა შეკრებილი.

©. 1. **M. rhodocalyx** (Alb.) Woron. Опред. раст. Кавк. и Кр. II, 2 (1914) 180; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 394; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 514; Харадзе, Тр. Тбил. Бот. Инст. II (1938) 196; Колак. Фл. Абх. II (1939) 96; Гроссг. Фл. Кавк. 2, II (1945) 211; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 235 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 451; Колак. Растит. мир Колх. (1961) 179; V. Parava, Specim. Authent. (1962) 44; McNeill in Not. Roy. Bot. Gard. Edinb. vol. XXIV n° 3 (1963) 325; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 224 (georg.). — *Alsine rhodocalyx* Alb. in Bull. Herb. Boiss. II, 4 (1894) 255; Alb. Prodr. Fl. Colch. (1895) 35.

Ис.: Колак. l. c. (1939) Табл. VI, 3; Колак. l. c. (1961) рис. 28; Фл. Груз. l. c. (1947) рис. 109.


4. ფხვიერკორდიანი მცენარეა; ღერო მრგვალია, მხოხავი, დამოკლებული უნაყოფო ყლორტებზე ფოთლების კონებით და წამოწეული საყვავილე ღეროებით, ძირში შიშველი, გახევებული, ზედა ნაწილში მოკლებუწვიანი;

ფოთლები მოსქელო; სადგისისებრი, ძირში კიდის გაყოლებაზე გრძელ-წამწამებიანი: ყვავილის ყუნწი ჭირკვალბეწვებიანია, 1—2 ყვავილიან: თანყვავილები ლანცეტაა; ჭირკვალბეწვებიანი, ჯამის ფოთლები ბლაგვია, მოგრძო-ელიფსური ან მოგრძო ნიჩბისებრი, მუქი წითელი ფერის, კიდის გაყოლებაზე ფართო-სიფრიფანა, შეუმჩნეველი ძარღვებით, 5—6 მმ სიგრძის, ჭირკვალბეწვებიანი; გვორგვინის ფურცლები ლანცეტა-ნიჩბისებრია, 1 1/2-ჯერ აღემატება ჯამს; სვეტი უმეტესად 5, იშვიათად 4—6. კოლოფი წაგრძელებულ-კვერცხისებრია, გაფართოებული, ჯამზე 1 1/2—2-ჯერ უგრძესი, 8—9 მმ სიგრძის, 5 საგდულიანი, უფრო იშვიათად 4—6-საგდულიანი; თესლი კიდის გაყოლებაზე ფოჩიან-წამწამებიანია. VII—IX (სურ. 14).

Typus: აწერილია მთა ფიშტიდან «M. Fisch, ad rapes region. alpin. N. A». ნიბი ჟენევაშია დატული (G) იზოტიპი — საქართველოს მუზეუმში (TGM) და ლეტინგრაღში (LE).

იზრდება კირქვიან ჩამონახვავებზე 1550—2500 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. იშვიათად არაკირქვიან სუბსტრატზე (მარუხი პ. კოლაკოვსკის მიხედვით 1961 წ.).

საქ. სსრ. 1— აფხ.: გავრის მასივი, მთა არბიკა (ვორონოვი); მთახიკა (ხარაძე); მთა არბიკა (სახოკია; ღვინიაინიძე, მცხეთათმე). (რუკა 13).



რუკა 13 1. *Minuartia rhodocalyx* (Alb.) G. Woron.
2. *M. Trautvetteriana* Sosn. et Char.

სსრკ: იმიერკავკ.; კავკასიონის დას. ნაწ. (ფიშტი-ოშტენი, დიდი ურუმ-ტენის მყინვარი).

Series 2. *Imbricatae* Char. ser. n. in Addenda

სვეტი 3 [4]; ნაყოფი 3 [4] ტიხრით იხსნება. ფოთლები ჭკუფჭუფად შეკრებილი არ არის.

Typus: *M. imbricata* (Bieb.) Woron.

2. *M. imbricata* (Bieb.) Woron. s. str. Определ. раст. Кавк. и Кр. II, 2(1914) 179 p.p.; Mattf. Repert. Beih. XV (1922) 96 p.p.; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 394; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 514 p.p.; Харაძე, Тр. Тбил. бот. инст. II (1938) 197; Колак. Фл. Абх. II (1939) 95 p.p.; Гроссг. Фл. Кавк.

2, III (1945) 211; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 211 (georg.); Гросс-Опред. раст. Кавк. (1949) 541; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 304; Шиник и Авет. во Фл. Арм. 2 (1956) 71; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 317; McNeill, Not. Roy. Bot. Gard. Edinb. XXIV, 3 (1963) 327; McNeill in Davis, Fl. Turk. 2 (1967) 44; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 225 (georg.).— *Arenaria imbricata* Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 344 et III (1819) 308; DC. Prodr. I (1824) 403. — *Alsine imbricata* C. A. Mey. Verz. Pflanz. (1831) 217; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 352 p.p.; Boiss. Fl. Or. I (1867) 672 p.p; Rupr. Fl. Cauc. I (1869) 206 p.p.:— *A. macrocarpa* var. *imbricata* Regel, Bull. Soc. Natur. Mosc. XXXV, I (1862) 239.— *A. ciliata* Schmalh. Ber. Deutsch. Bot. Ges. X (1892) 287 p.p. non (L.) Crantz (1766).

Is.: Regel l. c. Tabl. VIII fig. 12, 13; Фл. Груз. l. c. рис. 110; Фл. Арм. l. c. Табл. XIX.

2. სქელი ან ფხვიერკორდიანი მცენარეა; ღეროები გართხვლია ან აღმავალი, ბეწვიანი, სქლად კრამიტისებრ შეფოთილი ან წაგრძელებული მუხლთშორისებით. 1-უფრო იშვიათად 2-ყვავილიანი; საყვავილე და უნაყოფო ყლორტები ხასიათდება დამოკლებული ყლორტების კონებით ფოთოლთა ილიებში; ფოთოლი 1-ძარღვიანი ან არამკაფიოდ 3-ძარღვიანი, ხაზური, ხაზურ-სადგისისებრი, სწორი ან ნამგლისებრ-გადახრილი ღეროდან, ცოტად თუ ბევრად უხეში, ძირში ან კიდის გაყოლებაზე წამწამებიანი ან შიშველი; ყვავილების ყუნწი ბეწვიანია ან მოკლებულსუსიანი; თანაყვავილები ლანცეტაა; ხაზურ-ლანცეტა, კიდებზე წამწამებიანი ან შიშველი. ყვავილები მილისებრია; ჯამის ფოთლები ლანცეტა ან ხაზური, წვერისაკენ ცოტაოდენ შევიწროებული ან მომრგვალებული, კიდებზე სიფრიფანა, არამკაფიოდ 3-ძარღვიანი, 4—8 მმ სიგრძის, ბეწვიანი ან მოკლებულსუსიანი; გვირგვინის ფურცლები მოგრძო-ნიჩბისებრია. ჯამზე 1 1/2—2-ჯერ გრძელი. კოლოფი 3-იშვიათად 4-საგდულიანია, ცილინდრულ-კონუსური, ძირში შევიწროებული, 1/3-ით 1/2-ით აღემატება ჯამს, 5—10 მმ სიგრძისაა; თესლი მომრგვალოა, სიგრძით 1 მმ-მდე, კიდებზე მოკლე-ფოჩიან წამწამებიანი. VI—IX.

Typus: «Caucasus circa Kobi, M. Bieb.» (LE).

აწერილია სამხედრო გზიდან (კობი), დაცულია ლენინგრადში.

იზრდება ღორიან ფერდობებზე, კლდეებსა და მორენებზე მთის შუა სარტყლიდან. სუბალპურსა და ალპურ სარტყელში 1500-მ-დან 3000 მ სიმაღლემდე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: 1 — აფხ.; 2 — სვან.; 3 — რაჭა-ლეჩხ.; 4 — სამეგრ.; 7 — აჭარა; 8. — სამხ. ოს.; 9 — ქართ. (თრიალეთის ქედი); 10 — მთიულ.; 11 — თუშ-ფშავ.-ხევსურ.

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ. აზერბ.: სომხ..

საერთო გავრცელ.: მც. აზ. (ჩრდილოეთ ანატოლია); არმ-ქურთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მეტად ცვალებადი სახეობაა, რომლისათვის რამდენიმე სახესხვაობა იყო აწერილი. საქართველოს ფლორის პირველ გამოცემაში მოყვანილია შემდეგი სახესხვაობანი: var. *glandulosa* Rupr., var. *svanica* Char., var. *typica* Rupr., var. *alpina* Rupr., var. *silvatica* Rupr., var. *denudata* Fenzl აღნიშნული სახესხვაობები უმეტეს შემთხვევაში ეკოლოგიურ ფორმებს წარმოად-

გენე და განსხვავდებიან კორდის სიმკვრივით, შებუსვის ხასიათის, ფოთლების ზომით და მათი ფორმის ცოტაოდენი ცვლილებებით.

©. 3. *M. inamoena* (C. A. Mey.) Woron. *Опред. раст. Кавк.* II, 2 (1914) 180; *Гроссг. Фл. Кавк.* II (1930) 394; *Харадзе, Тр. Тбил. Ботан. инст.* II (1938) 204; *Гроссг. Фл. Кавк.* изд. 2, III (1945) 212; *Харадзе во Фл. Груз.* III (1947) 237 (georg.); *Гроссг. Определ. раст. Кавк.* (1949) 541; *Карягин во Фл. Азерб.* III (1952) 304; *McNeill, Not. Roy. Bot. Gard. Edinb.* XXIV, 3 (1963) 326; *Харадзе в Определ. раст. Груз.* II (1969) 224 (georg.)—*M. imbricata* *Mattf. in Repert. Beiheft. XV* (1922) 196 p.p.; *Шишк. во Фл. СССР VI* (1936) 514 p.p.—*M. inamoena* var. *hirsuta* (Rupr.) *Charadze, Тр. Тбил. ботан. инст.* II (1938) 205; *Харадзе во Фл. Груз.* III (1947) 238 (georg.); *Гроссг. Фл. Кавк.* изд. 2, III (1945) 212. — *Alsine inamoena* C. A. Mey. *Verz. Pflanz. Cauc.* (1831) 218. — *Alsine macrocarpa* e. *inamoena* Regel, *Bull. Soc. Natur. Mosc.* XXXV, I (1862) 241.—*Alsine imbricata* f. *inamoena* (C. A. Mey.) Boiss. *Fl. Or.* I (1867) 673; *Rupr. Fl. Cauc.* I (1869) 207 (forma). — *Alsine imbricata* f. *hirsuta* Rupr. l. c. 207.

Is.: *Фл. Груз.* I. c. рис. 111.

4. მთელი მცენარე ცოტად თუ მეტად სქლად არის შებუსვილი გრძელი, რბილი, ტალღისებრი ბეწვებით, სქელკორდიანია; ღერო მრავალია, მხოხავი, 1—2-ყვავილიანი, სქლად შეფოთილი, ფოთოლი ილიებში კონისებრი, შემოკლებული ყლორტებით; ფოთოლი ვიწროა, ხაზურ-სადგისისებრი, ძირთან 1-ძარღვიანი; ყვავილის ყუნწები დამოკლებულია, ჯამის ტოლია ან მასზე მოკლე; ჯამის ფოთლები ვიწრო-ხაზურია ან ხაზურ-ლანცეტა, სიფრიფანა, წვერში კიდევ შეიგნით გადაღუნული, მოზღაგვო, 3-ძარღვიანი, 4—6 მმ სიგრძის; გვირგვინის ფურცლები მოკრძო-ელიფსური ფორმისაა; ჯამის ფოთლები ტოლია ან აღემატება მათ 1/2-მდე. კოლოფი 3-საგდულიანია, ჯამის ტოლია ან ოდნავ აღემატება მას; თესლი კიდევ ფოჩიან-წამწამებია. VII—VIII.

Typus: «In reg. alp. Cauc. occ. C. A. Meyer»

დაცულია ლენინგრადში (LE). აწერილია დასავლეთ კავკასიიდან.

იზრდება ლორლიან ფერდობებსა და უმთავრესად თიხიან-ლორლიან ჩამონახვავებზე სუბალპურ და ალპურ სარტყელში.

საქ. სსრ: 2—სვან.; 3—რაჭა-ლეჩხ.; 8—სამხ. ოს.; 10—მთიულ.; 11—თუშ-ფშავ-ხევსურ.; 12—კახ..

სსრკ: კავკასიონის ცენტრ. და აღმ. ნაწილის მაღალი მთები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილში ცოტა განსხვავებული ფორმა იზრდება, რომელიც საქართველოს ფლორის პირველ გამოცემაში მოყვანილია როგორც var. *hirsuta* (Rupr.) *Charadze* (*Alsine imbricata* var. *hirsuta* Rupr.). ის ხასიათდება ძალიან სქელი კორდით, დამოკლებული ფოთლის ილიებში არამკაფიოდ კონისებრი ღეროებით; შებუსვილია უფრო მეჩხერი მოკლე გაფარჩხული ბეწვებით.

4. *M. colchica* *Char.* *Тр. Тбил. Бот. инст.* II (1938) 206; *Колак. Фл. Абх.* II (1939) 95; *Гроссг. Фл. Кавк.* изд. 2, III (1945) 212; *Харадзе во Фл. Груз.* III (1947) 238 (georg.); *Гроссг. Определ. раст. Кавк.* (1949) 541; *Дмитр. Определ. раст. Адж.* (1960) 317; *McNeill. Not. Roy. Bot. Gard. Edinb.*



XXIV, 3 (1963) 327; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 225 (georg.). — *M. colchica* var. *Ruprechtii* (Somm. et Levier) Charadze, Тр. Тбил. бот. инст. II (1938) 206; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 212; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 238 (georg.). — *M. imbricata* (Bieb.) Woron. in Фомин. и Ворон. Опред. раст. Кавк. и Кр. II, 2 (1914) 179 p.p.; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 514 p.p. — *M. imbricata* var. *Ruprechtii* (Somm. et Levier) Grossh. Фл. Кавк. II (1930) 394; Колак. Фл. Абх. II (1939) 95. — *Alsine imbricata* f. *Ruprechtii* Somm. et Levier, Acta Horti Petropol XXVI (1900) 80.

Ис.: Фл. Груз. I. с. рис. 112.

4. ცოტა თუ მეტად სქელკორდიანია; ღეროები მრავალია, მხოხავი, დატოტილი, სქლად შეფოთილი, ბეწვებიანი; ფოთოლი ლანცეტაა, ხაზურ-ლანცეტა; ძირში ცოტად თუ მეტად, წამწამებიანი, ოდნავ მახვილწვერიანი, შიშველი, პრიალა, მკაფიოდ 1-ძარღვიანი ან 3-ძარღვიანი. ჯამის ფოთლები კვერცხისებრია ან მოგრძო-ნიჩბისებრი, ფართო სიფრიფანა, წვერში მობლაგვო, 3-ძარღვიანია, 3—5 მმ სიგრძის; ჯამი და ყვავილის ყუნწი ბეწვიანია; გვირგვინის ფურცლები უკუ-კვერცხისებრია, ძირთან შევიწროებული, ჯამზე 1 1/2-ჯერ უგრძესი, 5—8 მმ სიგრძის; კოლოფი 3-საგდულიანია, კონუსური, ძირში ცოტად თუ მეტად გაფართოებული, თანდათანობით ვიწროვდება წაგრძელებულ წვერად, ჯამზე 2—2 1/1-ჯერ უგრძესი, 6—9 მმ სიგრძის; თესლი მომრგვალოა, წერილი, სიგრძით 0,5 მმ-მდე, კიდეზე გრძელ-ფოჩიან-წამწამებიანი. VI—IX.

აწერილია დასავლეთ საქართველოდან. ლექტოტიბი არჩეულია სვანეთიდან, ლეჩხუბის მყინვარის მორენზე შეგროვებული საქერბარიუმო ნიმუშებიდან. ინახება თბილისში (TBI).

იზრდება კლდეებზე, მორენებზე, ღორღიან ხალებზე, დეკიანებს შორის ალპურ და ნივალურ სარტყელში, 3600-მ-მდე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: 1 — აფხ.; 2 — სვან.; 3 — რაჭა-ლეჩხ.; 4 — სამეგრ.; 5 — იმერ.; 6 — გურ.; 7 — აჭარა.

სსრ: იმიერკავკ. (დასავ. და ცენტრალ. ნაწილი).

საერთო გავრცელ. მც. აზ. (ჰანეთი).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ სახეობის ნივალური ფორმა აწერილი იყო როგორც var. *Ruprechtii* (Somm. et Levier) Charadze. —

მეტად სქელკორდიანია; ზედა ფოთლები და თანაყვავილები კვერცხისებრ-ლანცეტაა. ყველაზე მეტად ეს ფორმა უახლოვდება სუბნივალურ სახეობას *M. Trautvetteriana* Sosn. et Char.

იზრდება ზემო ალპურ და ნივალურ სარტყელში, ღორღიან ადგილებში. ცნობილია აფხაზეთსა და სვანეთიდან.


©. 5. *M. Brothiana* (Trautv.) Woron. in Фомин и Воронов, Опред. раст. Кавк. и Кр. II, 2 (1914) 179; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 394 p.p.; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 515 p.p.; Гроссг. 2, III (1945) 214 p.p.; McNeill, Not. Roy. Bot. Gard. Edinb. vol. XXIV n° 3 (1963) 326. — *M. imbricata* Mattf. Repert. Beihef. XV (1922) 196 p.p. — *M. Ruprechtiana* Char. Тр. Тбил. Ботан. инст. II (1938) 208; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 238 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 541. — *Alsine Brothiana* (Trautv.) Boiss. Fl. Or. Suppl. (1888) 112; Липский, Фл. Кавк. (1899)

250. — *A. imbricata* var. *obtusifolia* Rupr. Fl. Cauc. I (1869) 207. — *Stel-laria Brotherana* Trautv. Incrim. Fl. Ross. I (1882) 129.

4. სქელი ან ფხვიერკორდიანი მცენარე; ღეროები მრავალია, მოკლე-ბუსუსებიანი, ძირში გახევებული; ყლორტები აღმავალია, 1—2 ყვავილიანი; ფოთოლი ხაზურ-სადგისისებრია ან ხაზურ-მოგრბო, მობლაგვო, მოსქელო, ზემოდან ბრტყელი, ქვემოდან ამოზნექილი, კიდის გაყოლებაზე მოკლებეწ-ვებიანი ან შიშველი. შეუმჩნეველი ძარღვებით, დანაოჭებულია. თანაყვავი-ლები მოკლებუსუსიანი; ჯამის ფოთლები კვერცხისებრ-ელიფსურია ან ნიჩ-ბისებრი, მობლაგვო, კიდებზე სიფრიფანა, შეუმჩნეველი ძარღვებით, 3—6 მმ სიგრძის, მოკლებუსუსებიანი; გვირგვინის ფურცლები უკუ-კვერცხისებრ-ლანცეტაა; ჯამზე 2—2 1/2-ჯერ გრძელი. კოლოფი გაფართოებულია, კვერ-ცხისებრი, 3-საგდულიანი, საგდულები მობლაგვო წვერით, 6—9 მმ სიგრძის, ჯამის ფოთლებზე 1 1/2-მდე გრძელი. თესლი თირკმლისებრია, სიგრძით 1 მმ-მდე, კიდებზე გრძელფოჩიან-წამწამებიანი. VII—VIII. (სურ. 15,2).

Typus: «Alpe Kadlasen, ad. fl. Didi Liachva. A. H. et. V. F. Brotherus» აწერილია სამხრეთ ოსეთიდან. ტიპი დაცული იყო ლენინგრადში (LE), იზოტიპი ენევეშია (G).

საქ. სსრ: 8 — სამხ. ოს.: მდ. ლიხვის სათავე, (ბროთერუსი); მდ. დიდი ლიხვის სათავე (ხარაძე); 10 — მთიულ.: ყაზბეგი (რადდე); კობი — კლდეებ-ზე (ხარაძე); თრუსოს ხეობა, კასარის ხეობა (ხარაძე); მთა გულო (ხარაძე); მთა გულოს წვერი (აკინფიევი) (რუკა 14).



რუკა 14 1. *Minuartia Brotierana* Boiss. (= *M. Ruprechtiana* Char.)
2. *M. subuniflora* (A'b.) Woron.

შენიშვნა: ტიპი, რომელიც დაცული იყო ლენინგრადში ეპვს იწვევს და როგორც სჩანს შეცდომით არის დაკერებული ბროთერუსის ეტიკეტზე. ამ-გვარად ერთადერთი ტიპობრივი ეგზემპლარი ამჟამად ენევეშია დაცული. ტოპოტიპი შეგროვებული ა. ხარაძის მიერ, ინახება თბილისში ბოტანიკის ინს-ტიტუტის ჰერბარიუმში (TBI).

©. 6. M. Trautvetteriana Sosn. et Char. in Харадзе, Тр. Тбил. Бот. инст. II (1938) 210; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 239 (ge-82

org.); McNeill, Not. Roy. Bot. Gard. Edinb. vol. XXIV, n°3 (1963) 326; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 224 (georg.).— M. *Brotherana* auct. non Woron. (1911): Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 394 p.p.; Шинк. во Фл. СССР (1936) 515 p.p.; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 214 p.p.; Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 541 non M. *Brotherana* (Trautv.) Wor. — *Arenaria Brotherana* Trautv. *Increm. Fl. Ross. I* (1882) 127; Boiss. *Fl. Or. Suppl.* (1888) 115; Fomin in Фомин и Ворон. *Опред. раст. Кавк. и Кр. II, 2* (1914) 181.

Is.: Фл. СССР, I. с. Табл. XXVIII, 4.

2. მცენარე ქმნის სქელ ბალიშს; ღეროები ძირიდანვე სქლად კრამიტისებრ შეფოთლულია; ფოთლები პატარა ზომისაა, 2—3 მმ სიგრძის, კვერცხისებრ-ელიფსური ან კვერცხისებრ-მოგრძო ფორმის, წვერში მომრგვალებული, პრიალა, ცოტად თუ ბევრად მოსქელო, 1-ძარღვიანი ან 3-ძარღვიანი, კიდებზე სავარცხლისებრ-წამწამებიანი. ყვავილები მარტოულია, კორღში ჩაფლული ან ოდნავ გამოჩენილი; ჯამის ფოთლები კვერცხისებრია, წვერში მომრგვალებული, არამკაფიოდ 3-ძარღვიანი, ძირში წამწამებიანი, 2—3 მმ სიგრძის; გვირგვინის ფურცლები ჯამის ფოთლებზე 1 1/2-ჯერ გრძელია, უკუკვერცხისებრი, ლანცეტა-ნიჩბისებრი, ძირისაკენ წარზიდული ცოტად თუ მეტად გრძელ ფრჩხილად. კოლოფი კვერცხისებრ-კონუსურია, ძირთან გამობერილი, 3-საგდულიანი; საგდულების წვერი გარეთკენ არის გადაღუნული. თესლი ფოჩიან-წამწამებიანია. VII—VIII (სურ. 14,2).

Typus: «Ad fontes fl. Rion. prope Gurschevi, alt. 10000 ped. A. H. et V. F. Brotherus». აწერილია სოფ. ლურშევის მიდამოებიდან, — მამისონის უღელტეხილის მახლობლად, ზემო რაჭიდან. ინახება ლენინგრადში (LE), იზოტიპი — ინგლისში კიუს პერბარიუმში (K).

იზრდება ღორღიან ადგილებსა, კლდეებზე და მორენებზე, სუბნივალურ სარტყელში. აღწევს ნივალურ სარტყელს ან ზოგჯერ მორენებზე ალპურ სარტყელშიც გვხვდება.

საქ. სსრ: 2 — სვან.: ყინვ. ტვიბერის აუზი (ხარაძე); მწვ. თეთნულის სამხრ. ფერდობი (ხარაძე). 3 — რაჭა-ლეჩხ.: მამისონი (სმირნოვი) (რუკა 13).

სსრკ: იმიერკავკ. (კავკასიონის ცენტრალური ნაწილი).

Subsect. 2. *Laricifoliae* (Mattf.) McNeill l. c. (1962) 142. — *Minuartia* Sect. *Spectabiles Laricifoliae* Mattf. Feddes Repert. Beih. XV (1922) 182.

უნაყოფო ფოთლების ყლორტები ხშირად როზეტებადაა შეკრებილი; ფოთლები სადგისისებრ ხაზური ფორმისაა, ძირთან ბრტყელი აშკარად გამოსახული ნერვაციით. თესლებს ფოჩისებრი წამწამები არ ახასიათებს.

Lectotypus: *M. laricifolia* (L.) Schinz et Thellung McNeill l. c.

Ser. *Caucasicae* (Mattf.) McNeill l. c. (1962) 142. — *Caucasicae* Mattf. in Feddes Repert. Beih. XV (1922) 182.

ფოთლები ყლორტების ბოლოში ხშირ როზეტს ქმნის, ძირთან 3—5-ძარღვიანი.

Lectotypus: *M. caucasica* (Adams ex Rupr.) Mattf. in Aschers. et Grabn. Syn. Mitt.-Eur. Fl. V, 1 (1919) 941, nom. illegit.—*M. circassica* (Alb.) Woron. sec. McNeill, l. c. (1962).

7. *M. circassica* (Albow) Woron. in Фомин. и Ворон. Опред. раст. Кавк. и Кр. II, 2 (1914) 181; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 393; McNeill, Not. Roy. Botan. Gard. Edinb. XXIV n°3 (1963) 241; McNeill, in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 45. — *M. caucasica* (Adams ex Rupr.) Mattf. in Aschers. et Graebn. Syn. Mitt.-Europ. Fl. V, 1 (1919) 941; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 393; Шишк. во. Фл. СССР VI (1936) 509; Колак. Фл. Абх. II (1939) 95; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 210; Харадзе во Флоре Груз. III (1947) 239 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 541; Карягин, во Фл. Азерб. III (1952) 303; Шишк. и Авет. во Фл. Арм. 2 (1956) 71; Харадзе в Пред. раст. Груз. II (1969) 225 (georg.). — *M. pinifolia* Fom. in Фомин и Ворон. I. c. (1911) 181. — *Arenaria caucasica* Adams ex Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 354 pro syn. — *Alsine caucasica* Adams ex Rupr. Fl. Cauc. I (1869) 203, non Boiss. (1853). — *M. caucasica* (Adams) Mattf. var. *circassica* (Albow) Grossh. e. c. (1945) 211. — *Alsine pinifolia* auct. cauc. non *Arenaria pinifolia* Bieb. (1808), nec *Alsine pinifolia* (Bieb.) Fenzl (1833). — *Alsine pinifolia* β *robusta* Fenzl in Ledeb. I. c. 354. — *A. pinifolia* γ . *gracilis* Fenzl in Ledeb. I. c. 354 — *Alsine circassica* Alb. in Bull. Herb. Boiss. 2 (1894) 449.

24. სქელკორდიანი ან ფაშაკორდიანი მცენარეა, დამოკლებული სქლად შეფოთილი უნაყოფო ყლორტებით, რომლებიც ფოთლების როზეტს ივითარებენ; საყვავილო ყლორტები წამოწეულია ან აღმავალი 5—15 სმ სიგრძის, ზედა ნაწილში ჭირკვალა ბეწვებით შემოსილი; წვერში ივითარებს 3—5 ან მეტ ყვავილს; უნაყოფო ყლორტების ფოთლები გადახრილია ღეროდან ან ზემოთაა მიმართული, ვიწრო-ხაზურია, ან სადგისისებრ-ხაზური, ბრტყელი, ძირში 3-პარლვიანი, შიშველი, კიდევებზე მოკლენწამწამებიანი; ღეროსეული ფოთლები ძლიერ დამოკლებულია, მუხლთშორისებზე მოკლე. ყვავილები მოთავსებულია ჯამზე მოკლე ჭირკვალა-ბეწვიან ყუნწებზე; ჯამი 4—7 მმ სიგრძისა და ხასიათდება ხაზურ-მოგრძო, ბლაგვი, ჭირკვალა, 3-პარლვიანი, კიდევებზე ვიწრო სიფრთხანა ჯამის ფოთლებით; გვირგვინის ფურცლები ჯამზე 1 1/2—2-ჯერ გრძელია. კოლოფი ცილინდრულია, ჯამზე ცოტა გრძელი; თესლი კიდვზე გლუვია. VI—IX n=13 (sec. Favarger, 1962).

Typus: «Circassie, mt. Ochten, 2440 m 1893, Albow 298». დაცულია ბუასიეს პერბარიუმში, ეენევაში (G).

იზრდება ალპურ ხალეზზე, ღორღიან და კლდოვან ადგილებში, სუბალპურსა და ალპურ სარტყლებში 2500—3000 მ-ის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, აღწევს სუბნივალურ სარტყელს.

საქ. სსრ: ყველა მაღალმთიან რაიონში.

სსრკ: იმერკავკ.: ამიერკავკ.: სომხ.

საერთო გავრცელება მც. აზ. (ჭანეთი): არმ.-ქურთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ლიტერატურაში თავდაპირველად ეს სახეობა ცნობილი იყო *Arenaria pinifolia* M. Bieb.-ს სახელწოდებით, შემდგომ *Alsine pinifolia* Fenzl-ს სახელწოდებით, მაგრამ გამოირკვა (იხ. Шишкин Фл. СССР VI 1936 (510), რომ ეს სახელწოდება უფრო ადრე მიეცა მეორე არაკავკასიურ მცენარეს, რომელიც სახეობა *Minuartia capillacea* (Alb.) Graebn. წარმოადგენს.

შემდეგი ფართოდ გამოყენებული სახელწოდება *M. caucasica* (Adams)



Mattf. აგრეთვე პირველად *nomen nudum*-ის სახით იყო გამოქვეყნებული და შემდეგში დიაგნოზის გამოქვეყნების მომენტში უკვე ჰომონიმს წარმოადგენდა.

ამ სახეობის ირგვლივ შეიქმნა მეტად რთული სინონიმია, რომლის გადაწყვეტა იყისრა მონოგრაფმა McNeill-მა (I. c.) ერთადერთ შესაძლებელ პრიორიტეტულ სახელწოდებად აეტორს მიაჩნია ალბოვის მიერ მოპზენიდან აწერილი მცენარის სახელწოდება *Minuartia circassica* (Alb.) Woron. ეს უკანასკნელი სახეობის ერთ-ერთ უკიდურეს ფორმას უნდა წარმოადგენდეს, ჯირკვლავანი შებუხვით და მცირეყვავილიან საყვავილე ღეროებით, უფრო მცირე ზომის (4—5 მმ-მდე) ჯამის ფოთლებით. სახეობა ფართოდ გავრცელებულია მაღალმთიან კავკასიაში, ჩრდილოეთ ანატოლიასა და არმენია-ქუთისტანში. მეტად ცვალებადობს ეკოლოგიურ პირობებთან დაკავშირებით და თავიდანვე სხვადასხვა აეტორების მიერ მისთვის რამდენიმე ფორმა იყო მოყვანილი. საქართველოს ფლორის პირველ გამოცემაში (I. c.) მიღებულია ამ სახეობისათვის ორი სახესხვაობა *M. caucasica* var. *laxa* Charadze (*Alsine pinifolia* γ *gracilis*, *lusus* 2 Fenzl) და var. *pumila* Fenzl (6 *pumila* Fenzl).

ეს უკიდურესი ფორმები მხოლოდ ნაწილობრივ ასახევენ სახეობათა შიგნით ცვალებადობას და უფრო დეტალურ კვლევამდე ჩვენ მათ აღარ ვაძლევთ ტაქსონომიურ მნიშვნელობას.

8. *M. aizoides* (Boiss.) Bornm., Beih. bot. Zentralbl. XXXI, II (1914) 193; Woron. in Фомин и Ворон. Опред. раст. Кавк. и Кр. II, 2 (1914) 509; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 393; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 509; Коллак. Фл. Абх. II (1939) 92; Гроссг. Фл. Кавк. III (1945) 210; Харадзе во Фл. Груз. (1947) 241 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 541; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 303; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 71; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 317; McNeill, Not. Roy. Bot. Gard. Edinb. XXIV n° 3 (1963) 329; McNeill in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 45; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 225 (georg.); — *Alsine aizoides* Boiss. Diagn. Pl. Orient. ser. 1, I (1842) 47.

Is.: Фл. Арм. I. c. Табл. XVIII.

2. სქელკორდიანი მცენარეა მხოხავი წნელისმაგვარი ღეროებით, რომლებიც იძლევიან დამოკლებულ უნაყოფო ყლორტებს ფოთლების როზეტებით და წამოწეულ საყვავილე, ჯირკვალა-ბუსუსებიან 1—4 სმ სიგრძის ყლორტებს; ფოთლები ბრტყელია, ლანცეტისებრი ან ხაზურ-ლანცეტა; ძირში გაფართოებული, 3—5 ძარღვიანი, წვერისაკენ თანდათანობით შევიწროებული, ნამგლის მაგვარად გადახრილი, კიდეებზე წამწამებიანი; საყვავილე ყლორტების ფოთლები დამოკლებულია. ყვავილები მარტოულია ან 2—3 ერთადაა მოთავსებული ჯირკვალა-ბუსუსებიან ყუნწებზე, რომლებიც ჯამს აღემატება; ჯამის ფოთლები ჯირკვლებითაა მოფენილი, კვერცხისებრ-მოგრძო, ბლაგვი, 3-ძარღვიანი, სიგრძით 4 მმ-მდე, ჩვეულებრივ მოწითალო ფერის; გვირგვინის ფურცლები მოგრძოა, ჯამის ტოლი ან მას ოდნავ აღემატება. კოლოფი ცილინდრულია, ჯამზე 1 1/2-მდე უფრო გრძელი; თესლის კიდეზე გლუვია. VI—IX.

აწერილია თურქეთიდან. Typus: «*alpinus Armeniae* Aucher, 589» დაცულია ინგლისში (K).



იზრდება ღორღიან ხალებზე და ღორღიან ადგილებში თხემებზე, კმათავალი
რესად ალპურსა და სუბნევალურ სარტყელში, 2500—3200 მ-ის სიმაღლეზე ზღვის
ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: ყველა მაღალმთიან რაიონში.

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ., სომხეთი.

საერთო გავრცელება: მც. აზ. (ჰანეთი); არმ.-ქურთ.; ირ. (მთა სალაგანი).

შ ე ნ ი შ ვ ე ა. შესაძლებელია რომ ალბოვის მიერ ოშტენის მთიდან აღწე-
რილი ფორმა: *Alsine laricifolia* Wahlb. var. *pontica* Albow, (Prodr. Fl. Colch.
(1895) 34), რომელიც განსხვავდება მოკლე გაფართოებული ფოთლებით, სქლად
შეფოთილი, უნაყოფო ზედა ნაწილში ჭირკვალა ბუსუსებით სქლად დაფარუ-
ლი საყვავილე ყლორტებით, მიეკუთვნება სახეობა — *M. aizoides* (Boiss.)
Bornm. და ამ სახეობის სინონიმებში უნდა შევიდეს.

Sect. 2. *Acutiflorae* (Fenzl) Hayek. Fl. Steierm I (1908) 274; Шишк.
во Фл. СССР VI (1936) 500; McNeill, l. c. (1962) 145. — *Alsine* b. *Acutiflorae*
Fenzl in Endlicher, Gen. Pl. (1840) 965. — *Alsine* Sect. *Acutiflorae* (Fenzl)
Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 350.

ჯამი ძირთან გახევებული არ არის; ჯამის ფოთლები 3-ძარღვიანია, წაწ-
ვეტებული, ყვავილობის დროს ზემოთ აღმართული. გვირგვინის ფურცლები
ჯამს 1 1/2-ჯერ აღემატება.

Lectotypus: *M. austriaca* (Jacq.) Hayek. sec. McNeill, l. c.

©. 9. *M. Biebersteinii* (Rupr.) Schischk. Журн. Никитск. Бот.
сада. X, 2 (1929) 38; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 392 p.p.; Шишк. во Фл.
СССР VI (1936) 500 p.p.; Колак. Фл. Абх. II (1939) 94; Гроссг. Фл. Кавк.
2, III (1945) 209 p.p.; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 241 (georg.);
Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 540; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 302
excl. syn.; McNeill, Not. Roy. Bot. Gard. Edinb. XXIV, 3 (1963) 345 excl.
syn.; Харадзе, в Опред. раст. Груз. II (1969) 226 (georg.); — *M. Flaccida* f.
Biebersteinii Mattf. Beihefte Repert. spec. nov. XV (1922) 152. — *Alsine*
Biebersteinii Rupr. Fl. Cauc. I (1869) 215.

Is.: Фл. Груз. l. c. (1947), рис. 113.

2. ფხვიერკორდიანი მცენარეა მრავალი აღმავალი ღეროთი; ღერო შიშ-
ველია ან გაბნეულჭირკვლოვან-ბეწვიანი, 7—25 სმ სიგრძის; ფოთლები
ბრტყელია, ხაზური, მახვილწვერიანი, 3-ძარღვიანი, შიშველი ან ოდნავ ჭირ-
კვლოვანბეწვებიანი. ღეროდან გადაღუნული. ყვავილები 2—5 და მოთავსე-
ბულია წვრილ შიშველ ან გაბნეულ ჭირკვლოვან-ბეწვიან ყუნწებზე, რომლე-
ბიც მრავალჯერ აღემატება ჯამს; ჯამის ფოთლები ლანცეტაა, გრძლად წაწვე-
ტებული, კიდებზე სიფრიფანა შიშველი ან ჭირკვლოვან-ბეწვებიანი, დაახ-
ლოებით 5 მმ სიგრძის; გვირგვინის ფურცლები ჯამზე 2—2,5-ჯერ გრძელია.
კოლოფი მოგრძო-ცილინდრულია, ჯამის ტოლია; თესლი წვრილია, 0,4 მმ
სიგრძის, წვრილნაოჭებიანი. VI-IX (სურ. 1, [3].

Typus: „Alagir 21 May 1861, Ruprecht“

აწერილია ჩრდილოეთ ოსეთიდან. ინახება ლენინგრადში (LE).

იზრდება კლდეებზე, ღორღიან ფერდობებსა და მორენებზე სუბალპურსა
და ალპურ სარტყელში 1800—3000 მ-ის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: 8 — სამხ. ოს.: ედისი (ვორონოვი); 10 — მთიულ: ყაზბეგის



რ-ნი — ყაზბეგსა და დარიალს შორის (ქიქოძე); მდ. ჩხერი (სოსნოვსკი), სოფ. გერგეტი (პრიხოდეკო); ყაზბეგის კლდეებზე (ვედედნსკი); შოთას მთა (სოსნოვსკი); ყაზბეგი (ხუციშვილი; რადდე; სოსნოვსკი); გუდაური (ტროიცი); კაიაშაურის ხეობა (ტროიცი); მთა გუდო (აკინფიევი); მთიულეთი, ხონჩოს მიდამოები (ოჩიაური); ხადას ხევი (ოჩიაური, ქიმერიძე); კობი (პოპენაკერი); ბურსაპირი (ოჩიაური); თრუსო, კასარის ხეობა (ხარაძე); ყაზბეგსა და გერგეტს შორის (სულაკაძე); გერგეტი, მცორის-კობი (ხუციშვილი); ლუღღუშაურის არაგვი, ქვედა მთა; ყუროს ძირი; კაბარჯინა (ხარაძე); ბურსაპირი (გაჩეჩილაძე); 11—თუშ-ფშავ-ხევსურ.; მდ. ასას ხეობა (გრიგორაშვილი); არღუნის ხეობა გიორწმინდა; შატილი; მახის მაღალი არხოტი; არხოტი ჭიმლა; ახიელი, თათხელი; ამღასა და ახიელს შორის; ამლა; ჭიმლას მიდამოები; შატილი; ხაღუ (ოჩიაური).

სსრკ: კავკასიონის ცენტრალური ნაწილი.

შენიშვნა: McNeill (l. c.)-მა აწერა თურქეთიდან (ჩრდილოეთ ანატოლია) სახეობა *M. gracilis* Mc Neill. თურქეთის ფლორაში აღნიშნულია, რომ ეს სახეობა მონათესავეა *M. Biebersteinii* (Rupr.) Schischk.-ის. უკანასკნელი სახეობის აფხაზეთში (Kolak l. c.) გავრცელება დამოწმებას მოითხოვს. ასევე საეჭვოა ამ სახეობის გავრცელება აჭარაში; დიმიტრიევას მოჰყავს აჭარის მცენარეთა სარკვევში (Дмитриева l. c. 317), მხოლოდ აღნიშნავს, რომ მისი ადგილმდებარეობა არ არის დაზუსტებული.

10. *M. subuniflora* (Alb.) Woron. in Фомин и Ворон. Определ. раст. Кавк. и Кр. II, 2 (1914) 178; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 392; Колак. Фл. Абх. II (1939) 94; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 242 (georg.); Гроссг. Определ. раст. Кавк. (1949) 540; Харадзе в Определ. раст. Груз. II (1969) 227 (georg.).—*M. Biebersteinii* auct. sauc. p. min. p. vel excl. syn.: Шншк. во Фл. СССР VI (1936) 500; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 209; McNeill, Not. Roy. Bot. Gard. Edinb. XXIV, 3, (1963) 345.—*Alsine subuniflora* Alb. Prodr. Fl. Colch. (1895) 35.

4. ფხვიერ-კორდიანი ჯირკვალაბეწვებიანი მცენარეა გართხმული ღეროებით და წამოწეული საყვავილე ყლორტებით, სიმაღლით 10 სმ-მდე; ფოთლები მოსქელოა, ხაზურ-სადგისისებრი, 3-მარღვიანი, ნამგლისებრ მოღუნული. ყვავილი 1, უფრო იშვიათად 2, გრძელ ყუნწზე, რომელიც 2—5-ჯერ აღემატება ჯამს; ჯამის ფოთლები 5—6 მმ სიგრძისაა, კვერცხისებრ ლანცეტა, მახვილწვერიანი, კიდეებზე სიფრიფანა, 3-მარღვიანი; გვირგვინის ფურცლები ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელია. კოლოფი ჯამზე ცოტა უფრო გრძელია; თესლი 1 მმ სიგრძისაა, წვრილნაოჭიანი. VII—IX. (სურ. 15, 1).

Typus: «In lapidosis jugi calcarei Aossakwashera propem. Kutysh, alt. 2500—2600 m N. A. 1894 n° 49. აწერილია აფხაზეთიდან. ტიპი ინახება თბილისში.

იზრდება კირქვიან კლდეებსა და ჩამონახვავებზე 2500—2600 მ-ის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: 1 — აფხ.: ბზიფის ქედი, ჩიფშირა (ვორონოვი); მთა არაბიკა (ლვინიანიძე, მცხეთაძე); არბიკა (ვორონოვი); ბზიფის ქედი (ფურცხვანიძე);



იაფსხუ (ფურცხვანიძე); შთა ხირკა (ხარაძე), ბერჰილის ქედი (ოჩიაური) (რუკა 14).

შ ე ნ ი შ ე ნ ა : ეს სახეობა წინამდებარე სახეობიდან კარგად განსხვავდება ჯამის ფოთოლთა მოყვანილობით და თესლების ზომით. ამიტომ არ ვთვლით შესაძლებლად ის *M. Biebersteinii* (Rupr.) Schischk.-ის სინონიმად ჩავთვალოთ, მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელი სახეობის გავრცელება აფხაზეთში საეჭვოა.

11. *M. lineata* C. A. Mey. ex Bornm. Beih. Bot. Centralbl. XXVII, 2 (1910) 318; McNeill, Not. Roy. Botan. Gard. Edinb. XXIV, 2, (1963) 346; McNeill in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 51; auct. fl. cum auct. epyth. C. A. Mey. (1841, pro syn.): Mattf. in Beih. Report. spec. nov. XV (1922) 156; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 503; Гросср. Фл. Кавк. 2, III (1945) 209; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 242 (georg.); Гросср. Спред. раст. Кавк. (1949) 540; Шишк. и Авет. во Фл. Арм. 2 (1956) 62; Харадзе в Спред. раст. Груз. II (1969) 229 (georg.). — *M. Biebersteinii* Dimitr. non Schischk. Спред. раст. Аджар. (1960) 317. — *M. Biebersteinii* (Rupr.) Schischk. var. *lineata* (C. A. Mey.) Schischk. in Гросср. Фл. Кавк. II (1930) 392. — *M. juniperina* (Fenzl) Hand.-Mazz. var. *lineata* (C. A. Mey.) Woron. in Фомин и Ворон. Опред. раст. Кавк. и Кр. II, 2 (1914) 179. — *Alsine Villarsii* β. *psilosperma*, Lusius 3; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 350. — *Arenaria lineata* C. A. Mey. in litt. ex Fenzl in Ledeb. l. c. 351 nom. in syn. sub. *A. Villarsii*.

Ис. : Фл. Арм. l. c. Табл. XVII.

2- ფხვიერკორდიანი, შიშველი ან ჭირკვლოვან-ბუსუსიანი მცენარეა, დამოკლებული კონისმაგვარი უნაყოფო და აღმავალი საყვავილე ყლორტებით, 10—25 სმ სიმაღლის; ღერო უხეშია, ქვედა ნაწილში გახევებული; უნაყოფო ყლორტების ფოთლები ხეშეშია, სწორი ან მოღუნული, ხაზური, მახვილწვერიანი, 3-ძარღვიანი; საყვავილე ყლორტების ფოთლები დამოკლებულია. ყვავილედით 2—7-ყვავილიანია; ყვავილების ყუნწი ცოტათი აღემატება ჯამს; ჯამის ფოთლები 4—6 მმ სიგრძისაა, მახვილწვერიანი, კვერცხისებრ ლანცეტა, 3-ძარღვიანი; გვირგვინის ფურცლები ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელია. კოლოფი მოგრძოა, ჯამზე ცოტაოდენ გრძელი; თესლი წვრილნაოქებია, 0.5 მმ სიგრძის. V—VIII.

აწერილია ლენქორანიდან მეიერის ეგზემპლიარის მიხედვით. Typus: „Talysh, C. A. Meyer“, n=13 (sec. Favarger 1962). ინახება ლენინგრადში (LE).

იზრდება კლდეებსა და ღორღიან ფერდობებზე სუბალპურ სარტყელში. ანატოლიისათვის მოჰყავთ (McNeill, 1963) 1800 მ-დან 3700 მ სიმაღლემდე. საქ. სსრ: 6—7 საქართველოს ფლორის I გამოცემაში მოყვანილია გურიისა და აჭარის საზღვრიდან, შთა საყორნიადან; 9 — ქართ. ბაკურიანი, იმერეთის მხარეზე (კოზლოვსკი); ტაბიწყური (კოზლოვსკი); ცხრა-წყაროს გადასავალი (ღვინიაძე); 18 — ჯავახ.: სოფ. ჩობარეთი (ა. ლორთქიფანიძე); თეთრობის მასივი (ხინთიბიძე).

სსრკ: ამიერკავკ.: სომხ.; აზერბ.

საერთო გავრცელ.: მც. აზ. (ჩრდ. აღმ. ნაწილი); არმ.-ქურთ.; ჩრდ. ირ.

შ ე ნ ი შ ე ნ ა : თურქეთის ფლორაში (l. c.) აღნიშნულია, რომ *M. lineata* ენათესავება თურქეთის ენდემურ სახეობას *M. glandulosum* (Boiss. et Huet)

Bornm. და ხმელთაშუაზღვეთსა და წინა აზიაში გავრცელებულ სახეობას *M. in-niperina* (L.) Maire et Petitm.

Sect. 3. Tryphane (Fenzl) Hayek, Fl. Steierm. I (1908) 271; McNeill l. c. (1962) 146. — *Alsine* 3. Tryphane Fenzl in Endlicher Gen. Pl. (1840) 965 p.p. — Tryphane (Fenzl) Reichenb. Repert. Herb. Nomencl. (1841) 205. — *Alsine* Sect. Tryphane (Fenzl) Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 346. — *Minuartia* Sect. *Polymechana* Mattf. in Feddes Repert. Beih. XV (1922) 169-170; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 504.

ჯამი ძირთან გახვეებული არ არის; ჯამის ფოთლები 3-ძარღვიანია, წაწვეტებული და ყვავილობისას გადაშლილი; გვირგვინის ფურცლები სივრცით ჯამის ტოლია ან ცოტათი მათ აღემატება.

Lectotypus: *M. verna* (L.) Hiern. (sec. McNeill, l. c.)

12. *M. verna* (L.) Hiern. in Journ. of Bot. XXXVII (1899) 320; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 392; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 505; Колак. Фл. Абх. II (1939) 94; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 210; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 243 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 540; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 302; Дмитриева, Опред. раст. Адж. (1960) 317; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 226 (georg.); McNeill, Not. Roy. Bot. Gard. Edinb. XXIV, 3 (1963) 354; McNeill in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 53. — *Arenaria verna* L. Mantissa I (1767) 72 et 514. — *Alsine verna* (L.) Wahlb. Fl. Lapp. (1812) 129.

2. სქელკორდიანი, ცოტად თუ მეტად ჯირკვლოვანხვეებიანი მცენარეა, მრავალი, ძირიდანვე დატოტვილი, ქვედა ნაწილში გახვეებული ღეროთი; უნაყოფო ყლორტები ძლიერ დამოკლებულია, საყვავილე ყლორტები წამოწეულია, 2—10 სმ სიგრძისაა, ფოთლები ვიწრო-ხაზურია ან სადგისისებრი, მახვილწვერიანი, მკაფიოდ გამოსახული 3 ძარღვით. ყვავილები 1—3-ია; ჯამის ფოთლები კვერცხისებრია, წაწვეტებული, 3-ძარღვიანი, რკალისმაგვარი გვირგვინითი ძარღვებით, კიდებზე სიფრიფანა, 3—4 მმ სიგრძის; გვირგვინის ფურცლები ჯამის ტოლია ან 1/4-ით აღემატება მას. კოლოფი ჯამის ტოლია ან მასზე ოდნავ მოკლე; თესლი წვრილბორცვებიანია, 0,5—0,7 მმ სისქის, VII—VIII.

აწერილია ევროპიდან, ტიბი დაცულია ლონდონში, ლინეის ჰერბარიუმში (Linn).

იზრდება ალპურ სარტყელში ლორღიან ადგილებზე; გვხვდება სპორადიულად.

საქ. სსრ: 1 — აფხ.; 2 — სვან.; 4 — სამეგრ.; 5 — იმერ.; 7 — აჭარ.; 8 — სამხ. ოს.; 9 — ქართ.; 10 — მთიულ.; 11 — თუმ-ფშავ-ხევსურ.; 18 — ჭავჭავ.; 19 — მესხ.

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; ციმბ. (დას. და აღმ.); შუა აზ.

საერთო გავრცელ.: არქტ.; ჩრდ. და შუა ევრ.; აღმ. ხმელთაშუაზღვ.; მც. აზ.; არმ.-ქურთ.; ცენტრ. აზ.; ჩრდ. ამერ.

Sect. 4. *Plurinerviae* McNeill l. c. (1962) 142. — *Minuartia* Sect. Tryphane sec. Mattf. Feddes Repert. Beih. XV (1922) 113 (descr.) non Fenzl emend. Boiss. (1867); Шишк. во Фл. СССР VI (1936) 496 non Fenzl emend. Bo-

iss. (1867). — *Alsine* 3. *Tryphane Fenzl in Endlicher Gen. Pl.* (1840) 965 p.p. excl. lectotyp.

ჯამის ფოთლები 5—7-ძარღვიანია, ძირთან არ მაგრდება, ყვავილობისას გადაშლილი თესლები თხელ ნაოჭიანია ან წვრილობორცვებიანი, მრავალწლოვნებია ხაზურ-სადგისებრი ან ჯაგრისებრი ფოთლებით.

Typus: *M. recurva* (All.) Schinz et Thell. (sec. McNeill, l. c.)

13. *M. oreina* (Mattf.) Schischk. *Berichte d. Tomsk. Staats Univers.* 80 (1929) 443; *Гроссг. Фл. Кавк. II* (1930) 392; *Шинк. во Фл. СССР VI* (1936) 499; *Коллак. Фл. Абх. II* (1939) 93; *Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III* (1945) 208; *Харадзе во Фл. Груз. III* (1947) 243 (georg.); *Гроссг. Определ. раст. Кавк.* (1949) 540; *Шинк. и Авет. во Фл. Арм. 2* (1956) 62; *Карягин во Фл. Азерб. III* (1952) 300; *Дмитриева, Определ. раст. Аджар.* (1960) 316; *Харадзе в Определ. раст. Груз. II* (1969) 225 (georg.). — *M. condensata* Woron. в *Фом. и Ворон. Определ. раст. Кавк. и Кр. II, 2* (1914) 197. — *M. hirsuta* subsp. *oreina* Mattf. in *Engl. (non condensata Presl) Jahrb. LVII Beibl.* 126(1921) 30 nom.; *idem in Beih. Repert. Spec. nov. XV* (1922) 118. descr. — *M. recurva* (All.) Schinz et Thell. subsp. *oreina* (Mattf.) McNeill *Not. Roy. Botan. Gard. Edinb. XXIV, 3* (1963) 338; *McNeill in Davis, Fl. Turkey, 2* (1967) 47. — *Alsine hirsuta* β . *denudata* Fenzl in *Ledeb. Fl. Ross. I* (1842) 347. — *A. recurva* α . *nivalis*. et β . *hirsuta* Boiss. *Fl. Or. I* (1867) 657 p.p. — *A. recurva* Rupr. *Fl. Cauc.* (1869) 210 non Allion.

Is.: *Фл. Арм. I. c. Табл. XVI.*; *Гроссг. Фл. Кавк. I. c.* (1945) *Табл. 20, 3.*

4. ცოტად თუ მეტად სქელოკრიდიანი, ზედა ნაწილში ჯირკვავილოვან-ბუსუსებრიანი მცენარეა უნაყოფო დამოკლებული ყლორტებით; საყვავილე ყლორტები 3—15 სმ სიმაღლისაა; ფოთლები ვიწრო-ხაზური, მახვილწვერიანი, შეუმჩნეველი ძარღვებით, ყვავილები შეკრებილია 3—15-ყვავილიან ფარისმაგვარ საგველაში; თანაყვავილები ბალახოვანია, ლანცეტა-მახვილწვერიანი; ყვავილის ყუნწი ჯამზე მოკლეა ან 2,5-ჯერ აღემატება მას; ჯამის ფოთლები 4—7 მმ სიგრძისაა. 5—9-ძარღვიანი, კვერცხისებრ-ლანცეტა. წვერში თანდათანობით ვიწროვდება ფრჩხილად; გვირგვინის ფურცლები ჯამზე ოდნავ ვრძელია და თანდათანობით ვიწროვდება ფრჩხილად. თესლი დაახლოებით 1 მმ სიგრძისაა, გლუვი ან ოდნავ მახვილობორცვებიანი. VI—VII.

ლექტოტიპი დადგენილია McNeill-ის მიერ (l. c. 1963); *Lectotypus Kurdistan: Taurus Armenus. In m-te Meleto (Meretug) Dagh, distr. Bitlis, II VIII 1910. Hand.-Mazz.* ტიპი დაცულია ბერლინში (B). იზოტიპი—ავსტრიაში—ვენაში (WU).

იზრდება მეორად ხალეზზე, ღორღიან სუბალპურ ნაირბალახოვან-მარცვლოვან მდელოებზე, ღორღიან ფერდობებზე, სუბალპურსა და ალპურ სარტყლებში 1800—3000 მ-ის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: ყველა მაღალმთიან რაიონში.

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაბ.; აზერბ.; სომხ.

საერთო გავრცელ.: მც. აზ.; არმ.-ქუთო.; ირ.; ერაყი.

შ ე ნ ი შ ე ნ ა. პოლიმორფული სახეობაა, განსაკუთრებით გამოირჩევა შუბუბუსაგვი ფორმა.

var. *glaberrima* Medw.— მთელი მცენარე შიშველია; ღერო 5—15 სმ სიმაღლისაა, სქელკორდიანი, უნაყოფო ყლორტებით. ყვავილენი მრავალყვავილიანია.

საქ. ფლორის პირველ გამოცემაში აღნიშნულია შემდეგი რაიონებისათვის: აკურ.; იმერ.; ქართ.; ქვ. ქართ.; ჯავახ.; მესხ.

Sect. 5. *Minuartia* — *Minuartia* §§ *Euminuartia* (Boiss.) Graebn. in Aschers. et Graebn. Syn. Mitt.-Eur. Fl. V, 1 (1918) 710. — *Minuartia* Sect. *Euminuartia* Schischk. во Фл. СССР VI (1936) 489.—*Minuartia* Sect. *Minuartia* McNeill, Not. Roy. Bot. Gard. Edinb. XXIV, 2 (1962) 148 excl. gen. *Queria* L. — *Alsine* § 5. *Minuartieae* Boiss Fl. Or. I (1867) 670.

ჯამის ფოთლები წაწვეტებულია 1—3-ძარღვიანი, ძირთან გახევებული. ერთწლოვანებია ან მრავალწლოვანები.

Typus: *Minuartia dichotoma* L. sec. McNeill, l. c. (1962) 148.

Subsect. 1. *Setaceae* (Mattf.) Charadze stat. nov. — Series *Setaceae* Mattf. in Fedde Rep. Beih. XV (1922) 54. — Subsect. *Xeralsine* (Fourr.) McNeill Series *Setaceae* (Mattf.) McNeill l. c. (1962) 149.

ჯამის ფოთლები ერთი მკაფიოდ გამოსახული ძარღვით, კიდეზე ტყავისებრია. მრავალწლოვანებია.

Lectotypus: *M. setacea* (Thuill.) Hayek sec. McNeill, l. c. (1962) 149.

©. 14. *M. abchasica* Schischk. Тр. Инст. бот. Ак. Наук СССР Ser. I, III (1936) 170; Колак. Фл. Абх. II (1939) 93; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 208; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 245 (georg.); Гроссг. Определ. раст. Кавк. (1949) 540; McNeill. Not. Roy. Bot. Gard. Edinb. XXIV, 3 (1963) 378; Харадзе, в Определ. раст. Груз. II (1969) 226 (georg.).

l.c.: Фл. Груз. l. c. Рнс. 114.

24. მეჩხერკორდიანი მცენარეა; ღეროები ძირიდანვე ძლიერ დატოტვილია და ოდნავ გახევებულია ძირში, მოკლე ჭირკვლოვან-ბუსუსებიანი, 10—13 სმ სიმაღლის: ფოთლები დაფისებრ სადგისისებრია, შიშველი, კიდის გაყოლებაზე მოკლემწამფამებიანი. ძირში სიფრიფანა კიდეით და ამოწეული 3 ძარღვით. ყვავილენი ფარჩხატია, 3—7-ყვავილიანი; ყვავილები სხედან მოკლე, ჭირკვლოვან-ბუსუსებიან 5—10 მმ სიგრძის ყუნწებზე; თანაყვავილები ლანცეტაა, მახვილწვერიანი; ჯამის ფოთლები კვერცხისებრ-ლანცეტაა, წაწვეტებული, 4—5 მმ სიგრძის, ძირში მკაფიოდ 3-ძარღვიანი, ზურგის მხარეზე ზუსტად ჭირკვლოვან-ბუსუსებიანი. ფართო მწვანე ზოლებით, კიდის გაყოლებაზე ეწირო თეთობრტილისებრი; კვირგინის ფურცლები ჯამზე ცოტათი გრძელია. კოლოფი ჯამზე მოკლეა. VIII—IX.

აწერილია აფხაზეთიდან. Typus: «Abchasia, in jugo Ertzow (Irtzyeh) 31 jul. 1902, Woronow» ინახება ლენინგრადში (LE).

იზრდება კირქვიან კლდეებზე 2000—2500 მ-ის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. საქ. სსრ: 1 — აფხ.: ერცოგი (ვორონოვი); ზიფის ქედი (ალბოვი); მთა ძიშხა (ფურცხვანიძე); გელგელუკი (ღვინიანიძე, მცხეთაძე). 4 — სამეგრ.: მიგარია (სოსნოვსკი, შიშკინი).

სსრკ: ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ.; (აიბგა, ახახა: ალბოვი).

©. 15. *M. Buschiana* Schischk. во Фл. СССР VI (1936) 493 (descr. ross.) et Addenda V, 884 (diagn.); Колак. Фл. Абх. II (1939) 93; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 207; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 244 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 540; McNeill, Not. Roy. Bot. Gard. Edinb. XXIV, 3 (1963) 369; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 226 (georg.).

2. მეჩხერკორდიანი მცენარეა. მრავალი მარტივი ან სუსტად დატოტვილი, შიშველი ან ოდნავ მოკლებულსუსიანი ღეროებით, 6—12 სმ სიმაღლის; ფოთლები ჯაგრისებრია შიშველი, კიდეებზე მოკლენაწმამისებრი ბეწვებით, ღეროზე მიწვენილი. ყვავილედნი 3—7 ყვავილიანი; ყვავილები მოთავსებულია 2—7 მმ სიგრძის შიშველ ყუნწებზე, თანაყვავილები ლანცეტა, მახვილწვერიანი, სიგრძით 2 მმ-მდე, კიდეებზე სიფრიფანასებრი; ჯამის ფოთლები შიშველია, კვერცხისებრლანცეტა, 3,5—5 მმ სიგრძის, წაწვეტებული, ამოწეული შუა ძარღვით, ზურგის მხარეზე 2 მწვანე ზოლით და მოთეთრო ხრტილისებრი კიდეით; გვირგვინის ფურცლები ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელია. კოლოფი ჯამზე ცოტათი მოკლეა. თესლი სიგრძით 1 მმ-მდე, კიდის გაყოლებაზე მახვილბორცვებიანი. VII—VIII.

Typus: «Kuban, prov. m. Barabachi, 31 V 1907, N. A. Bousch» აწერილია ყუბანის აუზიდან, დაცულია ლენინგრადში (LE).

იზრდება კლდოვან და ღორღიან ადგილებში, სუბალპურ სარტყელში.

საქ. სსრკ: 1 — აფხ.: ბერჩილის ქედი (ღვინიანძე, მცხეთათქ); 3 — რაჭა-ლეჩხ.: ცაგერის რ-ნი, მდ. ლაჯანურა (შხიანი), ცაგერი (შელკოვნიკოვი); 4 — სამეგრ.: პლატო ასხი (შელკოვნიკოვი); 8 — სამხ. ოს.: ერმანის შუა ხეობა: ჩაფარუხის ხეობა, ირანტე-ფაკსი (ე. და ნ. ბუშები); 10 — მთიულ; ყაზბეგის რ-ნი, კასარის ხეობა (ხარაძე); 11 — თუფ-ფშავ-ხევისურ.: არხოტი, ასის ხეობა, ამა არლუნის ხ. შატილი (ოჩიაური); არდოტი (რადდე).

სსრკ: იმიერკავკ.: დასავ. და ცენტრ. ნაწ.: ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: კავკასიის ფლორის ავტორებს ეს სახეობა (იხ. საქ. ფლორის I გამოცემა) მოჰყავდათ როგორც *M. setacea* (Thuill.) Hayek.-ს ერთ-ერთი ფორმა. უკანასკნელი McNeill (l. c. 1963) მიხედვით მხოლოდ ევროპაშია გავრცელებული და სამხრეთით საბერძნეთამდე აღწევს.

16. *M. micrantha* Schischk. во Фл. СССР VI (1936) 494 (descr. ross.) et Addenda V, 884 (diagn.); Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 207; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 244 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 540; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 300; McNeill Not. Roy. Bot. Gard. Edinb. XXIV, 3 (1963) 369; McNeill in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 61; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 226 (georg.) — *M. anatolica* auct. cauc. et *Alsine anatolica* auct. cauc. по Boiss. p.p. — *M. stecea* var. *anatolica* Woron. in Фомин и Ворон. Опред. раст. Кавк. и Кр. II, 2 (1914) 177.

2. ძირშივე ძლიერ დატოტვილი სქელკორდიანი მცენარეა, აღმავალი, ქვედა ნაწილში გახვევებული ღეროებით; ღერო შიშველია ან წვრილბუსუსიანი, 6—20 სმ სიმაღლის; ფოთლები ხაზურ-სადგისისებრია, კიდის გაყოლებაზე წვრილწამწამებიანი, კონებად შეკრებილი, ღეროზე მიწვენილი ან ოდნავ გა-



დახრილი. ყვავილედ 3—10 ყვავილიანი; ყვავილები მოთავსებულია 2—7 მმ სიგრძის შიშველ ან წვრილბუსუსებიან ყუნწებზე; ჯამის ფოთლები სებრ-ლანცეტაა, მახვილწვერიანი, 1-მარღვიანი, ზურგის მხარეზე 2 მკრთალი მწვანე ზოლით, კიდის გაყოლებაზე თეთრბრტილისებრი, 2,5—3,5 მმ სიგრძის; გვირგვინის ფურცლები თითქმის ჯამის ტოლია. კოლოფი ჯამზე მოკლეა, უფრო იშვიათად ოდნავ აღემატება მას. თესლი 0,6 მმ სიგრძისაა, კიდის გაყოლებაზე ბლაგვბორცვებიანი. IV—VII.

Typus: «Artvin, Alvana-su prope Charobieta 29 VI 1911, Vvedensky» აწერილია ჭანეთიდან (თურქეთი) ინახება ლენინგრადში (LE).

იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე მთის შუა სარტყელში.

საქ. სსრ: 9—ქართ.: ბორჯომის ხეობა დვირი (ხინთიბიძე); ბორჯომი (რადღე); სტრამში ოკოპის კლდეები ბორჯომთან (მ. მიროზვეა); სოფ. ახალი უბანი, პეტრეს ციხე (ხინთიბიძე, ივანიშვილი); პეტრეს ციხე (ღვინიაიძე); ქვაბისხევი (ღვინიაიძე); მდ. ტანას ხეობა სოფ. ბობნევათი (ხინთიბიძე, ქუთათელაძე და სხვ.); ატენის ხეობა: შულლიანთ უბანი, ფუხიანთ უბანსა და ბიის შორის (ქიქოძე); 16—თრიალ.: თეძამი, ნადარბაზევი (ქიქოძე, აბულაძე); კლდეკარი (ქიქოძე, აბულაძე); 19—მესხ. ოშორის ქედი აწყურთან (კოზლოვსკი); აწყური (მიშჩენკო); ასპინძასა და ხერთვისს შორის (ქიქოძე); ვარძია (ქიქოძე). ახალციხესა და აწყურს შორის, ოქროს ციხე ვარძია, სლესის ციხე, ახალციხე, მინაძესა და რუსთავს შორის; ურაველი, კლდე, სოფ. ძველი და საფარის მონასტერი, ვარძია, ფოცხევერი, რუსთავი, ახალციხე, ფოცხოვ-ჩაი, დვირი (ხინთიბიძე).

სსრკ: ამიერკავკ: აზერბ. (ნახჭევანი).

საერთო გავრცელ.: მც. აზ. (ართვინი ოლთი, არტანუჯი, ყალიზმანი); არმ.-ქურთ.

17. M. Woronowii Schischk. во Фл. СССР VI (1936) 495 (desc. ross. et Addenda V, 884 (diagn.); Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945); Харадзе во Фл. Груз. III (1947) 245 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 540; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 300; McNeill, Not. Roy. Bot. Gard. Edinb. XXIV, 3 (1963) 368; McNeill in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 308; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 226 (georg.).—*Minuartia setacea* auct. cauc. non (Thuill.) Hayek, non *Aegonaria setacea* Thuill., non *Alsine setacea* (Thuill.) Mert. et Koch p.p.; Шишк. in Гроссг., Сосн., Шишк. Фл. Тифл. I (1925) 196; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 391 p.p.

24. მცენარე ხასიათდება ძირში ცოტაოდენ გახევებული კორდით; ღერო მრავალია, მარტივი, ქვედა ნაწილში წვრილბუსუსებიანი, ზედა ნაწილში შიშველი, 8—25 სმ სიმაღლის; ფოთლები ჯაგრისებრია, შიშველი, ღეროზე ვაკრული. ყვავილედ 2—10 ყვავილიანი; ყვავილები მოთავსებულია 4—12 სმ სიგრძის შიშველ ყუნწებზე; ჯამის ფოთლები ლანცეტაა, წაწვეტებული, 4—5,5 [6] სმ სიგრძის, 1-მარღვიანი, ზურგის მხარეზე 2 მკრთალი მწვანე ზოლით და ფართო თეთრ-ბრტილისებრი კილით; გვირგვინის ფურცლები ჯამზე ცოტათი გრძელია. კოლოფი ჯამის ტოლია ან მასზე ოდნავ გრძელი; თესლი გლუვია, სიგრძით 1 მმ-მდე. V—VIII.

Typus: «Tbilissi, pr. Vake, 4 Jun. 1917 G. Woronow», აწერილია თბილისიდან. ტიპი ინახება ლენინგრადში (LE), თბილისში ტოპოტიპებია.

იზრდება მშრალ ღორღიან ფერდობებზე ველებში, ნახევრადუდაბნულში და ტყის სარტყელში 1500 მ-მდე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: 9 — ქართ.; 11 — თუშ-ფშავ-ხევსურ: მუცოსა და არდოტს შორის შეგროვებულია ოჩიაურის მიერ; 12 — კახ.; 16 — თრიალ.; 18 — ჯავახ.; 19 — მესხ.

სსრკ: იმიერკავკ.: აზერბ.

საერთო გავრცელ.: მც. აზ. (აღნიშნულია გირესუნის ვილაეთისათვის თურქეთის ფლორაში, 1. ს. 1967); არმ.-ქურთ.

Subsect. 2. *Minuartia* McNeill, l. c. (1962) 148.

Ser. 1. *Montanae* Mattf. Feddes Rep. Beih. XV (1922) 53.

ჯამის ფოთლები 3-ძარღვიანია ძირთან მკაფიოდ გამოსახული, წაწვეტებული. ერთწლოვანებია.

Lectotypus: *M. montana* L.

18. *M. Akinfievii* (Schmalh.) Woron. in Фомин и Ворон. Определ. раст. Кавк. и Кр. II, 2 (1914) 176. — Шишк. in Гроссг., Сосн. Шишк. Фл. Тифл. I (1925) 197; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 390; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 490; Гроссг. Фл. Кавк. 2, II (1945) 206; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 246 (georg.); Гроссг. Определ. раст. Кавк. (1949) 539; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 298; McNeill, Not. Roy. Bot. Gard. Edinb. XXIV, 3 (1963) 355; Харадзе в Определ. раст. Груз. II (1969) 227 (georg.). — *Alsine Akinfiewii* Schmalh. Ber. Deutsch. Bot. Ges. X (1892) 287.

Is.: Фл. Груз. 1. с. (1947) Рис. 115.

⊙. მცენარე 5—15 სმ სიმაღლისაა; ძირიდანვე დატოტვილი; გრძელი ჯირკვალა ბეწვებით შებუსვლილი; ფოთლები ხაზურია, ოდნავ მახვილწვერიანი, ბრტყელი, 5—9 ძარღვიანი. ყვავილედი მრავალყვავილიანია, საგველასებრ დატოტვილი; ყვავილის ყუნწი 3—4 მმ სიგრძისაა; ჯამის ფოთლები მახვილწვერიანია, ლანცეტა, არათანაბარი ზომის, 3-ძარღვიანი. კიდებზე ვიწრო-თეთრ-სიფრიფანა, 5—7 მმ სიგრძის; გვირგვინის ფურცლები მოგრძოა, მახვილწვერიანი, ჯამზე 2—3-ჯერ მოკლე, კოლოფი 1/3-ით მოკლეა ჯამის ფოთლებზე. XII.

აწერილია ბორჯომიდან. Typus: „Borshom 5500 28 Jun. Akinfiew“ ინახება ლენინგრადში (LE), იზოტიპი თბილისში (TBI).

იზრდება მშრალ, ღორღიან ფერდობებზე, ტყის სარტყელში 1000 მ-ის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: 9 — ქართ.; სამხრეთ ნაწილი: ატენი (სოსნოვსკი); მდ. ტანა, მშრალი ხევი (ქუთათელაძე და სხვ.) ბორჯომი (აკინფიევი); ბორჯომი, ჩიტახევი შიო მღვიმე (შიშკინი); თეძამი, გარიყულა (ქიქოძე); 19 — მესხ.: ურაველი (ხინთიბიძე); ასპინძა ხერთვისსა და მარგისტანს შორის (სოსნოვსკი და სხვ.) ოშორის ქ. აწყურისკენ (კოზლოვსკი); ახალციხე-საფარა (სოსნოვსკი და სხვ.); ახალციხესა და აწყურს შორის (კოზლოვსკი); სოფ. ბოლაჯურთან, ოქროს ციხე (ხინთიბიძე, ივანიშვილი).

სსრკ: იმიერკავკ.: აზერბ.

19. **M. Wiesneri** (Stapf) Schischk. во Фл. СССР VI (1936) 490 comb.; Гроссг. Фл. Кавк. III (1945) 206; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 246 (Georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 539; Карягин во Фл. Азерб. III (1952); Шишк. и Авет во Фл. Арм. 2 (1956) 61; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 227 (Georg.). — *M. montana* auct. non DC.: Bieb. I (1808) 90 p.p.; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 390. — *M. montana* var. *caucasica* Woron. in Фомин и Ворон. Опред. раст. Кавк. и Кр. II, 2 (1914) 176. — Шишк. in Гроссг., Сосн., Шишк. Фл. Тифл. I (1925) 197 p.p. — *M. montana* L. subsp. *Wiesneri* (Stapf) McNeill in Not. Roy. Bot. Gard. Edinb. XXIV, 3 (1963) 359; McNeill in Davis Fl. Turkey, 2 (1967) 55. — *M. campestris* DC. Prodr. III (1828) 380, non L. (1753). — *Alsine campestris* Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 343, non (L.) Fenzl. — *A. caucasica* Boiss. Diagn. Pl. Orient. ser. 2, I (1853) 87, non Adams ex Rupr. (1869), nec *M. caucasica* (Adams ex Rupr.) Mattf. (1919). — *A. montana* β. *caucasica* (Boiss.) Boiss. Fl. Or. I (1867) 685. — *A. Wiesneri* Stapf in Denkschr. Acad. Wiss. Wien LI (1886) 20.

Is.: Гроссг. Фл. Кавк. I. c. (1945) Рис. 6; Фл. Тифл. (1925) Рис. 81.

⊙. ღერო 4—7 სმ სიმაღლისაა, დატოტვილი, ხუჭუჭბეწვიანი; ფოთლები ხაზურ-ლანცეტაა, ბრტყელი, 3-ძარღვიანი, თანდათანობით წაწვეტებული, ძირში გაფართოებული, 5—7 ძარღვიანი, თანაყვავილები ხაზურია, გრძლად წაწვეტილი; ყვავილზე გრძელი; ყვავილები თითქმის მჯდომარეა, ხშირ კონებად შეკრებილი; ჯამის ფოთლები 5—7 მმ სიგრძისაა; მახვილწვერიანი, ლანცეტა, არათანაბარი, ძირში გამაგრებული, 3-ძარღვიანი; გვირგვინის ფურცლები კვერცხისებრია, ძალიან მოკლე. კოლოფი ცილინდრულია ჯამზე 1/2-ით მოკლე. V—VI.

Typus: «Iran, Rudbar, 1882, Pichler» sec. McNeill. აწერილია ირანიდან, ინახება ვენაში (WU).

იზრდება ველებისა და ნახევრადუდაბნოების სარტყელში, ღორღიან ფერდობებზე.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: ვერა (სოსნოვსკი); თბილისი (რადდე); თბილისის ბოტანიკურ ბაღთან (სოსნოვსკი); მტკვრის პირი, სადგ. ქსანთან (ზედელმეიერი); თბილისი, კულტურა (სოსნოვსკი); თბილისი (ფომინი); თელეთის ქედი (ქუთათელაძე); ატენის ხეობა ბობნევესა და ატენს შორის (ქიქოძე); შიო მღვიმის პლატო (შიშკინი); თბილისის ბოტანიკური ბაღი (ვორონოვი); ბორჯომი (რადდე); თბილისი, საკინჩა (შიშკინი), კრწანისი (შიშკინი), 13 — ქიზ.: (საქ. ფლ. I გამოც.) მოყვანილია ქიზიყისათვის. 15 — გარდაბ.: ყარაია (სტაროსელსკი); იაღლუჯა (შიშკინი); 17 — ქვ. ქართ. მარიენფელდი (ვორონოვი); იაღლუჯა (შიშკინი).

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ.; სომხ.; ევრ. ნაწ. (ყირიმი).

საერთო გავრცელ.: მც. აზ.: არმ.-ქურთ.; ირ.;

20. **M. intermedia** (Boiss.) Hand.-Mazz. Ann. naturh. Hofmus. Wien 26 (1912) 148; Woronow in Фомин и Ворон. Опред. раст. Кавк. и Кр. II, 1 (1911) 177; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 390; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 491; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 206; Харадзе во Фл. Груз. III



(1947) 247 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 539; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 61; McNeill, Not. Roy. Bot. Gard. Edinb. XXIV, 3 (1963) 361; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 227. — *Alsine intermedia* Boiss. Fl. Or. I (1867) 685. — *Arenaria intermedia* (Boiss.) Fernald in Rhodora 21 (1919) 6.

Is.: Фл. Кавк. I. с. (1945) Табл. 20, 7.

⊙. ღერო 7—12 სმ სიმაღლისაა, დატოტვილი, ხუჭუტბეწვებიანი; ფოთლები ხაზურ-ლანცეტაა, მახვილწვერიანი, ძირში გაფართოებული, წამწამებიანი, 3—5 ძარღვიანი. თანაყვავილები ხაზურია, მახვილწვერიანი და საგრძნობლად აღმატება ყვავილებს; ყვავილები მოთავსებულია ძლიერ დამოკლებულ ყუნწებზე და ქმნიან სქელ კონებს, რომლებიც შეკრებილია მტევნისებრ ყვავილედად; ჯამის ფოთლები ლანცეტაა; მახვილწვერიანი, 4—5 მმ სიგრძის, 3 ძლიერ გამოწეული ძარღვით, ძირში გადაკვეთილი, კუზიანი, გამაგრებული; გვირგვინის ფურცლები ძალიან პატარაა, მოგრძო. კოლოფი ჯამზე 1/2-ით მოკლეა.

Typus: აწერილია კილიკიიდან «Ad pilas Cilicicas 23 juin 1855 Balansa 598».

ტიპი ინახება ჟენევაში (G) და იზოტიპები ევროპის სხვა პერბარიუმებში (BM, JE, K).

იზრდება ველებისა და ნახევრადუდაბნოების სარტყელში.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: ცნობილია მხოლოდ ერთი ეგზემპლარის მიხედვით, რომელიც ზედღმეიერმა ავკალასთან შეაგროვა 1919 წელს.

სსრკ: ამიერკავკ.: სომხ.

საერთო გავრცელ.: მც. აზ.: სირია; ერაყი;

შენიშვნა. ამ სახეობის ერთადერთი ეგზემპლარი ო. ზედღმეიერის მიერ შეგროვებული ავკალასთან ინახება საქართველოს მუზეუმში. ამ სახეობის გავრცელება საქართველოში შესწავლას მოითხოვს, ვინაიდან მისი გავრცელების ძირითადი არეალი მხოლოდ ირანის მოსაზღვრე რაიონებთანაა დაკავშირებული.

Sect. 6. *Sabulina* (Reichenb.) Graebn. in Aschers. et Graebn. Syn. Mitt.-Eur. Fl. V, 1 (1918) 700; Schischk. во Фл. СССР VI (1936) 487; McNeill, l. c. (1962) 149.

ჯამის ფოთლები წაწვეტებულია 3-ძარღვიანი, ძირთან არ არის გახვეებული; გვირგვინის ფოთლები ჯამზე მოკლეა. თესლები წვრილია, წვეტიან-ბორცვებიანი. ერთწლოვანებია.

Lectotypus: *Minuartia tenuifolia* (L.) Hiern. sec. McNeill, l. c. (1962) 150.

21. *M. hybrida* (Vill.) Schischk. во Фл. СССР VI (1936) 488; Колак. Фл. Абх. II (1939) 92; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 204; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 245 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 539; Карягин во Фл. Азерб. II I(1952) 297; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 58; Дмитриева, Опред. раст. Адж. (1960) 316; McNeill, Not. Roy. Bot. Gard. Edinb. XXIV, 3 (1963) 393; McNeill in Davis Fl. Turkey 2 (1967) 66; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 393 (georg.). — *M. tenuifolia* subsp. *hybrida* (Vill.) Mattf. Bot. Jahrb. LVII Beibl. 126 (1921) 29 — *M. hybrida* subsp. *hybrida*

da McNeill l. c. (1963) 394. — *M. viscosa* auct. cauc. non Schinz. et Thell. — *Arenaria tenuifolia* L. Sp. Pl. (1753) 424. — *A. hybrida* Vill. Prosp. Pl. Dauph. (1779) 48. — *Alsine tenuifolia* (L.) Crantz Instit. 2 (1766) 407. — *Al. tenuifolia* (L.) Hiern Journ. Bot. 37 (1899) 321 non Nees ex Mart. (1814). Ic.: Hegi Ill. ed. 1, 3 tabl. 106 (1909); Reichenb. Ic. Fl. Germ. V tab. 204. i. 4916 (1841).

⊙. მცენარე 5—10 სმ სიმაღლისაა, ზედა ნაწილში გაბნეულ ჯირკვალა-ბეწვებიანი, დატოტვილი, ირბად ზევითკენ მიმართული ტოტებით; ფოთლები ხაზურია, ძირში 3-ძარღვიანი. თანაყვავილები — პატარა ზომისაა, ლანცეტა; ყვავილეთი ფარჩხატია, საგველასებრი, არამრავალყვავილიანი, ყვავილის ყუნწი თხელია და 2—4-ჯერ აღემატება ჯამს; ჯამის ფოთლები მოგრძო-ელიფსურია, ერთბაშად წაწვეტებული, 3-ძარღვიანი, კიდებებზე სიფრთხანა, შიშველი 3—3,5 მმ სიგრძის, გვირგვინის ფურცლები ჯამზე 1/2-ით მოკლეა, ელიფსურია. კოლოფი თითქმის ჯამის ტოლია. V—VI.

აწერილია საფრანგეთიდან (Dauphiné).

იზრდება ღორღიან ფერდობებზე და სილნარ ადგილებში მთის ქვედა სარტყელში.

საქ. სსრ: 1. აფხ. ა. კოლაკოვსკის მოყავს ბიჭვინთის კონცხისათვის. 9 — ქართ.: თელეთის ქედი (ქუთათელაძე, მცხვეთაძე, ოდიშვილი); თელეთი შავნაბადა (შიშკინი); კრწანისი, ხატის თელეთი (შიშკინი).

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; აზერბ.; ევრ. ნაწ. (სამხრ. დასავლ. ყირიმი). შუა აზ.

საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ.: მც. აზ.; არმ.-ქურთ.; ირ.; ერაყი.

გზარი 10. ARENARIA L.*

ჯამის ფოთოლი 5, განცალკევებული, გვირგვინის ფურცელი 5, მთლიანი. მტკრიანა 10 ან 5, სანქტრე მარტივი ან ორად დაყოფილი ძნელად შესამჩნევი ჯირკვლებით, სვეტი 3. კოლოფი კვერცხისებრია, იხსნება კბილებით, რომელთა რიცხვიც ორჯერ აღემატება სვეტების რიცხვს. მრავალწლოვანი ან ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია, ზოგჯერ ქვედა ნაწილში გახევებული ღეროებით. ფოთლები ჩვეულებრივ ვიწრო-ხაზურია, ხაზურ-სადგისისებრი, ზოგჯერ კვერცხისებრი ან მომრგვალო-კვერცხისებრი.

პატარა ზომის მტკრის მარცვალი (სახეობების *A. dianthoides*, *A. holostea*, *A. steveniana*, *A. rotundifolia*, *A. serpyllifolia*, *A. leptoclados*-ის მიხედვით) სფეროსებრია, ღარსმოკლებული, 12 გაფანტული ფორით; ფორა მოზრდილია, ვიწრო არხით და წვრილბორცვიანი მემარანით; ეგზინის ზედაპირი ცოტად თუ მეტად მსხვილბორცვოვანია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ბოლო დროს ს. იკონიკოვმა (Новости снст. высш. раст. т. 10, 1973) მიიღო მიხაკისებრთა გვარების უფრო ვიწრო გაგება და გამოყო გვარ *Arenaria*-საგან გვარი *Eremogone* Fenzl. ამან გამოიწვია მთელი რიგი ახალი კომბინაციების შექმნა ვინაიდან გვარი *Eremogone* Fenzl. 'გაცილებით უფრო მრავალსახეობიანია, ვიდრე *Arenaria* L. s. str. (ვიწრო გაგებით). გვარის გა-

* დაამუშავა ა. ხარაძემ



მოყოფას საფუძვლად დაედო შემდეგი ნიშნები. ნაყოფებთან გახევებული ჯამის ფოთლები, გაბრტყელებული ოდნავ მსხლისებრი მოყვანილობის თესვები, ვარდულებების სასიცოცხლო ფორმა Eremogone-ს გვარის წარმომადგენლებში. ამას ემატება ქრომოსომა რიცხვი $X = II$ და არა $X = 10$. ჩვენ ვთვლით, რომ ყველაზე მყარი ნიშანი მიხაეისებრთა გვარების გასარჩევი არის კოლოფის აღნაგობა და მისი გახსნის თავისებურება, რაც აერთიანებს აგრეთვე გვარ *Arenaria L.*-ს სახეობებს ამიტომ ზემოაღნიშნული გვარი Eremogone ჩვენ ქვეგვარის სახელწოდებით მოგვყავს. მეორე მხრივ ამ ბოლო დროს თურქეთის ფლორაში, აგრეთვე ერევნის ფლორაში არის ტენდენცია კავკასიონის ენდემური სახეობები დაუქვემდებარონ წინა აზიურ და სამხრეთ ამიერკავკასიის სახეობებს ქვესახეობის სახელწოდებით. ჩვენ არ ეთიარებთ ამ შეხედულებას და ვცდილობთ წერილი ნიშნებით და არაერთი ვანცალეკეებული სახეობანი ეიკარულ სახეობებად ჩავთვალოთ. ზემონათქვამი აისახა მოყვანილ სახეობათა სინონიმიკაში.

1. მრავალწლოვანია, სქელ ან ფაშარკორდიანი 2
- ერთწლოვანია, სწორმდგომი ან წამოწეული დატოტვილი ღეროებით და კვერცხისებრი, ოდნავ მახვილწვერიანი ფოთლებით 6
2. ფაშარკორდიანი მცენარეა, რომელიც ხასიათდება მომრგვალო-კვერცხისებრი ფოთლებით, წვირლ ფუნჯისებრი ფესვებით და მრავალი მხოხავი ღეროთი, რომლებიც 5—20 სმ სიგრძისაა. ყვავილენი მცირე ყვავილიანია, ქოლგისებრ-ფარისებრი; ჯამი 2—5 მმ სიგრძისა; გვირგვინის ფურცლები ჯამზე 1/2-ით მოკლეა 5. *A. rotundifolia* Bieb.
- მცენარე ხასიათდება ვიწრო-ხაზური ან სადგისისებრი ფოთლებით. 3
3. ყვავილენი თავაკია, მრავალყვავილიანი, ძირში წყვილი, ლანცეტა, სიფრიფანა მფარავი ფოთლით, რომლებიც ყვავილედს არ აღემატება. ფაშარკორდიანი მცენარეა, რომელიც ხასიათდება 20—50 სმ სიმაღლის შიშველი ღეროებით, ძირთან დამოკლებული უნაყოფო ყლორტებით 3. *A. dianthoides* Smith
- ყვავილენი ფარჩხატა, ფარისებრი ან სავეელასებრი 4
4. ფაშარკორდიანი მცენარეა, 15—25 სმ სიმაღლის. ყვავილენი მრავალყვავილიანია; ჯამის ფოთლები 2—3 მმ სიგრძის, კვერცხისებრი, წვერში მომრგვალებული, კიდებზე ფართო სიფრიფანა 2. *A. Steveniana* Boiss.
- ფაშარ ან სქელკორდიანი მცენარეა უფრო დიდი ზომის ყვავილენით; ჯამის ფოთლები მახვილწვერიანია, სიგრძით 4ან 10 მმ-მდე. 5
5. სქელკორდიანი მცენარეა, ხასიათდება დამოკლებული უნაყოფო კონებით, შიშველი, მხოლოდ ზედა ნაწილში ჭირკვალაბუხუსებრიანი, 8—20 სმ სიმაღლის ღეროებით, დამოკლებული ჭაგრიან-სადგისისებრი ღეროსეული ფოთლებით; ჯამის ფოთლები კვერცხისებრ-ლანცეტა, მახვილწვერიანი, 4—5 მმ სიგრძის. 1. *A. lychnidea* Bieb.
- ფაშარკორდიანი, ძირში გახევებულღეროიანი მცენარეა, 20—30 სმ სიმაღლის, ხაზურ-სადგისისებრი ღეროსეული ფოთლებით; მათ შო-



რის ზედა ფოთლები ქვედა ნაწილში გაფართოებულია, ლანცეტა, სიფრიფანა, გრძლად სადგისისებრ წაწვეტებული. ჯამის ფოთლები ლანცეტაა, წაწვეტებული, 6—10 მმ სიგრძის . . . 4. *A. holostea* B. et.

6. ღეროები 5—35 სმ სიმაღლისა და შებუსხვილია წვრილი ჯირკვალა ან მარტივი ბეწვებით. მრავალრიცხოვანი მცირეყვავილიანი დიქაზიუმები შეკრებილია საგველასებრ ყვავილედად; ჯამის ფოთლები 3—4,5 მმ სიგრძისაა, კვერცხისებრ-ლანცეტა, მახვილწვერიანი; გვირგვინის ფურცლები მოკლეა, ჯამის ნახევარ სიგრძეს აღწევს. კოლოფი ჯამის ტოლია ან ოდნავ მოკლე, კვერცხისებრი, ქვედა ნაწილში გამობერილი, ზედა ნაწილში კი შევიწროებული . . . 6. *A. serpyllifolia* L.

— წვრილბუსუსებიანი მცენარეა, 5—15 სმ სიმაღლის წვრილი ღეროებით. ყვავილელი შედგება ვიწრო დიქაზიუმებისაგან; ჯამის ფოთლები 2,5—3 მმ სიგრძისაა, გვირგვინის ფურცლები ჯამზე ორჯერ მოკლეა. კოლოფი ცილინდრულია, ძირში ოდნავ გაფართოებული, ჯამის ფოთლების ტოლი ან მათზე ოდნავ გრძელი . . . 7. *A. leptoclados* Guss.

Subgen. I *Eremogone* (Fenzl) Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 360; Шишк. и Кнорр. во Фл. СССР VI (1936) 520; McNeill, Not. Roy. Bot. Gard. Edinb. XXIV, 2 (1962) 120. — Gen. *Eremogone* Fenzl Versuch, Verbreit. Vertheil. Alsin. (1833) 13; Иконн. Новости сист. высш. раст. 10 (1973) 139.

ჯამი ნაყოფთან მაგრდება. თესვები შებრტყელებულია, მრავალი მეტნაკლებად კორდიანი მცენარეებია ძირთან გახევებული ღეროებით.

Sect. 1. *Capillares* McNeill, l. c. XXIV, 2 (1962) 122. — Subgen. *Eremogone* Ser. *Sclerophyllae* Schischk. et Knorr. in Фл. СССР VI (1936) 529 p.p. non Boiss. — *Eremogone* sect. *Capillares* (McNeill) Иконн. l. c. 10 (1973) 138.

მრავალი უნაყოფო შემოკლებული და საყვავილე ყლორტები მკვირვ კორღს ქმნის. ღეროს ქვედა ნაწილში ფოთლები 2—10 მმ სიგრძისაა. ყვავილელი ცოტაყვავილიანია. გვირგვინის ფურცლები წაწვეტებულ ჯამის ფოთლებს საგრძნობლად აღემატება.

Typus: *A. capillaris* Poir.

1. *A. lychnidea* Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 347; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 366; Boiss. Fl. Or. I (1867) 696; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 97; Шишк. и Кнорр. во Фл. СССР VI (1936) 530; Колак. Фл. Абх. II (1939) 97; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 218; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 520 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 542; Ахундов во Фл. Азерб. III (1952) 308; McNeill, Not. Roy. Bot. Gard. Edinb. XXIV, 3 (1963) 291; McNeill in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 30; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 228 (georg.). — *A. lychnidea* var. *glabra* Albow, Prodr. Fl. Colch. (1895) 36. — *Eremogone lychnidea* (Bieb.) Rupr. Fl. Cauc. (1869) 219; Иконн. Новости Сист. высш. раст. 10 (1973) 139.

Is.: Фл. Кавк. l. c. (1945) Табл. 21, 10; Фл. СССР l. c. Табл. XXIX, 3; Фл. Груз. l. c. Рис. 116.

4. ძალიან სქელკორდიანი მცენარეა, ხასიათდება დამოკლებული უხვა-ყოფო ყლორტების კონებით და მრავალი შიშველი, ზედა ნაწილში ჭირკვალბუს სუსებიანი, 8—10 სმ სიმაღლის ღეროებით; ფოთლები შიშველია, 3—10 სმ სიგრძის, ღეროსეული ფოთლები დამოკლებულია, — სადგისისებრი, კიდებზე წვრილ-წამწამებიანი, ძირში შეზრდილი 1 მმ-მდე. ყვავილედ იფარისებრია, არამრავალყვავილიანი, 3—5 ყვავილით; თანაყვავილები პატარა ზომისაა, ლანცეტა, სიფრიფანა; ყვავილის ყუნწი თითქმის ჯამის ტოლია ან აღემატება მას, წვრილ-ჭირკვალა-ბუსუსებიანი; ჯამის ფოთლები კვერცხისებრ ლანცეტაა, მახვილწვერიანი, სიფრიფანა, მომწვანო ან მეწამულ ფერად შეფერილი, 4—5 მმ სიგრძის; გვირგვინის ფურცლები ჯამზე თითქმის ორჯერ გრძელია მოგრძო, მოზღაგვო; დისკოს ჭირკვლები არა აქვს. კოლოფი ჯამის ტოლია აქვს ვარეთკენ გადაღუნული კბილები. VII—VIII.

აწერილია ადამისი ეგზემპლიარის მიხედვით «Typus: Ex albus caucasicis. Comm. Adam.» ტიპი ინახება ლენინგრადში (LE).

იზრდება კლდეებზე, ღორღიან თხემებზე და ალპურ ღორღიან ხალებზე. უმთავრესად ალპურსა, უფრო იშვიათად სუბალპურ სარტყელში 2000—3300 მ-ის სიმაღლეზე ზღვის დონედან.

საქ. სსრ: მთ. კავკასიონის და მის განშტოებათა მაღალმთიან რაიონებში; 1 — აფხ.; 2 — სვან.; 3 — რაჭა-ლეჩხ.; 4 — სამეგრ.; 8 — სამხრ. ოს.; 10 — მთიულ.; 11 — თუშ-ფშავ-ხევსურ.; 12 — კახ.

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; აზერბ.

საერთო გავრცელ: თურქეთის ფლორაში (I. c.) მოყვანილია ჭანეთისათვის (გუმუშხანე) და არარატისათვის (პაროტის მიხედვით), რაც შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს.

Sect. 2. Eremogone — Arenaria Sect. Eremogone F. Williams, Bull Herb. Boiss. 3 (1895) 601; McNeill, Not. Roy. Bot. Gard. Edinb. XXIV, 2 (1962) 123. — Subgen. Eremogone divis. Rariflorae Subdiv. Xerolemmae Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 361. — Subgen. Eremogone Ser. Xerolemmae Fenzl et Schischk. et Knorr во Фл. СССР VI (1936) 525 (descr. ross.) — Eremogone Fenzl Sect. Eremogone Ikonn. Новости сист. высш. раст. 10 (1973) 136.

ყვავილები ფარჩხატ ფარისებრ საგველა ყვავილედშია შეკრებილი. ჯამის ფოთლები 2—35 მმ სიგრძისაა ბლაგვწვერიანი

Lelectotypus: A. graminifolia Schrad.

2. A. **Stevensiana** Boiss. Fl. Or. I (1867) 602; Шнишк. и Кнорр. во Фл. СССР VI (1936) 527; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 217; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 249 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 542; Ахундов во Фл. Азерб. III (1952) 308; Шнишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 81; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 228. (georg.); — A. graminea C. A. Mey. β. parviflora Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 362. — A. blepharophylla β. breviflora Williams, Journ. Linn. Soc. London (Bot.) 33 (1898) 403. — A. blepharophylla Boiss. var. parviflora (Fenzl) McNeill, Not-Roy. Bot. Gard. Edinb. XXIV, 3 (1963) 293; McNeill in Davis, Fl. Turk. 2 (1967) 31. — A. blepharophylla Boiss. subsp. stevensiana (Boiss.) Popova,



Новости, сист. высш. раст. 9 (1972) 161; Т. Попова во Фл. Ерев. (1972) 75. — *A. ooserala* Bordz. Изв. Киевск. Бот. сада XII (1931) 110. — *Eremogone steveniana* (Boiss.) Kopp. Новости сист. высш. раст. 10 (1973) 137.

Ис.: Фл. Арм. I. с. табл. XXII.

4. ფაშარკორდიანი მცენარეა; ღერო 15—35 სმ სიმაღლისაა, შიშველი, ყვავილედი წვრილ-ჯირკვალა-ბეწვებიანი; ძირთან აქვს ვიწრო-ნახური დამოკლებული ფოთლების კონა; ღეროსეული ფოთლები ნახურ-სადგისისებრია, 1,5—3 მმ სიგანის, მხოლოდ ოდნავ აღმატება მუხლთაშორისებს, ძირთან შეზრდილია 1 მმ-მდე, ზედა ფოთლები ძლიერ დამოკლებულია. ყვავილენი ფარისებრი მრავალყვავილიანი საგველაა; ყვავილის ყუნწი ჯამზე გრძელია; თანაყვავილები წვრილია, ლანცეტა სადგისისებრი, სიფრიფანა; ჯამის ფოთლები 2,5—3,5 მმ სიგრძისაა, კვერცხისებრი, ან მოგრძო-კვერცხისებრი წვეროვით მომრგვალებული, ქედიანი, კიდეებზე ფართო, სიფრიფანა, ხშირად წვირში მუქად შეფერილი; გვირგვინის ფურცლები — მოგრძო — უკუკვერცხისებრია. ჯამზე 2-ჯერ გრძელი. კოლოფი ჯამზე 1,5—2-ჯერ გრძელია, ძირში გაფართოებულია. VI—VII.

აწერილია სომხეთიდან *Typus*: «Prope Erivan, Steven».

იზრდება სუბალპურ სარტყელში მშრალ მდელოებზე ველის ელემენტებით.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: ბორჯომის რ-ნი სოფ. ბეჟანოსა და ხუმრას შორის (კოზლოვსკი); ცხრა-წყარო (კოზლოვსკი); 17-ქვ. ქართ.: ბორჩალო, ყარაბულა-ლი (კეცხოველი); 18 — ჯავახ.: ტბა მადათაფასთან (ზედელმეიერი), ტბა ტაბაწყურთან (კოზლოვსკი); თეთრობის ქედი (ხინთიბიძე); ახალქალაქი (რადღე); 19 — მესხ.: ოშორის ქედი აწყურთან (კოზლოვსკი).

ს ს რ კ: ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.

საერთო ვავრცელ. არმ.-ქურთ.: მც. აზ. (ჩრდილოეთი ანატოლია).

შ ე ნ ი შ ე ნ ა: სახეობა *A. Steveniana* Boiss. განხილულია McNeill-ის მიერ (1963, 1969) *A. blepharophylla* Boiss. var. *parviflora* (Fenzl) McNeill-ს სინონიმებში, შემდეგში პოპოვამ (1972) ეს სახესხვაობა ქვესახეობად განიხილა როგორც *A. blepharophylla* Boiss. subsp. *Steveniana* (Boiss.) T. Popova. ჩვენ მას *A. blepharophylla* Boiss.-ს ვიკარულ სახეობად ვღებულობთ, აღნიშნული სახეობანი შებუსვით, ჯამისა და გვირგვინის ფურცლების სიგრძით განსხვავდებიან ერთიმეორისაგან.

Sect. 3. Glomeriflorae (Fenzl ex Williams) McNeill l. c. XXIV 2 (1962) 124. — *Glomeriflorae* Fenzl ex Williams in Bull. Herb. Boiss. 3 (1895) 602 (subsect. subgen. *Pentadenaria*) — Subgen. *Eremogone* Ser. *Glomeriflorae* (Fenzl ex Williams) Schischk. et Knorr. во Фл. СССР VI (1936) 520; Subgen. *Eremogone* Series *chromolemmae* Fenzl ex Schischk. et Knorr. l. c. 528.

ყვავილები მკვრივ თავაკისებრ ყვავილედებადაა შეკრებილი.

Typus: *A. dianthoides* Smith.

3. *A. dianthoides* Smith, Ic. Pl. Ined. (1789) 16, tab. 16; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 360; Boiss. Fl. Or. I (1867) 601; Гроссг. Фл. Кавк. II (1930); Шишк. и Кнорр. Фл. СССР VI (1936) 520; Гроссг. Фл. Кавк. 2,



III (1945) 216; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 248 (georg.); Ахундов во Фл. Азерб. III (1952) 207; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 74; McNeill, Not. Roy. Bot. Gard. Edinb. XXIV, 3 (1963) 292; McNeill in Davis, Fl. Turkey II (1967) 321; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 228 (georg.); Попова во Фл. Ерев. (1972) 74. — *Eremogone dianthoides* (Smith) Ikonn. Новости сист. высш. раст. 10 (1973) 138.

Is.: Smith, l. c. tab. 16; Фл. Кавк. I. c. (1945) Табл. 21,5; Фл. Арм. I. c. табл. XX.

Exs.: Pl. or. exs. № 154.

4. ფაშარკორდიანი მცენარეა, ხასიათდება შიშველი, 20—50 სმ სიმაღლის ღეროებით, ძირში უნაყოფო, დამოკლებული ყლორტებით; ძირის ფოთლები გრძელია, ვიწრო-ხაზური, კიდევებზე წვრილ-ხერხებილა; ღეროსეული ფოთლები ხაზურია, 1—1,5 მმ-მდე სიგანის, ოდნავ მახვილწვერიანი, 5—8 სმ სიგრძის, ძირში შეზრდილი 8—18 მმ-მდე, ზედა ფოთლები დამოკლებულია, ძირში გაფართოებული, კიდევებზე სიფრიფანა, გრძლად წაწვეტებული. ყვავილენი თავაკია, მრავალყვავილიანი; ყვავილედს ძირში აქვს ერთი წყვილი, ლანცეტა. სიფრიფანა მფარავი ფოთოლი, რომელიც ყვავილედს არ აღემატება; ყვავილები თითქმის მკდომარეა; თანაყვავილები სიფრიფანაა. ფართო-ლანცეტა, მახვილწვერიანი, ჯამის ფოთლებზე მოკლე; ჯამის ფოთლები 6—10 მმ სიგრძისაა. შუა ნაწილში აქვს მეწამული ფერის ან მომწვანო ქედი, კიდევებზე სიფრიფანაა; მოგრძო-ლანცეტა, წაწვეტებულია; გვირგვინის ფურცლები ჯამზე 2—2,5-ჯერ გრძელია, მოგრძო-ხაზურია, წვერში მომრგვალებული, ფრჩხილად წარზიდული; ჯირკვალი 5, მტკრიანების ძირში მოთავსებული. კოლოფი ჯამზე ოდნავ გრძელია, წვერში შევიწროებული. VI—VIII.

აწერილია თურქეთიდან — „არმენია“ ტურნეფორის მიხედვით. ტიპი იხსნება პარიზში (P.).

იზრდება უმეტესად სუბალპურ, უფრო იშვიათად ალპურ სარტყელში, ქვიან ფერდობებზე და მდელო-ველებზე 1800—1900 მ-ის სიმაღლეზე ზღვ. დონიდან.

საქ. სსრ: 9 — ქართ. ბორჯომის რაიონი სოფლებს ბეჯანოსა და ხუმრისის შორის (კოზლოვსკი); 18 — ჯავახ. ტაბაწყურის ტბასთან (კოზლოვსკი; შიშკინი); მდ. ქციის სათავე ცხრა-წყაროსთან (კოზლოვსკი).

სსრკ: ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.

საერთო გავრცელ.: მც. აზ.; არმ.-ქურთ.; ირ.

Sect. 4. *Rigidae* Schischk. ex McNeill, Not. Roy. Bot. Gard. Edinb XXIV, 2 (1962) 125; McNeill, l. c. XXIV, 3 (1963) 297. — Subgen. *Eremogone* Ser. *Rigidae* Schischk. во Фл. СССР VI (1936) 521 (descr. ross.) — Gen. *Eremogone* sect. *Rigidae* (Schischk. ex McNeill) Ikonn. l. c. 10 (1973) 138.

ყვავილები ფარჩხატ ყვავილედშია შეკრებილი. ჯამის ფოთლები 5—10 მმ სიგრძისაა, წაწვეტებული. ღეროსეული ფოთლები ვიწრო-ხაზურია.

Typus: *A. rigida* Bieb.

©. 4. *A. holostea* Bieb. Fl. Taur. — Cauc. I (1808) 345; DC. Prodr. I (1824) 402; C. A. Mey. Verzeichn. Pflanz. (1891) 219; Fenzl in Ledeb. Fl.

Ross. I (1942) 364; Boiss. Fl. Or. I (1867) 694 p.p.; Гроссг. Фл. Кавк. (1930) 397 p.p.; Шишк. и Кнорр. во Фл. СССР VI (1936) 522; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 217; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 249 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 542; Ахундов во Фл. Азерб. III (1952) 307; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 228 (georg.) — *A. holostea* Boiss. Subsp. *holostea* McNeill, Not. Roy. Bot. Gard. Edinb. XXIV, 3 (1963) 297; Попова, Новости сист. высш. раст. 9 (1972) 162. — *Eremogone holostea* (Bieb.) Rupr. Fl. Cauc. (1869) 217; Иконн. Новости сист. высш. раст. 10 (1973) 138.

Ис.: Rupr. l. c. tab. VI f. 3; Фл. СССР l. c. табл. XXIX, 2.

2. ფაშარკორდიანი მცენარეა, ხასიათდება შიშველი, ძირში გახვეებული, 20—30 სმ სიმაღლის ღეროებით და დამოკლებული უნაყოფო ყლორტებით: მათი ფოთლები ვიწროხაზურია: ღეროსეული ფოთლები ხაზურ-სადგისისებრია, წაწვეტებული, ძირში შეზრდილი 2 მმ-მდე, მათ შორის ზედა ფოთლები ქვედა ნაწილში ძლიერ გაფართოებულია, ლანცეტა, სიფრიფანა, გრძლად სადგისისებრ წაწვეტებული. ყვავილენი მრავალყვავილიანი არ არის, ფარისებრია: ყვავილის ყუნწი ნაყოფობისას ჯამის ფოთლებზე გრძელია; თანაყვავილები ლანცეტა, შუა ნაწილში მწვანე ძარღვით, თითქმის ყვავილის ყუნწის ტოლი; ჯამის ფოთლები 6—10 მმ სიგრძისაა, ლანცეტა, გრძლად წაწვეტებული, შუა ნაწილში ფართო მწვანე ზოლით, კიდეებზე სიფრიფანა: გვირგვინის ფურცლები ჯამზე ოდნავ გრძელია, მოგრძო-ნიჩბისებრია, წვერში მომრგვალებული, 7—11 მმ სიგრძის, ჯირკვლები დისკოზე არა აქვს. კოლოფი სიგრძით ჯამის ტოლია, მოგრძოა, წვერისკენ შევიწროებული. VII—VIII. (სურ. 8.).

Typus: «*Alb. Cauc. iberico a Steven*».

აწერილა სამხედრო ვზღან. ტიპი დაცულია ლენინგრადში (LE, Herb. Bieb.)

იზრდება ბალახოვან და ქვიან ფერდობებზე ტყისა და სუბალპურ სარტყლებში, ხშირად კირქვიანებზე.

საქ. სსრ: მოყვანილია ყაზბეგისათვის რაც საეკვოა და შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

სსრკ: იმიერკავკ.: კავკასიონის აღმ. ნაწ., დაღესტანი: ცენტრალური ნაწილი (კლდოვანი ქედი).

შ ე ნ ი შ ე ა: ამ სახეობას კავკასიის ავტორები უთითებენ ყაზბეგისათვის. C. A. Meyer-ს ის მოყავდა თურგის ნაპირის კლდეებისათვის და ყაზბეგის ალპებისათვის. შემდგომმა კვლევებმა არ დაადასტურა ყაზბეგის მიდამოებში ამ მცენარის გავრცელება. შესაძლებელია ის შეგროვებული იყო მეიერის მიერ კლდოვანი ქედის მიდამოებში (ინგულშეთი), ვინაიდან დაღესტანში ის ძირითადად კირქვებზეა გავრცელებული. ასევე შესაძლებელია Adams-ის ეგზემპლარიც, რომლის მიხედვით აიწერა ეს სახეობა (იხ. Ledebour l. c.) სამხედრო ვზაზე იყო შეგროვებული. ამას ადასტურებს რუპრეხტის ფაქტიური მასალა (Ruprecht l. c.), საიდანაც ირკვევა, რომ Adams-ს ეს სახეობა შეგროვებული ჰქონდა სოფ. ჩმი-სთან ბალთასა და ლარსს შორის.

ტიპების ჰერბარიუმში ლენინგრადში დაცულია ეგზემპლარი ბიბერშტეინის ჰერბარიუმიდან «*Alp. Cauc. Iberico a Steven*».



ვეიქრობთ, რომ ეს იგივე ეგზემპლარია, რომელიც სტევენის საშუალო-მდინარეების რეგიონში აღმოჩენილია და ბიბერშტეინის და შემდეგ ციტირებული იყო ლედებურსის მიხედვით. ამგვარად, სახეობა *A. holostea* Bieb.-ს გავრცელება საქართველოში საეკვოა და შემდგომ შესწავლას მოითხოვს. ჩვენ ეს სახეობა შეგვგროვებთ ინგუშეთში, გლერძიანებში თიხა-ფიქლებს და ქვიშაქვების გავრცელების ზოლში, მდინარე არმ-ხის და თერგის შესართავთან. McNeill-ი (1969) და შემდეგ თ. პოპოვა ამ სახეობას განიხილავენ უფრო ფართოდ და მასში შეყავთ *A. macrantha* Schischk. ქვესახეობის რანგში.

A. holostea Bieb. კავკასიონის ენდემია, შებუსევილეროინია. სრულიად შიშველი. *A. macrantha* Schischk. მის ვიკარულ სახეობას წარმოადგენს. უკანასკნელი სამხრეთ ამიერკავკასიაში და არმენია-ქურთისტანშია გავრცელებული.

Subgen. II *Arenaria* — *Arenaria* β. *Euthalia* Fenzl in Endlich. Gen. Pl. (1840) 967 — *Arenaria* Subgen. *Euthalia* (Fenzl) Fenzl in Ledeb. Fl. Ross. II (1842) 257; Schischk. во Фл. СССР VI (1936) 537. — *Euthalia* (Fenzl) Rupr. Fl. Cauc. (1869) 220.

ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ფარსკორდიანი მცენარეებია, ჯამი ძირითან არ მაგრდება.

Sect. 5. *Rotundifoliae* Schischk. ex McNeill, Not. Roy. Bot. Gard. Edinb. XXIV, 2 (1962) 261; McNeill, l. c. XXIV, 3 (1963) 261 diagn. — *Arenaria* Subgen. *Euthalia* Ser. *Rotundifoliae* Schischk. во Фл. СССР VI (1936) 538.

მრავალწლოვანებია. გვირგვინის ფოთლები ჯამზე მოკლეა ან მათი ტოლია. ჯამის ფოთლები ერთმარტვიანია.

Typus: *A. rotundifolia* Bieb.

5. *A. rotundifolia* Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 314; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 369; Boiss. Fl. Or. I (1867) 700; Hayek, Prodr. Fl. Penins. Balk. I (1824) 424; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 395; Шишк. и Кнорр. во Фл. СССР VI (1936) 538; Колак. Фл. Абх. II (1939) 97. Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 216; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 250 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 541; Ахундов во Фл. Азерб. III (1952) 306; Шишк. и Аветилян во Фл. Арм. 2 (1956) 81; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 318; Chater a. Halliday in Fl. Europ. I (1964) 120, in nota; Кожухаров во Фл. на Бълг. III (1966) 332; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 227 (georg.); — *A. rotundifolia* ssp. *rotundifolia* McNeill, Not. Roy. Bot. Gard. Edinb. XXIV, 3 (1963) 262; McNeill in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 22 — *A. rotundifolia* var. *colchica* Albow Prodr. Fl. Colch. (1895) 36. — *A. rotundifolia* var. *longisepala* Somm. et Levier Acta Horti Petropol. XIV (1900) 38; Харадзе l. c. (1947) 251; Гроссг. Фл. Кавк. (1945) 216 — *A. rotundifolia* var. *flaccida* (Rupr.) Grossh. l. c. (1945) 216 — *A. ovalifolia* Somm. et Levier, Acta Horti Petropol. XIII (1893) 40 — *Euthalia rotundifolia* (Bieb.) Rupr. Fl. Cauc. (1869) 220. — *E. rotundifolia* var. *flaccida* Rupr. l. c. 221.

l. c.: Фл. Кавк. l. c. (1945), табл. 21, 4; Фл. СССР l. c. табл. XXX, 3.

4. ფარსკორდიანი მცენარე, ხასიათდება წვრილი, ფუნჯა ფესვებით და მხოხავი, ძირიდანვე დატოტვილი, წვრილბუსუსებიანი, 5—20 სმ სიგრძის ღე-



როებით; ფოთლები მომრგვალო-კვერცხისებრია, მოკლყუნწიანი, შიშველნიანი, ღირში კიდებზე წვრილბეწვებიანი, 3—5 მმ სიგანის და 3,5—6 მმ სიგრძის. ყვავილელი მცირეყვავილიანია 2—5 იშვიათად 10 ყვავილით, ცალკევერდა ქოლგისებრ-ფარისებრი, გაფარჩხული ტოტებით და გადახრილი, მეჩხერბეწვებიანი ცოტად თუ მეტად წაგრძელებული ყვავილის ყუნწებით; თანაყვავილები ლანცეტაა 2—3 მმ სიგრძის; ჯამის ფოთლები ლანცეტაა მახვილწვერიანი, შიშველი, კიდებზე ვიწრო-სიფრიფანა 2,5—4 [5] მმ სიგრძის; გვირგვინის ფურცლები ჯანზე 1/2-ით მოკლეა; კოლოფი ჯამის ფოთლების ტოლია. VI—VIII. 2n=22 (Sec. Favarger. 1962).

Typus: «Ex alpinis caucasicis, Kaischaur a. 1802» ინახება ლენინგრადში (LE. Herb. Bieb.).

აწერილია სამხედრო გზიდან, სოფ. კაიშაურის მიდამოები გუდაურთან.

იზრდება ტენიან მდელოებზე ტყისა და სუბალპურ სარტყელებში 1200—2500 მ-ის სიმაღლეზე ზ. დ.

საქ. სსრ.: 1 — აფხ.; 2 — სვან.; 3 — რაჭა-ლეჩხ.; 4 — სამეგრ.; 6 — გურ.; 7 — აჭარ.; 8 — სამხრ. ოს., 9 — ქართ.; 10 — თუშ-ფშავ-ხევსურ. 16 — თრიალ.; 18 — ჯავახ.; 19 — მესხ.

სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; შავი ზღვ. სანაპ.; აზერბ.; სომხ.

საერთო გავრცელება: მც. აზ.; ბალკან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ეს სახეობა მოყვანილია თურქეთის ფლორაში (I. c. 1967). და შედარებულია ირანის სახეობა *Arenaria balansae* Boiss.-თან. გავრცელებულია იმავე ფლორის მიხედვით კავკასიაში, თურქეთსა და საბერძნეთში, მაკედონიასა და ბულგარეთისათვის გამოყოფილია ქვესახეობა subsp. *pancičii* (Degen et Bald.) McNeill. ბულგარეთის ფლორაში სახეობა *A. rotundifolia* L.-მოყვანილია სტარა პლანინასა, პირინსა და როდოპებისათვის. ევროპის ფლორაში ამ სახეობას აახლოებენ ევროპის სახეობა *A. biflora* L.-სთან და ეჭვს გამოთქვამენ მისი დამოუკიდებლობის შესახებ. ჩვენ ვთვლით რომ *A. rotundifolia* Bieb. წაწვეტებული ჯამის ფოთლებით და მოკლე გვირგვინის ფურცლებით საქაოდ მკვეთრად განსხვავდება ევროპის *A. biflora* L.-საგან. პოლიმორფული სახეობა *A. rotundifolia* L. გავრცელებულია მთის შუა და მაღალმთის სარტყლებში. საქართველოსათვის მოყვანილია მკერვიკორდიანი ფორმა var. *colchica* Alb. სამეგრელოდან; var. *longispala* Somm. et Levier უფრო გრძელი ჯამის ფოთლებით — აჭარიდან; თუშეთისათვის რუპრეხტს მოჰყავდა var. *flaccida* Rupr. შედარებით უფრო მრავალყვავილიანი ყვავილედით. აღნიშნული სახესხვაობები და მათი ტაქსონომიური მნიშვნელობა ჯერ არ არის სათანადოდ შესწავლილი.

6. *A. serpyllifolia* L. Sp. Pl. (1753) 423; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 168 p.p.; Boiss. Fl. Or. I (1867) 701; Hayek, Prodr. Fl. Pennins. Balkan. I (1924) 196; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 395; Шишк. и Кнорр. во Фл. СССР VI (1936) 539; Гроссг. Фл. Кавк. изд. 2, III (1945) 215; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 251 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 541; Ахундов во Фл. Азерб. III (1952) 306; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 81; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 318; McNeill, Not. Roy. Bot. Gard. Edinb. XXIV, 3 (1963) 285; Chates et Halliday in Fl. Eur. I (1964) 121; Кожухаров во Фл. на Бълг. III (1966) 337; Харадзе в

Опред. раст. Груз. II (1969) 228 (georg.). — *Alsine serpyllifolia* (L.) Grunz. *Institut. II* (1766) 406. — *Stellaria serpyllifolia* (L.) Scop. *Fl. Carn.* ed. 2, 1 (1772) 319. — *Euthalia serpyllifolia* Rupr. *Fl. Cauc.* (1869) 220.

Ис.: Reichenb. *Ис.* *Fl. Germ.* V tab. 216; Hegi, *Fl. fasc.* 2, Bd. III 2, 5. *Fig.* 369 a, b, c, d; *Fig.* 370 c.

⊙. ან ⊕. მცენარე ხასიათდება სწორმდგომი ან წამოწეული, ძირიდანვე გაშლილად დატოტილი. 5—35 სმ სიმაღლის ლეროებით, რომლებიც წვრილი ჭირკვალა ან მარტივი ბეწვებით არის შებუსხილი; ფოთლები კვერცხისებრია, წაწვეტებული, თითქმის მკდომარე, შებუსხილი, მკაფიოდ გამოსახული ძარღვებით, 6—7 მმ სიგრძისა. ყვავილედ შედგება მრავალყვავილიანი დიქაზიუმებისაგან, რომლებიც სავეელასებრ ყვავილედად არიან შეკრებილი; თანაყვავილები ფოთლისმაგვარია; ყვავილები ცოტად თუ მეტად გრძელყუნწიანია; ჯამის ფოთლები 3—4,5 მმ სიგრძისაა. კვერცხისებრლანცეტა, მახვილწვერიანი, შებუსხილი მკაფიოდ შესამჩნევი 3 ძარღვით, კიდებზე თეთრსიფრიფანა; გვირგვინის ფურცლები ჯამზე 1/2-ით ან უფრო მეტად მოკლეა. კოლოფი თითქმის ჯამის ტოლია ან ოდნავ მასზე მოკლე, კვერცხისებრია, ქვედა ნაწილში გამობერილი, ზედა ნაწილში შევიწროებული. V—IX. $2n=40$ (Sec Mc Neill).

აწერილია ევროზიდან. ტიპი დაცულია ლონდონში, ლინეის პერბარიუმში (LINN).

იზრდება ქვიან ფეორობებზე, ღია ადგილებში, ველებში, სარეველას სახით გვხვდება ველების, ნახევრად უდაბნოს სარტყელში და ტყის სარტყელში, ზოგჯერ სუბალპურ სარტყელში იჭრება.

საქ. სსრ: რესპუბლიკის ყველა რაიონში.

სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; შავი ზღვის სანაპ.; აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ.: დას. ციმბ.; შუა აზ.

საერთო გავრცელ.: შუა ევრ. ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.; აღმ. აზ.; ჩრდ. ამერ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სახეობის საერთო არეალში გვხვდება შებუსხვით განსხვავებული ფორმები, რომელნიც მოყვებათ როგორც var. *scabra* Fenzl შებუსხილია მოკლე მარტივი ბეწვებით. ეს ჩვეულებრივი ფორმაა, რომელიც ბოლო დროს მოყვებათ როგორც var. *serpyllifolia* (var. *scabra* Fenzl.). უფრო იშვიათია var. *viscida* DC. შებუსხილი ჭირკვალა ბუსუსებით.

7. *A. leptoclados* Guss. *Fl. Sicul. Syn.* 2 (1845) 824; Boiss. *Fl. Or.* I (1867) 701; Гроссг. *Фл. Кавк.* II (1930) 395; Шишк. и Кнорр. *во Фл. СССР* VI (1936) 539; Колак. *Фл. Абх.* II (1939) 97; Гроссг. *Фл. Кавк.* изд. 2, III (1945) 215; Харадзе *во Фл. Груз.* III (1947) 251 (georg.); Гроссг. *Опред. раст. Кавк.* (1949) 541; Ахундов *во Фл. Азерб.* III (1952) 306; Шишк. и Аветисян *во Фл. Арм.* 2 (1956) 81; Дмитриева, *Опред. раст. Аджар.* (1960) 318; McNeill, *Not. Roy. Bot. Gard. Edinb.* XXIV, 3 (1963) 286; Chates et Halliday *in Fl. Eur.* I (1964) 121; Кожухаров *во Фл. на Бълг.* III (1966) 338; Харадзе *в Определ. раст. Груз.* II (1969) 228 (georg.). — *A. serpyllifolia* Fenzl *in Ledeb.* I (1842) 368 p.p. — *A. serpyllifolia* var. *lepto-*

clados Reichenb. Ic. Fl. Germ. V (1841) 32. — *A. serpyllifolia* subsp. *lepida*
clados Nyman, Consp. Fl. Eur. (1878) 112.

Ис.: Фл. Кавк. I. с. (1945) Табл. XXI 3—3в; Hegi, Fl. fasc. 2, III 2,5
Fig. 369 e. f. g. h; Fig. 370 b.

⊙ ან ⊖. წვრილი ბეწვით შემოსილი მცენარეა, ხასიათდება სწორი ან წამოწეული, დატოტვილი, 5—15 სმ-ის სიმაღლის წვრილი ღეროებით; ფოთლები კვერცხისებრია, წაწვეტებული, თითქმის მჯდომარე, 5—7 მმ სიგრძის, შებუსხილი. ყვავილადი შედგება ვიწრო, ზოგჯერ ცალკეურდა დიქაზიუმები-საგან; ყვავილის ყუნწი წაგრძელებულია, თანაყვავილები პატარა ზომისაა, კვერცხისებრლანცეტა: ჯამის ფოთლები 2,5—3 მმ სიგრძისაა, ლანცეტა, მახვილწვერიანი, შებუსხილი, კიდებზე ვიწრო თეთრ-სიფრიფანა; გვირგვინის ფურცლები ჯამზე ორჯერ მოკლეა; კოლოფი ცილინდრულია. ძირში ოდნავ გაფართოებული, ჯამის ფოთლების ტოლი ან მათზე ოდნავ გრძელი. V—VI. $2n=20$ (Sec. McNeill).

აწერილია სიცილიიდან. ტიპი ინახება ნეაპოლში (NAP).

იზრდება ქვიშებზე ზღვის და ტბების ნაპირებზე, აგრეთვე დასარეველიანებულ ადგილებში ზღვის სანაპიროდან მთის სარტყელამდე.

საქ. სსრ: 1 — აფხ. (ზღვისპირა ზოლში, კოლაკოვსკის მიხედვით). 2 — სვან.: მესტია ქალა (ზურებიანი); 4 — სამეგრ., სენაკი სოფ. ბანძა (მაყაშვილი); მარტვილი (მაყაშვილი); 6 — გურ. მდ. ჯუჯას ნაპირებზე (ზედელმეიერი); 7 — აჭარა — ბათუმი, ჩაქვი (ნოვოპოკროვსკი); 9 — ქართლ.: თბილისის ზღვა (ღვინიანიძე); თრიალეთის ქედი. თემის ხეობა რკონთან (შ. ქუთათელაძე, და სხვა); 11 — თუშ-ფშავ-ხევსურ.: თიანეთი (შ. მელიქიშვილი); 15 — გარდაბ.: ყარაია (სტაროსელსკი).

სსრკ: იმიერკავკ.: აზერბ., სომხ.

საერთო გავრცელ.: ევრაზიის ზომიერი სარტყელი, ხმელთაშუაზღვ. მხრ., მც. აზ., ჩინეთი, აფრ.

შენიშვნა: საერთო გავრცელებით ემსგავსება წინა სახეობას, მხოლოდ ჩრდილოეთით არ სცილდება 59° და სამხრეთით სულანსა და სოკორტას.

გვანძი 11. MOEHRINGIA L.—* ჟიფლისძირა

ყვავილები ორსქესიანია. ჯამის ფოთოლი 5, განცალკევებული. გვირგვინის ფურცელი 5, თეთრი, მთლიანი. მტერიანა 10; მტერისმარცვლი სფეროსებრია, ღარს მოკლებული, 10—12 გაფანტული ფორით; ფორის მემბრანა და ეგზინის ზედაპირი მსხვილობორცვიანია. სეტი 3. ნასკვი 1 ბუდიანია, მრავალი თესლკვირტით. კოლოფი იხსნება 6 საგდულით სიგრძის 1/3-მდე გარეთკენ გადახვეული კბილებით. თესლი გლუვია. პრიალა, თეთრი სიფრიფანა დანამატიტო ჭიპთან. — ბალახოვანი მცენარეა სუსტი, წამოწეული ღეროებითა და კვერცხისებრი ან მოგრძო-კვერცხისებრ ფოთლებით.

* ლამაშაია ზ. ღვინიანიძე

ჩრდილო ნახევარსფეროს ზომიერ და ცივ სარტყელში გავრცელებული
სახეობიდან ჩვენთან მხოლოდ 1 იზრდება.



I. M. trinervia (L.) Clairv., Man. Herb. (1811) 150; Boiss. Fl. Or. I (1867) 709; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 371; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 398; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 540; Колак. Фл. Абх. II (1939) 98; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 219; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 252 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 543; Ахундов во Фл. Азерб. III (1952) 309; Макашвили, Фл. окр. Тбилиси I (1952) 188 (georg.); Шишк. и Аветисян во Фл. Армении 2 (1956) 82; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 318; Колак. Раст. мир Колх. (1961) 180; Halliday in Fl. Europ. I (1964) 24; Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 68; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 229 (georg.). — *Arenaria trinervia* L. Sp. Pl. (1753) 423; Ser. in DC. Prodr. I (1824) 412.

Ис.: Фл. СССР I. с. табл. XXXI, рис. 4; Гроссг. I. с. (1945) табл. 22, рис. 1—1a; Фл. Арм. I. с. табл. XXV.

⊙. ან ⊙. ლეროები სუსტია, წამოწეული 10—20 სმ სიმაღლის, ძირიდან დატოტვილი, შებუსხილი მოკლე კაუქისებრი ბეწვით; ფოთლები კვერცხისებრია ან მოგრძო-კვერცხისებრი, მახვილწვერიანი, 3—5 ძარღვიანი, 5—20 მმ სიგრძის, 3—10 მმ სიგანის, ქვედა მხარეზე ლეგა ფერის, ძარღვების გაყოფილებასა და კიდებზე წვრილი კაუქისებრი ბეწვით. ზედა მხარეზე მწვანე ფერის, მეჩხერი წვრილი ბეწვით შებუსხილი. ყვავილები ილლიურია ან კენწრული, გრძელყუნწიანი; ჯამის ფოთლები კვერცხისებრ-ლანცეტაა, გრძლად წაწვეტილი, ზურგის მხარეზე მწვანე ფერის ამოწეული წვრილბეწვიანი ძარღვებით, კიდებზე ფართო თეთრ-სიფრიფანა, წამწამებიანი; გვირგვინის ფურცლები 1/3-ით მოკლეა ჯამზე, მოკლე-ელიფსურია, კოლოფი ჯამზე მოკლეა, მომრგვალო-კვერცხისებრი; გახსნილი კოლოფი ძირისაკენ სოლისებრია. V—VII. $2n=24$.

აწერილია ევროპიდან. ტიპი იხახება ლონდონში.

იზრდება ტყეებსა და ბუჩქნარებში, ტენიან ადგილებში. 2000 მ-მდე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: რესპუბლიკის ყველა ტყიან რაიონში.

სსრკ: იმერკავკ.; ამიერკავკ.: შავი ზღ. სანაპ.: აზერბ.; ევრ. ნაწ.: დას. და აღმ. ციმბ.; შუა აზ.

საერთო გავრცელ.: ჩრდ. და შუა ევრ.; ხმელთაშუაზღ. მხრ.; მც. აზ.: არმ.-ქურთ.: ირ.; ცენტრ. აზ.; ჩრდ.-დას. აფრიკა.

გვარი 12. SPERGULA* L.

ჯამის ფოთლოი 5, ძირში შეზრდილი. გვირგვინის ფურცელი 5, მთლიანი. მტკრიანა 10 [5]; მტკრის მარცვალი სფეროსებრია. 3 ან 6 მერიდიონალურად განლაგებული ღარით; ეგზინის ზედაპირი და ღარის მემბრანა წვრილბორცვიანია. ნასკვი 1-ბუდიანი, მრავალი თესლკვირტით. სვეტი 5. კოლოფი თითქმის ძირამდე იხსნება 5 საგდულით. თესლი წვრილია, ვიწრო ან ფართო ქობით,

* დაამუშავა ზ. ლვინიანიძემ.



— ერთწლოვანი, უფრო იშვიათად ორწლოვანი მცენარეებია, ხასიათდება კრუტგოლური განწყობის ხაზური ფოთლებით, რომელთაც თეთრ-სიფერღებანი თანაფოთლები აქვთ.

ცივ და ზომიერ სარტყლებში გავრცელებული 5 სახეობიდან საქართველოში მხოლოდ 1 სახეობაა წარმოდგენილი.

1. *S. arvensis* L. Sp. Pl. (1753) 440; Boiss. Fl. Or. I (1867) 731; Колак. Растит. мир Колх. (1961) 183; Ratter in Fl. Europ. I (1964) 154; idem, in Fl. Turkey, 2 (1967) 92. — *S. arvensis* β. *vulgaris* Fenzl in Ledeb. II (1843) 170; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 399.—*S. vulgaris* Boenn. Prodr. Fl. Monast. (1824) 136; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 551; Колак. Фл. Абх. II (1939) 99; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 222; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 255 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 543; Шишк. и Аветишян во Фл. Арм. 2 (1956) 90; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 310.

Is.: Фл. СССР I. с. табл. XXXII, рис. 5 Фл. Арм. I. с. табл. XXVII.

⊙. ღერო რამდენიმეა, ზედა ნაწილში დატოტვილი, გაფანტული ჭირკვალა ბეწვით შებუსხილი, აღმავალი ან წამოწეული, 15—40 სმ სიმაღლის; ფოთლები ვიწრო-ხაზურია 2—3 სმ სიგრძის, ჭირკვალა-ბეწვიანი, ქვევიდან ღარიანი; თანაფოთლები პატარა ზომისაა. ყვავილები ქმნის ქოლგისმაგვარ-საგველსაებრ-კენწრულ ყვავილედს; თანაყვავილები პატარა ზომისაა, სიფრიფანა; ყვავილები მოთავსებულია ძალიან წაგრძელებულ ყუნწებზე, რომლებიც ყვავილობის ბოლოსათვის ქვევითკენ არიან გადახრილები; ჯამის ფოთლები კვერცხისებრია, მობლაგვო, კიდებზე ფართო-სიფრიფანა, იშვიათად ჭირკვალბეწვიანი, 4—5 მმ სიგრძის; გვირგვინის ფურცლები თითქმის ჯამის ტოლია; მტვრიანა 10. კოლოფი ფართო კვერცხისებრია; თესლი მუქი მიხაკისფერია, დიამეტრში 1—2 მმ-მდე, ორივე მხრიდან ამოხნეჟილი, ვიწრო, მკრთალი ქობით. IV—VII. 2n = 18.

აწერილია ვესტფალიიდან (ევროპიდან).

იზრდება სილნარებსა და რუდერალურ ადგილებში, აგრეთვე როგორც სარეველა.

საქ. სსრ: 1 — აფხ.: სოფ. გნადენბერგი (მალევეი); 7 — აჭარ.: ჩაქვი (მაცაშვილი); 10 — მთიულ.: კაიშაური, ყაზბეგის რაიონი (ხარაძის მიხედვით I. ს.); 11 — თუფ-ფშავე-ხევსურ.: როშკის მიდამოები ყანაში (ოჩიაური).

სსრკ: იმიერკავკ. (აღმ. ნაწ.); ამიერკავკ.: სომხ. (სტეპანავანი); ევრ. ნაწ.; დას. და აღმ. ციმბ., შორ. აღმ. მხრ.

საერთო გავრცელ.: დას. ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ. (ბალკ.); მც. აზ.; ცენტრ. აზ.; აღმ. აზ.; ჩრდ. აფრ.; ჩრდ. ამერ.

გვარი 13. SPERGULAR'A (PERS.) J. ET C. PRESL*

ჯამის ფოთლი 5, მწვანე, კიდზე სიფრიფანით, ძირში შეზრდილი, გვირგვინის ფურცელი 5, მთლიანია, თეთრი ან ვარდისფერი. მტვრიანა 1—10. მტვრის მარცვალი სფეროსებრია, პოლუსებთან ოდნავ შეზრტყელებული, 3

* დაამუშავა ზ. ლვინიანიძემ.

მერიდიანულად განლაგებული ღარი, იშვიათად 4 ღარიანი. ეგზონის ზედაპირი და ღარის მემბრანა მსხვილწერტილოვანია. სვეტი 3. კოლოფი იხსნება საგდულაო. თესლი ხშირად კიდეზე ფართო სიფრიფანა ქობითაა. — ან პრაველწლოვანი მცენარეებია მობირისპირე, ხაზური ფოთლებით და სიფრიფანა თანაფოთლებით, რომლებიც წყვილ-წყვილადაა შეზრდილი ძირში. თითქმის მთელ დედამიწაზე ზღვის სანაპიროებსა და დამლაშებულ ნიადაგებზე გავრცელებული 20 სახეობიდან, ჩვენთან მხოლოდ 4 სახეობა იზრდება.

1. ყველა თესლი ან მხოლოდ კოლოფის ძირთან განვითარებული თესლები ქობიანია. ჯამის ფოთლები 3—7 მმ სიგრძისაა. კოლოფი ჯამზე 1,5—2-ჯერ გრძელია 2.

— არც ერთ თესლს არა აქვს სიფრიფანა ქობა. ჯამის ფოთლები 1,5—4,5 მმ სიგრძისაა. კოლოფი თითქმის ჯამის ტოლია ან ოდნავ აღემატება მას 3.

2. ყველა თესლი კოლოფში კიდეზე ფართო სიფრიფანა ქობითაა. ჯამის ფოთლები 5—7 მმ სიგრძისაა. თანაფოთლები ღანცეტა, წაწვეტილი, ძირთან შეზრდილი 1. *S. marginata* (DC.) Kitt.

— მხოლოდ კოლოფის ძირთან განვითარებულ თესლებს აქვს სიფრიფანა ქობა. ჯამის ფოთლები 3—6 მმ სიგრძისაა, თანაფოთლები ფართო კვერცხისებრია, წაწვეტილი, შუამდე შეზრდილი 2. *S. marina* (L.) Griseb.

3. ყვავილი პატარა ზომისაა და მოთავსებულია წაგრძელებულ ძაფისმაგვარ ყუნწებზე; ჯამის ფოთლები 1,5—2,5 მმ სიგრძისაა 4. *S. diandra* (Guss.) Heldr. and Sart.

— ყვავილი დიდი ზომისაა; ყვავილის ყუნწი ჯამის ტოლია ან აღემატება მას; ჯამის ფოთლები 3—4,5 მმ სიგრძისაა 3. *S. rubra* (L.) J. et C. Presl

1. *S. marginata* (DC.) Kitt. Taschenb. der Fl. Deutsch. ed. 2 (1844) 1003; Boiss. Fl. Or. I (1867) 733; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 399; Горшкова во Фл. СССР VI (1936) 557; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 222; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 256 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 543; Ахундов во Фл. Азерб. III (1952) 311; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 230 (georg.); Monnier, Candollea, 30, 1 (1975) 121. — *Arenaria marginata* DC. in Lam. et DC. Fl. Fr. (1815) 793. — *Spergularia media* (L.) C. Presl, Fl. Sic. (1826) 161; Колак. Раст. мир Колх. (1961) 183; Monnier and Ratter in Fl. Europ. I (1964) 155; Ratter in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 93; Тахт., Фед. Фл. Еревана (1972) 75. — *S. media* β *marginata* Fenzl in Ledeb. II (1843) 168. — *Arenaria media* L. Sp. Pl. ed. 2 (1762) 606; DC. Prodr. I (1824) 401.

Ис.: Фл. СССР I. с. табл. XXXIII, рис. 3; Гроссг. I. с. (1945) табл. 22, рис. 5—5а.

2. ზედა ნაწილში ჭირკვალაბუსუსიანი მცენარეა; ღეროები სწორია ან წამოწეული, დატოტვილი, 10—30 სმ სიმაღლის; ფოთლები ვიწრო ხაზურია, მახვილწვერიანი, 1 მმ სიგანის და 1-4 სმ სიგრძის. თანაფოთლები სამკუთხა-

ლანცეტა, წაგრძელებულ-წაწვეტილი, ძირში შეზრდილი. ყვავილები შეკრებილია მტევნისებრ-წაგრძელებულ ყვავილედად; ყვავილის ყუნწი 2—3-ჯერ აღემატება ჯამს; ჯამის ფოთლები კვერცხისებრ-მოგრძოა, კიდეებზე ფანა, 5—7 მმ სიგრძის; გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია ან თეთრი, ჯამის ფოთლების ტოლი ან მათზე ოდნავ გრძელი. კოლოფი ჯამზე 1,5—2-ჯერ გრძელია; თესლი ჩვეულებრივ გლუვია, უფრო იშვიათად ბორცვიანი, ფართო სიფრიფანა ქობით. V—X. $2n=18$.

აწერილია საფრანგეთიდან, ტიზი დაცულია პარიზში.

იზრდება ზღვის სანაპიროებზე, დამლაშებულ ადგილებში.

საქ. სსრ: 1—აფხ.: (კოლაკოვსკის მიხედვით 1. c.); 4—სამეგრ.: ფოთი (შოშიკინი); 7—აჭარ.: (ხარაძის მიხედვით 1. c.).

სსრკ.: იმიერკავკ.: ამიერკავკ.: აზერბ.; სომხ.: ევრ. ნაწ. (ყირიმი, სამხ. ნაწ.): შუა აზ.

საერთო გავრცელ.: ჩრდ. და შუა ამერ.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: თუმცა უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულ ფლორებში, S. media (L.) C. Presl-ია მოყვანილი, 1975 წ. მონიემ დაადასტურა S. marginata (DC). Kitt.-ს სისწორე (1. c.)

2. *S. marina* (L.) Griseb. Spicil. Fl. Rumel. I (1843) 213; Колак. Раст. мир Колх. (1961) 183; Monnier and Ratter in Fl. Europ. I (1964) 155; Ratter in Davis, Fl. Turkey II (1967) 94. — *Arenaria rubra* var. *marina* L. Sp. Pl. (1753) 423; Ser. in DC. Prodr. I (1824) 401. — *Spergularia salina* J. et C. Presl, Fl. Čechica (1819) 95; Горшкова во Фл. СССР VI (1936) 561; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 223; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 257 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 543; Ахундов во Фл. Азерб. III (1952) 312; Харадзе во Опред. раст. Груз. II (1969) 230 (georg.). Ic.: Фл. СССР 1. c. табл. XXXIII рис. 4.

Exs.: Fl. exs. Reipubl. Bohem. Sloven, n°15; H. F. A. M. n°466a и 466b.

⊙, ⊙, 4. მცენარე ზედა ნაწილში ჯირკვალბეწვიანია; ღერო მრავალია, დატოტიანებული, მწოლარე ან წამოწეული ტოტებით, 20—30 სმ სიგრძის; ფოთლები ხორცოვანია, ხაზური, წვერში ბლაგვი, ზედა ფოთლები ოდნავ წაწვეტილია, 1—3 სმ-მდე სიგრძის და 1—1,5 მმ სიგანის; თანაფოთლები სიფრიფანაა; ფართო-კვერცხისებრი, წაწვეტილი, შუამდე შეზრდილი. ყვავილები შეკრებილია ხშირ მტევნისებრ ყვავილედედად; ყვავილების ყუნწი ჯამის ფოთლებს არ აღემატება; ჯამის ფოთლები მოგრძო-კვერცხისებრი ფორმისაა, წვერში ბლაგვია, 3—6 მმ სიგრძის, კიდეზე ფართო-სიფრიფანა. კოლოფი კვერცხისებრია, 1,5-ჯერ აღემატება ჯამის ფოთლებს; თესლი წვრილია; მხოლოდ კოლოფის ძირთან განვითარებულ თესლებს აქვს სიფრიფანა ქობა. V—X.

იზრდება დამლაშებულ ადგილებზე; ქილიან, დაქაობებულ ადგილებში, ზღვის სანაპიროზე, მდინარისა და ტბის ნაპირზე.

საქ. სსრ: 1—აფხ.: გალის რ-ნი, მდ. ოქვინორას შესართავთან. (კოლაკოვსკი).



სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; შავი ზღვ. სანაპ.; აზერბაიჯ. (აფშვრბმკაჟი
ლენქორანი); ევრ. ნაწ.: ციმბ.: შორ. აღმ. მხრ.; შუა აზ.

საერთო გავრცელება: ევრ.; ცენტრ. აზ.; აღმ., აზ., ჩრდ. და სამხრ. აერ.

3. *S. rubra* (L.) J. et C. Presl Fl. Čechica (1819) 94; Boiss. Fl. Or. I (1867) 732; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 399; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 257 (georg.); Колак. Растит. мир. Колх. (1961) 183; Monnier and Ratter in Fl. Europ. I (1964) 155; Ratter in Davis Fl. Turkey 2 (1967) 94. — *S. campestris* (L.) Aschers. Fl. Prov. Brandenb. II (1864) 94; Горшкова во Фл. СССР VI (1936) 558; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 223; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 544; Ахундов во Фл. Азерб. III (1953) 312. — *Arenaria rubra* v. *campestris* L. Sp. Pl. (1753) 423; Ser. in DC. Prodr. I (1824) 401. — *Spergularia rubra* var. *campestris* Fenzl in Ledeb. Fl. Ross. II (1843) 167.

Ис.: Hegi Illustr. Fl. Mitt.-Eur. III (1909) 425, f. 622 a-c; Фл. СССР, 1. с. табл. XXXIII, рис. 5.

☉, ☉, 4. მცენარე ზედა ნაწილში ჯირკვალბეწვიანია; ღერო მრავალია, გართხმული ან წამოწეული, მარტივი ან სუსტად დატოტვილი, 7—25 სმ სიმაღლის; ფოთლები ვიწრო-ხაზურია, მახვილი წვეტით, შიშველი ან მებუსვლი; თანაფოთლები სიფრიფანაა, კვერცხისებრ-ლანცეტა, წაწვეტილი, ძირში შეზრდილი. ყვავილები მოთავსებულია ყუნწებზე, რომლებიც სიგრძით ჯამის ტოლია ან ოდნავ აღემატება მას; მტევნისებრი ყვავილედეები 2—3 ერთად ტოტების ბოლოებზე; თანაყვავილები ფოთლის მაგვარია; ჯამის ფოთლები ლანცეტაა; წვერისკენ შევიწროებული, კიდეებზე სიფრიფანა, 3—4,5 მმ სიგრძის; გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია, ჯამის ფოთლებზე მოკლე. კოლოფი ჯამის ტოლია ან მასზე ოდნავ მოკლე; თესლი წვრილობორცვიანია, სამწახანაგოვანი. V—X. (სურ. 17).

აწერილია ევროპიდან. ტიპი ინახება ლონდონში.

იზრდება დამლაშებულ ადგილებში პატარა მდინარეების ნაპირებზე, გამოტანის კონუსებზე.

საქ. სსრ.: 6 — გურ.: ბუყუის მარჯვენა ნაპირი (მაყაშვილი, ზედელმეიერი); 10 — მთიულ.: ყაზბეგი (გავნიძე).

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; აზერბ.: ევრ. ნაწ.; დას. და აღმ. ციმბ.; შუა აზ.; შორ. აღმ. მხრ.

საერთო გავრცელ.: ჩრდ. და შუა ევრ.

4. *S. diandra* (Guss.) Heldr. and Sart., Hb. Graeca Norm. (1855) n° 492, n° 1124; Boiss. Fl. Or. I (1867) 733; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 399; idem, 2, III (1945) 223; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 256 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 543; Ахундов во Фл. Азерб. III (1952) 311; Макашвили, Фл. окр. Тбилиси I (1952) 188 (georg.); Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 97; Тахт., Фед., Фл. Еревана (1972) 75; Monnier and Ratter in Fl. Europ. I (1964) 165; Ratter in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 95; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 230 (georg.) — *Arenaria diandra* Guss., Fl. Sicul. Prodr. I (1827) 515. — *Spergularia salsuginea* Fenzl in Ledeb. Fl. Ross. II (1843) 166.

Ис.: Ledeb. Ic. Pl. Fl. Ross. V, t. 409 (*Arenaria salsuginea*); Фл. СССР 1. с.

табл. XXXIII рис. 2; Гроссг. I. с. (1945) табл. 22 рис. 6—6а; Фл. Арм. 1. с. табл. XXVIII.

Exs.: Herb. Fl. Cauc. n° 310 et n° 310b; H. F. A. M. n° 464a, 464b.

⊙. მცენარე ზედა ნაწილში ცოტად თუ ბევრად სქლად არის შებუსხვილი მოკლე ჭირკვალა ბეწვით; ღეროები სწორია ან გართხმული, ძირიდან დატოტვილი, 5—20 სმ სიმაღლის; ფოთლები ვიწროხაზურია, თითქმის ძაფისმაგვარი, მახვილწვერიანი; თანაფოთლები სამკუთხაა, წაწვეტილი, ძირში შეზრდილი. ყვავილები შეკრებილია დიქაზიალურ ყვავილედად; ყვავილის ყუნწი გრძელია, ძაფისმაგვარი, ჯამზე 2-ჯერ და უფრო მეტად გრძელი, ჯამის ფოთლები კვერცხისებრია, ბლაგვი, 1,5—2,5 მმ სიგრძის, კიდევებზე ფართო სიფრიფანათი; გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია, ჯამზე მოკლე; მტვრიანა 2—3. კოლოფი ჯამის ფოთლების ტოლია ან მათზე ოდნავ გრძელი; თესლი მანვილბორცვებიანია ან გლუვი. V—VIII.

აწერილია სიცილიიდან. ტიპი ინახება ნეაპოლში.

იზრდება ბიცობიან ნიადაგებზე, ველებისა და ნახევრად უდაბნოების სარტყელში.

საქ. სსრ: 13 — ქიზ.: შირაქი; ელდარის დაბლობი, სამუხი (სოხაძე); 17 — ქვ. ქართ.: იაღლუჯა.

სსრკ: ამიერკავკ.; აზერბ.; სომხ.; ევრ. ნაწ. (ქვემო ვოლგის მხარე); დას. ციმბ.; შუა აზ.

საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.; ირ.

გვარი 14. TELEPHIUM L.*

ჯამის ფოთოლი 5, ძირში შეზრდილი. გვირგვინის ფურცელი 5, მთლიანი, ჯამის ფოთლების ტოლი. მტვრიანა 5. მტვრის მარცვალი სფეროსებრია, პოლუსებთან ოდნავ შებრტყელებული, 3 მერიდიონალური ღარით, ეგზონის ზედაპირი და ღარის მემბრანა წვრილწერტილოვანი. სეკტი 3. ნასკვი მრავალი თესლკვირტით, გაყოფილია 3—4 ბუდედ ქვედა ნაწილში. ნაყოფი პირამიდული სამწახნაგოვანი კოლოფია, იხსნება 3 საგდულით. მცენარე ხასიათდება მორიგეობით განლაგებული ფოთლებით, რომელთაც აქვთ სიფრიფანა თანაფოთლები.

ხმელთაშუაზღვეთში გავრცელებულ 2—3 სახეობიდან ჩვენთან მხოლოდ ერთი სახეობა იზრდება.

1. *T. orientale* Boiss. Diagn. ser. 1, X (1849) 11; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 400; Муравьева во Фл. СССР VI (1936) 563; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 223; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 258 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 544; Макашвили Фл. окр. Тбилиси I (1952) 190 (georg.); Ахундов во Фл. Азерб. III (1952) 313; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 97; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 230. (georg.)—*T. imperati* DC. Prodr. III (1828) 366; Ledeb. Fl. Ross. II (1843) 164, non L.—*T. imperati* β *orientale* (Boiss.) Boiss. Fl. Or. I (1867) 754. — *T. imperati*

* დამუშავა ზ. ღვინიანიძემ.

L. subsp. orientale (Boiss.) Nyman, Consp. (1879) 254; Chater in Fl. Europ. I (1964) 156; Demiriz in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 97; Тахт., Фед., Фл. Европы (1972) 75.

Ис.: Tchih. As. Min. Bot. tab. 16; Фл. СССР 1. с. табл. XXXII рис. 2; Гросср. 1. с. (1945) табл. 22 рис. 7—7а.

Exs.: Herb. Fl. Cauc. n° 175.

4. სრულიად შიშველი, ლევა ფერის მცენარეებია, რომელიც ხასიათდება მრავალი, ქვედა ნაწილში გახევებული, 8—30 სმ სიმაღლის ღეროთი; ფოთლები მიმართულია ერთ მხარეზე, მორიგეობითა, ფართო-ელიფსური, ბლაგვი, ძირისკენ შევიწროებულნი; ფოთოლთან არის პატარა ზომის სიფრიფანა თანაყვავილები. ყვავილენი კენწრულია, თავაკისებრ-ფარისებრი; ჯამის ფოთლები დაახლოებით 4 მმ სიგრძისაა, არათანაბარი, ამოხნეკილი, ზურგის მხარეზე ქედინანი, ვიწრო-სიფრიფანა კიდით; გვირგვინის ფურცლები თეთრია, თითქმის ჯამის ტოლი. კოლოფი მიხაკისფერია, პრილა, წვეგრში მოკლე ნისკარტად წაწვეტილი, თესლები თირკმლისებრია, ბორცვიანი ზედაპირით. V—VIII.

აწერილია კრეტოსიდან, ანატოლიიდან, ირანიდან და თალიშიდან. ტიპი დატულია ენევაში.

Syntypi: Anatolia in collibus Smyrnae (Izmir), Sipylo, Boissier; Caria, Pinard; Pamphylia, Heldreich; Creta in montibus Sphacioticis, Heldreich; Libano ad Cedros, Boissier; montibus Persiae australis, Kotschy 513; prov. Talysch, Hohenacker.

იზრდება მშრალ, ღორღიან ფერდობებზე, კლდეებზე, მდინარეთა ხეობებში მთის შუა სარტყელში.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: ბორჯომი (აკინფიევი); გორი, ატენი (სოსნოვსკი); ტანას ხეობა (შიშკინი, ქიჭობე; ვორონოვი; ღვინიანიძე); მდ. ტანას მარცხენა ნაპირი (ჭუთათელაძე, შხიანი, ღვინიანიძე); მცხეთა, მარტაშის ხევი (შიშკინი); მდ. დაბახანის ნაპირები, თბილისის ბოტანიკური ბაღის მიდამოები (სმირნოვი; ვორონოვი; კვარაცხელია); თელეთის ქედი, თბილისთან (სოსნოვსკი); 19 — მესს.: ასპინძის მიდამოები, მდ. მტკვრის მრცხ. ნაპირი (ხინთიბიძე); ახალციხე, რუსთავსა და იღუმალას შორის (ლაჩაშვილი, მენთეშაშვილი).

სსრკ: ამიერკავკ.; აზერბ. (ლენქორანი, ნახჭევანის მხარე), სომხ.

საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ. (ბალკ.); მც. აზ.: არმ.-ქურთ.: ირ.

გვარი 15. POLYCARPON LOEFL*.

ყვავილები პატარა ზომისაა, თეთრი, სიფრიფანა თანაყვავილებით, შეკრებილი ფარისებრ ყვავილედად. ჯამის ფოთოლი 5, ძირში შეზრდილი, ქედინანი. გვირგვინის ფურცელი 5, უკუგვერცხისებრი ან მოგრძო, ჯამის ფოთოლზე მოკლე. მტვრიანის ძაფები ძირში შეზრდილია. მტვრიანი 1—5; მტვრის მარც-

* დაამუშავა ზ. ღვინიანიძემ



ვალი სფეროსებრია, მერიდიანალურად განლაგებული 3 ღარით. სვეტი 3. კოლოფი 3-საგდულიანია. — პატარა მცენარეებია მრავალი ღეროთი დეკორატიულობით, რომელთაც სიფრიფანა თანაფოთლები აქვთ.

ორივე ნახევარსფეროს თბილ და ზომიერ სარტყელში გავრცელებული 6 სახეობიდან, ჩვენში მხოლოდ 1 სახეობა იზრდება.

I. P. tetraphyllum (L.) L. Syst. Nat. ed. 10 (1759) 881; DC. Prodr. III (1828) 376 p.-p.; Boiss. Fl. Or. I (1867) 735 p.-p.; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 400; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 564; Колак. Фл. Абх. II (1939) 99; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 224; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 259 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 544; Ахундов во Фл. Азерб. III (1952) 313; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 319; Колак. Растит. мир Колх. (1961) 180; Chater in Fl. Europ. I (1964) 153; Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 96; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 230 (georg.). — *Mollugo tetraphylla* L. Sp. Pl. (1753) 89. — *Polycarpon tetraphyllum* a *verticillatum* Ledeb. Fl. Ross. II (1843) 165.

Ис.: Гроссг. I. с. (1945) табл. 22 рис. 8—8а.

⊙. ღერო მრავალია, თითქმის ძირიდან დატოტვილი, წვრილღარიანი, ოდნავ ხაოიანი, 4—8 სმ სიმაღლის; ფოთლები მოგრძო-წიბისებრია, მომრგვალო-უკუკვერცხისებრი, ძირისკენ ყუნწად წარზიდული, შიშველი, კიდეებზე ხაოიანი, მოპირისპირე, შუა ნაწილში ცრუ რგოლური განწყობით, 4—6 ერთად; თანაფოთლები თეთრი-სიფრიფანაა, კვერცხისებრი, მახვილწვერიანი. დამოკლებულყუნწიანი ყვავილები შეკრებილია ფარისებრ ყვავილედად ტოტების ბოლოზე; თანაყვავილები თეთრ-სიფრიფანაა, ლანცეტა, მახვილწვერიანი, ყვავილზე მოკლე; ჯამის ფოთლები სიგრძით 1,5—2,3 მმ, არათანაბარი ზომის, კიდეებზე თეთრ-სიფრიფანა, წაწვეტილი, გვირგვინის ფურცლები თეთრია, წვერში ამოკვეთილი, ჯამზე ორჯერ მოკლე. მტერიანა 3 [5]. თესლები 0,5 მმ-ზე მცირეა. V—VII.

აწერილია იტალიიდან და საფრანგეთიდან (ნარბონა). ტიპი ინახება ლონდონში.

იზრდება ზღვის სანაპიროზე, სიღებზე.

საქ. სსრ: 1— აფხ.: სოხუმი (კოლაკოვსკი); 4— სამეგრ.: ფოთი (შიშკინი); 7— აჭარ.: ქობულეთი (იაციშინა); ბათუმი, გონიო (ალექსეენკო, ვორონოვი; ერგე).

სსრკ: ამიერკავკ.: აზერბ. (ლენქორანი).

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.; აღმ. აზ.; მითითებულია როგორც გზადმოყოლილი ავსტრალიისა და სამხრ. ამერიკისათვის.

ჰვარი 15. AGROSTEMMA L.—ჰიოტა*

ყვავილები დიდი ზომისაა, ტოტების ბოლოებში თითო-თითოდ განლაგებული. ჯამი შეზრდილია, მკვეთრად ამოწეული 10 ძარღვით. მისი 5 კბილი გრძელ-მატყლისებრ-ბეწვიანია, წაგრძელებული; გვირგვინის ფურცლები

* დაამუშავა ზ. ლვინიანიძემ



ვარდისფერია ან წითელი, ხასიათდება მთლიანი, წვერში მოზღაგვო ან ოდნავ ამოკვეთილი უთანაგვირგვინო ფირფიტით და გრძელი ფრჩხილით. ფრჩხილი შიგა მხრიდან ქედიანია. მტვრიანა 10; მტვრის მარცვალ სფეროსებრია 65 მიკრონამდე სიდიდის (სიდიდით ალემატება აქამდე განხილულთ) ღარს მოკლებული. დიდი ზომის 30—35 გაუანტული ფორით; ფორის არხი ვიწროა; ეგზონის ზედაპირი და ფორის მემბრანა მსხვილბორცვოვანია. სვეტი 5, მორიგეობენ ჯამის კბილებთან. ნაყოფი მრავალთესლიანი კოლოფია, 1-ბუდიანი და ზედა ნაწილში იხსნება 5 საგდულთ. ერთწლოვანი მცენარეებია.

ევრაზიის ზომიერ სარტყელში გავრცელებულ 3—4 სახეობიდან, ჩვენში მხოლოდ ერთი სახეობა იზრდება.

I. A. githago L. Sp. Pl. (1753) 435; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 402; Муравьева во Фл. СССР VI (1936) 575; Колак. Фл. Абх. II (1939) 100; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 227; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 262 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 545; Рзаеде во Фл. Азерб. III (1952) 317; Макашвили, Фл. окр. Тбилиси I (1952) 192 (georg.); Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 106; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 319; Колак. раст. мир Колх. (1961) 173; Chater in Fl. Europ. I (1964) 157; Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 244; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 232 (georg.); Тахт., Фед., Фл. Еревана (1972) 76; — *Githago segetum* Desf. Catal. 159; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 332; Boiss. Fl. Or. I (1867) 661. — *Lychnis githago* Lam. Dict. III (1789) 643.

Ис.: Reichb., Ис. Fl. Germ. 6 (1844) t. 308; Фл. на България (1966), III, таб. XXV, рис. I, Ia, 16.

⊙. მცენარე ცოტად თუ მეტად შეზუსვილია გრძელი მარტყლისებრი ბეწვით. ღეროები მარტივია ან ოდნავ დატოტვილი, 30—80 სმ სიმაღლის, ფოთლები გრძელია, ხაზური ან ლანცეტისმაგვარ-ხაზური, 7—10 [15] სმ სიგრძის და 1 სმ-მდე სიგანის; ყვავილები მარტოულია, ტოტების ზოლოვებზე; ჯამი ზასიათდება მკვეთრად გამოსახული 10 ძარღვით; ჯამის კბილი 5, 3—7 სმ სიგრძის, ხაზური ან ხაზურ-ლანცეტა, არათანაბარი ზომის, ცოტად თუ მეტად ალემატება მილად შეზრდილ ჯამს. გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია ან წითელი, უკუკვერცხისებრი. წვერში ბლაგვად გადაკვეთილი ან ამოკვეთილი, შევიწროებული ვიწრო ფრჩხილად, ჯამის ფოთლებზე მოკლე. კოლოფი კვერცხისებრი, ჯამის მიღზე ცოტათი გრძელი; თესლი დიდი ზომისაა, სიგრძით 3,5 მმ-მდე, თირკმლისებრი, მქრქალი შავი ფერის მექუქისებრი ბორცვებით. V—VIII. 2n=48.

აწერილია ევროპიდან. ტიპი ინახება ლონდონში.

იზრდება ნათესებში, უმთავრესად ხორბლის ნათესებში, ადის 1600 მ-ის სიმაღლემდე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: მთელ რესპუბლიკაში, უფრო ხშირია აღმ. საქართველოს რაიონებში (ქართ., კახ., თრიალ.).

სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; აზერბ.; სომხ.; ევრ. ნაწ.: დას. და აღმ-ციმბ.; შუა აზ.; შორ. აღმ. მხრ.

საერთო გავრცელ.: ჩრდ. და შუა ევრ.; ირ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ა. ხარაძეს (I. c. 1947) მოჰყავს სახეობის ფარგლებში *var. nicaeensis* Willd., ჯამის კბილები გვირგვინის ფურცლებს ორჯერ და მეტად აღმატება.

გვხვდება სახეობის არეალში, ჩვეულებრივ ფორმაზე იშვიათად.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა. ასარევიანებს პურეულთა ნათესებს, განსაკუთრებით ხორბლისას. მისი თესლის შერევა მარცვლოვნებთან 0,5%-ის რაოდენობით უკვე საშიშია, ვინაიდან თესლი შეიცავს 6,56%-ს შხამიან გლუკოზიდს გიტაგინსა და აგროსტემინს.

გვარი 17. CORONARIA L*.

ყვავილები მარტოულია ან საგველასებრ ყვავილედად შეკრებილი; ჯამი ზარისებრია, 10 ძარღვიანი, 5 კბილით; გვირგვინის ფურცელი 5, თეთრი ან ვარდისფერ-წითელია, მთლიანი ან ღრმად გაყოფილი გადანალუნით, ძირში თანაგვირგვინით. მტვრიანა 10. სვეტი 5; კოლოფი ერთბუდიანია, თითქმის მჭდომარე, კბილებით იხსნება. — მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეება.

საქართველოში გვარი ერთი სახეობითაა წარმოდგენილი.

I. C. *coriacea* (Moench) Schischk. ex Gorschk. во Фл. СССР VI (1936) 699; Гросср. Фл. Кавк. 2, III (1945) 258; Карягин во Фл. Азрб. III (1952) 348; Харაძე в Опред. раст. Груз. II (1969) 239 (georg.). — *Lycchnis coriacea* Moench. Meth. (1794) 709. — *Agrostemma coronaria* L. Sp. Pl. (1753) 436. — *Lychnis coronaria* (L.) Desr. in Lam. Encycl. III (1789) 643; Ledeb. Fl. Ross. I (1842); Boiss. Fl. Or. I (1867) 658; Гросср. Фл. Кавк. II (1930) 416; Chater in Fl. Europ. I (1964) 156; Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 243.

Ic.: Reichb. Ic. Fl. Germ. 6 (1844) t. 308 f. 5133.

4. მცენარე მოაბრეშუმო-თეთრქეჩისებრი შებუსვითაა, 30—100 სმ სიმაღლის; ქვედა ფოთლები მოგრძო უკუკვერცხისებრია, ყუნწად შევიწროებული, ზედა ლანცეტა, მჭდომარე, 3,5—8 სმ სიგრძის, 1—2 სმ სიგანის, მახვილი. ყვავილები დიდი ზომისაა, მარტოული, გრძელ ყუნწებზე. ჯამი 15—18 მმ სიგრძისაა, მილისებრ-ზარისებრი, ტყავისებრი, 10 წიბოიანი და გარეთ გადახრილი ლანცეტა კბილებით. გვირგვინის ფურცლები წითელია, ოდნავ ამოკვეთილი; სვეტი 5. კოლოფი ერთბუდიანია და 5 კბალით იხსნება. თესლები ძლიერ პატარა ზომისაა, შავი, მომრგვალო-გულისებრი, წვრილ ბორცვიანი ზედაპირით. VI—IX.

აწერილია იტალიიდან, ტიპი დაცულია ლონდონში.

იზრდება მშრალ ფერდობებზე, ველობებზე.

საქ. სსრ: 12 — კახ.: ახალსოფლის მიდამოები.

სსრკ: ევრ. ნაწ.: ყირ., შუა აზია: სირ-დარია, პამირ-ალტ., ტიან-შანი.

საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ., ბალკ.; მც. აზ., ინდ.-ჰიმალაი.

* დაამუშავა ზ. ლვინიანიძემ.



ყვავილები ორსქესიანია ან ერთსქესიანი და მაშინ მცენარე ორსახლიანია. ჯამი შეზრდილია, 10 ან 20-მარღვიანი, ცოტად თუ მეტად გაფართოებული, 5-კბილიანი. მტერის მარცვლი სფეროსებრია, ლარსმოკლებული, მრავალი გაფანტული ფორით; გვხვდება ორი სახის მტერის მარცვალი: 1) მცირე ზომის 30—32 ფორით, ფორის მემბრანა და ეგზინის ზედაპირი მსხვილბორცოვანია, 2) 12—14 მოზრდილი, ეიწროარხიანი ფორით; ფორის მემბრანა და ეგზინის ზედაპირი რთულბადისებრია. სეკტი 5 ან 3. კოლოფი 1-ბუდიანია, მრავალთესლიანი, იხსნება წვერში 10 ან 6 კბილით. — ერთ, ორ ან მრავალწლოვანი ბალახებია.

საქართველოში 6 სახეობა იზრდება.

1. სეკტი 3. კოლოფი იხსნება 6 კბილით, მოკლე კარპოფორზეა მოთავსებული 2.
- სეკტი 5. კოლოფი იხსნება 10 კბილით, კარპოფორი არა აქვს 3.
2. ყვავილები დამოკლებულ, მოპირდაპირე ტოტებზე რამდენიმეა ერთად და მრავალყვავილიან მტევნისებრ ყვავილედადა შეკრებილი. ჯამი 14. —19 მმ სიგრძის, ძირთან შევიწროებული, მობლაგვო-მოგრძო კბილებით 1. **M. viscosum (L.) Čelak.**
— ყვავილები 1—3, წაგრძელებულ ტოტებზე და არამრავალყვავილიან, ზოგჯერ საგველასებრ ყვავილედად შეკრებილი; ჯამი [18] 20—25 მმ სიგრძისაა და წაგრძელებული, სადგისისებრი კბილებით ხასიათდება 2. **M. noctiflorum (L.) Fries**
3. ფესვთანური ფოთლების ყუნწი წაგრძელებულია, ფირფიტის ტოლია ან მასზე გრძელი. გვერდების ფურცლები კაშკაშა წითელია ან ღია მეწამული ფერის, ჯამზე ორჯერ გრძელია. კოლოფი სფეროსებრ-მომრგვალოა 3. **M. rubrum (Weig.) Garcke**
— ფესვთანური ფოთლები წაგრძელებულია ძირისაკენ, ან ფირფიტაზე მოკლე ყუნწითაა. გვირგვინი თეთრია, ჯამზე 1 1/2—2-ჯერ გრძელი. კოლოფი კვერცხისებრი ან მსხლისმაგვარი ფორმისაა 4.
4. საყვავილე ღერო წამოწეულია, ფესვთანური ფოთლების როზეტის გვერდიდან გამოდის. ფოთლები კვერცხისებრია ან ელიფსური; ქვედა ფოთლები ყუნწადაა შევიწროებული, ზედა ფოთლები კი თითქმის მჯდომარეა. ჯამი 12—20 მმ სიგრძისაა, ნაყოფობისას მჭიდროდ ერთჯემის კოლოფს. კოლოფი კვერცხისებრია, სწორი კბილებით 4. **M. Balansae Boiss**
— ღერო ფესვთანური ფოთლების როზეტის შუა ნაწილიდან გამოდის; სქლად შებუსხილი მცენარეა ლანცეტა, კვერცხისებრ-ლანცეტა ან ელიფსური ფოთლებით. ჯამი ნაყოფობისას ძლიერ გამობერილია, ნაყოფიდან დაშორებული ან ოდნავაა გამობერილი 5.

* დაამუშავა ზ. ლვინიანიძემ.

5. ჯამი ნაყოფობისას გამობერალა არ არის, მეტა თუ ნაკლებად გაფართოებულია, წვერისკენ შევიწროებული. კოლოფი კვერცხისებრი და სწორი კბილებით იხსნება 5. **M. album** (Mill.) Garcke

— ჯამი ნაყოფობისას გამობერილია, კოლოფისაგან ბევრად დაშორებულია, წვერში გაფართოებული კოლოში მსხლისმაგვარი ფორმისაა და გადაღუნული კბილებით ხასიათდება 6. **M. Boissieri** Schischk.

Subgen. 1. *Elisanthe* (Fenzl) Schischk. in Фл. СССР VI (1936) 704 (desc. ross.) — *Saponaria* sect. *Elisanthe* Fenzl in Endl. Gen. (1840) 972. — *Melandrium* sect. *Elisanthe* A. Br. Flora XXVI (1843) 371.

ყვავილები ორსქესიანია, სვეტი 3, კოლოფი 6 კბილით იხსნება.

1. **M. viscosum** (L.) Čelak. in Lotos XVIII (1868) 118; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 710; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 289 (georg.); Гвинианидзе, Тр. Тбил. Бот. Ин-та XXI (1960) 53; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 239 (georg.). — *Cucubalus viscosus* L. Sp. pl. (1753) 414. — *Silene viscosa* (L.) Pers, Synops. Pl. I (1805) 497; Boiss. Fl. Or. I (1867) 582; Chater and Walters in Fl. Europ. I (1964) 165; Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 202. — *Elisanthe viscosa* (L.) Rupr. Fl. Cauc. (1869) 200; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 416; idem, 2, III (1945) 259; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 552; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 349; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 159; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 321.

Ис.: Reichb. Ic. Fl. Germ. 6 (1844) t. 5099, fig. 4. Гроссг. l. c. (1945) табл. 27, рис. 3.

⊙ ან ⊙. მცენარე სქლად არის შებუხვილი წვრილი, რბილი, ტალღისებრი ბეწვით, ზედა ნაწილი ჯირკვალბეწვიანია; ღეროები სწორია, მარტივი, 30—65 სმ სიმაღლის; ფესვთანური ფოთლები წაგრძელებულ-ელიფსურია ან ოდნავ ნიჩბისებრი ყუნწად შევიწროებული; ღეროსეული ფოთლები ლანცეტაა, წაწვეტებული, ძირში ოდნავ ღერომხვევი ან ძირისკენ შევიწროებული, კიდებზე ტალღისებრი. ყვავილეთი წაგრძელებულია, მტევნისებრი, მრავალყვავილიანი; ყვავილები ორსქესიანია; ყვავილის ყუნწი ჯამზე მოკლეა, ჯირკვალბუსუსიანი, ზევითკენ აღმართული; თანაყვავილები ლანცეტაა, ბალახოვანი; ჯამი ვიწროა, 14—19 მმ სიგრძის, 10-ძარღვიანი, ჯირკვალბუსუსიანი, ნაყოფობისას გაფართოებული, მკვიდროდ შემოხვეული კოლოფზე, მოგრძო, ძირიდანვე შევიწროებული ბლაგვი კბილებით; გვირგვინი მოყვითალო-მწვანეა ან თეთრი, ღრმად ორად გაყოფილი ფირფიტით, უთანაგვირგვინო; ფრჩხილები ზედა ნაწილში ოდნავ გაფართოებულია, წამწამებიანი; მტვრიანათა ძაფები ბეწვიანია; სვეტი 3. კოლოფი კვერცხისებრია, 6 სწორი კბილით, მოკლე კარპოფორზე. თესლი წვრილია, თირკმლისებრი, ბლაგვი, მრავალფუძიანი ბორცვებით ზედაპირზე. V—VII. 2n=24.

ტიპი აწერილია სამხრ. ევროპიდან და აღმოსავლეთიდან (Hb. Linn. 582/7).

იზრდება მშრალ ლორღიან ფერდობებზე, ველებს, ნახევრად უდაბნოებისა და ტყის სარტყელში 1700 მ-მდე ზღვის დონიდან.



საქ. სსრ: 7 — აქარ.: სოფ. დანისფარაულთან, ტყის პირი (დმიტრევეს მიხედვით 1. ს.); 11 — თუშ-ფშავ-ხევსურ.: შატილი (რადე; ოჩიაური) გარდაბ.: ყარაიაზი, ტყესთან (სტორესელსკი); 18 — ჯავახ.: ახალქალაქი (გროს-ჰეიმი).

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; შავი ზღვ. სანაპ.; აზერბ.; სომხ.; ევრ. ნაწ.; დას. და აღმ. ციმბ.; შუა აზ.

საერთო გავრცელება: ჩრდ. და შუა ევრ.: არმ.-ქურთ.; ირ.; ცენტრ. აზ. (მონღოლეთი).

2. *M. noctiflorum* (L.) Fries in Bot. Notis. (1843) 143; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 712; Колак. Фл. Абх. II (1939) 108; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 290 (georg.); eadem в Опред. раст. Груз. II (1969) 239 (georg.). — *Silene noctiflora* L. Sp. Pl. (1753) 419; Boiss. Fl. Or. I (1867) 581; Колак. Растит. мир Колх. (1961) 181; Chater and Walters in Fl. Europ. I (1964) 174; Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 226. — *Elisanthe noctiflora* Rupr. Fl. Cauc. (1868) 201; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 416; idem, Фл. Кавк. 2, III (1945) 259; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 552; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 349; Макашвили, Фл. окр. Тбилиси I (1952) 200 (georg.); Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 159; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 321.

ა. მცენარე შებუხვილია, გრძელია, სწორმდგომი, მარტივი ან ზედა ნაწილში წვრილი ჯირკვალა ბეწვით; ღერო სწორია, დატოტვილი, 50—90 სმ სიმაღლის; ქვედა ფოთლები დიდი ზომისაა, კვერცხისებრი ან ელიფსური, მომახვილო, ძირისკენ მოკლე ყუნწად წარზიდული; ღეროსეული ფოთლები ლანცეტაა ან ვიწრო-ელიფსური, მახვილწვერიანი, მჯდომარე. ყვავილები ორსქესიანია და ქმნის არამრავალყვავილიან. ზოგჯერ საგველასებრ ყვავილედს; ყვავილედის ყუნწი ცოტად თუ მეტად წაგრძელებულია ან დამოკლებული, სქლად ჯირკვალაბეწვიანი, ჯამი ვიწროა [19] 20—25 მმ სიგრძის, ჯირკვალაბუხუსებრ სქლად დაფარული, 10-ძარღვიანი, წაგრძელებული სადგისისებრი კბილებით, ნაყოფობისას შუა ნაწილში გაფართოებული, კოლოფის ირგვლივ შემოხვეული; გვირგვინის ფურცლები მოთეთროა ან ვარდისფერი, ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელი; გვირგვინის ფურცლის ფირფიტა ღრმად არის ორად გაყოფილი, ძირში პატარა დანამატებით, შევიწროებული შიშველ ფრჩხილად; მტერიანათა ძაფები შიშველი; სვეტი 3. კოლოფი კვერცხისებრია, ძლიერ დამოკლებულ კარპოფორზე, გარეთ გადაღუნული 6 კბილით იხსნება. თესლი 1,5 მმ-მდე, თირკმლისებრი, დაკბილულ ფუძეებიანი ბორცვებით ზედაპირზე VI—VII. (სურ. 23,4).

აწერილია ევროპიდან, ტიპი ინახება ლონდონში [Hb. Linn. 583/36].

იზრდება ბუჩქნარებსა და ტყის პირებზე, ტყის სარტყელში.

საქ. სსრ: 1 — აფხ.: გაგრა, (აღბოვი) მდ. გეგის ხეობა, ღორღიან ფერდობზე, 700 მ (კოლაკოვსკი, იაბროვა); გაგრიფშა (გუსევი); 2 — სვან.: ხარაძის მიხედვით (1. ს.); 7 — აქარ.: ზულოსთან (ვორონოვი, პოპოვი); 8 — სამხრ.-ოს.: მდ. ჯოჯორის მარჯვენა ნაპირი, სოფ. კვისისა და ირს შორის (ღვინიანიძე); 9 — ქართ.: ბაკურიანი (შიშკანი; კოზლოვსკი); ბაკურიანსა და საკოჰავს შორის (შიშკინი); ბორჯომის რაიონი, ციხე-ჯვარი; პატარა ცემი; ბაკურიანი;



საკოკავი; ციხის ჯვარი; ტაბაწყურის ტბის მახლობლად; ბორჯომის მხარე; მოები (კოზლოვსკი); მღ. ტანას მარჯვენა ნაპირი, სოფ. ქვემო ბოშურის მიდამოები, ფიქვენარ-ნაძენარი ტყის პირი (ქუთათელაძე, შხიანი, ლვინიანიძე); მღ. ტანას ხეობა, თხნალის წყლის მარცხენა ნაპირი, მუხნარ-რცხილნარი ტყის პირი 1300 მ (ქუთათელაძე, შხიანი, ლვინიანიძე, ხინთიბიძე); მცხეთა (სოსნოვსკი); 10 — მთიულ.: ფასანაური (კასპიევი); 12 — კახ.: ლავოდების ნაკრძალი (ოჩიაური); 13 — ქიზ.: სიღნაღი (გროსპეიმი); სიღნაღის რაიონი, სოფ. ჩაილურს ზევით (ყანჩაველი); 14 — გარე კახ.: ხარაძის მიხედვით (1. ს.); 16 — თრიალ; ჯამ-ჯამა (ქიქოძე); თეთრი წყარო (ზედელმეიერი); მანგლისი; 18 — ჯავახ.: ახალქალაქი, გორელოვკა (გროსპეიმი); სოფ. ასკარა ა. მაყაშვილი.

სსრკ.: იმიერკავკ.; იმიერკავკ.; შავი ზღვ. სანაპ.; აზერბ.; სომხ.; (ნორბაიაზეთი); ევრ. ნაწ.; დას. ციმბ.

საერთო გავრცელ.: შუა და ჩრდ. ევრ. (სკანდინავია); მც. აზ. (ართვინის ოლქი). ჩრდ. ამერიკა.

Subgen. 2. Melandrium — Eumelandrium (A. Br.) Schischk. in Фл. СССР VI (1936) 724 (desc. ross.)— Sect. Eumelandrium A. Br. Flora XXVI (1843) 371.

ორსახლიანი მცენარეებია, გვირგვინის ფურცლები ჯამზე 1 1/2—2-ჯერ გრძელია.

3. **M. rubrum** (Weig.) Garcke, Fl. Nord-Mittel Deutschl., ed. 4 (1858) 55. — *Lychnis dioica* L. β *rubra* Weig. Fl. Pom.-Rug. (1769) 85. — *Melandrium sylvestre* (Schkuhr) Roehl. Deutsch. Fl. ed. 1 (1812) 274; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 324; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 724; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 260; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 291 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 552; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 239 (georg.), «*silvestre*». — *Lychnis sylvestris* Schkuhr Handb. I (1791) 403, t. 124. — *Silene dioica* (L.) Clairv., Man. Herb. (1811) 145; Chowdhuri, Notes Roy. Bot. Gard. Edinb. 22,3 (1957) 225; Chater and Walters in Fl. Europ. 1 (1964) 174. — *Lychnis dioica* L. Sp. Pl. (1753) 437 p.p.

Ис.: Reichb. Ic. Fl. Germ. 6 (1844) t. 304, f. 5126.

Exs.: Herb. Fl. Ross. n° 860.

⊙ ან ⊙. მთელი მცენარე ცოტად თუ მეტად შებუსხვილია სწორმდგომი, გრძელი ბეწვით; ღეროები თითო-თითოა, აღმავალი, ზედა ნაწილში დატოტვილი, 40—100 სმ სიმაღლის; ფოთლები დიდი ზომისაა, კვერცხისებრი ან ელიფსური; ქვედა ფოთლებს აქვს გრძელი ყუნწი, რომელიც სიგრძით ფოთლის ფორფიტის ტოლია ან აღემატება მას, ზედა ფოთლები მჯდომარეა. ყვავილები ტოტების წვერში ვითარდება და მცირეყვავილიან ყვავილედს ქმნის; ყვავილის ყუნწი მოკლეა, ნაყოფობისას კი გრძელდება; თანყვავილები კვერცხისებრია, ბალახოვანი; ჯამი სიგრძით 10 მმ-მდეა, არამკაფიოდ გამოსახული 10 ძარღვით, ზოგჯერ მეწამული ფერის და კვერცხისებრი კბილებით; ნაყოფობისას ჯამი მკვიდროდ შემოხვეულია კოლოფზე; გვირგვინის ფურცლები ჯამზე ორჯერ გრძელია, მეწამული ფერისა ან წითელი; გვირგვინის ფურცლის ფორფიტა თითქმის შუამდე ორად არის ჩაჭრილი, ძირში წაგრძელებული დანამატებით; ფრჩხილები ზედა ნაწილში ყურისებრ-გაფართოებული ნაკვეთ-

ბით, ძირისკენ კი ფრჩხილი შევიწროებულია, შიშველი; მტერიანათა ძაფები შიშველია. კოლოფი კვერცხისებრ-სფეროსებრია, გარეთ გადახრილი კბილურ-ბით. თესლი შავია, მახვილი ბორცვებით ზედაპირზე. VI—VIII.

აწერილია გერმანიიდან.

იზრდება ტყეებში, დაჩრდილულ, დასარეველანებულ ადგილებში საცხოვრებელი ადგილების მახლობლად, გზის პირას, უფრო იშვიათად ნათესებში.

საქ. სსრ.: სსრკ-ის ფლორაში (1. ს.). მითითებულია დას. ამიერკავკასიისათვის და ა. გროსპეიმის მიერ (1. ს.) აფხაზეთისათვის (ფსირცხა).

სსრკ: ევრ. ნაწ.; დას. ციმბ., შუა აზ. (არალო-კასპიის ოლქი).

საერთო გავრცელ.: ჩრდ. და შუა ევრ.; ჩრდ. ამერ.

4. *M. Balansae* Boiss. Fl. Or. Suppl. (1888) 109; Grossg. Fl. Kavk. II (1930) 417; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 724; Колак. Фл. Абх. II (1939) 108; Grossg. Fl. Kavk. 2, III (1945) 260; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 291 (georg.); Grossg. Опред. раст. Kavk. (1949) 552; Дмитриева, Опред. раст. Адж. (1960) 322; Колак. Растит. мир Колх. (1961) 181; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 240 (georg.). — *Silene alba* (Miller) Krause subsp. *divaricata* (Reichb.) Walters, Feddes Rep. 69 (1964) 48; Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 226.

Is.: Grossg. 1. ს. (1915) табл. 27, рис. 5—5а.

⊙. მცენარე ორსახლიანია, სუსტად შებუსვილი მარტივი, მოკლე ბეწვით; ღეროები მარტივი ან დატოტვილი, გამოდის ფესვთანურ როზეტის გვერდიდან, 50—90 სმ სიმაღლისა; ფოთლები დიდი ზომისაა, 4—7 სმ სიგრძის 1,5—3 სმ სიგანის, ფართო უკუ-კვერცხისებრი ან ელიფსური, წვერწაწვეტებული; ქვედა ფოთლები ძირისაკენ შევიწროებულია ყუნწად, ზედა თითქმის მკდომარეა. ყვავილები ცალსქესიანია, მოთავსებული მოკლე, ნაყოფობისას დაგრძელებულ ყუნწებზე, ქმნის მცირეყვავილიან ყვავილედს; თანყვავილები მახვილწვერიანია, ლანცეტა, ბალახოვანი, ჯამი შებუსვილია მარტივი და ჯირკვალა ბეწვებით, 10-ძარღვიანია, 12—20 მმ სიგრძის, მდებარეობით ყვავილებში ცოტათი გაფართოებული, ლანცეტა და მახვილწვერიანი კბილებით, ნაყოფობისას კოლოფის ირგვლივ მჭიდროდ შემოხვეული; გვირგვინის ფურცლები მოთეთროა, ჯამზე ორჯერ გრძელი; გვირგვინის ფურცლის ფირფიტა შუამდე ორადაა გაყოფილი, ძირში აქვს დანამატები; ფრჩხილები ზედა ნაწილში გაფართოებულია, შიშველი; მტერიანათა ძაფები შიშველია; სვეტი 5. კოლოფი კვერცხისებრია და აქვს 10 სწორი კბილი. VI—VIII.

აწერილია ლაზეთიდან (რიზე), ტიპი დაცულია ქენევაში.

იზრდება ტყის პირებზე ბუჩქნარებს შორის, გზების მახლობლად, ტყის სარტყელში.

საქ. სსრ.: — აფხ.: გავრა, გავრიფშა (ვორონოვი); ბზიფის ქედი (ალბოვი); მამზიშხასა და კუზის შორის (ვორონოვი); ბიჭვინთის ფიჭვნარი (ლვინიანიძე); 4 — სამეგრ.: ფოთსა და ჰალადიდს შორის (შეშკინი); ზუგდიდი, ეწერთან (მაყაშვილი), გეგეჭკორის რაიონი, სოფ. გაჭედელასკენ (მანდენოვა, ქუთათელაძე); ახალსენაკი (შეშკინი); ლებარდ (არხანგელსკი); ასხი (შელკოვნიკოვი); მიგარია (სოსნოვსკი); სალხინო (კემულარია-ნათაძე, ქუთათელაძე, შხიანი, მანდენოვა); 5 — იმერ.: ყვირილა (ლომაკინი); ქუთაისის რაიონი, სოფ. გოდოგანი



(კემულარია-ნათაძე); საყოლაის ქედი, სამგლია, ტყეში (კემულარია-ნათაძე); სოფ. წიფის მიდამოები (შიშკინი); 6 — გურ.: ოზურგეთი (ზედელმეიერი); ოზურგეთი, აჭარა-იმერეთის ქედი (გროსპეიმი); 7 — აჭარ.: ბათუმი (ფონ-შლეინი); ციხის-ძირი (როლოვი, ბიკოვი); სოფ. შუახევეთან (პოპოვი; კაპელერი; შხიანი); ქობულეთი, ზღვის პირი (ზედელმეიერი), ქობლიან-ჩაის სათავეები (პოპოვი).

საერთო გავრცელ.: მც. აზ. (ფანეთი).

5. **M. album** (Mill.) Garcke, Fl. Deutschl. 4 Aufl. (1858) 55; Гросср. Фл. Кавк. II (1930) 417; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 725; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 292 (georg.); Гросср. Фл. Кавк. 2, III (1945) 260; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 553 (georg.). — *Lychnis alba* Mill. Gard. Dict. ed. 8 (1768) n° 4; Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 356. — *Silene alba* (Mill.) E. H. L. Krause in Sturm, Deutschl. Fl. ed. 2, 5 (19) 98; Chater and Walters in Fl. Europ. I (1964) 174; Coode und Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 225. — *Melandryum praense* Roehl. Deutschl. Fl. 2 Aufl. I (1812) 274; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 27.

Is.: Сорн. раст. СССР, II фиг. 157.

☉ ან ☉. მცენარე ორსახლიანია; ქვედა ნაწილში შებუხვილია გრძელი, რბილი, მარტივი, ზედა ნაწილში ჭირკვალა ბეწვით; ღეროები სწორია, მარტივი ან დატოტილი, 40—100 სმ სიმაღლის; ქვედა ფოთლები ვიწრო-ელიფსური, მოკლე ყუნწად შევიწროებული; ზედა ფოთლები ვიწრო-ელიფსურია ან ლანცეტა, მჯდომარე, წვერში წაწვეტებული, 4—5 სმ სიგრძის, 1—2 სმ სიგანის. ყვავილები ერთსქესიანია და შეკრებილია არამრავალყვავილიან დიქაზიალურ ყვავილედად; ჯამი შებუხვილია გრძელი, მარტივი და მოკლე ჭირკვალა ბეწვით, 15—20 მმ სიგრძისაა, მამრობით ყვავილებში 10-ძარღვიანი, ვიწრო, წვერში შევიწროებული, გრძელი კბილებით. მდედრობით ყვავილებში უფრო ფართოა, 20 ძარღვიანი, ნაყოფობისას შუა ნაწილში გაფართოებული, წვერისაკენ შევიწროებული, ჯამის კბილები მის ნახევარ სიგრძეს აღწევს; გვირგვინის ფურცლები თეთრია, ფურცლის ფირფიტა ღრმადაა ორად გაყოფილი, თანაგვირგვინი სიგრძით 2 მმ. ფრჩხილები და მტვრიანათა ძაფები შიშველია, სვეტი 5. კოლოფი კვერცხისებრია და 10 სწორი კბილით ხასიათდება. თესლები თიარკმლისებრია, რუხი, თითქმის მახვილი ბორცვებით ზედაპირზე.

იზრდება მდელოებზე, მინდვრებში, გზის პირებზე და ნათესებში, აღის 2000 მ-მდე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: 8 — სამხ. ოს.: მდ. იფოურის შესართავი (ე. და ნ. ბუში); 10 — მთიულ.: ყაზბეგი, თერგის ხეობა (სოსნოვსკი); კობის მიდამოები, სოფ. უხათი (ხარაძე); ხდის ხეობა, გვირგვილას წვერის ფერდობები სოფ. ყანობი (ხარაძე); ყაზბეგი, დარიალის ხეობის დასაწყისი (პრიხოლკო); სოფ. ანდეზიტსა და ყაზბეგს შორის, ნაშალებზე (ღვინიანიძე); 11 — თუშ-ფშავეხეს.: არხოტი, ს. ჭომლის მიდამოები (ოჩიაური).

სსრკ: იმირკავკ.: ევრ. ნაწ.; დას. და აღმ. ციმბ.: შუა აზ.; შორ. აღმოს. მხრ.

საერთო გავრცელ.: დას. ევრ.; ცენტრ. აზ. (მონღოლეთი); ჩრდ. ამერ.



6. **M. Boissieri** Schischk. in *Флора Тифлиса* I (1925) 205; *Гроссге. Фл. Кавк.* II (1930) 417; *idem*, 2, *Фл. Кавк.* III (1945) 261; *Харадзе во Фл. Груз.* III (1947) 292 (georg.); *Гроссге. Опред. раст. Кавк.* (1949) 553; *Карягин во Фл. Азерб.* III (1952) 350; *Макашвили, Фл. окр. Тбилиси* I (1952) 200 (georg.); *Шншк. и Аветисян во Фл. Арм.* 2 (1956) 160; *Харадзе в Опред. раст. Груз.* II (1969) 240 (georg.). — *Silene alba* (Mill.) E. H. L. Krause subsp. *divaricata* (Reichb.) Walters in *Feddes Repert.* 69 (1964) 48; *Chater and Walters in Fl. Europ.* I (1964) 174; *Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey* 2 (1967) 226; *Тохт., Фед., Фл. Еревана* (1972) 78. — *Melandrium divaricatum* Fenzl (non Reichb.) in *Ledeb. Fl. Ross.* I (1842) 328.

Is.: *Гроссге. l. c.* (1945) табл. 27, рис. 6; *Фл. Груз.* I. c. рис. 23; *Макашвили, l. c.* табл. XXV; *Фл. Арм.* I. c. табл. L.

⊙. ან ⊙. მცენარე შებუსვილია, მარტივი მოკლე, ზედა ნაწილში ჯირკვალა ბეწვით; ღეროები 40—80 სმ სიმაღლისაა, ზედა ნაწილში დატოტვილი; ქვედა ფოთლები გრძელ ყუნწიანია, კვერცხისებრი; ზედა ფოთლები კვერცხისებრ-ლანცეტა, წვერწაწვეტებული, მოკლეყუნწიანი ან თითქმის მჯდომარე. ყვავილები ერთქესიანია, ორსახლიანი, შეკრებილი არამრავალყვავილიან დიქაზიალურ ყვავილედებად; ჯამი მამრობით ყვავილებში გამობერილია, 10-ძარღვიანი, 14—15 [20—30] მმ სიგრძის, დედრობით ყვავილებში კი 20-ძარღვიანი, სიგრძით 16 [20] მმ-მდე, ნაყოფობისას დიდდება და გაფართოებულია, კოლოფიდან დაშორებული; ჯამის კბილები სიგრძით მის მესამედს აღწევს. გვირგვინის ფურცლები თეთრია და ხასიათდება ღრმად ორად გაყოფილი ფირფიტით და თანაგვირგვინით; ფრჩხილები და მტვრიანათა ძაფები შიშველია; სვეტი 5. კოლოფი მსხლისებრია 17 მმ სიგრძის და 9 მმ სიგანის და აქვს გადაღუნული კბილები. თესლები თირკმლისებრია, ზედაპირზე ბლაგვი, დაკბილულ ფუძიანი ბორცვებით. VI—VIII.

აწერილია საქართველოდან. *Lectotypus*: Prov. et distr. Tsavkisi in silva 23 V 1920. *Leg. et determ.* B. Schischkin.

ლექტოტიპი დადგენილია ვ. პაპავას მიერ (ვ. პაპავა, საქ. სახ. მუზეუმის ბოტანიკურ ფონდში დაცული ავთენტური ხიმუშები, 1962, თბილისი). *ლექტოტიპი* დაცულია საქ. სახ. მუზეუმში. (TGM).

იზრდება განათებულ, ბალახოვან ფერდობებზე და ბუჩქნართა შორის. ტყის სარტყელში და სუბალპურ სარტყლის ქვედა ზოლში 1800 მ-მდე ზღვის დონიდან.

- საქ. სსრ: აღმ. საქართველოს ყველა რაიონში.
- სსრკ: ამიერკავკ.: აზერბ.; სომხ., ევრ. ნაწ. (ყირიმი).
- საერთო გავრცელ.: არმ.-ქურთ.

გვარი 19. CHARESIA E. BUSCH*

ყვავილები ორქესიანია, შეკრებილი მცირეყვავილიან დიქაზიუმად; ჯამი 10 ძარღვიანია, 5 კბილიანი. სვეტი 5—4 [3]. მტვრანა 10. მტვრის მარცვლი სფეროიდულია, 37 მიკრონამდე დიამეტრით, 25 გაფანტული, ლარსმოკ-

* დამუშავა ზ. ლვინანიძემ



ლებული ფორით, ფორის დიამეტრი 7 მიკრონია, ფორის მემბრანა ძნელად შესამჩნევი წვრილწერტილოვანი, ეგზინა სისქით 2 მიკრონამდეა ოპტიკურ ტრილში მკვეთრად დაშტრიხულია, ეგზინის ზედაპირი ზემოდან სადაა, აშკარა წერტილოვანი. კოლოფი ერთბუდიანია, იხსნება 10—8 [6] კბილით.

კავკასიის მონოტიპური ენდემური გვარია.

©. 1. Ch. Akinfievii (Schmalh.) E. Busch, Trav. Mus. Bot. Ac. Sc. URSS XIX (1926) 182; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 416; Charadze, Not. Syst. georg. Tbilis. 18 (1955) 74; Гвиниანიძე, Тр. Тбилисс. Бот. ин-та XXI (1961) 73. — *Silene Akinfievii* Schmalh. Berichte der Deutsch. Bot. Gesellsch. X (1892) 286. — *Melandrium Akinfievii* (Schmalh.) Schischk. во Фл. СССР VI (1936) 709. — *Elisanthe Akinfievii* (Schmalh.) Grossh. Фл. Кавк. 2, III (1945) 259.

Ис.: E. Busch l. c. таб. XVI; Фл. СССР l. c. табл. XLV, рис. 7; Гроссг. l. c. (1945) табл. 27, рис. 2—2а, Charadze l. c. (1955) p. 75.

2. ღერო მრავალია, ძირში გახევებული, მტვრევადი, 10—30 სმ სიმაღლის, სქლად შეფოთლილი. ფოთლები მოკლეყუნწიანი, ზედა თითქმის მჯდომარე, ფართო-კვერცხისებრი, 2,5—5 სმ სიგრძის, 18—25 მმ სიგანის. ყვავილენი მცირეყვავილიანია. ჯამი ნაყოფობისას გაბერილია, 10—15 მმ სიგრძის. გვირგვინის ფურცელი 5, ფირფიტა ორად გაყოფილი, გადანაღუნი თანდათანობით შევიწროებული ფრჩხილად, გვერდებზე ორი კბილით და თანაგვირგვინით. მტვრიანა 10. სვეტი 5—4 [3]. კოლოფი ერთბუდიანია, ღრმად დანაკეთული ცენტრალური სვეტით, იხსნება 10—8 [6] კბილით. თესლები მცირე ზომის, გვერდებიდან ოდნავ შებრტყელებული, ზურგზე 3—4 რიგად განწყობილი, საკმაოდ გრძელი ქიცვისებრი გამონაზარდებით. VIII. (სურ. 18).

აწერილია კავკასიიდან, მდ. ურუხის სათავეები, ხარეზის ყინვარის მახლობლად. ტიპი დაცულია ლენინგრადში (LE).

იზრდება მორენებზე, ნახვავებზე, ფიქლოვან კლდეებზე.

საქ. სსრ: 2-სვან.: ზემო სვანეთი, მესტია ჭალის მიდამოები (ზურებიანი); მულხურას აუზი (გაგნიძე, ჭელიძე; დავლიანიძე, მოწერილია); ქვემო სვანეთი, ს. ყორულდამის მიდამოები (ოჩიაური). (რუკა 15).


სსრკ: იმიერკავკასია.

გვარად 19. *SILENE* L.—ჭანთანა*

ერთსახლიანი ან ორსახლიანი მცენარეებია ორსქესიანი ან ერთსქესიანი ყვავილებით. ჯამი შეზრდილია, 5 მახვილ-წვეკრიანი ან ბლაგვი კბილით და 10—30 ძარღვით ხასიათდება, რომლებიც ხშირად ურთიერთთანაა შეზრდილი ანასტომოზებით. გვირგვინის ფურცელი 5; გვირგვინის ფურცლის ფირფიტა თეთრია, ვარდისფერი, მეწამული ფერის, მოყვითალო-მწვანე, ჩვეულებრივ მეტად თუ ნაკლებ ღრმად 2-ად გაყოფილი ან ამოკვეთილი, ზოგჯერ ფოჩისებრი ჩაჭრილი, უფრო იშვიათად მთლიანი, ძირთან ხშირად ორი პატარა კვერცხისებრი ან ლანცეტისმაგვარი დანამატი — თანაგვირგვინის ნაკეთები აქვს. ფრჩხილი წაგრძელებულია, ძირისკენ შევიწროებული, ზევითკენ ჩვეულებრივ ყურისებრი

* ღამუშავა ზ. ლენინანიძემ.

გაფართოებული, შიშველი ან წამწამებიანი. მტვრიანა 10; მტვრიანათა ძაფები შიშველია ან წამწამებიანი. მტვრის მარცვალი სფეროსებრია, ლარსმოკლებული; გვხვდება ორგვარი მტვრის მარცვალი 1) მოზრდილი, 12—16 ვიწროხიანი ფორით, ფორის მემბრანა და ეგზინის ზედაპირი მსხვილობრცვიანია; 2) ძალიან პატარა, 20—40 ფორით, ეგზინის ზედაპირი რთულბადისებრია. ნასკ-



რკა 15 1. *Charesia akinfievii* (Sc'maith.) E. Busch 2. *Silene pygmaea* Adam.

ვი ძირში 3-ბუდიაანია, ცოტად თუ ბევრად წაგრძელებული ყუნწი — კარბოფორი აქვს, უფრო იშვიათად მჭდომარეა, სვეტი 3. კოლოფი ძირში 3-ბუდიაანია, წვერში იხსნება 6 კბილით. თესლი მრავალია. — ერთ, ორ ან მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია ან ბუჩქბალახები.

1. ჯამი 20—30 ძარღვიანია, ჩვეულებრივ გამობერილი 2
- ჯამი 10-ძარღვიანია, ჩვეულებრივ ცილინდრული, უფრო იშვიათად გამობერილი. 7
2. ჯამი ხასიათდება 20 ძარღვით, რომლებიც შეერთებულია მკაფიოდ შესამჩნევი ანასტომოზებით 3
- ჯამი ხასიათდება 30 მკაფიოდ შესამჩნევი ძარღვით, ნაყოფობისას ძირში ცოტად თუ ბევრად გამობერილია, წვერისკენ შევიწროებული. 6
3. სრულიად შიშველი 25—80 სმ სიმაღლის ლევა ფერის მცენარეებია, გვირგვინის ფურცლები ღრმად ორად გაყოფილი ფირფიტითაა. — მეტ-ნაკლებად ვებუსვილი მცენარეებია შიშველი ჯამით და ფოჩისებრ ჩაჭრილი გვირგვინის ფურცლებით 5
4. ერთწლოვანია, ჯამი 10—13 მმ სიგრძისაა, ზედა ნაწილში შევიწროებული; გვირგვინის ფურცლები ფირფიტის ძირში ორი პატარა თანაგვირგვინით ხასიათდება. კოლოფი მსხლისებრი ფორმისაა და 2 მმ სიგრძის შიშველ კარბოფორზე ზის. 2. S. Alexeji Kolak.
- მრავალწლოვანია, ჯამი ზედა ნაწილში შევიწროებული არ არის, 13—20 მმ სიგრძისაა. გვირგვინის ფურცლების ფირფიტას თანაგვირ-

- გინი არა აქვს. კოლოფი თითქმის სფეროსებრია და 2—5 მმ სიგრძის შიშველ კარბოფორზე ზის 1. **S. Wallichiana** Klotzsch.
5. მალალი მცენარეებია, სიმაღლით 1 მ-მდე, დიდი ზომის ფართოკვერცხისებრი ფოთლებით, რომლებიც ქვედა ნაწილში ვიწროვდება მოკლე ყუნწად. გვირგვინის ფურცლები თეთრია, უთანაგვირგვინო 3. **S. multiida** (Adams) Rohrb.
- დაბალი მცენარეებია, 15—30 სმ სიმაღლის, ხასიათდება პატარა ზომის, კვერცხისებრი ან ლანცეტისმაგვარი ძირში შევიწროებული და გრძელყუნწიანი ფოთლებით. გვირგვინის ფურცლები თეთრია ან მეწამული ფერის, თანაგვირგვინით 4. **S. lacera** (Stev.) Sims
6. მცენარე შებუსხვილია წვრილი, მარტივი ბეწვით, 4—35 სმ სიმაღლისაა. ჯამი 10—15 მმ სიგრძისაა, ნაყოფობისას ქვედა ნაწილში ცოტათი გამობერილი. კოლოფი მჯდომარეა 34. **S. conica** L.
- მცენარე სქლად არის შებუსხვილი წვრილა ჯირკვალა ბეწვით, 25—60 სმ სიმაღლისაა. ჯამი 18—35 მმ სიგრძისაა, ნაყოფობისას ქვედა ნაწილში ძლიერ გაბერილი. კოლოფი კარბოფორზე ზის. 33. **S. conoidea** L.
7. ყვავილები ცალსქესიანია: მცენარე ორსახლიანია; ჯამი 2—4 მმ სიგრძისაა: გვირგვინის ფურცლები თეთრია ან მომწვანო-მოყვითალო, მთლიანი. კოლოფი მჯდომარეა, 3,5—9 მმ სიგრძისა 8
- ყვავილები ორსქესიანია: ჯამი 4—35 მმ სიგრძისაა. კოლოფი გრძელ ან მოკლე კარბოფორზე ზის. 10
8. ყვავილები მჭიდროდაა განწყობილი ცრურგოლებად; ჯამი 3—3,5 მმ სიგრძისაა. კოლოფი მოგრძოსფეროსებრია, 3,5—4 მმ სიგრძის, ოდნავ აღემატება ჯამს. ღერო 40 სმ სიმაღლისაა, ქვედა ნაწილში წვრილად შებუსხვილი 28. **S. Roopiana** Kleop.
- ყვავილუდი საგველასებრია ან მტევნისმაგვარი; ჯამი 2—4 მმ სიგრძისაა. კოლოფი თითქმის ორჯერ აღემატება ჯამს, 4—5 მმ სიგრძისა 9
9. მცენარე ქვედა ნაწილში შებუსხვილია სწორმდგომი მარტივი ბეწვით, ყვავილუდი საგველასებრია; ჯამი 2—3,5 მმ სიგრძისაა. კოლოფი კვერცხისებრია, 4—6 მმ სიგრძის 26. **S. wolgensis** (Willd.) Bess. ex Spreng.
- ღერო და ფოთლები შებუსხვილია წვრილი მწოლარე ბეწვით, ყვავილები შეკრებილია კონებად, რომლებიც მტევნისებრ ყვავილედს ქმნიან; ჯამი 3,5—4 მმ სიგრძისაა. კოლოფი კვერცხისებრია, 7—9 მმ სიგრძის 27. **S. cyri** Schischk.
10. ძალიან სქელკორდიანი, მალალმთის მცენარეებია, 5—17 სმ სიმაღლის, ძირთან დამოკლებული უნაყოფო ყლორტების კონით. ყვავილუდი კუმსია, თითქმის თავაკისებრი ან უფრო ფარჩხატი, უფრო იშვიათად. 1—4 ყვავილიანი 11.
- ჩვეულებრივ უფრო მალალი, ფაშარკორდიანი ან დაბალტანიანი მცენარეებია; ზოგჯერ ღეროები მარტოულია, რამდენიმეა ერთად ან მრავალი 12.



11. ბალიშისებრი მცენარეა მრავალი 7—16 სმ სიმაღლის ღეროთი. ყვავილედ მცირე ყვავილიანია, კენწრული, თითქმის თავაკისებრი; იდეალური — უფრო ფარჩხატი; გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია (მცირე კავკასიონი) 9. *S. diantlioides* Pers.
- სქელკორდიანი მცენარეა, 10—15 სმ სიმაღლის. ყვავილები 1—4 დამოკლებულ ყუნწებზე; გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია ან მოთეთრო (მთავარი კავკასიონი) 10. *S. Marcowiczii* Schischk.
12. ყვავილედ მრავალყვავილიანია თავაკისებრი ან ფარისებრი. შიშველი, ლეგა ფერის მცენარეა მოვარდისფრო მეწამული ფერის, უფრო იშვიათად თეთრი ან ღია ყვითელი გვირგვინის ფურცლებით, ერთ ან ორწლოვანი მცენარეებია 7. *S. compacta* Fisch.
- ყვავილედ მტევნისებრია, დიქოტომიურად დატოტვილი ან საგველასებრი; თუ ყვავილედ ფარისებრია ან თავაკისებრი, მაშინ იგი ჩვეულებრივ ცოტაყვავილიანია; ზოგჯერ 1—4 ყვავილი ვითარდება 13.
13. ყვავილედ წაგრძელებულია, მტევნისებრი, მარტივი ან დიქოტომიურად დატოტვილი; ჯამი ხასიათდება მკვეთრად ამოწეული ძარღვებით, მათ შორის კი ჩვეულებრივ სიფრიფანაა. ერთ ან ორწლოვანი მცენარეებია. 14.
- ყვავილედ სხვაგვარი აგებულებისაა; ჯამზე ძარღვები ისე მკვეთრად არ არის ამოწეული. მრავალწლოვანი მცენარეებია 17.
14. თანაყვავილები სიფრიფანაა; ყვავილედის ორკაპებში თითო ყვავილი ზის. 15.
- თანაყვავილები ბალახოვანია; ყვავილედის ორკაპებში ყვავილები არ ვითარდება. 16.
15. ჯამი კასრისებრ გამობერილია, 7—11 მმ სიგრძის, თითქმის შიშველი ან ძარღვების გაყოლებაზე გაბნეულბეწვიანი. 29. *S. iberica* Bieb
- ჯამი ცილინდრულია, შებუსხილი მარტივი ბეწვით, 10—12 მმ სიგრძის; გვირგვინის ფურცლები წითელ-მეწამული ფერისაა. 30. *S. euxina* Rupr.
16. ყვავილების ყუნწი მოკლე ან წაგრძელებულია, ჯამი 13—15 მმ სიგრძისაა, კასრისებრი, ნაყოფობისას გამობერილი, ძარღვების გაყოლებაზე მოკლე ჯირკვალბეწვიანი 32. *S. pendula* L.
- ჯამი სიგრძით 8 მმ, მილისებრი, ნაყოფობისას ცოტათი გამობერილი, წვრილ ჯირკვალბეწვებიანი; გვირგვინის ფურცლები თეთრი ან მეწამული ფერისაა 31. *S. gallica* L.
17. ჯამი შიშველია, სრულიად შიშველი ან ქვედა ნაწილში შებუსხილი მცენარეებია 18.
- ჯამი შებუსხილია მარტივი ან წვრილი ჯირკვალა ბეწვით. 24.
18. სრულიად შიშველი, ზედა ნაწილში წებოვანი მცენარეა. ჯამი 20—30 მმ სიგრძისაა 19.
- ქვედა ნაწილში მეტ-ნაკლებად შებუსხილი ან შიშველი მცენარეა. ჯამი 12 მმ არ აღემატება 20.



19. მცენარე 25—75 სმ სიმაღლისაა, ხასიათდება ნიჩბისებრი ან ოვალური ქვედა და გულისებრ მომრგვალებული ზედა ფოთლებით. ჯამი 20—25 მმ სიგრძისაა, ზედა ნაწილში გაფართოებული. კარპოფორი 7 მმ სიგრძისაა 16. *S. chlorifolia* Smith
- მცენარე 30—80 სმ სიმაღლისაა, ხაზური, რამდენადმე სქელი ფოთლებით. ჯამი ვიწროა, 25—30 მმ სიგრძის, კარპოფორი 13 მმ სიგრძისაა 15. *S. solenantha* Trautv.
20. ყვავილედ დამოკლებულია, 1—3 ყვავილიანი ტოტებით; გვირგვინის ფურცლებს თანაგვირგვინი არ აქვს, კარპოფორი შიშველია, 2—3 მმ სიგრძის 13. *S. lasiantha* C. Koch
- ყვავილედ ფარჩხატია, საგველასებრი ან მტევნისებრი; გვირგვინის ფურცლები თანაგვირგვინიანია 21.
21. ყვავილედ ცალკეურდა მტევნისებრია ან მცირეყვავილიანი დიქაზიუმის სჯითაა. 22.
- ყვავილედ დიქოტომიურადაა დატოტვილი, საგველასებრია. ქვედა ფოთლები კვერცხისებრ ლანცეტაა ან ნიჩბისებრია, უღწვად წარზიდული. 23.
22. ყვავილების ყუნწი წაგრძელებულია 1,3—2,5-ჯერ აღემატება ჯამს; ჯამი 10—12 მმ სიგრძისაა, ფართო ცილინდრულ-ზარისებრი. შიშველი მცენარეა წებოვანი ღეროთი, 20—30 სმ სიმაღლის; ფოთლები შიშველია, მოგრძო-ნიჩბისებრი, კიდეებზე ვიწროდ თეთრხრტილისებრია 12. *S. Boissieri* P. Panjut.
- ყვავილის ყუნწი ჯამის ტოლია; ჯამი 7—9 მმ სიგრძისაა, ვიწრო-ცილინდრულ-ზარისებრი. ღერო წებოვანია, ქვედა ნაწილში სუსტად შებუსვილი ან შიშველი, 15—60 სმ სიმაღლის; ფოთლები ნიჩბისებრია ან ხაზურ ლანცეტა, კიდეებზე წვრილწამწამებიანი ან შიშველი 11. *S. saxatilis* Sims.
23. ღერო ქვედა ნაწილში წვრილი ჯირკვლისებრი, ქვევით მიმართული ბეწვითაა შებუსვილი, ზედა ნაწილში წებოვანია; ქვედა ფოთლები პატარა ზომისაა, ნიჩბისებრი ან მოგრძო-ნიჩბისებრი; ზედა ფოთლები ხაზურ-ლანცეტაა, ზედა მხარეზე შიშველი, კიდეებსა და ქვედა მხარეზე ძარღვების გაყოლებასზე მოკლე ჯაგრისებრწამწამებიანია. ჯამი მოგრძოა, წაწვეტებული კბილებით; გვირგვინის ფურცლებს ყურისებრ გაფართოებული ფარჩხილი აქვს. მტვრიანები მხოლოდ ქვედა ნაწილშია მეტ-ნაკლებად შებუსვილი 8. *S. dagestanica* Rupr.
- მცენარე ქვედა ნაწილში წვრილი ბეწვითაა სქლად მოფენილი. ქვედა ფოთლები დიდი ზომისაა, კვერცხისებრ ლანცეტა, ზედა ფოთლები ლანცეტისებრია, სქელი ნაცრისფერი შებუსვილი. ჯამი მილისებრ-ზარისებრია, შიშველი ან წვრილბეწვიანი მომრგვალო კბილებით; გვირგვინის ფურცლების ფარჩხილი გაფართოებული არ არის; მტვრიანათა ძაფი სქელბეწვიანია 14. *S. propinqua* Schischk.
24. ჯამის ყველა კბილი მახვილწვერიანია 25.
- ჯამის კბილები მობლავგოა ან მომრგვალებული 26.



25. ჯამი სიგრძით 10 მმ-მდეა, გაფართოებული. პატარა ზომის მცენარეა, 10—12 სმ სიმაღლის, შებუსხვილი მოკლე, ჯირკვალა ბუხუსებით, ფოთლები ლანცეტისებრია 3—4 მმ-მდე სიგრძის 5. *S. physocalyx* Ledeb.
- ჯამი 22—26 მმ სიგრძისაა ნაყოფობისას ცოტათი გამობერილი. მცენარე სქალადაა შებუსხვილი ჯირკვალა ბუხუსებით, 15—20 სმ სიმაღლისაა, მომრგვალო-კვერცხისებრი ფოთლებით 6. *S. lazica* Boiss.
26. ჯამი 10—12 მმ სიგრძისაა. 27.
- ჯამი 15—20 მმ სიგრძისაა 30.
27. ჯამი შებუსხვილია წვრილი ჯირკვლოვანი ბუხვით, ნაყოფობისას მეტად თუ ნაკლებად გამობერილია. ფოთლები ვიწრო-ნახურია 28.
- ჯამი შებუსხვილია მარტივი, არაჯირკვლოვანი ბუხვით, ნაყოფობისას გამობერილი არ არის. ფოთოლი უფრო ფართოა 29.
28. ჯამი ცილინდრულია, ნაყოფობისას ოდნავ კასრისებრ გამობერილი, ძირისკენ და წვერისკენ ცოტად თუ ბევრად შევიწროებული, სიგრძით 12 მმ-მდე; ყვავილები მტევნისებრ ან თავაკისებრ ყვავილედებს ქმნის, ზედა ყვავილები მჭიდრობა, გვერდითი მოკლეყუნწიანია 17. *S. spergulifolia* (Desf.) Bieb.
- ჯამი ზედა ნაწილში გაფართოებულია, ნაყოფობისას ძირში გამობერილი, სიგრძით 10 მმ-მდეა; ყვავილები შეკრებილია მტევნისებრ-საგველასნაირ წყვეტილ ყვავილედად; ყვავილთა ყუნწი ძლიერ დამოკლებულია 18. *S. Brotlerana* Somm. et Levier
29. ყვავილენი არამრავალყვავილიანია, თითქმის თავაკისებრი ან უფრო ფარჩხატი კონების სახით; გვირგვინის ფურცლები ზევიდან თეთრია, ქვევიდან მოყვითალო-მომწვანო. მცენარე 20—60 სმ სიმაღლისაა, ლანცეტა ფოთლებით 19. *S. cephalantha* Boiss.
- ყვავილენი არამრავალყვავილიანია, ფარისებრი, გვირგვინის ფურცლები ვარდისფერ-მეწამული ფერისაა. მცენარე 8—20 სმ სიმაღლისაა ფართო-ნიჩბისებრი ან ელიფსური ფოთლებით 20. *S. pygmaea* Adams
30. მცენარე ხასიათდება მხოხავი ლეროთი, 3—5 სმ სიმაღლისაა, 1—2 ყვავილიანი, წვრილი მომრგვალო-ელიფსური ფოთლებით. ჯამი გაფართოებულია, 15—18 მმ სიგრძისაა, ჯირკვალა ბუხუსებით სქალად დაფარული, გვირგვინის ფურცლები მომწვანო-მოყვითალოა 1/3-მდე ჩაპრილი, თანაგვირგვინით და ყურისებრ-გაფართოებული ფარჩხილით. 21. *S. humulis* C. A. Mey.
- უფრო დიდი ზომის მცენარეა, სწორი ან აღმავალი ლეროებით 31.
31. მცენარე 25—80 სმ სიმაღლისაა, ქვედა ნაწილში შებუსხვილი, ზედა ნაწილში წებოვანი ლეროებით; ქვედა ფოთლები დიდი ზომისაა, ელიფსური, ყუნწად წარზიდული. ყვავილენი საგველაა; ჯამი 18—20 მმ სიგრძისაა, ვიწრო, გვირგვინის ფურცლები უთანაგვირგვინოა. კოლოფს აქვს 9—10 მმ სიგრძის ბუხვიანი კარპოფორი 25. *S. italica* (L.) Pers.

— მალაღმთის მცენარეებია, 10—25 სმ სიმაღლის, ყვავილები 1—5, ტოტების ბოლოებზე; ჯამი 15—20 მმ სიგრძისაა; გვირგვინის ფურცლები თანაგვირგვინიანია. კოლოფს აქვს 5—9 მმ სიგრძის შებუსვითი კარბოფორი 32.

32. ყველა ფოთლო ვიწრო-ხაზურია. ჯამი 15—16 მმ სიგრძისაა, მოგრძო, ცოტათი გაფართოებული, მარტივი უხეში ხუჭუჭა ბეწვით მოფენილი 23. *S. linearifolia* Otth.

— ფესვთანური ფოთლები ლანცეტისმაგვარია. ჯამი 15—20 მმ სიგრძისაა, ჯირკვლოვან-ბეწვიანი 33.

33. ყვავილები 1—2, დახრილი, მოთავსებული გრძელ, ზოგჯერ ჯამზე მეტი სიგრძის ყუნწებზე; ჯამი ფართო-ცილინდრულია, 15—18 მმ სიგრძისა 22. *S. lychnidea* C. A. Mey.

— ყვავილენი 1—5, ჩვეულებრივ სწორმდგომი, უფრო იშვიათად დახრილი, მოთავსებული დამოკლებულ ყუნწზე; ჯამი მოგრძო-ცილინდრულია, 18—20 მმ სიგრძისა 24. *S. caucasica* (Bunge) Boiss.

Sect. I. Inflatae (Boiss.) Chowdh. Notes Roy. Bot. Gard. Edinb. 22, 3 (1957) 241; Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 213.

ჯამი 20 ძარღვიანია, ანასტომოზებით, შიშველი; გვირგვინის ფურცელი ორად გაყოფილი, ფრჩხილი ორყურბიანი. კოლოფი თითქმის სფეროსებრია.

1. *S. Wallichiana* Klotzsch in Klotzsch und Garcke, Bot. Ergebn. Reise Prinz. Waldem. Preuss. (1862) 139 tab. 30; Гроссг. Фл. Кавк. 12, III (1945) 235; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 269 (georg.); Гроссг. Определ. раст. Кавк. (1949) 546; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 323; Макашвили, Фл. окр. Тбилиси I (1952) 194 (georg.); Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 123; Дмитриева, Определ. раст. Аджар. (1960) 320; Колак. Растит. мир Колх. (1961) 182; Харадзе в Определ. раст. Груз. II (1969) 232 (georg.). — *Cucubalus Behen* (non L.) Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 333 p.p. — *Silene inflata* v. 2, Ledeb. Fl. Ross. I (1842) 305. — *S. commutata* auct. non Guss.: Boiss. Fl. Or. I (1867) 629; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 404; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 597. — *S. vulgaris* (Moench) Garcke, Fl. Nord. Mittel-Deutsch. ed. 9 (1869) 64; Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 213; Тахт., Фед., Фл. Еревана (1972) 76. — *Oberna Wallichiana* (Klotzsch) Ikonn. Нов. сист. высш. раст. 13 (1976) 120.

Ис.: Гроссг. I. с. (1945) таб. 23, рис. 3—3в. — ჭყიბანტა.

4. შიშველი ლევა მცენარეა, ხასიათდება აღმავალი, ზედა ნაწილში და ტოტვილი, 30—80 სმ სიმაღლის ღეროებით; ფოთლები უკუკვერცხისებრია, მოგრძოელიფსური, კიდეებზე შიშველი ან წერილწამწამებიანი, მოკლე მახვილი ბოლოთი, ღეროს ზედა ნაწილში ნახევრად ღერომხვევი, უფრო იშვიათად ძირისაკენ წარზიდული. ქვედა ფოთლები დაკნინებულია. ყვავილები შეკრებილია ქოლგისებრ ყვავილედად ტოტების ბოლოებზე; თანაყვავილები პატარა ზომისაა ლანცეტა, მახვილწვერიანი, სიფრიფანა; ჯამი გაფართოებულია, წაყოფობისას გამობერილი, 13—20 მმ სიგრძის, 20-ძარღვიანი ნათლად შესამჩნევი ანასტომოზებით; ჯამის კბილები ფართო სამკუთხაა, ოდნავ მახვილწვერიანი, წვერში წვრილბუსუსებიანი; გვირგვინის ფურცლები ჯამზე

გრძელია; თეთრი, უთანაგვირგვინო; მისი ფირფიტა თითქმის ძირამდე განკვეთილი; ფრჩხილები და მტვრიანთა ძაფები შიშველია. კოლოფი თითქმის სფეროსებრია. მოთავსებულია შიშველ 2—5 მმ სიგრძის კარბოფირზე. IV—IX.

იზრდება მაღალბალახიან, ნაირბალახიან, ნაირბალახიან-მარცვლოვან მდელოებზე, უპირატესად სუბალპურ სარტყელში, უფრო იშვიათად ტყის სარტყლის ზედა ზოლში.

საქ. სსრ: მთელს რესპუბლიკაში.

სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ.; სომხ.: ევრ. ნაწ. (ყირიმი); შუა აზ.

საერთო გავრცელ.: მც. აზ.; არმ.-ჭურთ., ირ.; ცენტრ. აზ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სახელწოდება *S. commutata* Guss. როგორც ეს ა. გ რ ო ს ჰ ე ი მ მ ა დასაბუთა (l. c. 1945, 317), სიცილიიდან აწერილი ვიწრო არეალის მქონე სახეობას მიეკუთვნება. კავკასიაში გავრცელებული სახეობა, პოლიმორფულ ციკლ *Inflatae* Boiss.-დან, *S. Wallichiana*-ს უნდა წარმოადგენდეს.

2. *S. Alexeji* Kolakowskyi, Not. Syst. Geogr. Tbilis., 14 (1948) 65; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 270 (georg.); Колак. Растит. мир Колх. (1961) 181.

⊙. შიშველი, ლევა ფერის მცენარეებია აღმავალი, ზედა ნაწილში დატოტვილი 25—50 სმ სიმაღლის ღეროებით; ქვედა ფოთლები მოგრძო უკუკვერცხისებრია 4—5 სმ სიგრძის და 1,5—2,5 სმ სიგანის, ზედა ფოთლები კვერცხისებრი ან კვერცხისებრ-ლანცეტაა, 1—2 სმ სიგრძის და 0,5—1 სმ სიგანის, ძირთან მოკლე ყუნწად შევიწროებული, წვრილბორცვებიან-ხაოიანია, კიდე ოდნავ ხაოიანი აქვს; თანაყვავილები ლანცეტაა, 2—10 მმ სიგრძის. ყვავილები გრძელ ზემოთაღმართულ ყუნწებზეა მოთავსებული, ნახევარ ქოლგებშია შეკრებილი ტოტების ბოლოებზე; ჯამი ფართო კვერცხისებრია, 20 ძარღვით, რომელიც ჯამის ზედა ნაწილში ანასტომოზებს ქმნის, შიშველია; ჯამის კბილები სამკუთხა მოყვანილობისაა, მოკლედ წაწვეტებული; გვირგვინის ფურცლები თეთრია, 1,5-ჯერ ჯამზე უფრო გრძელი, ვიწრო ხაზურ-სოლისებრი ფრჩხილით და ძირამდე ორად გაყოფილი ფირფიტით; თანაგვირგვინი ორი პატარა 0,1—0,2 მმ სიგრძის სამკუთხა კბილის სახითაა. კოლოფი მსხლისებრი ფორმისაა, 10 მმ სიგრძის და 6 მმ სიგანის, შიშველი 2 მმ სიგრძის კარბოფირზე მოთავსებული, ჯამიდან ცოტათი გამოჩენილია; თესლი თირკმლისებრია. წვრილბორცვებიანი. VI—VIII.

აღწერილია აფხაზეთიდან. Typus: Abchazia, in faucibus fluminis Bzyb supra confluentibus eius cum fl. Gega, 20 VIII 1938. Leg.: V. Jabrova; ibid. 19 VI 1946. Leg. G. Kvaratschelia. ინახება სოხუმის ბოტანიკურ ბაღში.

იზრდება კირქვიან კლდეების ნაპრალებსა და ღორღიან სუბსტრატზე, 1500 მ-დე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: 1— აფხ.: მდ. ზზიფის ხეობა, მდ. გეგა (იაბროვა; კვარაცხელი). (რუკა 16).

Sect. 2. *Fimbriatae* (Boiss.) Chowdh. Notes Roy. Bot. Gard. Edinb. 22, 3 (1957) 241; Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 213.



ჯამი ნაყოფობისას გამობერილია, შებუსვილი, გვირგვინის ფურცლებში ფო-
ჩისებრ ჩაჭრილია.

3. *S. multifida* (Adams) Rohrb. Monogr. Silene (1868) 88; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 404; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 601; Колак. Фл. Абх. II (1939) 102; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 236; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 270 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 546; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 324; Макашвили, Фл. окр. Тбилиси I (1952) 195 (georg.); Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 124; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 320; Колак. Растит. мир Колх. (1961) 181; Coode and Culen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 213; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 232 (georg.). — *Cucubalus multifidus* Adams in Web. et Mohr. Beitr. I (1805) 57. — *Silene fimbriata* (Bieb.) Boiss. Fl. Or. I (1867) 629. — *Cucubalus fimbriatus* Bieb. Fl. Taur. - Cauc. I (1808) 333. — *Oberna multifida* (Adams) Ikonn. Нов. сист. высш. раст. 13 (1976) 120.

Is.: Гроссг. I. с. (1945) табл. 23, рис. 4—4а; Фл. Арм. I. с. табл. XXXV.

Exs.: Herb. Fl. Ross. n° 457 — ტყის ქოთანა

4. ღეროები ზედა ნაწილში დატოტვილია, 60—120 სმ სიმაღლისა, გაბუნეულ მოკლებუსუსებიანი; ფოთლები დიდი ზომისაა, ფართო-კვერცხისებრი, ძირში მომრგვალებული, ერთბაშად შევიწროებული ძლიერ დამოკლებულ ყუნწად; ზედა ფოთლები თითქმის მკდომარეა, ორივე მხარეზე ცოტად თუ ბევრად გაბნეულბუსუსებიანი; ყვავილენი კენწრულია, საგველასებრი, მრავალყვავილიანი; ყვავილთა ყუნწი ჩვეულებრივ ჯამის ტოლია, ბუსუსებიანი; თანაყვავილენი პატარა ზომისაა, ვიწრო-ლანცეტა, შებუსვილი, კიდებზე წამწამებიანი; ჯამი ფართო ზარისებრია, ნაყოფობისას გამობერილი, 13—18 მმ სიგრძის, 20 ძარღვით და ნათლად შესამჩნევი ანასტომოზებით; ჯამის ფოთლების კბილები ფართო-კვერცხისებრია, ოდნავ მახვილწვერიანი; გვირგვინის ფურცლები თეთრია, ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელი, ფოჩისებრ ჩაჭრილი ფირფიტით, უთანაგვირგვინოდ, თანდათანობით შევიწროებული შიშველ ფრჩხილად; მტერიანათა ძაფები შიშველია. კოლოფი სფეროსებრია და მოთავსებულია მოკლე, შიშველ კარპოფორზე, სიგრძით 3 მმ-მდეა. VII—VIII.

აწერილია საქართველოდან (Iberia). ტიპი დაცულია მოსკოვში. იზრდება მეზოფილურ მდელოებზე, ტყის ნაპირებზე, ტყის სარტყლის ზედა ზოლში და სუბალპურ სარტყელში.

საქ. სსრ: მთელ რესპუბლიკაში.
სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ., აზერბ.; სომხ. საერთო გავრცელ.: მც. აზ. (ლაზეთი)
var. *glandulosa* Somm. et Levier, Acta Horti Petropol. 26 (1900) 74.

ღერო ზედა ნაწილში, ყვავილის ყუნწი და ჯამი სქლად არის დაფარული ჯირკვალა ბუსუსებით.

გავრცელებულია სახეობის მთელ არეალში.

©: 4. *S. lacera* (Stev.) Sims, Bot. Mag. (1821) tab. 2255; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 304, 776; Boiss. Fl. Or. I (1867) 630; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 404; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 602; Гроссг. Фл. Кавк., 2, III



(1945) 236; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 271 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 546; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 324; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 124. — *Cucubalus lacerus* Stev. Мém. Soc. Nat. Mosc. III (1812) 262. — *Oberna lacera* (Stev.) Иконн. Нов. сист. высш. раст. 13 (1976) 120.

Is.: Bot. Mag. (1821) tab. 2255; Гроссг. I. с. (1945) табл. 23, рис. 5—5а; Фл. Груз. I. с. рис. 117.

Exs.: Herb. Fl. Ross. n° 1709.

4. მცენარე შებუსვილია ხეშეში, მოთეთრო, დანაწევრებული ბეწვით; ფესვები წაგრძელებულია, ტუბერისებრ გასქელებული, დატოტვილი; ღეროები ძირიდანვე წამოწეული, 15—30 სმ სიმაღლის; ქვედა ფოთლები კვერცხისებრია, ერთბაშად წარზიდული გრძელ ყუნწად ძირში ოდნავ გულისებრი, ზედა ფოთლები ლანცეტაა. ყვავილები მოთავსებულია მეტად თუ ნაკლებ წაგრძელებულ ყუნწებზე და ბალახისმაგვარი ვიწრო-ლანცეტა თანაყვავილები აქვს; ჯამი 15—16 მმ სიგრძისაა, ძირიდან გაფართოებული, ნაყოფობისას გამობერილი, არამკაფიოდ გამოსახული 20 ძარღვით, ნათლად შესამჩნევი ანასტომოზებით და მახვილწვერიან-სამკუთხა კბილებით; გვირგვინის ფურცლები ჯამზე ცოტათი გრძელია, თეთრია, უფრო იშვიათად მეწამული ფერის, ფირფიტა გაყოფილია ფოჩებად და თანაგვირგვინის ხაზურ-ლანცეტა ნაკვეთით ხასიათდება: ფრჩხილი ზედა ნაწილში გაფართოებულია, შიშველი; მტკრიანთა ძაფები შიშველია. კოლოფი მომრგვალო-სფეროსებრია და მოთავსებულია ძლიერ დამოკლებულ, 1—2 მმ სიგრძის შებუსვილ კარბოფორზე. VI—VIII.

აწერილია აზერბაიჯანიდან, მდ. ხოჯალის სათავეებიდან.

იზრდება ჩამონახვავებზე და მორენებზე, ღორღიან ფერდობებზე, რიყნარებზე, ტყის სარტყლის ზედა ზოლში და სუბალპურ, უფრო იშვიათად ალპურ სარტყელში 2800 მ-მდე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: 3 — რაჭა: მამისონი (კემულარია-ნათაძე); 10 — მთიულ.: ყაზბეგის რაიონი, ბურსაჰირის ვადასავალი, ნაშალებზე (გაჩეჩილაძე; ოჩიაური); სოფ. თარგმანი (ხუციშვილი; ღვინიაძე); ქვენა-მთა, ნაშალებზე (ხარაძე, გაჩეჩილაძე; ხდის ხეობა (ხარაძე); სნოს ხეობა (სოსნოვსკი); მდ. ჩხერის მარცხენა ნაპირი, ნაშალებზე (ღვინიაძე); კობი (პასტუხოვი); გერგეთი (პრიხოდკო); გერგეთსა და ყაზბეგს შორის (სულაკაძე); სოფ. ანდუხიტსა და ყაზბეგს შორის (ღვინიაძე); 11 — თუშ-ფშავ-ხევსურ.: გუდამაყარი, სოფ. ზანდუკის მიდამოები (მელიქიშვილი); პირიქითა ხევსურეთი, არხოტის ხეობა ნეტხეჩა, მდ. ასის ხეობა (გრიგორაშვილი); შატლის წყლის მარცხენა მხარე (ოჩიაური); 12 — კახ.: მდ. სტორის ხეობა (აბანოები) ნაშალებზე, (გურგენიშვილი); ლაგოდეხის ნაკრძალი, მდ. ლაგოდეხ-ორის ხეობა (დოლუხანოვი).

სსრკ.: იმიერკავკ.; (ცენტრ. და აღმ. ნაწ.); ამიერკავკ.: სომხ., აზერბ.

Sect. 3. *Odontopetalae* Schischkin ex Chowdh. Notes Roy. Bot. Gard-Edinb. 22, 3 (1957) 240; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 602; Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 212.

ჯამი მეტად თუ ნაკლებად გამობერილია, შებუსვილი, მახვილი კბილებით, გვირგვინის ფურცლები ორადაა გაყოფილი.

5. *S. physocalyx* Ledeb. Fl. Ross. I (1842) 321; Гроссг. Фл. Кавк.



II (1930) 411; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 606; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 238; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 272 (georg.); Дмитриева, Определ. раст. Аджар. (1960) 321; Колак. Растит. мир Колх. (1961) 183. — *S. odontopetala* γ *latifolia* Boiss. Fl. Or. I (1867) 626. — *S. Raddeana* Харадзе во Фл. Груз. III (1947) 272 (georg.) p.p. non Trautv.

4. მცენარე შებუხსვილია მოკლე, ჭირკვალა ბეწვით; ღეროები მარტოულია ან რამდენიმე ერთად, 10—12 სმ სიმაღლის; ფოთლები ხაზურ-ლანცეტაა, სიგანით 3—4 მმ-მდე; ფესვთანური ფოთლები ძირისკენ წაგრძელებულია, ღეროსეული ფოთლები უფრო პატარა ზომისაა. ყვავილები მოთავსებულია ღეროს წვერში, 2—3 ერთად, უფრო იშვიათად 4 ერთად; ჯამი 10—12 [15] მმ სიგრძისაა, გაფართოებული, 10-ძარღვიანი, ფართოლანცეტა, მახვილი კბილებით, ნაყოფობისას გამობერილი; გვირგვინის ფურცლები თეთრია, ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელი; ფირფიტა 1/3-მდეა ჩაჭრილი და აქვს თანაგვირგვინი. კოლოფი კვერცხისებრია, მოთავსებული წაგრძელებულ კარბოფორზე. VII.

აწერილია დას. ამიერკავკასიიდან. ტიპი ინახება ლენინგრადში. (LE).

იზრდება კლდეებზე სუბალპურ სარტყელში. (2400 მ-დე).

საქ. სსრ: 7 — აჭარა: აჭარა-შავშეთის ქედი, ტბეთი; აჭარა-იმერეთის ქედი, ხინოს მთის წვერი, მდ. კინტრიშის სათავეები, მაცყვალთა; კუშნარი (დმიტრიევა); შავშეთის ქედი (მედვედევი); იმერეთის ქედი, სარბიელა; ჩანგოხის თავი; (დმიტრიევა); აჭარა-იმერეთის ქედი, სალორ-დაღი. (სახოკია). 19 — მესხ.: აბასთუმანი, ზეკარის გადასავალი (კოზლოვსკი); კოდიანის ქედის სამხ. ფერდობი, (ხინთიბიძე).

საერთო გავრცელ.: არმ.-ქურთ., მც. აზ. (ყოფილი ართვინის ოლქი).

შენიშვნა: სახეობა აწერა ლედებურმა დას. საქართველოდან ნორდმანის ეგზემპლარიის მიხედვით. პუნქტი მითითებული არ არის. ამ სახეობის ეგზემპლარები აჭარიდან და მესხეთიდან საქართველოს ფლორის ავტორებს მოყავდათ როგორც *S. Raddeana*. ეს უკანასკნელი საქართველოში არ იზრდება და ამიტომ „საქართველოს ფლორაში“ აღარ მოგვეყავს.

6. *S. lazica* Boiss. Diagn. ser. I (1843) 35; idem, Fl. Or. I (1867) 624; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 410; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 609; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 238; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 272 (georg.).

4. მთელი მცენარე სქლად არის შებუხსვილი ჭირკვალა ბეწვით; ღერო მრავალია, სწორი, 15—30 სმ სიმაღლის, ჩვეულებრივ მარტივი, სქლად შეფოთლილი; ფოთლები მომრგვალო-კვერცხისებრია, ზოგჯერ ძირში გულისებრი, წაწვეტებული, კიდეებზე ტალღისებრი. ყვავილები მოთავსებულია ღეროსა და ტოტების წვერზე, ჩვეულებრივ 3 ერთად, ღამოკლებულ ყუნწებზე; ჯამი წაგრძელებულია, 22—26 მმ სიგრძის, 10-ძარღვიანი, ლანცეტა მომახვილო კბილებით, ნაყოფობისას ოდნავ გამობერილი; გვირგვინის ფურცლები თეთრია, ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელი; გვირგვინის ფურცლის ფირფიტა ღრმად 2-ად გაყოფილი, ძირში თანაგვირგვინის მოგრძო ნაკვეთით; ფრჩხილები ზედა ნაწილში ცოტათი ყურისებრ გაფართოებულია, შიშველი; მტვრიანათა ძაფები შიშველია. კოლოფი მოგრძოა, მოთავსებულია გრძელ შიშველ კარბოფორზე, სიგრძით 10-მმ-მდე. VI.

აწერილია ლაზეთიდან. (ლაზეთის მთები) ტიპი ეენევაშია.

იზრდება კლდეებზე, გზის პირებზე 950—2100 მ. ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: მითითებულია დას. ამიერკავკასიისათვის.

საერთო გავრცელ.: მც. აზ. (თურქეთი).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: „თურქეთის ფლორაში“ [Coode and Cullen in Fl. Turkey II (1967) 212] J. S. lazica Boiss. მოყვანილია როგორც თურქეთის ენდემი. ა. ხარაძეს „საქ. მცენ. სარკვევში“ ეს სახეობა აღარ მოყავს საქართველოსათვის.

Sect. 4. Compactae (Boiss.) Schischk. во Фл. СССР VI (1936) 615; Chowdh. Notes Roy. Bot. Gard. Edinb. 22, 3 (1957) 244; Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 224. sine auct. corrb.

ყვავილები შეკრებილია თავაკად. ჯამი ჩეულვებრივ შიშველია, დაძარღვა შემწვინველი. გვირგვინი ვარდისფერი, ფირფიტა მთლიანი ან ოდნავ დაკბილული.

7. **S. compacta** Fisch. in Hornem. Hort. Hafn. I (1813) 417; DC. Prodr. I (1824) 384; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 325; Boiss. Fl. Or. I (1867) 582; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 407; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 615; Колак. Фл. Абх. II (1939) 105; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 240; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 275 (georg.); Карягин во Фл. Азерб. III (1952) 330; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 131; Дмитриева, Определ. раст. Адж. (1960) 320; Колак. Растит. мир. Колх. (1861) 182; Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 224. — *S. armeria* subsp. β *compacta* Schmalh. Фл. I (1895) 138.

Ic.: Reichb. Ic. Fl. Germ. 6 (1844) t. 284; Гроссг. l. c. (1945). табл. 24 рис. 2—2a; Фл. Арм. l. c. табл. XXXVIII.

Exs.: Herb. Fl. Ross. n° 2974; Herb. Fl. Cauc. n° 228. — ლამაზა

⊙ ა ნ ⊙. შიშველი, ლეგა ფერის მცენარეა, ხასიათდება მარტივი, ან იშვიათად ზედა ნაწილში დატოტვილი, სწორი 20—70 სმ სიმაღლის ღეროებით; ქვედა ფოთლები ნიჩბისებრია, ღეროსეული — კვერცხისებრ-ლანცეტა, მჯდომარე, ძირში მომრგვალებული; ყვავილეთი კენწრულია, თითქმის თავაკისებრი ან კუმსი ფარისმაგვარი; თანაყვავილები პატარა ზომისაა, სიფრიფანა; კენწრული ფოთლები ყვავილების ძირში ბალახისმაგვარია, კვერცხისებრი, წაწვეტებული; ჯამი ვიწროა, წაგრძელებული, მეწამული ფერის ზოლებით, 10-ძარღვიანი, 14—18 მმ სიგრძის, ხასიათდება მოკლე, ბლავი, კიდევებზე წამწამებიანი კბილებით; გვირგვინის ფურცლები ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელია, მეწამული ფერის, თანაგვირგვინით და ყურისებრ-გაფართოებული შიშველი ფრჩხილებით; მტვრიანათა ძაფები შიშველია. კოლოფი მოგრძო-ცილინდრულია, მოთავსებული 9—10 მმ სიგრძის გრძელ შიშველ კარპოფორზე. თესვები ძალზე წვრილია (0,5 მმ დიამეტრის) თირკმლისებრ მომრგვალო VI—VIII. $2x=24$.

აწერილია რუსეთიდან. (შავიზღვისპირეთი).

იზრდება ტყის სარტყელში, უპირატესად მუხნარებისა და ფიჭვნარების ზოლში, ტყის ნაპირებზე, ლორღიან განათებულ ფერდობებზე, მდინარეთა ნაპირებზე, გამეჩხერებულ ბუჩქნარებს შორის რიყნარებზე.

საქ. სსრ.: მთელ რესპუბლიკაში.

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ.: აზერბ.; სომხ.; ევრ. ნაწ. (შავი ზღვის სანაპ.).



საერთო გავრცელება: ხმელთაშუაზღვ. მხრ. (ბალკ.); მც. აზ.; არმ.-ქუთათ. შუი 6 ი შ ვ ნ ა: საქ. ფლორაში (I. c.) ა. ხარაძეს მოჰყავს var. *albiflora* Kermularia-Nathadze გვირგვინის ფურცლები თეთრია ან ღია ყვითელი; ყვავილედ უფრო ფარჩხატია, ფარისმაგარი.

იზრდება ტყის სარტყლის ზედა ზოლში.
 საქ. სსრ: 3 — რაჭა-ლეჩხ. (ღურშევესა და მამისონს შორის).

Sect. 5. Chloranthae Rohrb. Monogr. Silene (1868) 74; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 616; Chowdh. Notes Roy. Bot. Gard. Edinb. 22, 3 (1957) 235; Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 202.

გვირგვინი მოყვითალო-მომწვანო, იშვიათად წითელი ან მეწამული, ფირფიტა თითქმის ძირამდე ორად გაყოფილი.

8. *S. dagrestanica* Rupr. Mém. Acad. Sci. Petersb. sér. 7, 15, 2 (1869) 194. — Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 409; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 620; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 241; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 276 (georg.); Карягин во Фл. Азерб. III (1952) 330;

l.c.: Фл. СССР I. c. табл. XXVII рис. 4; Гроссг. I. c. (1945) табл. 24, рис. 3—3а; Фл. Груз. I. c. рис. 118..

24. კორდიანი მცენარეებია, რომლებიც ხასიათდება მრავალი, ძირიდან დატოტვილი, ქვედა ნაწილში გახვევებული, სწორმდგომი 15—30 სმ სიმაღლის ღეროთი; ღერო ქვედა ნაწილში შებუსხვილია წვრილი, ჭაბარა, ქვევითკენ მიმართული ბეწვებით; ზედა ნაწილში კი შიშველია, წებოვანი; ფოთლები თავმოყრილია ღეროს ქვედა ნახევარში, ნიჩბისებრია, მოგრძო-ნიჩბისებრი, ყველაზე ზედა ფოთლები ხაზურ-ლანცეტა; ფოთოლთა იღლიაში არის უნაყოფო დამოკლებული ყლორტები, თითქმის ხაზური ფოთლებით; ფოთოლი ზედა მხარეზე შიშველია, კიდეებზე და ქვედა მხარეზე, ძარღვების გაყოფაზე მოკლე ჭაგარაწამწამებიანი; ქვედა ფოთლები წარზიდულია წაგრძელებულ ყუნწად, წვერში წაგრძელებულია, მომახვილო წვერით, კიდეებზე ოდნავ ტალღისებრი. ყვავილენი საგველაა; არამრავალყვავილიანი; ყვავილები მოთავსებულია ცოტად თუ ბევრად წაგრძელებულ, დახრილ, ნაყოფობისას გასწორებულ ყუნწებზე; თანაყვავილები პატარა ზომისაა, ლანცეტა, სიფრიფანა, კიდეებზე წამწამებიანი; ჯამი მოგრძოა, შიშველი, 8—9 მმ სიგრძის, 10-ძარღვიანი და აქვს მომახვილო, კიდეებზე სიფრიფანა და წამწამებიანი კბილები; გვირგვინის ფურცლები მომწვანოა, ჯამზე 1 1/2—2-ჯერ გრძელი, ძირამდე განკვეთილი ფირფიტით და თანაგვირგვინის წვრილი ნაკვეთით, ფრჩხილი შუა ნაწილში ყურისებრ-გაფართოებულია, წამწამებიანი; მტკრიანთა ძაფები ქვედა ნაწილში მეტად თუ ნაკლებ ბეწვიანია. კოლოფი კვერცხისებრ-მოგრძოა, მოთავსებული სუსტად შებუსხვილ 2 მმ-მდე სიგრძის კარბოფორზე. VII—VIII.

აწერილია დიდესტიდან. Typus: «Dagestania australis infraalpina: Kaputscha, in rupibus ad. fl. Beshita pr. Kolaki, alt. 800 hex. copiosam fegi 17 jul. fl. ult. et fr. mat.»

ტიპი ინახება ლენინგრადში (LE). იზოტიპი დაცულია თბილისში (TGM). იზრდება კლდეებზე, სუბალპური ტყის სარტყელში 1800—1900 მ-ის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.



საქ. სსრ: 12 — კახ.; ყვარელი, მდ. შორხევის სათავე; ღურუჯის ხეობა, კაშხალებთან (ლაჩაშვილი); ახალსოფელი; ლაგოდეხი, ქაჩალ-დაღი (კლდოვანი ლოვსკი).

Sect. 6. Caespitosae Chowdh. Notes Roy. Bot. Gard. Edinb. 22, 3 (1957) 238; Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 221. — Sect. Nanosilene Othl. in DC. Prodr. I (1824) 377 p.-r.; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 628.

მეკრიკორდიანი მცენარეებია: ჯამი შიშველი, ზარისებრი; გვირგვინი ჩვეულებრივ ვარდისფერი, ამოკვეთილი ან თითქმის მთლიანი, კოლოფი ძლიერ მოკლე კარბოფორზეა.

9. *S. dianthoides* Pers. Syn. pl. I (1805) 500; Boiss. Fl. Cr. I (1867) 610; Rohrb. Monogr. (1868) 197; Williams, Journ. of Linn. Soc. XXXII (1896) 153; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 405; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 629; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 242; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 276 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 546; Керягин во Фл. Азерб. III (1952) 333; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 132; Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 211; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 234 (georg.).

Is.: Фл. СССР I. с. табл. XXXVIII рис. 3; Гроссг. I. с. (1945) табл. 24, рис. 4—4a.

4. სქელკორდიანი, ბალიშისმაგვარი მცენარეა, ხასიათდება ძირთან თავმოყრილი ფესვთანური ფოთლებით და უწყაფო დამოკლებული ყლორტებით; საყვავილე ღეროები 7—25 სმ სიმაღლისაა, მრავალა, მარტივი; ქვედა ნაწილში წვრილად შებუსხილი ქვევითკენ გადახრილი მოკლე ბეწვებით; ფესვთანური ფოთლები ვიწრო-ლანცეტაა, ძირისაკენ წარზიდულია, მომახვილო, შიშველი, კიდეებზე წვრილწამწამებიანი ან ბუსუსიანი; ღეროსეული ფოთლები დამოკლებულია. ყვავილედ კენწრულია, თითქმის თავაკისებრი, არამრავალყვავილიანი, ან ყვავილედ უფრო ფარჩხატი, ილიუტი, ეს უკანასკნელი ზოგჯერ 1-ყვავილიანი; თანაყვავილები სამკუთხა-ლანცეტაა, ფართოსიფრიფანა, ძირში შეზრდილი, კიდეებზე წამწამებიანი; ყვავილები თითქმის მჯდომარეა ან ძალიან დამოკლებული ყუნწი აქვთ; ჯამი ზარისებრია; 4—7 მმ სიგრძის, 10-ძარღვიანი, მომრგვალებული და კიდეებზე სიფრიფანა კბილებით, ჩვეულებრივ შიშველი, მოწითალო ფერის; გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია, ან თეთრი, ჯამზე 1 1/2—2-ჯერ გრძელი, მათი ფირფიტა შუამდე ორად არის ჩაჭრილი, ძირში აქვს ბორცვები თანაგვირგვინის ნაცვლად; ფრჩხილები შიშველია ან ქვედა ნაწილში გაფანტულწამწამებიანი; მტვრიანთა ძაფები შიშველია. კოლოფი კვერცხისებრია. მოთავსებული მოკლე და სუსტად შებუსხილ 0,5—1 მმ სიგრძის კარბოფორზე. VI—VIII.

აწერილია აღმოსავლეთიდან. ტიპი ინახება პარიზში. იზრდება კლდოვან და ლორღიან ფერდობებზე, კირქვებზე. სუბალპურსა და ალპურ სარტყლებში 1700—3400 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ.: 9 — ქართ.: ცხრაწყარო (კოზლოვსკი; ხინთიბიძე); 18 — ჯავახ.: თეთრობი (ხინთიბიძე).

სსრკ: ამიერკავკ.: აზერბ.; სომხ., საერთო გავრცელ.: მც. აზია, არმ.-ქურთ.



შენიშვნა: ა. გროსჰეიმს „კავკასიის ფლორის“ პირველ გამოცემაში მოყავს ამ სახეობის ფარგლებში var. *glabrata* Trautv. ოლთის ოლქისათვის, მეორე გამოცემაში მიუთითებს ამ ვარიაციის იშვიათობაზე.

10. *S. Marcowiczii* Schischk. Bull. Mus. de Géorgie I (1920—22) II; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 405; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 630; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 242; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 277 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 546; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 234 (georg.).

Is.: Schischk. l. c. (1920—22), tab. II, fig. 1—2.

2. სქელკორდიანი მცენარეა; ღერო შიშველია ან ქვედა ნაწილში წვრილად შებუსხილი, 10—15 მმ სიმაღლის, ფესვთანური ფოთლების კონით; ფოთლები ხაზურია ან ნიჩბისებრ-ხაზური, შიშველი ან წვრილბუსუსებია; ღეროსეული ფოთლები დამოკლებულია. ყვავილები კენწრულია, 1—4, დამოკლებულ ყუნწებზე, თითქმის მკდომარე; თანაყვავილები კვერცხისებრ-ლანცეტაა, კადეებზე სიფრიფანა, ყვავილის ყუნწზე გრძელი; ჯამი ზარისებრია, 4—5 მმ სიგრძის, შიშველი, მეწამული ფერის და აქვს ბლავვი, კადეებზე სიფრიფანა კბილები; გვირგვინის ფურცლები ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელია, ვარდისფერი ან მოთეთრო, მათი ფირფიტა ამოკვეთილია ან 1/4-მდე ჩაჭრილი, უთანაგვირგვინო, შიშველ ფრჩხილად შევიწროებული; მტვრიანათა ძაფები ძირში იშვიათი ბეწვითაა. კოლოფი კვერცხისებრია, მოთავსებული მოკლე, 1 მმ-მდე სიგრძის შიშველ კარპოფორზე. VII—VIII. 2n = 24; (სურ. 16).

აწერილია საქართველოდან. Турus: Терская обл. Владикавказ. окр., Мамисонский перевал на каменистой почве 16 VII 1916. leg., Н. Введенский. დატულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (TGM), იზოტიპი თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტში (TBI).

იზრდება კლდეებსა და ღორღიან ფერდობებზე სუბალპურსა და ალპურ სარტყელში 2500—3200 მ-ის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: 3 — რაჭა-ლეჩხ.: მამისონი (დესულავი; ხარაძე; დოლუხანოვი; ლვინიანიძე); 8 — სამხრ.-ოს.: მდ. ლიახვის სათავეები, ფიდარის მთა (დოლუხანოვი). (რუკა 16).

სსრკ.: იმიერკავკ. (დას. ნაწ.).

Sect. 7. *Lasiostemones* (Boiss.) Schischk. во Фл. СССР VI (1936) 631; Chowdh. Notes Roy. Bot. Gard. Edinb. 22, 3 (1957) 234; Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 194 sine auct. comb.

ყვავილენი ფარჩხატი საგველაა; ჯამი შიშველია, მტვრიანათა ძაფები და გვირგვინის ფრჩხილები ჩვეულებრივ შებუსხილია.


11. *S. saxatilis* Sims, Bot. Mag. 18 (1803) tab. 689; Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 338; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 318; Boiss. Fl. Or. I (1867) 635; Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey, 2 (1967) 195; Тахт., Фед. Фл. Еревана (1972) 78. — *S. Ruprechtii* Schischk. in Grossh. A., D. Sosnow. et B. Schischk. Fl. Tiflisiensis I (1925) 204; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 408; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 631; Колак. Фл. Абх. II (1939) 106; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 242; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 278 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 548; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 334; Ма-



კაშვილი, ფლ. ოკრ. ტბილისი I (1952) 195 (georg.); შიშკ. ი ავეთისი ვო ფლ. არმ. 2 (1956) 132; დმითრევა, ოპრედ. რასტ. ადჯარ. (1960) 321; ხარაძე ვ. ოპრედ. რასტ. გრუზ. II (1969) 236 (georg.).

Is.: A. Grossh., D. Sosnow. et V. Schischk. l. c. fig. n° 83; გროსს. l. c. (1945) ტაბ. 24, რის. 5—5ა.

2. კორდიანი მცენარეა, ღერო რამდენიმეა, მარტივი ან სუსტად დატოტვილი, 16—60 სმ სიმაღლის, ქვედა ნაწილში სუსტად შებუსვილი, ზედა



რუკა 16 1. *Silene Marcowiczii* Schischk. 2. *S. Alexeji* Kolak.

ნაწილში წებოვანი; ფესვთანური ფოთლები ნიჩბისებრია. ან ხაზურ-ლანცეტა, ძირისაკენ წარზიდული გრძელწამწამებიან ყუნწად, შიშველი ან კიდეებზე წვრილ-წამწამებიანი, ერთი ძარღვით; ღეროსეული ფოთლები ვიწროა, ხაზური ან ხაზურ-ლანცეტა, მჯდომარე. ყვავილენი არამრავალყვავილიანია, დამოკლებული ტოტებით ცალგვერდ-მტევნისებრი ან საგველა; ყვავილის ყუნწი ჯამის ტოლია, შიშველი; თანაყვავილები პატარა ზომისაა, ქვედა ნაწილში კიდეებზე სიფრიფანა და წამწამებიანი; ჯამი ვიწრო-ზარისებრია, შიშველი, 10-ძარღვიანი, ჩვეულებრივ 7—9 მმ სიგრძის და აქვს მოგრძო-ლანცეტა, კიდეებზე სიფრიფანა და წამწამებიანი თითქმის მახვილი კბილები. გვირგვინის ფურცლები თეთრია, მოყვითალო, იისფერი ან მომწვანო; ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელია, თითქმის ძირამდე 2-ად გაყოფილი, თანაგვირგვინის ვიწრო-ლანცეტა ნაკვეთებით; ფრჩხილები ზედა ნაწილში ყურისებრ გაფართოებულია, ქვედა ნაწილში წამწამებიანი; მტკრიანათა ძაფები ბეწვიანია. კოლოფი კვერცხისებრია, მოთავსებული ცოტად თუ ბევრად შებუსვილ, 2—5 მმ სიგრძის კარპოფორზე VI—VIII.

აწერილია კულტივირებული მასალიდან.

იზრდება ღორღიან ფერდობებზე, კლდეებზე, ღორღიან ადგილებში, სუბალპურ მდელოებზე, 500—2700 მ-ის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ.: მთელ რესპუბლიკაში.

სსრკ იმერეთის რაიონი: შავი ზღვ. სანაპ.: აზერბ.; სომხ.



საერთო გავრცელება: მც. აზ. (ქანეთი); არმ-ქურთ.; ჩრდ. ირ.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: კავკასიის ლიტერატურაში სახეობა მოპყავდათ S. Ruprechtii-ს სახელწოდებით. სახეობის მაღალ პოლიმორფულობაზე მიუთითებდა ჯერ კიდევ რუპრეხტი, რომელმაც აწერა მრავალი სახესხვაობა, თუმცა მათთვის სახელწოდებანი არ მიუცია. „კავკასიის ფლორის“ II ტომში ა. გროსკემის (1930) მოპყავს სახეობის ფარგლებში საქართველოსათვის სახესხვაობა: v. angustifolia Rupr. — ფოთლები 1—1 1/2 (2 მმ) სიგანისა; v. parviflora Rupr. — ჯამი 5—6 მმ სიგრძისა, ყვავილეთი მრავალყვავილიანია. „სსრკ ფლორაში“ ბ. შიშკინმა (1936) მოიყვანა სახეობისათვის სამი სახესხვაობა: var. pumila Schischk. — ღეროები 4—10 სმ სიმაღლისაა 1—3 ყვავილით, გვირგვინის ფურცლები მოკლე, 2—4 მმ სიგანის, ჯამი 4,5 მმ სიგრძისა, გვირგვინის ფირფიტა ხანდახან თითქმის მთლიანია, var. congesta Boiss. — ღეროები თითქმის მარტივია, ყვავილები მოკლე ყუნწებზეა, შეკრებილი 1—2 ნახევარდ ქოლგად, var. stenophylla Som. et Levier. — ღეროები 60 სმ სიმაღლისა, ქვედა ნაწილში მოკლედ შებუსვილი, ფოთლები ხაზურია, გვირგვინის ფურცლები მოთეთრო-მოყვითალო. ა. კოლაკოვსკის აფხაზეთისათვის მოპყავს შიშკინის მიერ მითითებული მხოლოდ ერთი ვარიანტი, var. stenophylla Som. et Levier, რომელიც აფხაზეთში ძლიერ მცირედ განსხვავდება ძირითადი ფორმისგან. ა. ხარაძეს შესაძლებლად მიაჩნია საქართველოსათვის აღინიშნოს:

var. pumila Schischk. ღერო 4—10 სმ სიმაღლისაა. ყვავილეთი 1—3 ყვავილიანია, გვირგვინის ფურცლები მოკლეა, 2—4 მმ სიგანის, ჯამი 4,5 მმ სიგრძისა, გვირგვინის ფურცლის ფირფიტა ზოგჯერ თითქმის მთლიანია.

იშვიათად იზრდება ალპურ სარტყელში.

var. stenophylla Somm. et Levier ღერო სიმაღლით 60 სმ-მდეა; ქვედა ნაწილში მოკლედ შებუსვილი, ფესვთანური ფოთლები ხაზურია.

სახეობის არეალის ფარგლებში.

var. congesta Boiss. ღერო თითქმის მარტივია. ყვავილები სხედან დამოკლებულ ყუნწებზე და შეკრებილი არიან 1—2 ნახევარქოლგად.

სახეობის არეალის ფარგლებში.

სახეობის ფარგლებში ცვალებადობს ფოთლის ფორმა, ჯამის კბილების სიგრძე, კარპოფორის სიგრძე, კოლოფის ფორმა და ყვავილედის ფორმა, გვირგვინის შეფერვა. ამ სახეობის ეკოლოგიური ფორმები შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

თუმცა „ტურქეთის ფლორაში“ გვარ Silene-ს მონოგრაფები Silene Ruprechtii-ს Schischk. Silene saxatilis Sims-ის სინონიმად განიხილავენ, მაგრამ აღნიშნავენ რომ ეს სახეობა შემდგომ შესწავლასა და ნომენკლატურის დაზუსტებას მოითხოვს.

12. S. Boissieri P. Panjutin, Not. Syst. ex Herb. Inst. Bot. Ac. Scient. URSS, IX, I (1941) 107; Колак. Фл. Абх. II (1939) 106; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 243; Харაძე во Фл. Груз. III (1947) 279 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (19 9) 547; Колак. Растит. мир Колх. (1961) 182; Харაძე в Опред. раст. Груз. II (1969) 236 (georg.).

2. შიშველი, ზედა ნაწილში წებოვანი მცენარეა; ღეროები რამდენიმე და ქმნიან ფაშარ კორდულებს, 20—30 სმ სიგრძისაა, ძირში აქვს ფოთოლთა კონა დამოკლებულ უწყაოფო ტოტებზე; ქვედა ფოთლები მოგრძო-ნიჩბისებ-



რია ან ლანცეტა და შევიწროებულია გრძელ ყუნწად. კიდეებზე თხელ ფეფქ-
ხრტილიანია, დაკბილული; ზედა, ღეროსეული ფოთლები დამოკლებულია ხაზურ-
ზურ-ლანცეტა. ყვავილები შეკრებილია არამრავალყვავილიან დიქაზიალურ ყვა-
ვილდად და სხედან წაგრძელებულ ყუნწებზე; თანაყვავილები სიფრიფანაა,
კიდეებზე წამწამებიანი; ჯამი 10—12 სმ სიგრძისაა, შიშველი, 10-ძარღვიანი,
ფართო ცილინდრულ-ზარისებრი და აქვს მიღზე 3—4-ჯერ მოკლე კბილები;
გვირგვინის ფურცლები 1/3-ით აღემატება ჯამს, მღვრიე მოთეთროა, თითქმის
ძირამდე განკვეთილი ფირფიტით და თანაგვირგვინის ბატარა ნაკეთებით; გვირ-
გვინის ფურცლის ფრჩხილი და მტვიანას ძაფი ბეწვიანია. კოლოფი მოთავსე-
ბულია წაგრძელებულ, შებუსვილ 5—6 მმ სიგრძის კარბოფორზე. VI—VII.

აწერილია აფხაზეთიდან. Turus: Абхазия, Бзыбский хр-т, паст. Япсху.
Камен. плато, в трещинах. Панюгин. 10 VIII 36. იზოტაბი ინახება თბილისში
(TBI).

იზრდება კლდეებზე და ნაშაღებზე, კირქვიანი ქედების ალპურ სარ-
ტყელში.

საქ. სსრ.: 1 — აფხ.: ზზიფის ქედი, იაპსხუ (პანიუტინი, ფურცხვანიძე),
მთა ძიშრა (კოლაკოვსკი).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ეს სახეობა ეკუთვნის სახეობა *S. saxatilis* Sims—*S. Ru-*
prechtii B. Schischk.-ის პოლიმორფულ ციკლს.

13. *S. lasiantha* C. Koch, *Linnaea*, XV (1841) 711; Ledeb. Fl.
Ross. I (1842) 778; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 632; Гроссг. Фл. Кавк.
2, III (1945) 243; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 279 (georg.); Гроссг. Оп-
ред. раст. Кавк. (1949) 547; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 335; Шишк.
и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 132; Coode and Cullen in Davis, Fl. Tur-
key, 2 (1967) 196; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 236 (georg.). — *S.*
asperifolia Freyn in Bull. Herb. Boiss. 3 (1895) 97; Гроссг. Фл. Кавк. II
(1930) 408.

Is.: Фл. СССР I. с. табл. XXXVIII, рис. 5; Гроссг. I. с. (1945) табл.
24, рис. 6—6а; Фл. Арм. I. с. табл. XLI.

24. ღეროები მარტოულია, ძირში დამოკლებულ უნაყოფო ყლორტთა
კონებით, ქვედა ნაწილში სუსტად შებუსვილი, ზედა ნაწილში შიშველი, წე-
ბოვანი, 20—35 სმ სიმაღლის; ფოთლები ხაზურ-ლანცეტა ან ვიწრო ხაზური,
მახვილი წვერით; ფესვთანური ფოთლები 5 სმ -მდე სიგრძისაა, ღეროსეული
ფოთლები უფრო მოკლეა, ვიწრო-ხაზური, უფრო იშვიათად თითქმის სადგი-
სისებრი, შიშველი, ქვედა ნაწილში წვრილწამწამებიანი. ყვავილედი დამოკლე-
ბულია, ვიწრო-მტვენისებრი, 1—3-ყვავილიანი, თანაყვავილები ლანცეტისმაგ-
ვარია, ძირში გაფართოებული, შეზრდილი, წვერისაკენ გრძლად წაწვეტებუ-
ლი, სიფრიფანა, ხშირად მოწითალო-მურა ფერის; ყვავილის ყუნწი დამოკ-
ლებულია; ჯამი ზედა ნაწილში ცოტათი გაფართოებულია, ძირისკენ შევიწ-
როებული, შიშველი, 7—9 მმ სიგრძის, 10-ძარღვიანი; ჯამის კბილები მომრ-
გვალო-კვერცხისებრია, ბლაგვი, კიდეებზე სიფრიფანა და წვრილწამწამებიანი,
ზოგჯერ იისფრად შეღებილი; გვირგვინის ფურცლები ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელია,
მომწვანო-მოყვითალო, ღრმად ორად გაყოფილი ფირფიტით, უთანაგვირგვი-
ნო; ფრჩხილები წამწამებიანია, ოდნავ ყურისებრ-გაფართოებულია; მტვრია-



ნათა ძაფები სქლადა ბეწვებით მოფენილი. კოლოფი კვერცხისებრია, მოთავსებულია შიშველ, 2—3 მმ სიგრძის კარპოფორზე. VI—VII.

აწერილია ალაგიოზიდან (სოფ. აშთარაგი). ტიპი ინახება ბერლინში.

იზრდება ქვიან ფერდობებსა და მდელოებზე სუბალპურ და ალპურ სარტყელში.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: ბაქურიანის მიდამოები, კოდინის ქედი; (კოზლოვსკი); 18 — ჯავახ.: მოლითსა და წითელ საყდარს შორის (შიშკინი); ტაბიწყური.

სსრკ: ამიერკავკ.: აზერბ.; სომხ.

საერთო გავრცელ.: მც. აზ.; არმ.-ქურთ.; ირ.

14. *S. propinqua* Schischk. in Bull. du Mus. de Géorgie I (1920—22) 14; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 635; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 244; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 280 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 547; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 336; Макашвили, Фл. окр. Тбилиси I (1952) 194 (georg.); Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 132; Харадзе во Опред. раст. Груз. II (1969) 237 (georg.). — *S. puberula* Boiss. Fl. Or. I (1867) 636, non Bertol; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 408. — *S. marschallii* C. A. Mey. Verz. Pfl. Cauc. (1831) 214; Coode and Cullen in Davis Fl. Turkey 2 (1967) 194; Тахт., Фед., Фл. Еревана (1972) 78.

Ic.: Schischk. l. c. (1920—22) tab. IV.

Exs.: Pl. or. exs. n° 362.

24. ღეროები 40—100 სმ სიმაღლისა, დატოტვილი, დამუხლული, ქვედა ნაწილში სქლად წვრილად შებუსვილი ან შიშველი, ზედა ნაწილში შიშველი, წებოვანი, დამოკლებულ ყლორტთა კონებით ფოთოლთა იღლიებში; ქვედა ფოთლები კვერცხისებრ-ლანცეტაა, წაწვეტებული, ძირისაკენ ყუნწად წარზიდული; ზედა ფოთლები ლანცეტაა. ყვავილენი ვიწრო სავეელასებრია, ხასიათდება წაგრძელებული, თითქმის ჰორიზონტალური ქვედა ტოტებით; თანაყვავილები წვრილია, კვერცხისებრი, წაწვეტებული, კიდეებზე სიფრიფანა და წამწამებიანი; ჯამი მილისებრ ზარისებრია, 8—11 მმ სიგრძის. შიშველი ან მოკლე ბუსუსით მოფენილი, 10-მარღვიანი; ჯამის კბილები ბლაგვია, ფართო სიფრიფანა არშით მოვლებული კიდეებზე წამწამებიანი; გვირგვინის ფურცლები თეთრია, ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელი, ღრმად ორად გაყოფილი, პატარა დანამატებით; ფრჩხილები არ არის გაფართოებული, წამწამებიანი; მტვრიანათა ძაფები ბეწვიანია. კოლოფი მოგრძო-კვერცხისებრია, მოთავსებული სუსტად შებუსვილ 2—3 მმ სიგრძის კარპოფორზე. V—VII.

Typus: Hab. El. Boz-dagh, in faucibus Pirseid. 26 V 1911 fl. Schelkovnikovi! დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, თბილისი [TGM].

იზრდება ღორღიან ფერდობებზე ველებისა და ნახევრად უდაბნოების და ტყის სარტყლებში.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: თბილისი, თელეთის ქედი (ზედელმეიერი, ჭიქოძე). 14 — გარე კახ.: გარეჯის ველი (გროსკეიმი; ტროიციკი).

სსრკ.: ამიერკავკ.: სომხ.

საერთო გავრცელ.: არმ.-ქურთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1922 წ. ბ. შიშკინმა აწერა ახალი სახეობა ბოზ-დალიდან — *S. propinqua*. ბ. შიშკინი თითონვე მიუთითებდა, რომ ახალი სახეობა ძლიერ მა-



სლობელია Meyer-ის მიერ თალიშიდან 1931 წ. აწერილი სახეობისათვის — *S. Marschallii* C. A. Mey. და განსხვავდება მისგან გაცილებით მაღალი ღეროებით და განიერი ფოთლებით. „თურქეთის ფლორაში“ *S. propinqua* M. J. E. Coode და I. Cullen მოჰყავთ *S. marschallii*-ს სინონიმად.

1972 წ. პონერტი „О некоторых видах *Silene* из Ирана» (Бюлл. Глав. Бот. сада, 86) ირანიდან ახალ მასალის შესწავლის შედეგად შესაძლებლად თვლის გვარ *Silene*-ს ამ ორი მაწლობელი სახეობის შეერთებას *Silene marschallii* C. A. Mey. სახელწოდებით. ამ საკითხის დაზუსტება დამატებით შესწავლას მოითხოვს.

Сект. 8. *Sclerocalycynae* (Boiss.) Schischk. во Фл. СССР VI (1936) 636; Chowdh. Notes Roy. Bot. Gard. Edinb. 22, 3 (1957) 235; Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey, 2 (1967) 197 sine auct. comb.

ყვავილედ ჩვეულებრივ საგველაა, ჯამი შიშველია, მახვილი და ბლაგვი კბილე-ბით; გვირგვინის ფირფიტა ორადაა გაყოფილი; მტვრიანათა ძაფები შიშველია.

15. *S. solenanthia* Trautv. Acta Horti Petropol. VII, 2 (1881) 421; Boiss. Suppl. (1888) 105; Гроссг. Фл. Кавк. III (1930) 410; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 638; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 244; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 280 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 548; Макашвили Фл. окр. Тбилиси I (1952) 198 (georg.); Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 235 (georg.) — *S. longiflora* var. *junceae* Otth. in DC. Prodr. I (1824) 382. — *S. longiflora* var. *Seidlitzii* Somm. et Levier in Acta Horti Petropol. XVI (1900) 76.

Ис.: Гроссг. l. с. (1945) табл. 24; Фл. Груз. l. с. рис. 119.

Exc.: HF URSS n° 2858; Pl. or. exs. n° 82.

2. მცენარე ხასიათდება დამოკლებული უნაყოფო ყლორტებით; სწორი, მარტივი ან ზედა ნაწილში დატოტვილი, ქვევითკენ შიშველი, ზევითკენ წებოვანი, 30—80 სმ სიმაღლის ღეროებით; ყველა ფოთოლი ხაზურია, 2—3 მმ სიგანისა, შიშველი, კიდე წამწამებიანი, უმეტესობა ფესვის ყელთან შეკრებილი, ზედა ფოთლები დამოკლებულია. ყვავილები მარტოულია, კენწრული, მოთავსებული წაგრძელებულ სწორ წებოვან ყუნწებზე; თანაყვავილები წვრილია, ლანცეტა-ხაზური, კიდეებზე ვიწრო-სიფრიფანა და წამწამებიანი; ჯამი ვიწროა, წაგრძელებული, 25—30 მმ სიგრძის, შიშველი 10-ძარღვიანი, მორიგეობით მახვილ და ბლაგვ-წვერიანი, კიდეებზე სიფრიფანა, წვრილწამწამებიანი კბილებით; გვირგვინის ფურცლები მოყვითალო-მომწვანოა, მათი ფირფიტა 1/3-მდე ამოკვეთილია, ძირში აქვს ლანცეტა ფორმის, ამოკვეთილი დანამატები; ფრჩხილი გაფართოებულია, ბეწვიანი; მტვრიანათა ძაფები შიშველია. კოლოფი კვერცხისებრია, მოთავსებული ძალიან გრძელ, მხოლოდ ძირში შებუსხვით კარპოფორზე, რომელიც სიგრძით 13 მმ-მდეა. V—VI.

აწერილია დალესტნიდან.

Typus: In monte Schalbus Dagh. Daghestan'ae (Beck.) 1880. ტიპი დაცულია ლენინგრადში. იზოტიპი ინახება თბილისში (TBI) და (TGM).

იზრდება კლდეებსა და ღორღიან ფერდობებზე აღმ. საქართველოს მთის შუა ზოლში.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: თბილისი, მთაწმინდა (შიშკინი), თბილისის მიდამოები (ფომინი; პაგირევი; გროსჰეიმი; ვორონოვი; შტეპა).

სსრკ: იმიერკავკ. (დალესტანი, შალბუს-დაღი).



16. *S. chlorifolia* Smith Ic. ed. I (1789) t. 13; Bieb. Fl. Taur. Cauc. I (1808) 341; DC. Prodr. I (1824) 381; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 323; Boiss. Fl. Or. I (1867) 640; Williams Journ. of Linn. Soc. XXXII (1896) 137; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 409; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 640; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 246; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 281 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 548; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 338; Макашвили Фл. окр. Тбилиси I (1952) 198 (georg.); Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 139; Chater and Walters in Fl. Europ. I (1964) 165; Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 199; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 235 (georg.); Тахт., Фед., Фл. Еревана (1972) 78.

Ic.: Smith l. c., t. 13; idem, Bot. Mag. XXI, t. 807; Гроссг. l. c. (1945) табл. 25, рис. 2—2а; Фл. Еревана l. c. рис. 12.

Exs.: HFR n° 1313 — კლდის ქოთანა

24. სრულიად შიშველი ლეგა ფერის მცენარეა; ღეროები მრავალია, აღმავალი, მარტივი ან დატოტვილი, ძირში გახევებული, ზედა ნაწილში ზოგჯერ წებოვანი, 25—75 სმ სიმაღლის; ძირისკენ ხშირად მოწითალო. ქვედა ფოთლები მოგრძო-წიწიბურია ან ოვალური, წარზიდული ცოტად თუ ბევრად გრძელ ყუნწად; ზედა ფოთლები თითქმის მომრგვალოა ერთბაშად და მოკლედ თავწაწვეტებული, ღერომხვევი. თანაყვავილები ლანცეტაა, ერთბაშად შევიწროებული მომახვილო წვერად. ყვავილები ღეროსა და ტოტების წვერში მარტოულია, მათი ყუნწი წაგრძელებულია, ზოგჯერ წებოვანი; ჯამი წაგრძელებულია, ზედა ნაწილში გაფართოებული, 20—25 [30] მმ სიგრძის, 10-ძარღვიანი, ჯამის მახვილი და ბლავვი კბილები მორიგეობენ. გვირგვინის ფურცლები თეთრია, ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელი, ორად გაყოფილი, ორი ლანცეტა თანაგვირგვინით; ფრჩხილები და მტვრიანათა ძაფები შიშველია. კოლოფი ფართო-კვერცხისებრია, მოთავსებული შიშველ კარბოფორზე, რომელიც სიგრძით, 7 მმ-მდეა. თესლები სამკუთხა-თიკვმლისებრია, 2 მმ-მდე სიგრძის. VI—IX.

ტიპი აწერილია მცირე აზიიდან (ბაიბურტი). ტიპი ინახება ლონდონში.

იზრდება მშრალ ქვიან ფერდობებზე, ჩამონახვავებზე, გვხვდება კირქვიან ფერდობებზე ტყის სარტყელში.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: ბაკურიანი, სოფ. მიტარბი (კოზლოვსკი); ბორჯომი (მედედევნი ჰერბარიუმი); ბორჯომის ხეობა, ქვაბის ხეცსა და აწყურს შორის, სლესის ციხის ნანგრევები (ხინთიბიძე, ივანიშვილი); ქვაბის ხევი (კოზლოვსკი; ხინთიბიძე, ლენინიძე); ბორჯომის მიდამოები, ჭობის ხევის ხეობა (კოზლოვსკი); ბორჯომი (რადე, სმირნოვი); დაბა, კლდეებზე (ტროიცი, კოზლოვსკი); ატენი (ქიქოაძე); ატენი, მდ. ტანას მარჯვენა ნაპირი, მშრალი კლდეები (სოსნოვსკი); თბილისი, მცხეთა (სელეჩინსკი); თბილისი, ღრმა დეღე (კოზლოვსკი); გროსპეიმი; ზედელმეიერი; თბილისი, მამადავითის მთა (აკინფიევი); გზად კოჭრისკენ (ქუთათელაძე, გურგენიძე); თბილისი (მედედევნი ჰერბარიუმი; პავირევი); თბილისი, ღრმა-დეღე (გროსპეიმი); თბილისი, სოფ. წავეკისის მახლობლად (სოსნოვსკი); თბილისი, თელეთის სატყეო (ყაფიევი). II — თუშ-ფშავეზესურ.: შენაქოსა და ომალოს შორის, სამხ. კლდეები (ნ. ბუ-



ში); 14 — გარე კახ.: გარეჯის ველი (კლოპოტოვსკი); 16 — თრიალ.; სოფ. ყაბაღაბულახსა და პანტიანს შორის, 1200 მ ზღვ. დ. (ქუთათელაძე, ლენინის მანგლისი (მოლჩანოვი); 19 — მესხ.: ახალციხის მიდამოები აწყურისაკენ (ხინთიბიძე, ივანიშვილი); სოფ. გრელსა და საფარის მონასტერს შორის, მშრალ ქვიან ფერდობებზე (ხინთიბიძე, ლაჩაშვილი); ასპინძა, ხერთვისი (კემულარი-ნათაძე, მანდენოვა); ახალციხესა და რუსთავს შორის (ხინთიბიძე); ახალციხე, სოფ. კლდე (სოსნოვსკი, კემულარი-ნათაძე, მანდენოვა); ახალციხე (სოსნოვსკი); გზად საფარის მონასტრისაკენ (სოსნოვსკი, ქუთათელაძე, მანდენოვა).

სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ.; სომხ.

საერთო გავრცელ.: საბერძნეთი; მც. აზ.; არმ.-ქურთ.: ირ.

Sect. 9. *Spergulifoliae* (Boiss.) Schischk. во Фл. СССР VI (1836) 652; Chowdh. Notes Roy. Bot. Gard. Edinb. XXII, 3 (1957) 237; Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 204 sine auct. comb.

ჯამი შებუსვილია, მტვრიანათა ძაფები შიშველი. ყვავილები ფაშარ თავაკებად ან კუმს ნახევარქოლგებად, რომლებიც მტევნისებრ სავეელებს ქმნის. გვირგვინის ფირფიტა ღრმადაა ორად გაყოფილი.

17. *S. spergulifolia* (Desf.) Bieb. Fl. Taur.-Cauc. III (1819) 305; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 309; Boiss. Fl. Or. I (1867) 612; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 414; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 652; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 247; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 281 (georg.); Гроссг. Определ. раст. Кавк. (1949) 550; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 339; Макашвили, Фл. окр. Тбилиси I (1952) 196; Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 206; Харадзе в Определ. раст. Кавк. II (1969) 237 (georg.); Тахт., Фед., Фл. Еревана (1972) 76. — *Cucubalus spergulifolius* Desf. Ann. Mus. Paris XI (1808) 441, tab. 43.

Ис.: Desf. l. c. tab. 43; Reichb. l. c. Fl. Germ. 6 (1844) t. 292; Гроссг. l. c. (1945) таб. 25, рис. 3—3в.

24. ძირში გახვეებული მცენარეა 10—40 სმ სიგრძისა, შებუსვილი. მოკლე ხუჭუჭა, ზედა ნაწილში ჯირკვალა ბეწვებით; ფოთლები ვიწროა, ხაზური ან ლანცეტა-ხაზური, 1—2 მმ სიგანის, მომახვილო წვერით, ილღებში დამოკლებული უფრო ვიწრო ფოთლების კონებით. ყვავილები მოკლეყუნწიანია ან მჯდომარე, ტოტების ბოლოებში ორ-ორად ან სამ-სამად განლაგებული, ხშირად ქმნიან კუმს მტევნისებრად წაგრძელებულ ან თავაკისებრ ფარისმაგვარ ყვავილედს; თანაყვავილები ლანცეტა, ფართო-ლანცეტა, ბალახისნაირი; ჯამი ცილინდრულია, ნაყოფობისას ცოტათი კასრისებრ-გამომბერილი წვერისკენ და ცოტათი შევიწროებული ძირისკენ, 10-ძარღვიანი, ჯირკვალაბუსუსებიანი, სიგრძით 12 მმ-მდე, ბლაგვკბილებიანი; გვირგვინის ფურცლები მოთეთროა, ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელი, ორად ჩაქრილი ფირფიტით და თანაგვირგვინით; ფრჩხილები შიშველია. ზედა ნაწილში ოდნავ გაფართოებული; მტვრიანათა ძაფები შიშველია. კოლოფი მსხლისებრია, მოთავსებული შებუსვილ, 2—5 მმ სიგრძის კარბოფორზე, თესლები თირკმლისებრია 1 მმ-მდე სიგრძის, ბლაგვბორცვოვანი, ზურგზე ოდნავ შესამჩნევი ღარით. VI—VII.

აწერილია სომხეთიდან. ტიპი ინახება პარიზში.

იზრდება ღორღიან და კლდოვან ფერდობებზე მთის შუა ზოლში.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: ბორჯომი (ლიპსკი); თბილისი, მცხეთის მახლობლად (სოსნოვსკი; არხიზიანი); თბილისი, მდ. დაბა-ხანის ფერდობებზე (ფომინი); თბილისი, ბოტანიკური ბაღი (კოზლოვსკი); თბილისი, დაბა-ხანის ხეობა (სოსნოვსკი); 14 — გარე კახ.: თეთრი უდაბნოს ქედი (ტროიციკი); 18 — ჯავახ.: ახალქალაქის მახლობლად (გროსჰეიმი).

სსრკ: იმიერკავკ.; (დალესტანი); ამიერკავკ.; სომხ.; აზერბ.;

საერთო გავრცელ.: მც. აზ.; არმ.-ქურთ.; ირ.

18. *S. Brotherana* Somm. et Levier, Acta Horti Petropol. XIII (1893) 36 et XVI (1900) 69; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 414; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 653; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 247; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 282 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 550; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 237 (georg.). — *S. spergulifolia* (Desf.) Bieb.: Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey, 2 (1967) 206.

Exs.: Pl. or. exs. n° 133.

2. მცენარე ხასიათდება ქვედა ნაწილში გახვევებული ღეროებით, 20—30 სმ-მდე სიმაღლის; ღეროები დატოტილია, წამოწეული, სქლად შებუსვლილი მარტივი, წვრილი, ქვევითკენ მიმართული ბეწვით; ფოთლები მოსქოა, ვიწრო ხაზურ-ლანცეტა, მახვილწვერიანი, გაბნეულწვერილებეწვებიანი ან შიშველი, ძირთან წამწამებიანი, ილიებში დამოკლებული ყლორტებით. ყვავილები შეკრებილია მტევნისებრ-საგველანაირ წყვეტილ ყვავილედად ძლიერ დამოკლებულ, წვრილი ბუსუსებით სქლად დაფარულ ყვავილის ყუნწებზე; თანაყვავილები კვერცხისებრ-ლანცეტაა; ჯამი ზედა ნაწილში გაფართოებულია. 10-ძარღვიანი, წვრილ ჯირკვალბუსუსებიანი, მობლაგვო კბილებით, ნაყოფობისას ძირიდან გამობერილი, სიგრძით 10 მმ-მდე; გვირგვინის ფურცლები თეთრია, ან მოყვითალო, ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელი, ღრმად ორად გაყოფილი, თანაგვირგვინით; ფრჩხილები და მტვრიანათა ძაფები შიშველია. კოლოფი მსხლისმაგვარია, მოთავსებულია შებუსვილ 4 მმ-მდე სიგრძის კარპოფორზე. თესლები თირკმლისებრია, ზედაპირზე რომბისებრ ფუძიანი ბლაგვი ბორცვებით, ზურგზე ღარიოთ. (სურ. 23,5). V—VII.

აწერილია საქართველოდან. Typus: „In Carthalinia prope Azchur.“

იზრდება მშრალ ქვიან ფერდობებზე და კლდეებზე, ტყის სარტყელში.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: ბორჯომის ხეობა, სოფ. ქვაბის ხეცა და აწყურს შორის, მშრალ, ქვიან ფერდობებზე, სლესის ციხის ნანგრევებთან (ხინთიბიძე); ბორჯომი ჭობის-ხევი, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირი, ღორღიან ფერდობზე (ხინთიბიძე), მდ. ტანას მარცხენა ნაპირი, ატენი, ღორღიანი ფერდობი, გვლერძიანები (ხინთიბიძე, ქუთათელაძე, შხიანი); 17 — ქვ. ქართ.: ბოლნისის სიონი, გორაკები ბოლნისიდან სამხრეთით, კლდეები (სოსნოვსკი, პაპავა); 19 — მესხ.; სოფ. ცნისა და აწყურს შორის, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირი. კლდეებზე (სოსნოვსკი, მანდენოვა); საფარის მონასტერთან (სოსნოვსკი, მანდენოვა); რუსთავსა და ასპინძას შორის, მშრალ, ქვიან ფერდობზე მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. (ხინთიბიძე); ახალციხე, ს. მინაქესა და რუსთავს შორის, შიბლიაკი

(ხარაძე, ღვინიანიძე); მდ. ურაველ-სუს მარცხენა ნაპირი, მშრალი ფერდობი (ხინთიბიძე, ღვინიანიძე); ახალციხის მიდამოები. კლდეები რკ/გზ. სანადგურთან (ხინთიბიძე, ღვინიანიძე); ს. აწყურსა და ტისგს შორის (ხინთიბიძე); ახალციხე (სოსნოვსკი, ემულარია-ნათაძე, მანდენოვა); ს. ბოლაჯურის მიდამოები, ნაშაღებზე, ოქროს ციხის მახლობლად (ხინთიბიძე), ასპინძის მიდამოები (ქიქოძე; ხინთიბიძე), ვარძია, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირი (ხინთიბიძე); ს. გრელსა და საფარის მონასტერს შორის (ხინთიბიძე, ლაჩაშვილი); ახალციხის მიდამოები, კლდეებზე აწყურის მიმართულებით (ხინთიბიძე, ივანეშვილი); სლესის ციხე (ხინთიბიძე, ღვინიაშვილი), ახალციხესა და აწყურს შორის კოზლოვსკი; სოსნოვსკი); მდ. ქობლიან-ჩაის მარცხენა ნაპირი, გზად ს. მლაშედან ზარზმისაკენ (ქუთათელაძე, მანდენოვა, შხიანი); ახალციხეს და აწყურს შორის (კოზლოვსკი), ოშორის ქედი, სოფ. აწყურისკენ (კოზლოვსკი).

სსრკ: ამიერკავკ.: სომხ.

საერთო გავრცელ.: არმ.-ქურთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სახეობა აწერეს სომიემ და ლევიემ, აწყურიდან ბროტერუსის მიერ შეგროვილი მასალის მიხედვით. როგორც ავტორები წერენ «*Hab. in Carthalia prope Azchur, ubi die 6 Juni 1881 detexit cl. et amiciss V. F. Brotherus et sub № 138 bis (Silene spergulifolia Desf.) distribuit*». ახლად აწერილ სახეობას სომიე და ლევიე ადარებენ სახეობებთან *S. spergulifolia* Desf., *S. pruinosa* Boiss., *S. brachycarpa* Boiss.-თან და თვლიან მათ მეტად მახლობელ სახეობებად. Coode და Cullen დევისის „თურქეთის ფლორაში“ *S. Brotherana*-ს სახეობა *S. spergulifolia* (Desf.) Bieb.-ის სინონიმად განიხილავენ. თუმცა ორივე სახეობა ძლიერ მახლობელია, მაინც შესაძლებლად მიგვაჩნია ჯამის აგებულებას და ფოთლების მიხედვით, შემდგომი ვალრმეებით კვლევის ჩატარებამდე, სახეობები *S. spergulifolia* და *S. Brotherana* დამოუკიდებელ სახეობებად მოვიყვანოთ.

19. *S. cephalantha* Boiss. Fl. Or. I (1867) 613; Schischk. in Bull du Mus. de Géorgie I (1920—1922) 12; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 414; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 654; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 247; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 282 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 551; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 340; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 139; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 237 (georg.).— *S. repens* var. *transcaucasica* Trautv., Acta Horti Petrop. II, 2 (1873) 508. — *S. transcaucasica* Bordz. Acta Hort. Juriev., XIII, 1 (1912) 19.

Ис.: Гроссг. I. с. (1945) таб. 25, рис. 4—4а; Фл. Арм. I. с. таб. XLV. Exs.: Pl. or. exs. n° 279.

24. მთელი მცენარე შებუსხვილია, მწოლარე ხუჭუჭა ბეწვით; ღეროები მარტოულია ან რამდენიმე ერთად, სწორია, დაუტოტავი, 20—60 სმ სიმაღლის; ფოთლები წაგრძელებულ უკულანცეტაა, ძირისკენ შევიწროებული, წვერში წაწვეტებული, კიდეწამწამიანი, ზედა ფოთლები ლანცეტაა. ყვავილედ იცოტაყვავილიანია, კენწრული კუმსი, თითქმის თავაკისებრი ან ქოლგისებრი, წაგრძელებული ჩვეულებრივ ღეროზე მიტკეცილი. ყვავილთა ყუნწი ძლი-



ერ დამოკლებულია: თანაცვაილები წვრილია, ლანცეტა, ბალახოვანი; ჯამი მწვანეა, მწიკეტი მწვანეა, ოდნავ კონუსისებრი, 10—12(14) მმ სიგრძის, 10-მარღვიანი, კბილები ბლაგვია, კიდეებზე სიფრიფანით. გვირგვინის ფურცლები ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელია, ზევიდან თეთრი, ქვევიდან მოყვითალო-მწვანე, 1/3-მდე ჩაჭრილი, თანაგვირგვინით; ფრჩხილები შიშველია; მტვრიანათა ძაფები შიშველია ან წამწამებანი. კოლოფი კვერცხისებრია, მოთავსებული ბეწვებიან, 5—6 მმ სიგრძის კარბოფორზე. თესლები 1,5 მმ სიგრძისაა. VII—VIII.

Typus: «In Armenia Turcica ad Palanteuken». ინახება ქენევაში.

იზრდება მდელოებზე. სუბალპურ სარტყელში, 1750—2500 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: 18 — ჯავახ.: ცხრაწყაროს გადასავალი (გროსპეიმი); ახალქალაქი, ფარავანის ტბა (ზედელმეიერი); ტაბაწყურის ტბის მახლობლად (გროსპეიმი, კოზლოვსკი; ლაჩაშვილი); სოფ. წითელ საყდარსა და მოლითს შორის (შიშკინი); ახალქალაქი, გორელოვკა, 1750 მ (გროსპეიმი); ახალქალაქი, კობორეთის ხეობა, ფიჭვის ტყეში, მდელოზე (ტროიცი); ახალქალაქი (ზედელმეიერი); ახალქალაქის რაიონი, ტბა ხანჩალი-ველი (ზედელმეიერი); ბოვდანოვკა სოფ. ეფრემოვკის მიდამოები (ლაჩაშვილი); თეთრობის ქედი 1800 მ (ხინთიბიძე); წალკა ბეშთაშენის ტბის მახლობლად (ზედელმეიერი).

სსრკ.: ამიერკავკ.: აზერბ.; სომხ.

საერთო გავრცელ.: მც. აზ. (ყოფ. ართვინის ოლქი); არმ.-ქუთ.

შ ე ნ ი შ ვ ა. სახეობა აწერა ბუასიმ კოჩის ეგზემპლარების მიხედვით პალანტეკანის ქედიდან. სახეობის დაზუსტებული დიაგნოზი (Descr. emend.) მოგვცა შიშკინმა 1. c. (1920—1922); მან დაადგინა რომკავკასიის ფლორის მკვლევარები აიგივებდნენ ამ სახეობას *Silene repens* Patr.-თან. (Ledeb. 1. c.), ან სახესხვაობის სახით მიაკუთვნებდნენ სახეობებს *S. repens*-ს Patr. (Trautv. 1. c.) ან *S. caucasica* Boiss.-ს (Rupr. 1. c.). შემდგომში კავკასიის ავტორები სცნობდნენ *S. cephalantha*-ს დამოუკიდებლობას. Coode და Cullen (1. c.) *S. cephalantha* არ მოჰყავთ დამოუკიდებელ სახეობად, თვლიან მას გარდამავლად *S. cappadocica* Boiss et Heldr. და *S. spergulifolia* (Desf.) Bieb. შორის და ფიქრობენ, რომ იგი ერთ-ერთ მათგანს უნდა მიეკუთვნებოდეს.

Sect. 10. *Auriculatae* (Boiss.) Schischk. во Фл. СССР VI (1936) 656 sine auct. comb.; Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 216.

ყვავილები დიდი ზომისაა; ჯამი ცილინდრული ან ოდნავ გამობერილი, ბლაგვკბილიანი, მარტივი ან ჯირკვლოვანი შებუსებით. გვირგვინი თანაგვირგვინით, ფრჩხილები ზევით ყურისებრ გაფართოებულია; მტვრიანათა ძაფები შიშველია; კოლოფი გრძელ კარბოფორზეა.

© 20. *S. pygmaea* Adams in Wed. et Mohr. Beitr. I (1805) 59. — Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 412; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 661; Колак. Фл. Абх. II (1939) 107; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 250; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 283 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 550; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 342; Колак. Растит. мир Колх. (1961) 183; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 237 (georg.).—*S. spathulata* Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 341; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 320; Boiss. Fl. Cr. I (1867) 626.

4. მთელი მცენარე შებუსვილია მარტივი, ტალღისებრი ბეწვით; ლერწმით მრავალია, შეკრული ფაშარ კორდად; ძირიდან დატოტვილი, აღმავალი, 8—20 სმ სიმაღლის, ძირში შემოხვეული ძველი ფოთლების ნარჩენებით, ფესვთანური ფოთლები ფართო-ნიჩბისებრია, შევიწროებული წაგრძელებულ ყუნწად; ღეროსეული ფოთლები ელიფსურია ან მომრგვალო, ძირისკენ შევიწროებული, თითქმის მკდომარე. ყვავილები შეკრებილია დიქაზიუმებად, თანაყვავილები პატარა ზომისაა, ლანცეტა, ყვავილთა ყუნწი ძალიან დამოკლებულია; ჯამი სიგრძით 10—12 მმ-მდეა, 10-ძარღვიანი, ზოგჯერ მოწითალო, ბუსუსებიანი. ბლავი, მომრგვალო კბილებით, ნაყოფობისას გაფართოებული არ არის; გვირგვინის ფურცლები ვარდისფერ-მეწამული ფერისაა, ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელი; ფირფიტა 1/3-მდეა ჩაჭრილი, ძირში ძლიერ შემცირებული თანავიწვიანის ნაკეთებით; ფრჩხილები თითქმის შიშველია, ზევითკენ რამდენადმე ყური-სებრ-გაფართოებული; მტვრიანათა ძაფები შიშველია. კოლოფი კვერცხისებრია, მოთავსებული წაგრძელებულ, ბეწვებიან, 4—5 მმ სიგრძის კარბოფორზე. თესლები თირკმლისებრია, 1 მმ სიგრძის, ზურგზე მახვილბორცვებიანი. VI—VIII.

აწერილია ოსეთიდან. Typus: «Habitat in Ossetia». ტიპი ინახება ლენინგრადში.

იზრდება კლდეებზე სუბალპურ, ალპურ, უფრო იშვიათად ტყის სარტყელში, 1300—3100 მეტრს სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: 1 — აფხ.: მოყვანილია კოლაკოვსკის მიერ (Коллак. I. с. 1939) ფანავის ქედისათვის; 3 — რაჭა-ლეჩხ.: რაჭა, ფოცხვერის მთა, ვაჭრილა, კირქვიან კლდეებზე (კემულარია-ნათაძე); სოფ. გლოლის მიდამოები (ოჩიაური); 4 — სამეგრ.: მიგარია, კირქვიან კლდეებზე ალპიურ სარტყელში (სოსნოვსკი); ტეხურის ხეობა (შიშკინი); 8 — სამხრ.-ოს.: ერწოს ტბის მიდამოები მთა აღზაშენთა, კლდეებზე (ხარაძე, ხინთიბიძე, ლაჩაშვილი) 10 — მთიულ.: გუდამაყარი, ბურსაჭირის მიდამოები (ოჩიაური) ყაზბეგის რაიონი, სოფ. გერგეტი (ხუციშვილი); დარიალის ხეობა, კლდეებზე (ღვინიანიძე); ყაზბეგი, მდ. ჩხერის მარცხენა ნაპირი, კლდეებზე (სოსნოვსკი); დარიალის ხეობა, მშრალ, ღორიან ფერდობებზე (ქუთათელაძე, ხარაძე, შხიანი); სოფ. გერგეტი, კლდეთა ნაპრალებში (სოსნოვსკი); ყაზბეგის რაიონი, დარიალი, კლდეებზე (ხარაძე, ღვინიანიძე); ყაზბეგის მიდამოები, მწვერვალ ყაზბეგის ფერდობები, კლდეებზე 2400 მ (ხარაძე); ყაზბეგსა და გველეთს შორის, კლდეთა ნაპრალებში (სოსნოვსკი); ყაზბეგის მიდამოები, საქართველოს სამხ. გზა, სოფ. გერგეთთან (პრიხოდკო); გუდ-გორა, 3100 მ კლდეებზე (მირიკოვი); მთიულ. ს. ხევშის მიდამოები; გვიდაქეთის ხეობა; ჩირიკის ხეობა; სონჩოს ხეობა (ოჩიაური); II — თუშ-ფშავ-ხევსურ.: ხევს., დათვისის წყლის სათავეები, კლდეები ალპურ სარტყელში (ოჩიაური, ქიმერიძე). (რუკა 15).

სსრკ: მთავარი კავკასიონის ცენტრ. და აღმ. ნაწ., აზერბ., შაჰ-დალი (კარიჯინის მიხედვით I. c.).

სამეურნეო მნიშვნელობა. ფრიად დეკორატიული მცენარეა. შეიძლება გამოყენებულ იქნას მშრალი, კლდოვანი ფერდობების დასამშვენებლად.

© 21. *S. humilis* C. A. Mey. Verzeichn. Pfl. Cauc. (1831) 215; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 320; Boiss. Fl. Or. I (1867) 655; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 412; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 662; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 250; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 283 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 550; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 343; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 238 (georg.).

Is.: Гроссг. 1. с. (1945) табл. 25, рис. 8—8а; Фл. Азерб. 1. с. табл. XXVI рис. 2.

4. ღეროები მწოლარეა, დატოტვილი, 3—5 სმ სიმაღლის, შებუსვილი გრძელი, ტალღისებრი ბეწვით; ფოთლები უკუ-კვერცხისებრია ან მომრგვალო-ელიფსური, ძირისკენ შევიწროებული, მომახვილო, ძირში გრძელბეწვებიანი, სქლად შებუსვილი წვრილი ჯირკვალა ბეწვით 5—10 მმ სიგრძის და 3—5 მმ სიგანის. თანაყვავილები წაგრძელებულ-ელიფსურია, ყვავილები ჩვეულებრივ მარტოულია, მოთავსებული ღეროებისა და ტოტების წვერში; ჯამი გაფართოებულია [12] 15—18 მმ სიგრძის, 6—7 მმ სიგანის, 10-ძარღვიანი, სქლად შებუსვილი წვრილი ჯირკვალა ბუსუსით; ჯამის კბილები კვერცხისებრია, მობლაგვო, კიდებზე ვიწრო-სიფრიფანა და წამწამებიანი; გვირგვინი მომწვანო-მოყვითალო ან მოწითალო ფერისაა, ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელი გვირგვინის ფურცლების ფირფიტა 1/3-მდეა ჩაჭრილი და თანაგვირგვინის მოგრძო ნაკეთებითაა. ფრჩხილები შიშველია და პატარა ყურებით ხასიათდება; მტვრიანათა ძაფები შიშველია; ნასკვი მოთავსებულია ბეწვიან კარპოფორზე, რომელიც სიგრძით 5 მმ-მდეა. კოლოფი კვერცხისებრია. თესლები თირკმლისებრია, 1 მმ-მდე სიგრძის. VII.

აწერილია კავკასიიდან. Typus: „In alpebus Tufandagh Caucasi orientalis, inter schisti (alt. 1500 hexar.)“. ტიპი დაცულია ლენინგრადში.

იზრდება ღორღიან ადგილებში სუბალპურსა და ალპურ სარტყლებში.

საქ. სსრ: 10 — მთიულ.: ყაზბეგი, სტაციონარის მიდამოები, ყუროს მთის ძირში, ჩამონახვავებზე (ღვინიაშვილი); 11 — თუშ-ფშავ-ხევსურ.: პირიქითა ხევსურეთი, არხოტის ხეობა (გრიგორაშვილი).

სსრკ: იმიერკავკ.: (ცენტრ. და აღმ. ნაწ.).

©. 22. *S. lychnidea* C. A. Mey. Verzeichn. Pfl. (1831) 213; Boiss. Fl. Or. I (1867) 649 et Suppl. 106; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 413; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 662; Колак. Фл. Абх. II (1939) 107; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 250; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 84 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 551; Колак. Растит. мир Колх. (1961) 183; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 238 (georg.). — *S. graminifolia* β *lychnidea* Regel. Bull. Soc. Nat. Mosc. (1861) 307. — *S. subuniflora* Somm. et Levier, Acta Horti Petropol. XIII, 3 (1893) 39;

Is.: Somm. et Levier Acta Horti Petropol. XVI, tab. 13; Гроссг. 1. с. (1945) табл. 25, рис. 9, 9а; Фл. Груз. 1. с. рис. 121; Колак. 1. с. (1961) рис. 68.

4. ფხვიერ-კორდიანი მცენარეა; ღერო რამდენიმეა ერთად, აღმავალია, 7—15 [25] სმ-მდე სიმაღლის. ქვედა ნაწილში შიშველი, ზედა ნაწილში ჯირ-



კვალბუსუსებიანი; ფოთლები შეჩვეულად ღეროს ძირში და ქმნის თესვითა და ნორ რიზეტს, ფორმით — ლანცეტაა, ან ხაზურ-ლანცეტა, 1-ძარღვიანი, მომავილო, ძირისკენ უნწაღ წარზიდული, კიდეებზე ჯირკვალწამწამებიანი; ღეროსეული ფოთლები ძალიან დამოკლებულია, ვიწრო ხაზურ-ლანცეტა. ყვავილები 1—3 დახრილი; ყვავილთა უნწი გრძელია, ზოგჯერ ჯამზე უფრო გრძელი, ჯირკვალა ბუსუსებით დაფარული; ჯამი ფართო-ცილინდრულია, 15—18 მმ სიგრძის, 10-ძარღვიანი, ჯირკვალა ბეწვებიანი, მოწითალო; ჯამის კბილები ბლაგვია, კიდეზე ფართო-სიფრიფანათი. გვირგვინის ფურცლები ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელია, მოთეთრო ან მეწამული; გვირგვინის ფურცლების ფირფიტა შუამდე ორადაა გაყოფილი და თანაგვირგვინის წაგრძელებული, სიგრძით 1,5 მმ ნაკვებით ხასიათდება, ფრჩხილები წამწამებიანი; მტკრიანათა ძაფები შიშველია. კოლოფი მოთავსებულია შებუსვილ, 7—8 მმ სიგრძის კარბოფორზე. VII—VIII.

აწერილია კავკასიიდან. Typus: «In regione alpina Caucasi occidentalis, in glareosis ad rivulorum margines (alt. 1250 hexap.).» ინახება ლენინგრადში. (LE).

იზრდება ღორღიან ადგილებში ალპურ სარტყელში.

საქ. სსრ: 1 — აფხ.; მოყვანილია ა. კოლაკოვსკის მიერ 1. ს. (1939) ბზიფისა და ფანავის ქედების არაკირქვიანი კლდეებისათვის ა. გროსჰეიმს (Фл.) Кавк. 1. ს. / (1945) მოჰყავს სვანეთისათვის (გულის მყინვარი).

სსრკ: მთავარი კავკასიონის ცენტრალური ნაწილი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ა. გროსჰეიმს (1. ს. 1945) მოყავს 3 სახესხვაობა: v. *glabriflora* Rupr. — ღეროები თითქმის შიშველია—ძლიერ იშვიათად, v. *ulukamensis* Schischk. — ღეროები ფოთლოთა 4—5 წყვილითაა — იშვიათად, v. *purpurea* Schischk. — გვირგვინის ფურცლები მეწამულია — იშვიათად.

©. 23. *S. linearifolia* Otth. in DC. Prodr. I (1824) 374; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 663; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 250; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 34 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 551; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 343; Колак. Растит. мир Колх. (1961) 182; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 238 (georg.). — *S. angustifolia* Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 337; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 316. — *S. petraea* Adams in Web. et Mohr. Beitr. I (1805) 58, non Waldst. et Kit. (1803).

Is.: Гроссг. 1. ს. 1945, Табл. 25; рис. 10—10a.

4. ღერო რამდენიმეა ერთად, მარტივი ან ზედა ნაწილში სუსტად დატოტვილი, ქვედა ნაწილში შიშველი, ზევითკენ სუსტად შებუსვილი ხუჭუჭა ბეწვით, სწორი 10—25 [30] სმ სიმაღლის; ფოთლები გრძელია, ვიწრო-ხაზური, მომავილო, შიშველი, მუხლთშორისებზე გრძელი, ყვავილი 1—3 ღეროებისა და ტოტების წვერში; ყვავილთა უნწი დამოკლებულია, სწორი, შებუსვილი; თანაყვავილები ლანცეტაა, ძირში სიფრიფანა, წვრილწამწამებიანი; ჯამი ცოტათი გაფართოებულია, მოგრძო, 10-ძარღვიანი, 15—16 მმ სიგრძის, წაგრძელებულ-კვერცხისებრი მობლაგვო კბილებით, შებუსვილი ხეშეში, ხუჭუჭა ბეწვით; გვირგვინის ფურცლები ზევიდან მოთეთროა, ქვევიდან მომწვანო ან მოვარდისფრო, ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელი; გვირგვინის ფურცლების ფირფიტა ნახე-

ვარზე უფრო ღრმად ორადაა განკვეთილი და თანაგვირგვინის კვადრატულ ფორმით ხასიათდება; ფრჩხილები ზევითკენ ყურისებრ-გაფართოებულია, წამწამებიანი, ძირისკენ შევიწროებული. მტვრიანათა ძაფები შიშველია. კოლოფი მოგრძო-კვერცხისებრია. ბეწვებიან 5—6 სმ სიგრძის კარპოფორზე ზის. თესლები 1 მმ-მდე სიგრძის, თირკმლისებრი, ბლაგვ ბორცვებიანი.

VII—VIII.

აწერილია კავკასიიდან. *Typus*: «*In Alpibus Caucasicis*». ინახება ქენევაში. იზრდება კლდეებზე სუბალპურ სარტყელში, უფრო იშვიათად ალპურსა და ტყის სარტყელში, 1800—2800 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: 2 — სვან.: სოფ. გულის მიდამოები (ოჩიაური); 3 — რაჭა-ლეჩხ.: ონის რაიონი, თავყვითელა (ლორთქიფანიძე); 10 — მთიულ.: ყაზბეგი, გველეთი (სოსონოვსკი); ყაზბეგსა და გველეთს შორის (სოსონოვსკი); ყაზბეგსა და გერგეთს შორის (სულაჯაძე); ყაზბეგის მიდამოები, მდ. ჩხერის მარცხენა ნაპირი, კლდეებზე; ყაზბეგი, სოფ. წდოს მიდამოები; ყაზბეგის მიდამოები, მწვერვალ ყაზბეგის ფერდობი, კლდეებზე, 2400 მ ყაზბეგის რაიონი, ხდის ხეობა, სათავეები, კლდეებზე (ხარაძე); ყაზბეგის რაიონი, სოფ. გერგეთი, მდ. ჩხერის მარჯვენა ნაპირი, კლდეებზე (ჭუციშვილი ღვინიაძე); ყაზბეგი, ნარხანის წყაროს მახლობლად, კლდეებზე (ივანიშვილი, ოდიშვილი); საქ. სამხ. გზა, ყაზბეგთან (ქიქოძე); 11 — თუშ-ფშავ-ხევსურ.: არხოტი, სოფ. ამლის მიდამოები (სახოკია, ოჩიაური, ქიმერიძე); სოფ. ხაღუს მიდამოები; შატლი; ციხე ქაჩუს ნანგრევებთან, კლდეებზე; არხოტი, მდ. მუტოსა და არხოტს შორის (ოჩიაური); 12 — კახ.: ლავოდენი, ქოჩალ-დალი (კოზლოვსკი).

სსრკ: მთავარი კავკასიონის ცენტრალური და აღმ. ნაწილი. ი. კარიაგინს (1. c.) მოყავს მცირე კავკასიონისათვის (ძალიან იშვიათად).

შ ე ნ ი შ ე ნ ა: ა. გროსპეიმს (1. c. 1945) მოყავს სამი სახესხვაობა: *v. major Trautv.* — ღეროები 30 სმ-მდე სიმაღლის — ჩვეულებრივ სუბალპურ სარტყელში, *v. minor Trautv.* ღეროები 15 სმ-მდე სიმაღლის — ჩვეულებრივ ალპურ სარტყელში, *v. gymnocalycina Trautv.* — ჯამი თითქმის შიშველია — იშვიათად.

ა. ხარაძეს (1. c. 1947) მხოლოდ *v. gymnocalycina* აქვს მოყვანილი საქართველოსთვის (სვან.: მთიულ.; თუშ-ფშავ-ხევს.) *var. gymnocalycina Rupr. (S. angustifolia var. glabra Somm. et Levier)* ჯამი და ყვავილის ყუნწი შეუბუხსავია.

©. 24. *S. caucasica* (Bunge) Boiss. Fl. Or. 1 (1867) 622; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 413; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 668; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 252; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 285 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 551; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 344; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 238 (georg.); — *S. vallesia* β *caucasica* Bunge, Ind. Dorp. (1837) 7; Linnaea XII Litter. Ber. (1838) 72. — *S. vallesia* (non L.) Ledeb. Fl. Ross. I (1842) 320.

Is.: Гроссг. (1. c. 1945) табл. 26, рис. 2; Фл. Груз. 1. c. рис. 122.

24. ღეროები თითო-თითოა ან რამდენიმე ერთად, აღმავალი, 7—25 სმ სიმაღლის, შებუსვლილი მარტივი ჯირკვალა ბეწვით; ფოთლები ცოტად თუ ბევრად სქლადაა შებუსვლილი წვრილი ბეწვებით, ძირში კიდევებზე წამწამებიანია, ლანცეტა, მომახვილო, ყუნწად წარზიდული; ღეროზე არსებული ფოთ-

ლები მჭდომარეა, უფრო მცირე ზომის; თანაცვაილები ლანცეტაა, ბალახისებრი. ყვავილი 1—5-ია ლეროების წვერში, ძალიან დამოკლებულ ყუნწებზე. ზოგჯერ დახრილი: ჯამი მოგრძო-ცილინდრულია, 18—20 მმ სიგრძის, ცოტად თუ ბევრად სქლად შებუსხილი ჯირკვალა ბეწვით, 10-ძარღვიანი, ფართო-სიფრთხანა ბლავი კბილებით; გვირგვინის ფურცლები თეთრია, ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელი, ღრმად ორად ჩაპრილი, თანავირგვინი 1—1,5 მმ სიგრძის ფართო კვერცხისებრი ნაკეთებით; ფრჩხილები ზევითკენ ყურისებრ-გაფართოებულია; მტერიანათა ძაფები შიშველია. კოლოფი მოთავსებულია ბეწვებიან, გრძელ, 7—9 მმ სიგრძის კარპოფორზე. თესლები თირკმლისებრია შავი ფერის, VII—VIII.

Typus: «Hab. in Alpe Tufandagh, Caucasi, orientalis alt. 7000 (C. A. Meyer.)» ტიპი ინახება ქენევაში, იზოტიპი ლენინგრადში (LE).

იზრდება ღორღიან, ნახევრად დაკორდებულ ფერდობებზე და მყინვარულ ცირკებში, უმთავრესად ალპურ სარტყელში, 3100 მ-მდე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: 11 — თუშ-ფშავ-ხევსურ.: პირიქითა ხევსურეთი ზეტუ-კის-წვერი (გრიგორაშვილი).

სსრკ: მთავარი კავკასიონის აღმ. ნაწ.

Sect. 11. *Paniculatae* (Boiss.) Chowdh. Notes Roy Bot. Gard. Edinb. XXII, 3 (1957) 233. — Sect. *Italicae* Rohrb. Monogr. *Silene* f(1868) 77, 218; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 675.

ჯამი მილისებრია, შებუსხილი; გვირგვინს თანავირგვინი არ უვითარდება. მტერიანათა ძაფები შიშველია.

25. *S. italica* (L.) Pers. Synops. I (1805) 498; DC. Prodr. I (1824) 381; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 323; Boiss. Fl. Or. I (1867) 631; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 412; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 675; Колак. Фл. Абх. II (1939) 107; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 254; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 286 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 550; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 346; Макашвили, Фл. окр. Тбилиси I (1952) 196 (georg.); Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 151; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 321; Колак. Растит. мир. Колх. (1961) 182; Chater und Walters in Fl. Europ. I (1964) 163; Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 192; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 238 (georg.); Тахт., Фед., Фл. Еревана (1972) 78. — *Cucubalus italicus* L. Syst. ed. X (1759) 1030; Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 334.

Ис.: Reichb. Pl. Crit. III, t. 292; Гроссг. I. с. (1945) табл. 2, рис. 6—6а.

24. ლეროები აღმავალია, 25—80 სმ სიმაღლის, ქვედა ნაწილში შებუსხილი, ზედა ნაწილში შიშველი, წებოვანი, მარტივი ან დატოტვილი. ფოთლები (უმეტესობა ფესვის ყელთან შეკრებილი) ელიფსურია, ორივე მხრიდან შებუსხილი, კიდე წაშწამებიანი; ქვედა ფოთლები ნიჩბისებრია ყუნწად წარზიდული; ზედა ფოთლები უკულანცეტაა, კენწრული ფოთლები კი ხა-ზურ-ლანცეტა, კიდეებზე წამწამებიანი. ყვავილები დაჯგუფებულია 3 ყვავილიან დიქაზიუმებად ტოტების ბოლოებზე და შეკრებილია მრავალყვავილიან საკველასებრ ყვავილედად; ყვავილები მოკლეყუნწიანია. თანაცვაილები ლან-



ცეტა: ჯამი 18—20 [22] მმ სიგრძისაა, ვიწრო, 10-ძარღვიანი, მისი კბილები ბლაგვია და ვიწრო სიფრთხანა არაა მოვლებული, გაბნეულბუნჯიანი ან თითქმის შიშველი: გვირგვინის ფურცლები თეთრია, ჯამზე 1 1/2—2-ჯერ გრძელი; ფირფიტა ღრმადაა ორად ჩაჭრილი, თანაგვირგვინი არა აქვს; ფრჩხილი ზეითიკენ ყურისებრ-გაფართოებულია, შიშველი; მტვრიანათა ძაფები შიშველია. კოლოფი მოგრძო-კვერცხისებრია, მოთასებულია გრძელ, 9—10 [12] მმ სიგრძის, ბეწვებიან კარპოფორზე. თესლები 1 მმ სიგრძის, თირკმლისებრი, წვრილ ბორცვებიანი. V—VII.

აწერილია იტალიიდან, ტიბი ინახება ლონდონში (Hb. Linn. 583/13). იზრდება მდელოებზე, ბუჩქნარებში, ტყის ნაპირებზე. 2200 მ-მდე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: მთელ რესპუბლიკაში.

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაბ., აზერბ.; სომხ.; ევრ. ნაწ. (ყირიმი); შუა აზ.;

საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მსრ.; ცენტრ. ევრ.; მც. აზ.; ჩრდ. ირ.

Sect. 12. *Otites* Otth in Dc. Prodr. I (1824) 369 p.p.; Coode and Culen in Davis Fl. Turkey 2 (1967) 203. — §. *Otiteae* Boiss., Fl. Or. I (1687) 571; Rohrb., Monogr. *Silene* (1868) 75. — Subgenus *Otites* (Adams) Schischk. во Фл. СССР VI (1936) 685. — Gen. *Otites* Adans Fam. (1763) 255.

ჩვეულებრივ ორსახლიანი მცენარეებია, ყვავილენი მჭიდრო საგველაა; ჯამი ზარისებრია 10 ძარღვიანი; გვირგვინი მთლიანია ან ოდნავ ამოკვეთილი.

26. *S. wolgensis* (Willd.) Bess. ex Spreng. Ind. Sem. Hort. Halens (1818) 7; Otth in DC. Prodr. I (1824) 370; Boiss. Fl. Or. I (1867) 607; Гросс-Фл. Кавк. II (1930) 405; Шишк. Фл. СССР VI (1936) 685; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 286 (georg.); Chater and Walters in Fl. Europ. I (1964) 167; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 233 (georg.). — *Cucubalus wolgensis* Willdenov, Enum. hort. Berol., Suppl. 24 (1813). — *Silene Otites* var. b Ledeb. Fl. Ross. I (1842) 310. — *S. Otites* γ. *wolgensis* Rohrb. Monogr. *Silene* (1868) 201; — *Otites wolgensis* (Willd.) A. Grossh. Фл. Кавк. 2, III (1945) 225; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 551.

⊕. ორსახლიანი მცენარეა, ქვედა ნაწილში შებუსხვილი სწორმდგომი მარტივი ბეწვით, ზედა ნაწილში შიშველი, უფრო იშვიათად წებოვანი; ღეროები დატოტვილია, 40—80 [100] სმ სიმაღლის; ქვედა ფოთლები ლანცეტა-ნიჩბისებრია, ძირისკენ ყუნწად შევიწროებული, მომახვილო, სიგანით 10 მმ-მდე; ზედა ფოთლები ლანცეტისმაგვარ-ხაზურია, მათ ილღებში განვითარებულია დამოკლებული უნაყოფო ყლორტები. ყვავილენი საგველაა; ყვავილები ერთსქესიანია; ყვავილის ჯამი ზარისებრია, შიშველი, 10-ძარღვიანი, 2—3,5 მმ სიგრძის; გვირგვინის ფურცლები მოთეთროა, ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელი, მთლიანი; ყვავილის ყუნწი 2—3-ჯერ აღემატება ჯამს, უფრო იშვიათად ჯამზე ოდნავ მოკლეა; მტვრიანათა ძაფები შიშველია. კოლოფი მჭდომარეა, კვერცხისებრი, 4—6 მმ სიგრძის. თესლები თირკმლისებრია, მახვილობორცვიანი, 0,9 მმ-მდე სიგრძის. VI—VII.

აწერილია ვოლგისპირეთიდან, ტიპი ინახება ბერლინში.
იზრდება მშრალ ფერდობებზე არიდულ მეჩხერ ტყეებში.
საქ. სსრ: 11 — ხეცსურეთი (მატილი).

სსრკ: იმიერკავკ.: დას. და აღმ. ციმბ.; შუა აზ.

საერთო გავრცელ.: შუა და სამხრ. აღმ. ევრ.: ხმელთაშუა ზღვ. (მხრ. ბალკ.): ცენტრ. აზ.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: სახეობა *S. wolgensis* (Willd.) Bess. შევიტანეთ „საქართველოს ფლორის“ პირველი გამოცემის მიხედვით, და მისი მოყვანა საქართველოსთვის შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს.

27. *S. cyri* Schichk. in Grossh. A., D. Sosn., B. Schisch. Fl. Tiflisiensis I (1925) 202 et Tr. Томск. Гос. Унив. 77, 3 (1927) 290; Гросср. Фл. Кавк. II (1930) 406; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 688; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 287 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси I (1952) 195 (georg.); Гвинианидзе, Tr. Тбилисс. Бот. Ин-та, XXI (1960) 55. — *Otites cyri* (Schischk.) Grossh. Фл. Кавк. 2, III (1945) 255; idem, Определ. раст. Кавк. (1949) 552; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 347; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 152.

Ис.: Гросср. l. c. (1945) табл. 26, рис. 8—8в. Макашвили l. c. таб. XXIII

Exs.: Herb. Fl. Ross. n° 2855; Herb. Fl. Cauc. n° 515; Pl. or. exs. n° 384. HF URSS n° 2855.

⊕. მცენარე ორსახლიანია, ყვავილედის გარდა შებუხვილია წვრილი, მწოლარე, ქვევითკენ მიმართული ბეწვით; ღეროები ზოგჯერ მუხლთშორისებში წებოვანია, მარტივი, უფრო იშვიათად დატოტვილი, 30—70 სმ სიმაღლის; ფესვთანური ფოთლები ნიჩბისებრია, ყუნწად წარზიდული, მომახვილო; ღეროსეული ფოთლები უფრო ვიწროა და პატარა ზომის. ყვავილები ერთსქესიანია, მოთავსებული გჯუფ-გჯუფად 6—30 ყვავილი ერთად მტკვენისმაგვარ ყვავილედად; ყვავილთა ყუნწები შიშველია, ცოტად თუ ბევრად წაგრძელებული; ჯამი ზარისებრია, შიშველი ან ოდნავ ხაოიანი, 10 ძარღვიანი, 3,5—4 მმ სიგრძის, ჯამის კბილები ბლაგვია კიდებებზე სიფრიფანა არშით. გვირგვინის ფურცლები მომწვანო-მოყვითალოა, 5—6 მმ სიგრძის, ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელი, მთლიანი, უთანავეირგვინო, ძირში ბეწვებიანი. კოლოფი კვერცხისებრია, მჯდომარე. 7—9 მმ სიგრძის. თესლები თირკმლისებრი, ზურგზე ღარით, ბლაგვი წაგრძელებულ ფუძიანი ბორცვებით, ზომით 1 მმ. V—VI. — მტკვრის ქოთანა.

აწერილია თბილისის მიდამოებიდან სამი ეგზემპლარის მიხედვით (რადე, ოვერინი, ვორონოვი). ლექტოტიპი გამოყოფილია ვ. პაპავას მიერ (Папова В. И. 1954 Вест. Гос. Музея. Грузии XVI—A) და დაკულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (TGM).

Lectotypus: Tiflis. V. 1868 legit.: Radde.

იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე, კლდეთა ნაპრალებში, ველებში, ველების, ნახევარუდაბნოების, ტყის სარტყელში.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: გორის რაიონი, თეძამის ხეობის ზედა წელი (ქიქოძე); თბილისის მიდამოები: ღრმა-ღელეს პლატფორმა, მშრალ გორაკებზე (კოზლოვსკი); დაბახანის ხეობა (სოსნოვსკი); თელეთის ქედი (ზედელმეიერი), თბი-



ლისის ბოტანიკური ბაღი, დაბახანის ხეობა, ფერდობებზე (კაპელერი, ლვინიანიძე); ფერდობები კოჯრის გზატკეცილიდან (შტეპა); ქვიანი ფერდობები დაბახანის ხეობაში თბილისის ბოტანიკური ბაღის ზევით (კვარაცხელია); ბოტანიკის ინსტიტუტის მიდამოები, ბოტანიკური ბაღის ხიდან (ქუთათელაძე, ოდიშვილი); ხუდადოვის ტყე (შხიანი); 15 — გარდაბ.: ყარაიაზი (სტორესელსკი).

სსრკ: იმიერკავკ.; (აღმ. ნაწ.); ამიერკავკ.: აზერბ.; სომხ.; შუა აზ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: კავკასიის ავტორთა ნაწილი შესაძლებლად მიიჩნევა სახეობების *S. cyri*, *S. wolgensis* და *S. Roopiana* — დამოუკიდებელ გვარში *Otites Adans* განხილვას. აღმონაცენთა, მტვრის მარცვლისა და ყვავილის ვასკულარული მორფოლოგიის შესწავლის საფუძველზე სავსებით სწორად მიგვაჩნია ამ მახლობელ სახეობათა გვარ *Silene*-ს ფარგლებში განხილვა. (ГВИНИАНИДЗЕ, I. c.).

პირველად სახეობა *S. cyri* ბ. შიშკინმა გამოაქვეყნა თბილისის მიდამოების ფლორაში (I. c.), ხოლო ოდნავ მოგვიანებით გამოქვეყნდა მისი ლათინური დიაგნოზი (1927 I. c.). ახალი სახეობის აღწერისას ავტორს ხელთ ჰქონდა რადეს, ოვერინის და ვორონოვის მიერ თბილისის მიდამოებში შეგროვილი სამი ეგზემპლარი «*Hab. Prope urbem Tiflis 4 V 1867 fl. et fr. Radde 6 V 1871 fl. et fr. Owerini; ibidem prope Hort. Botanicum, in declivibus lapidosis 22 IV 1910 fl. Woronow*». სამივე ეგზემპლარი დაცულია საქ. სახელმწიფო მუზეუმში, და ყოველ მათგანს ბ. შიშკინის ხელით მიწერილი წარწერა აქვს *S. cyri* sp. n. B. Schischkin. ვინაიდან ავტორის მიერ ტიპი ჰერბარიუმში გამოყოფილი არ არის, ვ. პაპავამ ბ. შიშკინის ხელნაწერი ეგზემპლარებიდან, გამოყო ლექტოტიპი, რომელიც ზევით მოგვყავს.

28. *S. Roopiana* Kleop. Журн. Инстит. Ботаники АН УССР 9 (17) (1936) 115; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 287 (georg.). — *Otites Roopiana* (Kleop.). Grossh. Фл. Кавк. 2, III (1945) 256.

24. ორსახლიანი მცენარეა; ღეროები სიმაღლით 40—80 სმ-მდეა, ქვედა ნაწილში ძალიან წვრილად შებუსევილი, ზედა ნაწილში შიშველი, წებოვანი; ფოთლები ვიწროა, მოგრძო-უკუ-ლანცეტა, წაწვეტებული, წვრილბუსუსებიაანი. ყვავილები ერთსქესიანია; ყვავილედი მტევნისებრია, დამოკლებული ტოტებით; ყვავილები სქელ ცრურგოლურადგანწყობილ ჩჯუფებადაა თავმოყრილი, მათი ყუნწები შიშველია; ჯამი მილისებრ-ძაბრისებრი ფორმისაა, შიშველი, 10-ძარღვიანი, 3—3,5 [4] მმ სიგრძის, ნაყოფობისას მოგრძო-სფეროსებრი; გვირგვინის ფურცლები მომწვანო-ყვითელია, მთლიანი. კოლოფი მომრგვალოა, 3,5—4 მმ სიგრძის, ჯამზე ოდნავ გრძელია, მჯდომარე. თესლები თირკმლისებრია, ზურგზე ჩაღრმავებული, ბლავკი, ოვალურ ფუძიანი ბორცვებით. VI—VII.

იზრდება მშრალ ფერდობებზე.

საქ. სსრ: 19 — მესხ.: საფარის მონასტრის მახლობლად (სოსნოვსკი, მანდენოვა; სოსნოვსკი, ქუთათელაძე, მანდენოვა).

საერთო გავრცელ.: არმ.-ქურთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სახეობა მოგვყავს „საქართველოს ფლორის“ პირველი გამოცემის მიხედვით (ხარაძე I. c.).

Sect. 13. *Dichotomae* (Rohrb.) Chowdh. Notes Roy. Bot. Gard. Edinb.

XXII, 3 (1957) 247; Coode and Cullen in Davis, Fl. of Turkey 2, (1967) 234. — Sect. Cincinnosilene ser. Dichotomae Rohrb. Monogr. Silene (1868) 67; III ШКИН во Фл. СССР VI (1936) 610.

თანაყვავილი სიფრიფანა, ყვავილედის ორკაპებში თითო მოკლეყუნწიანი ყვავილი ზის.

29. *S. iberica* Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 335; Schischk. in Bull. Mus. Géorgie I (1920—22); Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 406; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 610; Колак. Фл. Абх. II (1939) 102; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 273 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 546; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 327; Макашвили, Фл. окр. Тбилиси (1952) 196 (georg.); Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 124; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 320; Колак. Растит. мир Колх. (1961) 182. — *S. dichotoma* β *iberica* Ledeb. Fl. Ross. I (1842) 315. — *S. dichotoma* subsp. *dichotoma* Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey II (1967) 234. — *S. racemosa* γ *iberica* Boiss. Fl. Or. I (1867) 589.

Is.: Фл. СССР I. с. табл. XXXVII, рис. 2; Макашвили I. с. табл. XXIV; Фл. Арм. I. с. табл. XXXVII.

Exs.: Herb. Fl. Ross. n° 2856. — ქართული ქოთანა

⊙ ან ⊕ ღერო 30—80 სმ სიმაღლისაა, ძირიდან დატოტვილი, ცოტად თუ ბევრად შებუსვილი ხუჭუტა ბეწვებით; ქვედა ფოთლები ფართო ლანცეტა, მახვილწვერიანი, გრძელ ყუნწოდ წარზიდული; ზედა ფოთლები ვიწრო-ლანცეტა, ძირისკენ შევიწროებული, შებუსვილი ხუჭუტა ბეწვებით, ძირში გრძელწამწამებიანი. ყვავილელი ცალგვერდა მტევანია; ქვედა ყვავილები სხედან ძლიერ დამოკლებულ ყუნწებზე; ზედა ყვავილები მჯდომარეა, სწორმდგომი ან გადახრილი. ნაყოფობისას ყოველთვის სწორმდგომი და ყვავილედის ღერძზე მიწოლილი. თანაყვავილები პატარა ზომისაა, მოგრძო ლანცეტა, მახვილწვერიანი სიფრიფანა; ჯამი კასრისებრი ფორმისაა. მკვეთრად ამოწეული 10 ძარღვით, ძარღვებს შორის სიფრიფანაა, 7—11 მმ სიგრძის, თითქმის შიშველი ან ძარღვების გაყოლებაზე გაბნეულბეწვიანი, მახვილწვერიანი კბილებით; გვირგვინის ფურცლები თეთრია, ჯამზე 2-ჯერ გრძელი, ღრმად ორად გაყოფილი ფირფიტით და თანაგვირგვინის მოკლე ნაკვეთით; ფრჩხილები და მტვრიანათა ძაფები შიშველია. კოლოფი ფართო-კვერცხისებრია და მოთავსებულია მოკლე შიშველ კარპოფორზე. VI—VIII.

აწერილია საქართველოდან, ტიბი ინახება ლენინგრადში (LE).

იზრდება ქვიან ფერდობებზე, ნათესებში და ხნულის ნაპირებზე მთის ქვედა სარტყელში.

საქ. სსრ: 1-აფხ.; 7 — აჭარა; (ხარაძის მიხედვით 1. c.); 9 — ქართლ.: ბაკურიანი (კოზლოვსკი, აენფიევი); ბაკურიანსა და საკოტავს შორის (შიშკინი); ბორჯომის მიდამოები, დაბასა და წალვერს შორის (კოზლოვსკი); ბორჯომი (კოზლოვსკი); ბორჯომ-პარკი, მდ. ბორჯომულას მარცხენა ნაპირი (ხინთიბიძე, ივანიშვილი); ბორჯომის მიდამოები (მედვედევი); ბორჯომი; წალვერი (კოზლოვსკი); ქარელი, მდ. ძამას ხეობა (ქიქოძე); სოფ. გვერძინეთი, მდ. ძამას მარცხენა ნაპირი (ქუთათელაძე, შხიანი, ხინთიბიძე); ატენის ხეობა (ქიქოძე, ყარა-მურზა); სოფ. მაქარის წყალი, მდ. გუჯარეთის მარცხენა ნაპირი



(ქუთათელაძე, შხიანი, ხინთიბიძე). მცხეთა, არმაზის ხეობა (ღვინიანიძე); მცხეთა (კაფიევი); თბილისი (ფომინი; კოზლოვსკი); თბილისი, დაბაჯინის ხეობა (სოსნოვსკი); ვერეს ხეობა (შიშკინი); თბილისი, ბოტანიკური ბაღის მიდამოები, მდ. დაბახანის მარცხენა ნაპირი (ღვინიანიძე; მგალობლიშვილი); 11 — თუშ-ფშავ-ხევსურ.: შატილის მიდამოები (ოჩიაური); 15 — გარდაბ.; 16-თრიალ.: ხრამის ხეობა, მარცხენა ნაპირი (დოლუხანოვი, მანდენოვი, შხიანი); მანგლისი (ხედღელმეიერი); 18 — ჯავახ.: ტაბაწყურის ტბა (კოზლოვსკი); მოლთსა და წითელ საყდარს შორის (შიშკინი); ახალქალაქი, გორელოვკა (გროს-ჰეიმი); სოფ. აწყალა (სახოკია); 19 — მესხ.: ურაველის წყლის სათავესთან (ქიქოძე); ახალციხე (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა); აბასთუმანი (შიშკინი; სმირნოვი); აბასთუმნის ტყე (ფარჯანაძე); ოშორის ქედი, აწყურისკენ (კოზლოვსკი).

სსრკ: იმიერკავკ.; (დაღესტანი); ამიერკავკ.: აზერბ.; სომხ.

საერთო გავრცელ.: მც. აზ.; არმ.-ქურთ.

სამეურნეო მნიშვნელობა: გავრცელებული სარეველაა, რომელიც გვხვდება პურეულთა ნათესებში.

30. *S. euxina* Rupr. Mém. Acad. Sci. Pétersb. sér. 7, 15, 2 (1869) 184; Schischk. in Bull. du Mus. de Georgie I (1920—22) 8; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 406; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 612; Колак. Фл. Абх. II (1939) 105; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 240; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 273 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 546; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 320; Колак. раст. мир Колх. (1961) 182. — *S. dichotoma* subsp. *euxina* (Rupr.) Coode and Cullen Notes Roy. Bot. Gard. Edinb. 29 (1967) 8; idem in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 236. — *S. dichotoma* γ Ledeb. Fl. Ross. I (1842) 315. — *S. racemosa* β *rubriflora* Boiss. Fl. Or. I (1867) 589. — *S. racemosa* ε. *euxina* Boiss. Suppl. (1883) 92.

Ис.: Ann. Nat. Hofm. Wien. XXIII (1909) t. 8, fig. 3.

⊙. მთელი მცენარე ცოტად თუ ბევრად შებუსვლილია რბილი, გრძელი, ხუჭუტა ბეწვით; ღეროები სიმაღლით 50 სმ-მდეა, აღმავალი, დატოტვილი; ქვედა ფოთლები მოგრძო ლანცეტაა, წაწვეტებული, გრძელყუნწად წარზიდული; ზედა ფოთლები ხაზურ-ლანცეტაა. ყვავილეთი ცალგვერდა მტევანია ღეროებისა და ტოტების წვერში; ყვავილები თითქმის მჯდომარეა, საყვავილე ღერძიდან გადახრილი, ნაყოფობისას მასზე მიწვენილი; თანაყვავილები ლანცეტაა; ჯამი ცილინდრულია, ცოტად თუ ბევრად ბეწვებიანი, 10—12 მმ სიგრძის, 10 მკვეთრად ამოწეული ძარღვით და მომახვილო კბილებით; გვირგვინის ფურცლები ჯამზე თითქმის ორჯერ გრძელია, წითელ-მეწამული ფერის; გვირგვინის ფირფიტა თითქმის ძირამდე 2-ადაა გაყოფილი, ხსიათდება თანა-გვირგვინის მოკლე ნაკვეთით; ფრჩხილები შიშველია; მტვრიანათა ძაფები შიშველია ან ბეწვებიანი. კოლოფი წაგრძელებულკვერცხისებრია და მოთავსებულია ძლიერ დამოკლებულ კარპოფორზე. თესლები თირკმლისებრია, 1 მმ-მდე სიგრძის. VI—VIII.

აწერილია საქართველოდან. Typus: Georgia, Poti, Ruprecht. ინახება ლენინგრადში (LE).

იზრდება ზღვის სანაპირო სიღებზე.



საქ. სსრ: 1 — აფხ. სოხუმი (ალექსეენკო); გუდაუთა (ალბოვი); ოჩამჩირე (მედვედევი); 4 — სამეგრ.: პალიასტომის ქვიშიანი ნაპირი (შიშკინი); აჭარ.: ციხის ძირი (შხიანი); ბათუმი, ჩაქვი (სოსნოვსკი), ქობულეთი (დმიტრიევა), ჩაქვი (მაყაშვილი, კაპელერი).

საერთო გავრცელ.: მც. აზ. (ლაზეთი).

Sect. 14. *Silene*. — Sect. *Cincirosilene* ser. *Scorpioideae* Rohrb. *Monogr. Silene* (1868) 67, 96.

თანყვავილი ბალახისმაგვარია, ყვავილთა ორკაპებში ყვავილები არ ვითარდება.

31. *S. gallica* L. Sp. Pl. (1753) 417; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 315; Boiss. Fl. Or. I (1867) 590; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 406; Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 238. — *S. anglica* L. Sp. Pl. (1753) 416; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 612; Колак. Фл. Абх. II (1939) 105; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 240; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 274 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 546; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 329; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 320; Колак. Растит. мир Кол. (1961) 182.

Is.: Фл. СССР I. с. табл. XXXVII, рис. 3, Гроссг. I. с. (1945) табл. I 24, рис. 1—1a.

Exs.: Fl. cauc. exs. n° 357.

⊙. მთელი მცენარე შებუსვლია გრძელი, მარტივი და მოკლე გირკვალა ბეწვით; ღერო მრავალია, აღმავალი, დატოტვილი ან მარტივი. 7—30 სმ სიმაღლის; ქვედა ფოთლები ნიჩბისებრია, წვერში მომრგვალებული ან მობლაგვო, ერობაშად წაგრძელებული წვეტით, ძირისკენ ყუნწად წაგრძელებული; ზედა ფოთლები მოგრძო-ნიჩბისებრია, წაგრძელებული ლანცეტა, მოსქო, წაწვეტებული, კენწრული ფოთლები ვიწრო-ლანცეტაა. ყვავილენი ცალგვერდა, წაგრძელებული მტევანია; ყვავილები სხედან ძლიერ დამოკლებულ ყუნწებზე, რომლებიც ნაყოფობისას გადახრილია; თანყვავილები ბალახისმაგვარია, ლანცეტა-ხაზური; ჯამი სივრცით 8 მმ-მდეა, მილისებრი, ცოტათი გამობერილი, განსაკუთრებით ნაყოფობისას, ნათლად შესამჩნევი 10 ძარღვით და მახვილი კბილებით; გვირგვინის ფურცლები ჯამზე გრძელია, თეთრი ან მეწამული ფერის, წვერში ოდნავ ამოკვეთილი, თანაგვირგვინიანი; მტვრიანათა ძაფები ქვედა ნაწილში ბეწვებიანია. კოლოფი თითქმის მჯდომარეა, კვერცხისებრი. IV—VI. $2n=24$.

აწერილია საფრანგეთიდან; ტიპი იხაზება ლონდონში.

იზრდება სილნარებზე, მდინარეების ნაპირებზე, ბაღებსა და ნათესებში როგორც სარეველა.

საქ. სსრ.: 1 — აფხ.: ბიჭვინთა, ფიჭვნარი (ღვინიანიძე); სოხუმი (ღვინიანიძე; მედვედევი; რადე; კენიგი); 4 — სამეგრ.: სენაკი, ფოთი (შიშკინი); 5 — იმერ.: ქუთაისი; (მედვედევის ჰერბარიუმი), 7 — აჭარ.: ქობულეთი (ზედელმეიერი); მდ. სალიბაური (მაყაშვილი); ბათუმის მიდამოები (პასტუხოვი; სმირონოვი; სერებროვსკი, რადე, კენიგი); ბათუმის ბოტანიკური ბაღი (დმიტრიევა); ბათუმი, მარადიდი (გროსჰეიმი). 12 — კახ.: ლაგოდეხის მიდამოები, მდ. ლაგოდეხის ხევის სილიან ნაპირზე (ოჩიაური).

სსრკ.: ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ.: აზერბ. (ლენქორანი).
საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.;
ვკვებება თითქმის მთელ მსოფლიოში როგორც გზადმოყოლილი.

Sect. 15. Erecto-refractae Chowdh. Notes Roy. Bot. Gard. Edinb. XXII, 3 (1957) 247; Coode and Cullen in Davis Fl. Turkey 2 (1967) 234.

ყვავილები ფარჩხატ დიქაზიუმადაა შეკრებილი. ჯამი შებუსვილია, ნაყოფობისას წვერში შევიწროებული.

32. *S. pendula* L. Sp. Pl. (1753) 418; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 412; Boiss. Fl. Or. I (1867) 590; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 412; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 614; Колак. Фл. Абх. II (1939) 105; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 240; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 274 (georg.); Колак. Растит. мир Колх. (1961) 182; Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 234.

Is.: Reichb. Ic. Fl. Germ. 6 (1844) t. 279, f. 5070.

⊙ ან ⊙. მცენარე ქვედა ნაწილში შებუსვილია რბილი, სწორმდგომი, ზედა ნაწილში ჭირვლოვანი ბეწვებით; ღეროები 10—35 სმ სიმაღლისაა, ძირიდანვე წამოწეული, დატოტვილი; ფოთლები წაგრძელებულ-ელიფსური, მომახვილო, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული ყუნწად. ყვავილები შეკრებილია წაგრძელებულ ცალგვერდა მტეენისმაგვარ ყვავილედად ღეროებისა და ტოტების წვერში; ყვავილის ყუნწი გადახრილია, წაგრძელებული ან დამოკლებული; თანაყვავილები ბალახისმაგვარია, პატარა ზომის, ლანცეტა; ჯამი კასრისებრ გაფართოებულია, ნაყოფობისას გამობერილი, 13—15 მმ სიგრძის, 10 მკვეთრად ამოწეული მწვანე ძარღვით, მათ შორის სიფრიფანათი, ხასიათდება კვერცხისებრი, ბლავვი, კიდებზე სიფრიფანა კბილებით, ძარღვების გაყოლებასზე მოკლე ჭირკვლოვანი ბეწვით; გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია, ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელი; გვირგვინის ფურცლის ფირფიტა ამოკვეთილია, ძირთან აქვს თანაგვირგვინის წაგრძელებული ბლავვი ნაკვეთები; ფრჩხილები შიშველია, ოდნავ გაფართოებული; მტერიანათა ძაფები შიშველია. კოლოფი კვერცხისებრია, მოთავსებული 3—5 მმ სიგრძის შიშველ კარბოფორზე. VI.

აწერილია კრიტოსიდან და სიცილიიდან. ტიპი ინახება ლონდონში.

იზრდება ბაღებსა და ტყეებში დას. საქართველოს დაბლობ ზოლში.

საქ. სსრ.: 1 — აფხ.: სოხუმი, (ალბოვი, რადე, კენიგი, შიშკინი). 4 — საგვერ.: ფოთი (რადე).

სსრკ.: იმიერკავკ. (სტავროპოლი); ევრ. ნაწ.

საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.; როგორც კულტურული და გზადმოყოლილი მითითებულია შუა ევროპისათვის.

Sect. 16. Conoimorpha Otth. in DC. Prodr. I (1824) 371; Chowdh. Notes Roy. Bot. Gard. Edinb. XXII, 3 (1957) 248; Coode and Cullen in Davis Fl. Turkey 2 (1967) 239. — Sect. Conosilene Rohrb. Monogr. Silene (1868) 67, 89. — Subgen. Conosilene (Rohrb.) Williams Journ. Linn. Soc. XXXII (1896) 25.

ერთწლოვანი მცენარეებია. ყვავილები დიქაზიუმებადაა შეკრებილი. ჯა-

მი შებუსხვილია, 20—60 ძარღვიანი, ანასტომოზები არ აქვს, ნაყოფობისას წვერში შევიწროებული.

33. *S. conoidea* L. Sp. Pl. (1753) 418; DC. Prodr. I (1824) 371; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 314; Boiss. Fl. Or. I (1867) 580; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 403; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 690; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 235; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 288 (georg.); Гроссг. Определ. раст. Кавк. (1949) 545; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 322; Макашвили, Фл. окр. Тбилиси I (1952) 194 (georg.); Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 151; Колак. Растит. мир Колх. (1961) 181; Chater and Walters in Fl. Europ. I (1964) 181; Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 241; Тахт., Фед., Фл. Еревана (1972) 76; Харадзе в Определ. раст. Груз. II (1969) 233 (georg.). — *Cucubalus conoides* Lam., Fl. Fr. 3 (1773) 27.

ლ.: Фл. СССР I. с. табл. XXXV, рис. 2; Гроссг. I. с. (1945) табл. 23, рис. 2—2а; Фл. Арм. I. с. табл. XLVIII; Fl. Turkey I. с. Fig. 6. p. 191.

⊙. მცენარე სქლად არის შებუსხვილი წვრილი, მწოლარე, უპირატესად ზედა ნაწილში ჭირკვლოვანი ბეწვით; ღეროები დატოტვილია, 25—60 სმ სიმაღლის; ფოთლები დიდი ზომისაა, ლანცეტა, წაწვეტებული. ყვავილები თითო-თითო ან ქმნის ცოტაყვავილიან მტევნისებრ ყვავილედს, კენწრულს ან ილლიურს; თანაყვავილები ბალახისნაირია, ლანცეტა, გრძლად წაწვეტებული; ყვავილის ყუნწი იშვიათად აღემატება ჯამს; ჯამი ძირში გაფართოებულია, წვერისკენ თანდათანობით შევიწროებული, 30-ძარღვიანი, გრძელი სადგისისებრი კბილებით, 18—35 მმ სიგრძის, ნაყოფობისას ქვედა ნაწილში ძლიერ გამობერილი; გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია ან მოწითალო; ჯამზე ცოტათი გრძელი, მთლიანი ან ოდნავ ამოკვეთილი ფირფიტით და ფოჩისებრ ჩაჭრილი თანაგვირგვინით; ფრჩხილები შიშველია, ზევითკენ ოდნავ ყურისებრ-გაფართოებული; მტვრიანათა ძაფები იწიში ბეწვიანია. კოლოფი მოთავსებულია ძალიან დამოკლებულ კარპოფორზე, მსხლისმაგვარია, წვერისკენ წაგრძელებული და შევიწროებული ან დოქისებრია, მისი ქვედა ნაწილი თითქმის სფერულია, და ერთბაშად გადასული ყელად. თესლები თირკმლისებრია, ზურგზე ღარივით, ზედაპირზე ბლაგვბორცვიანი (სურ. 23,1); IV—V. $2n=20$

ტიპი აწერილია ესპანეთიდან, ინახება ლონდონში (Hb. Linn. 583/29).

იზრდება ქვიან ფერდობებზე, ნათესებში, საცხოვრებელი ადგილების მახლობლად როგორც სარეველა.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: ბორჯომის მიდამოები, პეტრეს-ციხესთან (კოზლოვსკი); თბილისი, (ოვერინი) თბილისის მიდამოები, საგურამოს ქედი (ზედელმეიერი); 15 — გარდაბ.: ყარაიაზი (ფომინი); 18 — ჯავახ.: ტაბაწყურის ტბასთან (კოზლოვსკი; გროსჰეიმი); ბაკურიანი (კოზლოვსკი); ხონჩალი-დალი. (ზედელმეიერი) 19 — მესხ.: ასპინძის ვაღმა (ქიქოძე).

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ.; სომხ.; შუა აზ.

საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მზრ.; მც. აზ.; ცენტრ. აზ.

34. *S. conica* L. Sp. Pl. (1753) 418; Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 340; DC. Prodr. I (1824) 371; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 314; Boiss. Fl. Or. I (1867) 578; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 403; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 690; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 234; Харадзе во Фл. Груз. III (1947).

287 (georg.); Колак. Растит. мир Колх. (1961) 181; Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 240; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 233 (georg.).—*S. subconica* Friv. = *S. conica* non L. auct.: Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 545; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 322; Макашвили Фл. окр. Тбилиси I (1952) 194 (georg.); Шинк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 151.

Is.: Фл. СССР I. с. табл. XXV, рис. 1; Гроссг. I. с. (1945) табл. 23, рис. 1—1a; Fl. Turkey I. с. Fig. 6, p. 191.

Exs.: Herb. Pl. Ross. n° 2975; Fl. cauc. exs. n° 342.

⊙. მთელი მცენარე სქლად არის შეზუსვილი წვრილი მარტივი ბეწვით; ღეროები მარტივია, უფრო იშვიათად დატოტვილი, 4—35 სმ სიმაღლის, ფესვ-თანური ფოთლები მოგრძო-ნიჩბისებრია, ადრე ხმება; ღეროსეული ფოთლები ხაზურია ან ლანცეტისმაგვარ-ხაზური, მომანგილო. ყვავილები თითო-თითო ან რამდენიმე ერთადაა მოთავსებული ღეროს წვერზე, უფრო იშვიათად ჯგუფჯგუფად არის მოთავსებული ფოთოლთა იღლიებში; თანაყვავილები კვერცხისებრია; ჯამი მოგრძოა, ძირში გაფართოებული, წვერისკენ შევიწროებული, გრძლად წაწვეტებული კბილებით, ნაყოფობისას ქვედა ნაწილში გამობერილი; 30-ძარღვიანი, 10—15 მმ სიგრძის; გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია, მოწითალო ან თეთრი, ჯამზე 1/2-ით გრძელი; გვირგვინის ფურცლის ფირფიტა 1/4-მდეა ჩაჭრილი, ხასიათდება თანაგვირგვინის წაგრძელებული ნაკვთებით; მტკრიანათა ძაფები ძირში ბეწვიანია. კოლოფი მჯდომარეა, კვერცხისებრი, ზემოთკენ თანდათან შევიწროებული. თესლები თირკმლისებრია, 0,8 მმ სიგრძის, ზედაპირი ბლაგვბორცვიანი, ბორცვები დაკბილული ფუძეებით. IV—VII. (სურ. 23,2).

აწერილია ესპანეთსა და საფრანგეთიდან, ტიპი დაცულია ლონდონში. (Hb. Linn 583/30).

იზრდება მშრალ ფერდობებზე, გზების მახლობლად, მდინარის სანაპირო სიღებზე; ხშირია როგორც სარეველა.

საქ. სსრ.: აჭარ.: ბათუმის (ალექსეენკო, ვორონოვი); 9 — ქართ.: ატენის ხეობა (ქიქოძე; შიო-მღვიმი (შიშკინი); საგურამო (გროსპეიმი) თბილისის მიდამოები: მცხეთა (ვოლკოვი, სოსნოვსკი); თელეთის ქედი (სოსნოვსკი; არხიპიანი, ზედელმეიერი); თბილისი (მედვედევის ჰერბარიუმი; პაგირევი, სმირნოვი); თელეთის სატყეო (კაფიევი); ევრეს ხეობა (შიშკინი); ბოტანიკური ბაღის მიდამოები; თბილისის ზღვის მიდამოები; ვაკის პარკი, მშრალი ქვიანი ფერდობები; შავნაბადას აღმ. ფერდობი; კოჯორი, ჭორ-ოღლი (ლვინიანიძე); 15 — გარდაბ.: ყარაიანი (სტაროსელსკი); 19 — მესხ.: აწყური (კოზლოვსკი); მტკვრის მარცხენა ნაპირი, სლესის ციხის ნანგრევებთან, მშრალ ფერდობზე (ხინთიბიძე, ლვინიაშვილი); სოფ. ღვირის მახლობლად (ხინთიბიძე).

სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: ახერბ., სომხ.; ევრ. ნაწ. (შავი ზღვის სანაპ.); ყირიმი; შუა აზ.

საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ., მც. აზ.; არმ.-ქურთ.,



ყვავილები ორქესიანია, შეკრებილი ნახევარქოლგებად. ჯამი შეზრდილია ზარისებრი, 5-კბილიანი, გამობერილი. გვირგვინის ფურცლები ორადან რილი. მტკრიანა 10-ია; მტკრის მარცვლი სფეროსებრია ლარსმოკლებული, მრავალი (18—20) გაფანტული ფორით, ფორის მემბრანა წერტილოვანია, ეგზინის ზედაპირი წვრილობორცვიანია. სვეტი 3; კოლოფი სფეროსებრია, 1-ბუდიანი, შეიცავს მრავალ, თირკმლისებრ მუქ მურა ან შავი ფერის პრილა თესლს. — მრავალწლოვანი მცენარეებია.

მონოტიპური გვარია, მიეკუთვნება მხოლოდ 1 სახეობა, გავრცელებულია ევროპასა და ზოგჯერ აზიაში (იაპონია) და ჩრდილო დას. აფრიკაში.

1. *C. baccifer* L. Sp. Pl. (1753) 414; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 333; Boiss. Fl. Or. I (1867) 657; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 417; Горшкова во Фл. СССР VI (1936) 729; Колак. Фл. Абх. II (1939) 109; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 261; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 293 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 553; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 351; Колак. Растит. мир Колх. (1951) 176. — Walters in Fl. Europ. I (1964) 181; Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 242; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1967) 242 (georg.).

Is.: Фл. СССР 1. с. XIV, рис. 5; Гроссг. 1. с. (1945) табл. 7, рис. 7—7а.

2. ღეროები მწოლარეა და წამოწეული, 50—200 სმ სიმაღლის, ხასიათდება ცოტათი ან თითქმის ჰორიზონტალურად გადახრილი ტოტებით, ფოთლები კვერცხისებრია, კვერცხისებრ-ლანცეტა ან ელიფსური, მახვილი, კიდეშლიანი, ძირისკენ შევიწროებული მოკლე ყუნწად, გაბნეულბეწვიანი ან შიშველი, კიდეებზე მოკლეწამწამებიანი. ყვავილები მოთავსებულია ღეროების წვერში ან ტოტების ბოლოებზე 1—3 რაოდენობით და ქმნის ფარჩხატ ყვავილედს; ჯამი ზარისებრია, მომწვანო, შიშველი, 5 ფართო სამკუთხა და მახვილწვერიანი კბილთ, არამკაფიოდ გამოსახული 10 ძარღვით, ანასტომოზებით, ნაყოფობისას გაფართოებული, ქვევითკენ გადახრილი; გვირგვინის ფურცლები მომწვანო-თეთრია და ხასიათდება ღრმად ორად ჩაჭრილი ფირფიტით, რომელიც თანდათანობით შევიწროებულია ფრჩხილად. კოლოფი სფეროსებრია, მოთავსებული დამოკლებულ კარპოფორზე, უხსნელი, მომწიფებისას რამდენადმე ხორცოვანი და კენკრასებრი. მომწვანო-მიხაკისფერი ან მუქი მურა ფერის თესლები თირკმლისებრია. VI—VIII.

აწერილია ევროპიდან, ტიპი დაცულია ლონდონში (Hb. Linn. 582/1).

იზრდება ტენიან დაჩრდილულ ადგილებში, ბუჩქნართა შორის, მდინარეთა ნაპირების გაყოლებით ტყის სარტყელში.

საქ. სსრ: 1 — აფხ. კოლაკოვსკის მოყავს (1. ს. 1939) ლავოვსკის მიერ შეგროვილი მასალის მიხედვით; 4 — სამეგრ.: ხარაძის მიხედვით (1. ს. 1969); 9 — ქართ.: გორის რაიონი, სოფ. ხიდისთავი (ქიქოძე); 12 — კახ.: გომბორი

* ღამუშაეა ზ. ღვინიათქემ.



(ტროფიმოვი); ყვარელი, ნეკრესი (მენტეშაშვილი); 14 — გარე კახ.: ლავტაძე-ნაწილი
ნი (მლაკოსიევიჩი).

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; აზერბ.; ევრ. ნაწ.; დას. ციმბ.; შუა აზ.;
შორ. აღმ. მზრ.

საერთო გავრცელ.: შუა და სამხრ. ევრ.; ირ.; ცენტრ. აზ.; აღმ. აზ.;
ჩრდ.-დას. აფრ.

სამეურნეო მნიშვნელობა: ნაყოფები შხამიანია.

გვპრი 22. GYPSOPHILA L. — წინწაბაბა*

ყვავილები საგველასებრია, ფარისებრი, ან თითქმის თავაკისებრი. ჯამი შეზ-
რდილია, უკუკონუსური, ზარისებრი, 5-ძარღვიანი და 5- კბილიანი, ძარღვებს
შორის სიფრიფანა. გვირგვინის ფურცლები 5-ია, თავისუფალი, მთლიანი ან
ამოკვეთილი ფირფიტით, თეთრი ან ვარდისფერი, თანაგვირგვინი არ აქვს. სვე-
ტი 2, მტვრიანა 10. მტვრის მარცვალი სფეროსებრია, ლარსმოკლებული, გა-
ფანტული 12, უფრო იშვიათად 8—10 ფორით; ფორი ფართო არხითაა, ფორის
მემბრანა ბორცვოვანია; ეგზინის ზედაპირი მსხვილბორცვიანია. კოლოფი
სფეროსებრია ან კვერცხისებრი, ერთბუდია, იხსნება შუამდე ან უფრო
ღრმად 4 საგდულით. — მრავალწლოვანი ან ერთწლოვანი მცენარეებია.

ევროპაში, დას. და ცენტრ. აზიაში გავრცელებულ 140 სახეობიდან კავკა-
სიაშია 28, საქართველოში—10.

1. სქელკორდიანი, მრავალწლოვანი მცენარეა 2
— ღერო მარტოულია ან რამოდენიმე. მცენარე მკვრივკორდიანი არ
არის. 3
2. ღეროს ძირთან ხმელი ფოთლების ნარჩენებია და მრავალი უნაყოფო
შემოკლებული ყლორტია განვითარებული. საყვავილე ღერო 10—20
სმ სიმაღლისაა, ყველა ფოთოლი ვიწრო-ხაზურია, ყვავილენი ფარისე-
ბრ-საგველასებრია, უფრო იშვიათად თითქმის თავაკისებრი
. 6. **G. tenuifolia** Bieb.
— კორდი უფრო ფარჩხატი. ღერო 30—40 სმ სიმაღლის. ყვავილენი
თითქმის თავაკისებრია; ჯამი 5—6 მმ სიგრძის; გვირგვინი თეთრია
. 7. **G. Steupii** Schischk.
3. ერთწლოვანი მცენარეა 4
— მრავალწლოვნებია, ყვავილის ყუნწი არ არის ძაფისებრი, ჩვეულებ-
რივ იმდენად წაგრძელებული არ არის, ან თუ ყვავილის ყუნწი ძა-
ფისმაგვარია, მაშინ ყვავილენი მრავალყვავილიანი არ არის 5
- 4 სრულიად შიშველი მცენარეებია თითქმის ძირიდანვე დატოტვილი
ღეროთი, 20—50 სმ სიმაღლის. ყვავილენი ფარჩხატი, გაშლილი,
მრავალყვავილიანი საგველა; ყვავილის ყუნწი ძალიან წაგრძელებუ-
ლია, ძაფისმაგვარი; ჯამი 3—8,5 მმ სიგრძისაა 8. **G. elegans** Bieb.
— 5—20 სმ სიმაღლის მცენარეა. ქვედა ნაწილში მოკლედ შებუსხვილი,
ჯამი 3 მმ-მდეა სიგრძისა 10. **G. muralis** L.

* დამუშავა ზ. ლეინიანძემ.



- 5. სრულიად შიშველი მცენარეა, უფრო იშვიათად ოდნავ შებუს-
ვილი ქვედა ფოთლებით.
- მთელი მცენარე ან მისი ნაწილები ჩვეულებრივ შებუსვილია ჭირკვე-
ლოვანი ბეწვით 7
- 6. შიშველი ან მხოლოდ ქვედა ნაწილში ოდნავ შებუსვილი მცენარეა 40
—100სმ სიმაღლის, დატოტვილი ღეროებით. ყვავილები ორსქესიანია
ან ერთსქესიანი, ორსახლიანი, მრავალი, შეკრებილი გაფარჩხულ-
ტოტებიან, სფეროსებრ ყვავილედად; ჯამი 3—3,5 მმ სიგრძისა
- სრულიად შიშველი პატარა მცენარეა, 10—25 სმ სიმაღლის. ყვავილედ
ფარჩხატია, საგველა, არამრავალყვავილიანი, ჯამი 3,5—4 მმ სიგრძისა
. 9. **G. silenoides** Rupr.
- 7. უმთავრესად ქვედა ნაწილში ცოტად თუ მეტად ჭირკვლოვან ბუსუ-
სებიანი მცენარეა 8
- ღეროები ზედა ნაწილში ჭირკვალაბუსუსებიანია 9
- 8. მთელი მცენარე სქლად არის მოფენილი ჭირკვალა ბუსუსებით; ღერო-
ები 10—20 სმ სიმაღლისაა, აღმავალი ან გართხმული, დატოტვილია;
ფოთლები ვიწროა, 2—3 მმ სიგრძის, ყვავილები თითო-თითოა, კენწრუ-
ლი და ილიური 1. **G. glandulosa** (Boiss.) Walp.
- უმთავრესად ქვედა ნაწილში სქელი წვრილი ჭირკვალა ბუსუსებით და-
ფარული მცენარეა; მაღალი 40—100 სმ სიმაღლის ღეროთი, დიდი
ზომის 1 1/2-სმ სიგრძის ფოთლებით 5. **G. robusta** Grossh.
- 9. ყვავილეთი ფარისმაგვარია; ყვავილები მოკლეყუნწიანია
- 3. **G. acutifolia** Fisch. ex Sprengel
- ყვავილეთი საგველაა; ყვავილები უფრო გრძელყუნწიანებია
- 4. **G. Stevenii** Fisch. ex Schrank.

Sect. 1. Heterochroa (Bunge) Schischk. во Фл. СССР VI (1936) 738.—
Gen. Heterochroa Bunge in Ledeb. Fl. Alt. II (1830) 131.— Divisio Hetero-
chroa (Bunge) Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 291.

დაბალი, სქლად შებუსვილი მრავალწლოვანი მცენარეებია, პატარა ზო-
მის ფოთლებით. ყვავილეთი 1—20 ყვავილით. ჯამი ზარისებრია.

1. **G. glandulosa** (Boiss.) Walp., Rep. Bot. Syst. 2 Suppl. 1
(1843) 774; Boiss. Fl. Or. I (1867) 539; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 420;
Шишк. во Фл. СССР VI (1936) 738; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 264;
Харадзе во Фл. Груз. III (1947) 295 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк.
(1949) 554; Huber-Morath in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 164; Харадзе в Оп-
ред. раст. Груз. II (1969) 241. — Heterochroa glandulosa Boiss., Diagn. ser.
1 (1843) 15.

24. ჭირკვალა ბუსუსებით სქლად დაფარული მცენარეა, წამოწეული ან
გართხმული, 10—20 სმ სიმაღლის, დატოტვილი ღეროებით; ფოთლები მოგ-
რძო ხაზურია; ქვედა ფოთლები ნიჩბისებრია, ბლავეწვერიანი, ძირისაკენ
წარზიდული, 2—3 მმ სიგრძის. ყვავილები კენწრულია და ილიური; ყვავი-
ლის ყუნწი ჯამის ტოლია ან 1 1/2-ჯერ აღემატება მას, ყვავილობის ბოლოსა-
თვის ქვევითკენ იხრება; თანაყვავილები ბალახოვანია: ჯამი ფართო ზარისებ-



რია, 5—6 მმ სიგრძის, ნახევარზე უფრო ღრმად ჩაჭრილი და დაყოფილი მახვილ, სამკუთხა ნაკვეთბად; გვირგვინის ფურცლები ვარდისფერ-მეწამულფერისაა, წვერში ამოკვეთილი, ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელი. კოლოფი ცოტათი აღემატება ჯამს. VII—VIII.

აწერილია ლაზეთიდან. Typus: «Hab. in alpinis Lazistani, Aucher 630».
დაცულია ყენევაში.

იზრდება ღორღიან ჩამონახვავებზე სუბალპურ ან ალპურ სარტყელში.

საქ. სსრ: აჭარაში პოვნა შესაძლებელია.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: სახეობა *G. glandulosa* ა. გროსპეიმს მოყავს (I. c. 1945) აჭარისათვის (Б. Карчхал, Карчхал Савашия); ხოლო ბ. შიშკინს (I. c.) გარდა აღნიშნულისა — ნაკრას სათავეებისათვისაც (სვანეთი), თუმცა ა. ხარაძე (I. c. 1947) ამ მითითებას საეჭვოდ მიიჩნევს. ჰუბერ-მორათის მიერ (I. c.) აღნიშნული სახეობა თურქეთის ფლორის ენდემადაა მოყვანილი.

Sect. 2. Paniculiformes Williams, Jour. Bot. (London) 27 (1889) 324; Barkoudah, Meded. Bot. Mus. Herb. Rijksuniv. Utrecht 188 (Wentia 9) 40. — Sect. Eugypsophila Boiss. p.p. nom. illegit; Шишкин во Фл. СССР VI (1936) 747 p.p.

მაღალი, ძლიერ დატოტვილი, მრავალწლოვანი მცენარეებია. ყვავილენი ფარჩხატი საგველა; ჯამი ზარისებრია.

2. *G. bicolor* (Freyn et Sint.) Grossh. Вестн. Тифл. Бот. Сада вып. 46—47 (1919) 60; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 423; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 749; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 266; Харაძე во Фл. Груз. III (1947) 295 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 555; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 354; Макашвили, Фл. окр. Тбилиси, I (1952) 201 (georg.); Шишк. во Фл. Арм. 2 (1956) 171; Huber-Morath in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 157. — *G. paniculata* L. subsp. *bicolor* Freyn et Sint. Bull. Herb. Boiss. ser. 2, 3 (1903) 864;

Ис.: Гроссг. I. c. (1919) табл. VI, Гроссг. I. c. (1945) табл. 27, рис. 11—11с; Фл. Арм. I. c. табл. II.

Exs.: Pl. or. exs. n° 303.

2. ძირიდანვე გაფარჩხულად დატოტვილი ლევა, შიშველი ან მხოლოდ ქვედა ნაწილში ჯირკვალა ბუსუსებით ოდნავ დაფარული 40—100 სმ სიმაღლის მცენარეა; ფოთლები წვარვლებულ-ლანცეტაა, მომახვილო, 3—6 სმ სიგრძის და 4—15 მმ სიგანის. ყვავილენი მრავალყვავილიანია, ფართოდ გაშლილი საგველას სახით, მოხაზულობით თითქმის სფეროსებრი; თანაყვავილები პატარა ზომისაა, ლანცეტა, კიდეებზე თეთრ-სიფრიფანა, ზურგის მხარეზე თეთრი კრისტალური ნაფიფქით; ჯამი 1,5—2,5 მმ სიგრძისაა და აქვს 5 მუქი ზოლი; ზოლებს შორის თეთრ-სიფრიფანაა, თეთრი კრისტალური ნაფიფქით; ჯამი თითქმის შუამდე ჩაჭრილია მომრგვალო, კიდეებზე ფართო-თეთრ სიფრიფანა ნაკვეთბად, რომლებიც ჩვეულებრივ ერთმანეთზეა გადაწყობილი; ყვავილის ყუნწი წვრილია, შიშველი, ჯამზე 2—3-ჯერ გრძელი; გვირგვინის ფურცლები გრძელია, ჯამზე 1,5—2-ჯერ გრძელი. კოლოფი კვერცხისებრია. VI—VIII.



აწერილია კასპიისპირეთიდან (Transcaspica).

შედის ველის, ნახევრად უდაბნოსა და ნათელი ტყეების სარტყლის (სამცხეთა-მთიანეთის რაიონების მთიანეთის მხარე); იზრდება აგრეთვე მშრალ, ღია ფერდობებზე ტყის ქვედა სარტყელში, უფრო იშვიათად ნათესებში.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: თბილისი (პავიერევი; პასტუხოვი); მცხეთა-ნატახტარის მიდამოები (კაფიევი; საგურამო (შიშკინი); ლისის ტბის მიდამოები (ქუთათელაძე); მცხეთა (გროსპეიმი, შიშკინი); თბილისი, მდ. დაბახანის მარცხენა ნაპირი (შტეპა); 12 — სახ.: მდ. იორის ველი (ყანჩაველი); გროსპეიმის მიხედვით 1. ც. (1919); 14 — გარე კახ.: გარეჯი (ტროიცი); შირაქის ველი (ზედელმეიერი).

სსრკ: ამიერკავკ.: აზერბ.; სომხ.; შუა აზ.

საერთო გავრცელ.: არმ.-ქურთ.; ირ.

სამეურნეო მნიშვნელობა: ფესვები შეიცავენ საბონინს. იძლევიან ქაფს და გამოიყენებიან ლუდისა და შუშუნა სასმელების დამზადებისას. თავლოვანი მცენარეა. ასავერელიანებს ნათესებს.

3. *G. acutifolia* Fisch. ex Sprengel, Novi Provent. (1819) 21; cum auct. Fisch.: DC. Prodr. I (1824) 353; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 295; Boiss. Fl. Or. I (1867) 540; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 422; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 757; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1947) 268; Харадзе во Фл. Груз. (1947) 296 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 555; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 358; cum auct. Steven ex Sprengel Barkoudah and Chater in Fl. Europ. I (1964) 183.

Ис.: Reichb. Ic. Fl. Germ. 6, t. 242, fig. 5004; Гроссг. 1. с. (1947) табл. 28, рис. 2—2в.

Exs.: Herb. Fl. Ross. n° 9.

4. მცენარე ღვავა და ხასიათდება ზედა ნაწილში ჯირკვალბუხუსიანი ღეროებით და ყვავილის ყუნწებით; ღერო აღმავალია, დატოტვილი, 20—170 სმ სიმაღლის; ფოთლები ხაზურ-ლანცეტა, მახვილწვერიანი, ძირისაკენ შევიწროებული, ოდნავ ნამგლისებრ-გადაღუნული, 2—8 სმ სიგრძის, 2—15 მმ სიგანის, 3 ძარღვით. ყვავილეთი მრავალყვავილიანია, ფარისებრ-საგველასებრი; თანაყვავილები პატარა ზომისაა, ლანცეტა, სიფრიფანა; ყვავილები მოთავსებულია დამოკლებულ ყუნწებზე, რომლებიც ჩვეულებრივ ჯამს არ აღემატება; ჯამი დაახლოებით 3 მმ სიგრძისაა, ზარისებრი, შიშველი, თეთრ-სიფრიფანა, მუქი ზოლებით, თითქმის შუამდე ჩაჭრილი მოგრძო, მახვილწვერიანი, კიდევზე სიფრიფანა ნაკეთებად; გვირგვინის ფურცლები თეთრია, ჯამზე თითქმის 2-ჯერ გრძელი. კოლოფი კვერცხისებრია, ჯამზე ოდნავ გრძელი. თესლები შავია, 1,5 მმ სიგრძის, ზედაპირზე მახვილი ბორცვებით. VI—VII.

აწერილია პიატიგორსკიდან.

იზრდება ქვიან ფერდობებზე ტყის ქვედა სარტყელში.

საქ. სსრ: ცნობილია ლარსის მიდამოებიდან (გაგნიძე).

სსრკ: იმიერკავკ.: აღმ. ამიერკავკ. (კუბის მთიანი მასივი, კარიჯანი 1. ც) სუბალპური მდელო; ევრ. ნაწ. (როგორც გზადმოყოლილი ყირიმისა და შავი ზღვ. მხრ.).

საერთო გავრცელ.: როგორც გზადმოყოლილი დას. ევრ.

სამეურნეო მნიშვნელობა. მცენარის ფესვები საბონინს შეიცავს ცენკონიუმს

©. 4. **G. Stevenii** Fisch. ex Schrank, *Plantae rarior.* Hort. Acad. Monac. 32 (1819) tab. 32; cum. auct. Fisch.: DC. Prodr. I (1824) 353; Boiss. Fl. Or. I (1867) 540; Гроссг. Фл. Кавк. III (1930) 422; Schischk. in Grossh. A, Sosn. D. et Schischk. B. Fl. Tiflisiensis (1925) 206; idem, во Флоре СССР VI (1936) 758; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 269; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 296 (georg.); Гроссг. Определ. раст. Кавк. (1949) 555; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 358; Макашвили, Фл. окр. Тбилиси, I (1952) 200 (georg.); Шишк. во Фл. Арм. 2 (1956) 171.

Is.: Schrank l. c. tab. 32; Fl. Tiflisiensis l. c. 206; Фл. Груз. I. c. (1947) табл. 124; Макашвили I. c. табл. XXVI.

Exs.: Pl. or. exs. n° 256.

4. ფესვები მსხვილი, 7—15 მმ სისქის. მოლევო მცენარეა ჯირკვალა ბუ-სუსებით მოფენილი ღეროს ზედა ნაწილსა და ყვავილის ყუნწზე, დანარჩენი ნაწილები შიშველია; ღეროები აღმავალია, დატოტვილი, 20—60 სმ სიმაღლის; ფოთლები ხაზურია, მახვილწვერიანი, 2—4 სმ სიგრძის და 1—4 მმ სიგანის, 1-ძარღვით. ყვავილედ ვიწროა და წარმოადგენს არამრავალყვავილიან საგველას; ყვავილის ყუნწი ჩვეულებრივ წაგრძელებულია, უფრო იშვიათად მოკლე, 2—10 მმ სიგრძის; თანაყვავილები პატარა ზომისაა, შიშველი, კვერცხისებრი, მახვილწვერიანი; ჯამი ზარისებრია, 3—3,5 მმ სიგრძის, თეთრი სიფრიფანა, მუქი ზოლებით, შუამდე ჩაჭრილი კვერცხისმაგვარ, მახვილწვერიან, კიდებზე ფართო სიფრიფანა ნაკეთებად; გვირგვინის ფურცლები თეთრია, ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელი. კოლოფი მომრგვალო-კვერცხისებრია, ჯამის ტოლი. თესვები თირკმლისებრია, წვრილობორცვიანი ზედაპირით, 1 მმ-მდე სიგრძის. VI—VII.

აწერილია თბილისის მიდამოებიდან.

იზრდება ველების, ნახევრად უდაბნოსა და ტყის ქვედა სარტყლებში.

საქ. სსრ.: 9 — ქართ.: კასპსა და ივრეთს შორის (სოსნოვსკი, მანდენოვა); მცხეთასა და შიო მღვიმს შორის (შიშკინი); საღგ. ქსანი (ზედელმეიერი); წყნეთის მიდამოები, ახალდაბის ტბასთან (ქუთათელაძე); თბილისი, მახათას მთა (სელევი); თბილისის მიდამოები, ლოჭინსა და რუსთავს შორის (გროსპეიმი, კოლაკოვსკი); თბილისი (ბაიერნი); ბოტანიკური ბაღი (გროსპეიმი); თბილისი, დაბახანის ხეობის ფერდობები (შტეპა); თბილისი, არსენალის მთასთან (სოსნოვსკი); თბილისი, მამადავითის მთა (კაფიევი), თბილისსა და მარტყოფს შორის (გროსპეიმი, კოლაკოვსკი); თბილისი, წავკისთან (გროსპეიმი); თბილისის ფერდობები კოჯრის გზატკეცილთან (შტეპა); თბილისი, ხუდადოვის ტყე (ზედელმეიერი). 13 — ქიზ.:/შირაქი (ზედელმეიერი); 14 — გარე კახ.: გარეჯის ველი (სანაძე); თეთრი უდაბნოს ქედი (ტროიციკი); 15 — გარდ.: ყარაიაზის ტბასთან (ტროიციკი); 19 — მესხ.: ასპინძასა და რუსთავს შორის მტკვრის მარცხენა ნაპირი (ხინთიბიძე); ასპინძის მიდამოები, მტკვრის მარჯვენა ნაპირი (ხინთიბიძე); ახალციხის მიდამოები, საფარის მონასტერთან (ხინთიბიძე); ახალციხე, რუსთავსა და ასპინძას შორის (სოსნოვსკი, კემულარიანათაძე, მანდენოვი); ასპინძა (ქიქოძე); ახალციხის პირდაპირ, მდ. ფო-



ცხოვ-ჩაის მარცხენა ნაპირი (სოსნოვსკი, ქუთათელაძე, მანდენოვა); მტკვრის მარჯვ. ნაპირი რუსთავთან (სოსნოვსკი); ოშორის ქედი, აწყურთან (კონ-ლოვსკი).

სსრკ: ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.

© 5. **G. robusta** Grossh. Вестн. Тифл. Ботан. Сада, вып. 51 (1920) 30; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 422; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 761; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 270; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 297 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 554. — G. Jorae Woron. Not. syst. ex Herb. Hort. Bot. Reipubl. Ross. V, 4 (1924) 62.

Is.: Гроссг. 1. с. (1945) табл. 28 рис. 4—4в, 5—5в.

4. ფესვი ძლიერ გასქელებულია, მძლავრი, აღწევს 100 სმ სიგრძეს; ღეროები ძირიდანვე მუხლისებრ-აღმავალია, ჩვეულებრივ მრავალია, დატოტვი-ვილი, ქვედა ნაწილში სქელი და წვრილ ჯირკვალაბუსუსიანი, ზედა ნაწილში ლეგა ფერის, შიშველი, 40—100 სმ სიმაღლის; ქვედა ფოთლები ელიფსურ-ლანცეტა ან კვერცხისებრ-ლანცეტა, მახვილი წვერით, 10—13 სმ სიგრძის და 2,5—4 [5] სმ სიგანის, ჯირკვალაბუსუსიანი, ზედა ფოთლები უფრო ვიწ-როა, ფართო-ლანცეტა. ყველაზე ზედა ფოთლები ჩვეულებრივ ლეგა ფერი-საა, შიშველი ან კიდევებზე ჯირკვალაბუსუსებიანი; თანაყვავილები შიშვე-ლია, ლანცეტა, გრძლად წაწვეტებული, თეთრ-სიფრიფანა, კიდევებზე წამწა-მებზიანი, წვერში მომწვანო ფერის. ყვავილეთი საგველასებრია, შეკუმშვილი, ზევიტეკნ მიმართული, ნაყოფობისას კი გადახრილი ტოტებით, გაფარჩხული; ყვავილის ყუნწი ჯამზე 3—4-ჯერ გრძელია, წვრილჯირკვლებიანი; ჯამი 2,5—4 მმ სიგრძისაა, შუამდე ჩაჭრილია სამკუთხა ლანცეტა, კიდევებზე ფართო-სიფ-რიფანა მომახვილო ნაკეთებად; გვირგვინის ფურცლები ფართოა, ოდნავ ვარდისფერი, ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელი; წვერში ოდნავ ამოკვეთილია. კო-ლოფი სფეროსებრია, ჯამზე ცოტათი გრძელი. თესლები 1 მმ-მდე სიგრძისაა, მუქი, ზედაპირზე წვრილბორცვიანი. VI—VIII.

აწერილია საქართველოდან. Typus: Tiflis, prope st. Waziani. In rupest-ribus. 6 VII 20; leg. et det. A. Grossheim. დაკულია თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტში (TBI); იზოტიპი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (TGM).

იზრდება ველებსა და ნახევრად უდაბნოების სარტყლებში მდინარის პი-რას ქვიშიანზე, მდინარეთა ტერასების გამიშვლებაზე, ქვიან, კლდიან ფერდო-ბებზე.

საქ. სსრ.: 9 — ქართ.: თეძამის ხეობა, სოფ. ახალქალაქი (ქიქოძე); გო-რის რაიონი, სადგ. სკრის მიდამოები (გროსჰეიმი); 14 — ვარე კახ.: ვაზი-ანის ქვიან ფერდობებზე (სოსნოვსკი); სადგ. იორი, მდინარის პირას (მანდენ-ოვა, ხარაძე).

სსრკ: ამიერკავკ.: აზერბ.

სამეურნეო მნიშვნელობა. მცენარის ნაზ ნაწილებს მსხვილი რქოსანი სა-ქონელი ჭამს.

Sect. 3. *Corymbosae* Barkoudah, Meded. Bot. Mus. Herb. Rijksuniv. Ut-recht 188 (Wentia, 9) (1962) 39. — Sect. *Eugypsophila* Boiss. p.p. nom. ille-git.; Шишкин во Фл. СССР VI (1936) 747 p. p.



მრავალწლოვანი მცენარეებია ფარისებრი ყვავილედით. ყვავილის ყუნწი ჯამზე 2—3-ჯერ გრძელია.

© 6. *G. tenuifolia* Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 319; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 292; Boiss. Fl. Or. I (1867) 539; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 420; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 762; Колак. Фл. Абх. II (1939) 109; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 270; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 297 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 554; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 359; Шишк. во Фл. Арм. 2 (1956) 172; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 322; Колак. Растит. мир Колх. (1961) 177; Huber-Morath in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 154.

Is.: Колак. I. с. (1939) табл. VIII, фиг. 3; Гроссг. I. с. (1945) табл. 28, рис. 6—6в; Фл. Груз. I. с. (1947) рис. 123; Колак. I. с. (1961) рис. 66.

Exs.: Herb. Fl. Ross. n° 1312; Pl. or. exs. n° 134.

4. მეტად სქელკორდიანი, შიშველი მცენარეა, მრავალი დამოკლებული უნაყოფო ყლორტით; საყვავილე ღეროები მრავალია, ქვედა ნაწილში გახვეწილი, ძველი ფოთლების დამპყნარი ნარჩენებით, აღმავალი, 10—30 სმ სიმაღლის; ღეროსეული ფოთლები პატარა ზომისაა, 1 მმ სიგანის ვიწრო-ხაზური, მუხლთშორისებზე მოკლე. ყვავილედები კენწრულია, ფარისებრი, ყვავილები მრავალი არ არის და მოთავსებულია წაგრძელებულ ან დამოკლებულ 3—20 მმ სიგრძის ყუნწებზე; თანაყვავილები პატარა ზომისაა; კვერცხისებრ-ლანცეტა, მახვილწვერიანი, სიფრიფანა; ჯამი ზარისებრია, 4—5 [6] მმ სიგრძის, 1/3-მდე ჩაპრილი სამკუთხა-კვერცხისებრ, კიდევებზე თეთრ-სიფრიფანა ნაკეთებად; გვირგვინის ფურცლები ჯამზე 2—2 1/2-ჯერ გრძელია, ვარდისფერი, უფრო იშვიათად მოთეთრო, წვერში ამონაკეთიანი. კოლოფი ჯამზე ოდნავ გრძელია. თესვები ზედაპირზე წვრილბორცოვანია. VI—VIII.

აწერილია საქართველოდან. Typus: «Habitat in faxis praeruptis circa portas caucasicas. (Kasbek)». დატულია ლენინგრადში. (LE).

იზრდება კლდეებზე, ღორღიან ადგილებში, ხალეებზე ალპურ, უფრო იშვიათად სუბალპურ სარტყელში 3000 მ-მდე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: რესპუბლიკის ყველა მაღალმთიან რაიონში.

სსრკ: იმიერკავკ.: ანიერკავკ.: აზერბ.; სომხ.

საერთო გავრცელ.: თურქეთი.

შ ე ნ ი შ ი ა: ამ სახეობისათვის ხარაძეს საქართველოსთვის (I. с. 1947) მოჰყავს: var. *gracilipes* Woron. — ყვავილოვანი ღეროები სიმაღლით 30 სმ-მდეა. ყვავილედები უფრო მრავალრიცხოვანია, ფარჩხატი საგველასებრია; ყვავილის ყუნწი წაგრძელებულია, ჯამზე 3—4-ჯერ გრძელი, var. *subcapitata* Rupr. — ყვავილოვანი ღეროები სიმაღლით 20 სმ-მდეა. ყვავილედები არ არის მრავალყვავილიანი, ფარისებრ-საგველასებრია ან თითქმის თავაკისებრი; ყვავილის ყუნწი თითქმის ჯამის ტოლია ან ორჯერ აღემატება მას.

სამეურნეო მნიშვნელობა. დეკორატიული მცენარეა.

© 7. *G. Steupii* B. Schischk. Candollea III (1928) 473; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 421; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 762; Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 554; Колак. Растит. мир. Колх. (1961) 178; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 241 (georg.).

4. ფაშარკორდიანი მცენარეა, მრავალრიცხოვანი უნაყოფო ყლორტებითა და 30—40 სმ სიმაღლის საყვავილე ღეროებით. ქვედა ფოთლები ვიწრო-ხაზურია 3—10 სმ სიგრძის, 1,5—2 მმ სიგანის, შიშველი; ღეროსეული 1,5—3 სმ სიგრძის; მუხლთშორისებზე რამოდენიმეჯერ მოკლე, ყვავილენი თითქმის თავაქსებრია; თანაყვავილები კიდეზე ფართო მემბრანითაა. ყვავილის ყუჩუნი 4—6 სმ სიგრძისაა. ჯამი 5—6 სმ სიგრძისაა, თითქმის 1/3 ჩაჭრილი ბლავე კბილბად, კიდეებზე მემბრანით. გვირგვინი თეთრია. გვირგვინის ფურცლის ფირფიტა უკუ-კვერცხისებრია, თანდათანობით შევიწროებული ფრჩხილად, ჯამზე 2-ჯერ გრძელი. VI—VII.

აწერილია მზიმთის ხეობიდან. ტიპი დაცულია ლენინგრადში (LE).
იზრდება კირქვიან კლდეებზე მთის შუა სარტყელში.

საქ. სსრ: 1— აფხ.: მუხაყანის ქედი მზიმთის ხეობაში. კოლაკოვსკის მიხედვით 1. c.

Sect. 4. *Dichoglottis* (Fisch. et Mey.) Boiss. Fl. Or. (1867) 536; Barkoudah et Chater in Fl. Europ. I (1964) 183. — Gen. *Dichoglottis* Fisch. et Mey. Ind. Sem. Horti Petrop. (1835) 25. — Subgen. *Dichoglottis* (Fisch. et Mey) Peterm. Deutschl. Fl. (1846) 72; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 772 cum auct. com. Endl.

ერთწლოვანი ან მრავალწლოვანი მცენარეებია. ყვავილენი ფარჩხატი საგველაა. ყვავილის ყუჩუნი წვრილია, ძლიერ წაგრძელებული.

8. *G. elegans* Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 319; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 290; Boiss. Fl. Or. I (1867) 551; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 418; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 764; Колак. Фл. Абх. II (1939) 109; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 271; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 298; Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 553; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 359 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси, I (1952) 169 (georg.); Шишк. во Фл. Арм. 2 (1956) 172; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 322; Колак. Растит. мир Колх. (1961) 178; Barkoudah and Chater in Fl. Europ. I (1964) 184; Huber-Morath in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 165; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 241; Тахт., Фед. Фл. Еревана (1972) 79.

Is.: Grossh. A., D. Sosnow. et B. Schischk. Fl. Tiflis. I (1925) fig. 84 ad pag. 206; Гроссг. 1. c. (1945) табл. 28, рис. 7.

⊙. შიშველი მცენარეა ძირიდანვე დატოტვილი, 10—50 სმ სიმაღლის ღეროებით, ქვედა ფოთლები მოგრძო-ლანცეტა ან ნიჩბისებრი, მომახვილო, ძირისკენ შევიწროებული, 4—6 მმ სიგანის; შუა და ზედა ფოთლები უფრო ვიწროა, ხაზურ-ლანცეტა ან ლანცეტა. ყვავილენი მრავალყვავილიანია, მეჩხერ საგველასებრი; თანაყვავილები ძალიან პატარა ზომისაა, ლანცეტა, კიდეებზე ან მთლიანად თეთრ-სიფრიფანა; ყვავილის ყუჩუნი წვრილია, ძლიერ წაგრძელებული; ჯამი 2—3,5 მმ სიგრძისაა, ფართო-ზარისებრი, თითქმის შუამდე ჩაჭრილი კვერცხისებრ, მომახვილო, კიდეებზე სიფრიფანა ნაკვეთბად, გვირგვინის ფურცლები მკრთალი ვარდისფერია, მეწამული ფერის ძარღვებით; ჯამზე 2—3-ჯერ გრძელი. კოლოფი სფეროსებრ-კვერცხისებრია, ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელი, თესლები თირკმლისებრ-მომრგვალოა, 1 მმ ზომის, ზედაპირზე კონცენტრულად განლაგებული ბლავე ბორცვებით. V—XI (სურ. 23,3).

აწერილია საქართველოდან. Caucasus, district Tereks Kazbek, Bieberstein. Typus: «Hab. in glareosis torentis Terek, circa portas caucasicas et alpen Kazbek» Bieberstein.

იზრდება ქვიან ფერდობებზე, რიყნარებზე მდინარეთა ხეობებში და ველებზე, ზღვის სანაპიროზე ბუჩქნართა შორის, როგორც სარეველა იზრდება ნათესებში, ველების, ნახევრად უდაბნოსა, ტყისა და სუბალპურ სარტყელში 2000 მ-მდე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ.: მთელ რესპუბლიკაში.

სსრკ.: იმიერკავკ.: ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ.: აზერბ.; სომხ.; ევრ. ნაწ. (ყირიმი და შავი ზღვ. მხრ.).

საერთო გავრცელ.: შუა ევრ. (გზადმოყოლილი); მც. აზ.; არმ.-ქურთ; ირ.

9. *G. silenoides* Rupr. Mém. Acad. Sci. Peterbs. sér. 7, 15, 2 (1869) 182; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 422; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 764; Колак. Фл. Абх. II (1930) 110; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 271; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 299 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 555; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 322; Колак. Растит. мир Колх. (1961) 178; Huber-Morath in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 166; Exs: Pl. or. exs. n° 281.

2. შშველი მცენარეა; ღეროები ძირიდანვე დატოტვილია, 10—25 სმ სიმაღლისაა; ფოთლები ელიფსურია ან მოგრძო-ნიჩბისებრი, წვერში მომრგვალებული ან მომახვილო 2—3,5 მმ სიგანის. ყვავილედ იფარჩხატია, არამრავალყვავილიანი, საგველასებრი; თანაყვავილები ძალიან პატარა ზომისაა, კვერცხისებრი, მახვილწვერიანი, ფართო-სიფრიფანათი; ყვავილის ყუნწი წვრილია, წაგრძელებული; ჯამი ზარისებრია; 3,5—4 მმ სიგრძის, თითქმის შუამდე განკვეთილი ბლაგვ-მომრგვალებულ, ფართო-კვერცხისებრ, კიდეებზე სიფრიფანა ნაკეთებად; გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია, მეწამული ფერის ძარღვებით, ჯამზე 2—3-ჯერ გრძელი, წვერში ამოკვეთილი. კოლოფი კვერცხისებრ-სფეროსებრია, ჯამზე ცოტა გრძელი. თესლები თირკმლისებრ-მომრგვალოა. 1,2 მმ დიამეტრის, ბორცვებიანი ზედაპირით. VI—VIII.

აწერილია საქართველოდან. Typus: «E monte Gor Somlia Adshariae». დაცულია ლენინგრადში (LE).

იზრდება სუბალპურ და ალპურ სარტყლებში, კლდიან და ღორღიან ადგილებში. 1800—2700 მმ.

საქ. სსრ.: 1— აფხ.: აჩირასერა (ალბოვი), სოხუმის რაიონი (ვორონოვი); მდ. ლოშიპსეს ნაპირი მუხომთის სათავეები, ალპური მდელოები (ალბოვი). 2— სვან.: ხარაძის მიხედვით I. c. (1947); 4— სამეგრ.: ტეხურის სათავეები, მთა ჩეგოლას ძირი (კემულარია-ნათაძე. მანდენოვა, ქუთათელაძე, შხიანი); მთა ჩიტა ვველა; მდ. ტეხურის ხეობა; ლებარდე (შიშკინი); 6 — გურ.: ბახმაროს მონაპოვები (მეფერტი); საყორნის ქედი (მედვედევის ჰერბარიუმი; გროსჰეიმი); ბახმარო (გროსჰეიმი; ვაშალომიძე); 5 — იმერ.: რიკოთი; 7 — აჭარ.: არსიანის ქედი, 2350 მ (დმიტრიევა). 19 — მესხ.: აბასთუმანი (ოვერინი); ზეკარი (მედვედევის ჰერბარიუმი); გოდერძის გადასავალი, წითელ კლდეებისკენ, ნაშალეებზე, 2200 მ (ხინთიბიძე, ივანიშვილი).

საერთო გავრცელ.: მც. აზ.; არმ.-ქურთ.

Sect. 5. *Macrorrhizaea* Boiss. Fl. Or. I (1867) 536; Barkoudah et Chater in Fl. Europ. I (1964) 184; Huber-Morath in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 167. — Subgen. *Macrorrhizaea* (Boiss.) Pax et Hoffm. in Engler und Prantl, Nat. Pflanzenfam. 2, 16 c (1934) 354; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 774 sine auct. comb.; Barkoudah, Meded. Bot. Mus. Herb. Rijksuniv. Utrecht 188 (Wentia 9) (1962) 45.

ჯამი მოკლეა, ბლაგვი კბილებით. შებუსვა მარტივია. თესლკვირტი მრავალი.

10. *G. muralis* L. Sp. Pl. (1753) 408; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 288; Boiss. Fl. Or. I (1867) 554; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 418; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 774; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 272; Карягин во Фл. Азерб. III (152) 360.

Is.: Гроссг. l. c. (1945) Табл. 29, рис. 1—1a.

⊙. 5—20 სმ სიმაღლის მცენარეა, მარტოული, ჩვეულებრივ ძირიდან დატოტილი ღეროებით, ქვედა ნაწილში მოკლედ შებუსვილი, ზევით თითქმის შიშველი. ფოთლები ხაზურია 1—2,5 სმ სიგრძის და 1—3 მმ სიგანის, ერთძარღვიანი; ყვავილები შებუსვილ, წვრილ ყუნწებზეა, რომლებიც რამოდენიმეჯერ აღემატებიან ჯამს. ჯამი 3 მმ-მდე სიგრძისაა, 1/4-დე ჩაჭრილი ბლაგვ ნაკვეთებად. გვირგვინი ჩვეულებრივ ჯამზე ორჯერ გრძელია; კოლოფი მოგრძო-კვერცხისებრია, თესლი მრავალია, ბორცვიანი ზედაპირით, 1 მმ-დე დიამეტრის. V—VII.

აწერილია შვეციიდან. ტიპი დაცულია ლონდონში (Hb. Linn. 579/18).

იზრდება გზებისა და საცხოვრებელი ადგილების მახლობლად.

საქ. სსრ. 17 — ქვ. ქართ.: მარნეულის მახლობლად (მარდალეიშვილი).

სსრკ: ევრ. ნაწ.; დას. ციმბ., აღ. ციმბ., შორ. აღმ.

საერთო გავრცელ.: შუა და ატლ. ევრ., ხმელთაშუაზღვ. მხრ., ბალკ., მც. აზ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : საქართველოსთვის სახეობა პირველად მოგვყავს თ. მარდალეიშვილის მიერ შეგროვილი მასალის მიხედვით. «*Georgia orientalis*. Ad ripam fluminis sinistram Algethi, prope urbem Marneuli 430 mt. s. m. Leg. et Determ: T. Mardaleischvili».

გვარი 23. PETRORHAGIA (SER. EX DC.) LINK*

ყვავილები შეკრებილია საგველასებრ ყვავილედად. ჯამი შეზრდილია, ძირში 5-კბილიანი სიფრთხანა თანაყვავილების ორი წყვილით. გვირგვინი 5 ფურცლიანია, ფირფიტა მთლიანია ან ოდნავ ამოკვეთილი, ფრჩხილად შევიწროებული, უთანაგვირგვინო, სვეტი 2, მტვრიანა 10. მტვრის მარცვალი სფეროსებრია, ღარსმოკლებული, გაფანტული 12 ფორით, ფორის მემბრანა და ეგზინის ზედაპირი რთულბადისებრია. კოლოფი იხსნება 4 კბილით ან ზოგჯერ თითქმის ძირამდე იხსნება 4 საგდულით. ფოთლები მოპირისპირეა, უთანაფოთლო, ხაზური ან ხაზურ-სადგისისებრი. — ერთ, ორ ან მრავალწლოვანი მცენარეებია.

* ლამუშავა ზ. ლენინინძემ.



საქართველოში მხოლოდ 1 სახეობა გვხვდება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ბოლმა და ჰეიუდმა ძლიერ გააფართოვეს გვარ *Petrargia* (= *Tunica auct.*) საზღვრები, სექციების სახით შეიყვანეს მასში გვარები *Kohlrauschia* და *Fiedleria*, რომელსაც პ. ოვჩინიკოვი (П. Н. Овчинников во «Флоре Таджикской ССР, III, 1968), დამოუკიდებელ გვარად განიხილავს. საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს.

I. P. saxifraga (L.) Link, Handb. 2 (1831) 235; Ball in Fl. Europ. I (1964) 187; Coode et Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 134;— *Dainthus saxifraga* L. Sp. Pl. (1753) 413; Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 322; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 287. — *Tunica saxifraga* (L.) Scop. Fl. Carn. II, 1 (1772) 309; Boiss. Fl. Or. I (1867) 519; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 424; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 777; Колак. Фл. Абх. II (1939) 110; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 274; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 299 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 555; Ахундов во Фл. Азерб. III (1952) 361; Макашвили, Фл. окр. Тбилиси, I (1962) 201 (georg.); Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 178; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 322;

Ис.: Reichb. Ic. Fl. Germ. 6 (1844) tab. 247, f. 5006; Hegi III. Fl. Mitt.-Eur. III (1909) tab. 102, f. 2; Фл. СССР I. с. табл. LV, p. 6; Гроссг. I. с. (1945) табл. 29, рис. 3.

Exs.: Fl. stiriaca exs. n° 956.

24. ღერო მრავალია, აღმავალი, ქვედა ნაწილში ოდნავ გახევებული, ცოტად თუ მეტად გამლილად დატოტვილი, 10—60 სმ სიმაღლის, შიშველი ან ქვედა ნაწილში მოკლებულსუსიანი; ფოთლები ვიწრო-ხაზურია, მახვილწვერიანი, 4—12 მმ სიგრძის, ძირში გაფართოებული, სივანით 1 მმ-მდე, კიდებზე ვიწრო-სიფრიფანათი, ძირთან შეზრდილი. ყვავილედ საგველასებრია, კუმისი ან გაშლილი; ჯამი სიგრძით 4—4,5 მმ-მდეა, 1/5-მდეა განკვეთილი ფართო-სამკუთხა, ბლაგვ; კიდებზე ფართო-სიფრიფანა კბილებად, ურთიერთთან სამ-სამი დაახლოებული ძარღვით (ამოწეული მთავარი ძარღვით და ორი გვერდითი ძარღვით, რომლებიც შორდებიან მთავარ ძარღვს ჯამის შუა ნაწილის ცოტა ქვემოთ); თანაყვავილები 2 წყვილია, კვერცხისებრ-ლანცეტა, გარეთა თანაყვავილები უფრო ვიწროა, სიფრიფანა, წვერში ცოტად თუ მეტად ამოწეული მსხვილი ბოლოთი; გვირგვინის ფურცლები ჯამზე თითქმის ორჯერ გრძელია, მოთეთრო ან ვარდისფერი. კოლოფი კვერცხისებრია. თესლები თითქმის სფეროსებრია, ბრტყელი, ცალკვერდზე ნაჭდევით V—IX. (სურ. 23,6).

აწერილია ევროპიდან (შვეიცარია და საფრანგეთი). ტიპი დაცულია ლონდონში.

იზრდება მშრალ, ღორღიან ფერდობებზე უფრო იშვიათად ბუჩქნარებს შორის, მდინარეთა სანაპიროების ქვიშებზე ველებს, ნახევრად უდაბნოსა და ტყის სარტყელში, 900 მ-მდე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: მთელ რესპუბლიკაში.

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ.; აზერბ.; სომხ.

საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.; არმ.-ქურთ.; ირ.



ჯამი მილისებრ-ზარისებრია, ძირში თანაყვავილები არა აქვს, მოკლე მახვილ 5 კბილიანია, 5 კარგად გამოსახული, მწვანე ძარღვით, რომლებიც კბილებად გადადის, ერთმანეთისგან გაყოფილი ფართო, თითქმის აპკისებრი თეთრი ზოლებით. გვირგვინის ფურცლები 4,5 მმ სიგრძის, ოდნავ აღემატება ჯამს, ხაზურ-ნიჩბისებრი, მთლიანი ან ოდნავ ამოკვეთილი მოგრძო-მომრგვალო გადანაღუნით, თანდათან გადადის მოგრძო ფრჩხილად. მტვრიანა 10, ერთნაირი სიგრძის. მტვრის მარცვლები 20—25 μ დიამეტრის, მომრგვალო 15 ფართით, წვრილმარცვლოვანი ეგზინით. სვეტი 2. კოლოფი 4 კბილით იხსნება. თესლი წვრილია, მომრგვალო-კვერცხისებრი, შუა ნაწილით მიმარგებული. — ერთ ან ორწლოვანი მცენარეებია.

1. ჯამი 3—4 მმ, 5 ძარღვით და მოკლე კბილებით 1. *F. alpina* (Habl.) Ovcz.
- ჯამი 7—9 მმ, 5 მკვეთრად გამოსახული ძარღვით, რომლებიც გადად-
იან გრძელ მახვილ კბილებად 2. *F. cretica* (L.) Ovcz.

1. *F. alpina* (Habl.) Ovcz. Докл. АН Тадж. ССР, X, 7 (1967) 52; *ibid.* во Фл. Таджики. III (1968) 606. — *Gypsophila alpina* Habl. Neue Nord. Beitr. 4 (1783) 57. — *G. stricta* Bunge in Ledeb. Ic. Pl. Fl. Ross. I (1828) 4, tab. 5. — *Tunica stricta* (Bunge.) Fisch. et Mey. Ind. Sem. Horti Petrop. IV (1837) 50; Boiss. Fl. Or. I (1867) 521; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 425; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 778; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 275; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 300 (georg.); Гроссг. Опред. Раст. Кавк. (1949) 556; Ахундов во Фл. Азерб. III (1952) 362; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 178; Дмитриева Опред. раст. Аджар. (1960) 322; Колак. Растит. мир. Колх. (1961) 184. — *T. alpina* (Habl.) Bobr., Бот. ж. 43 (1958) 1546. — *Petrorrhagia alpina* (Habl.) Ball et Heywood, Bull. Brit. Mus. Nat. Hist. (Bot.) III, 4 (1964) 145; Ball in Fl. Europ. I (1964) 187; Coode and Cullen in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 130; Тахт., Фед. Фл. Еревана (1972) 81;

Is.: Ledeb. l. c. I (1829) 5; Гроссг. l. c. (1945) табл. 29, рис. 4; Фл. Арм. l. c. табл. IV.

Exs.: Bornm. Fl. exs. Anatoliae or. n° 184.

☉ ან ☉. ღეროები სწორმდგომია, მარტივი, შიშველი, მარტივი ან დატოტეილი, 10—35 სმ სიმაღლის, ტოტები მეტწილად მთავარ ღეროზეა მიწოლილი. ფოთლები ხაზურია, მახვილი, 2—3 მმ სიგრძის, კიდეებზე წვრილხერხისებრ-წამწამებიანი ან ხაოიანი, ჩვეულებრივ ფესვთანური როზეტის სახით; ღეროსეული ფოთლები ვიწრო-ლანცეტაა; ღეროზე მიკრული, ყვავილები კენწრულა და ილიური, წაგრძელებულ ტოტებზე და ქმნიან ვიწრო, საგველასებრ ყვავილედს; თანაყვავილები ჯამის ძირში არა აქვს; ჯამი 3—4 მმ სიგრძისაა, ძირში შევიწროებული, წიბოიანი, 5 ძარღვით, რომლებიც მახვილი წვერის სახით გრძელდება სამკუთხა კბილების ზევით; გვირგვინის ფურცლები

* დაამუშავა ზ. ლინიანიძემ.



თეთრია, ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელი. კოლოფი წაგრძელებულია, ჯამზე ფეხის ორჯერ გრძელი. თესვები მსხლისებრი ფორმისაა, ბრტყელი, გვერდზე ნაქდევით, ზედაპირზე ბლაგვ ბორცვებიანი. VII—VIII.

აწერილია დას. ციმბირიდან, მდ. ირტიშიდან, ტიპი დაკულია ლენინგრაღში (L.E.).

იზრდება მშრალ, ლორლიან ფერდობებზე, ქვიშნარ-რიყნარზე მდინარეთა სანაპიროებზე, ადის 2000 მ-მდე ზღვის დონიდან.

4. ღერო მრავალია, 30—40 სმ სიმაღლის, აღმავალი, მარტივი ან დატოტვილი, შიშველი; ფოთლები ხაზურია, მახვილი, შიშველი, კიდევზე ხაოიანი, სიგანით 1-დან 2,5 მმ-მდე, მუხლთშორისებზე გრძელი; ზედა ფოთლები ჩვეულებრივ უფრო მოკლეა, ძირში ვაგინად შეზრდილი, რომლის სიგრძე 2—3 [4] მმ-ს აღწევს. ყვავილები მარტოულია, ღეროებისა და ტოტების წვერში მოთავსებული; ჯამი წაგრძელებულ-ცილინდრულია, 14—20 [22] მმ სიგრძის, წაგრძელებულ-ლაპეტა და მახვილი კბილებით, რომლებიც ჯამის სიგრძის 1/3-ს აღწევენ. შიშველი, მწვანე ან მეწამულ ფერად შეფერილი: თანაყვავილები რიცხვით 4 [6], ელიფსური ან კვერცხისებრ-ელიფსური, ტყავისებრი, ერთბაშად შევიწროებული წვეტად, რომელიც აღწევს ჯამის სიგრძის 1/2-ს ან მის კბილებს; გარეთა თანაყვავილები ზოგჯერ აღმატება ჯამს. გვირგვინის ფურცლები ჯამზე 1 1/2-ჯერ გრძელია; გვირგვინის ფურცლების ფირფიტა თეთრია, კიდევზე წვრილ-ამოკვეთილებილებიანი ან თითქმის კიდემოლიანი 8—10 მმ სიგანის მოგრძო ან უკუკვერცხისებრი, შიშველი. VII—VIII.

აწერილია საქართველოდან. Typus: «In Iberiae locis cretaceis». დაცულია ლენინგრადში (LE).

იზრდება მდელოებზე და ლორღიან ადგილებში, ტყის ზედა და სუბალპურ და ალპურ სარტყელში.

საქ. სსრ: თითქმის მთელ რესპუბლიკაში.

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ.; სომხ.

საერთო გავრცელ.: მც. აზ.; არმ.-ქურთ.

var. *integerrimus* (Bunge) Grossh. l. c. (1930) 430; Харадзе l. c. (1947) 313. — *D. integerrimus* Bunge ex Boiss. l. c. 487, nom. — *D. Liboschitzianus* var. *integerrimus* Boiss. l. c. 487.

ღეროები 15—30 სმ სიმაღლისაა; ფოთოლი უფრო ვანიერია, სიგანით 2,5 მმ-მდე; თანაყვავილები ცოტად თუ ბევრად თანდათანობით შევიწროებულია ბალახოვან-ხაზურ-სადგისისებრ წვეტად, რომელიც თითქმის ჯამის ტოლია ან ცოტათი აღემატება მას.

იზრდება მდელოებზე, სპორადიულად.

საქ. სსრ.: სახეობის გავრცელების ყველა რაიონი.

შენიშვნა: პოლიმორფული სახეობაა; მისი ფორმები შემდგომ შესწავლასა და დაზუსტებას მოითხოვს, შესაძლოა შესაძლებელი გახდეს მათი ცალკე სახეობებად გამოყოფა.

14. *D. multicaulis* Boiss. et Huet in Boiss. Diagn. ser. II, V (1856) 53; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 290; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 559; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 323; Колак. Растит. мир Колх. (1961) 177; Reeve in Davis Fl. Turkey 2 (1967) 112; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 246. — *D. cretaceus* Adams, Шишк. во Фл. Арм. 2 (1956) 201 p.p. — *D. cretaceus* var. *multicaulis* (Boiss. et Huet) Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 430; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 314 (georg.). — *D. Liboschitzianus* γ *multicaulis* Boiss. Fl. Or. I (1867) 487.

l.c.: Reeve l. c. p. 107. f. 2.

4. მკვრივკორდიანი მცენარეა, შიშველი, მრავალი 15—25 [30] სმ სიმაღლის ღეროთი, ძირთან მრავალი დამოკლებული, უნაყოფო ყლორტებით და ვიწრო ფოთლებით, რომლებიც სიგრძით 5 სმ-ს აღწევენ, ფოთლები კიდეებზე წვრილზაოიანია. ღეროსეული ფოთლები ძირში შეზრდილია ვაგინად, რომელიც რამდენიმეჯერ აღემატება ფოთლის სიგანეს. ყვავილები მარტოულია: ჯამი ცილინდრულია 13—18 მმ სიგრძის, მეწამული, ლანცეტა, მახვილი, კიდეებზე თეთრ სიფრიფანა ან რბილ წაშლამებიათი კბილებით. თანაყვავილი 4, ლანცეტა ან კვერცხისებრ-მოგრძო, იისფერ-მეწამული, გრძელდება სადგისისებრ წვერად, ჩვეულებრივ აღწევს ჯამის სიგრძის 1/2 ან ჯამის კბილებს. გვირგვინის ფორფიტა 6—8 მმ სიგრძისაა ოდნავ დაკბილული ან კიდემოლანია. VII—VIII. (სურ. 21).

აწერილია თურქეთიდან. Typus: «in montibus Armeniae Turcicae, ad Palanteuken et Techdagh». დაცულია ჟენევაში.

იზრდება კლდეებზე, მშრალ ლორღიან ფერდობებზე სუბალპურ და ალპურ სარტყლებში 1800—3500 მეტრი ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: 7 — აჭარ.: ხულოს რაიონი, სოფ. უჭანბა: შავშეთის ქედი, ტბეთი, 2400 მ; 9 — ქართ.: ცხრა-წყარო (აკინფიევი; კემულარია-ნათაძე; კა-



ბელერი); ბაკურიანი, იპერლების ქედი (კოზლოვსკი; ხინთიბიძე, ლეინიანიძე); 16 — თრიალ.: თეძამის სათავეები, არჯევანის მთა; სოფ. მღებრიანსა და სოფ. ხორცეს შორის (ხინთიბიძე, ლეინიანიძე); 18 — ჯავახ.: აბულ-სამსარის ქედი, აბულის მთა (ხინთიბიძე); თეთრობი (სოსნოვსკი, ქუთათელაძე, მანდენოვი, ხინთიბიძე); ემოიკლის მთა (შიშკინი; ხინთიბიძე); 19 — მესხ.: ახალციხე, წყალ-წბილა (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვი). (რუკა 18).

© 15. *D. daghestanicus* A. Charadze Not. Syst. Georg. (Tbilis.) 16 (1951) 47. — *D. fragrans* auct. cauc. p.p. non Adam.

lc.: Charadze (l. c.) рис. 1.

2. ძირში გახვეებული, ივითარებს მრავალრიცხოვან, აღმავალ, შიშველ-მარტივ ან ზედა ნაწილში ოდნავ დატოტვილ 17—50 სმ სიმაღლის ღეროებს. ფოთლები ხაზურია, მახვილი, შიშველი, კიდეებზე ხაოიანი, 25—55 მმ სიგრძის და 1—2 მმ სიგანის, ძირში შეზრდილი 2—3 მმ სიგრძის ვაგინად. ყვავილები მარტოულია ან 2—3 ერთად ტოტების ბოლოებზე. ჯამი 20—25 მმ სიგრძისაა, 3—4 მმ სიგანის, მახვილკბილებიანი, მწვანე, თანაყვავილები 6—8, უკუკვერცხისებრი, მემბრანისებრი, უცბად შევიწროებული მოკლე წვეტად, რომელიც აღწევს ჯამის სიგრძის ნახევარს. გვირგვინის ფურცლები თეთრია, მთლიანი ან ოდნავ დაკბილული ფირფიტით, რომელიც უცბად გადადის 5 მმ სიგრძის და 4 მმ სიგანის ფრჩხილში.

აწერილია დალესტინიდან. Typus: Daghestania. Distr. Tscharada. Inter Tsurib et Gidib., 1500m, S, in phrygana. M. Sachokia. Ibid. 26 VIII 49 A. Charadze et L. Chintibidze. დატულია თბილისში. (TBI).

იზრდება მდინარეების ტერასებზე, ფიქლოვან კლდეებზე, ნაშალებზე.

საქ. სსრ: 11 — თუშ-ფშავ-ხევსურ.: შატლის მიდამოები, კლდეებზე; არხოტი, არხიელის მიდამოები (ოჩიაური).

სსრკ: დალესტანი; ინგუშეთი.

Sect. 4. *Fimbriatum* Williams, Journ. of Bot. XXIII (1885) 343; idem, Journ. Linn. Soc. Bot. 29 (1893) 390.—Sect. *Plumaria* Graebn. in Ascherson et Graebner, Synopsis Mitteleurop. 5, 2 (1922) 409; Шишкин во Фл. СССР VI (1936) 848.

გვირგვინის ფირფიტა ფოჩისებრ ჩაჭრილია 1/2-დე ან უფრო ღრმად, შიშველი ან ბეწვიანია.

16. *D. crinitus* Smith in Act. Linn. Soc. Bot. II (1794) 300; DC. Prodr. I (1824) 364; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 283; Boiss. Fl. Or. I (1867) 496; Шишк. во Фл. Тифлис. I (1925) 209; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 428; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 850; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 292; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 314 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 560; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 381; Макашвили Фл. окр. Тбилиси I (1952) 205 (georg.); Шишк. во Фл. Арм. 2 (1956) 202; Reeve in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 119; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 244 (georg.); Тахт., Фед., Фл. Еревана (1972) 82.

lc.: Фл. СССР 1. с. табл. LIV, рис. 5; Гроссг. 1. с. (1945) табл. 31 рис. 5—5а; Фл. Арм. 1. с. табл. LXIII.

4. ღერო მრავალია, აღმავალი, დატოტვილი, ძირში გახევებული 15—40 სმ სიმაღლის, შიშველი ან ხაოიანი; ფოთლები ვიწრო-ხაზურია, მახვილწვერიანი, ჩვეულებრივ მუხლთმორისებზე მოკლე, ძირში შეზრდილი ვაგინად, რომელიც სიგრძით 1—2 მმ აღწევს, შიშველი ან ხაოიანია. ყვავილები კენწრულია, თითო-თითო; ჯამი ვიწრო-ცილინდრულია, ტყავისებრი, 25—30 მმ სიგრძის, 4 მმ-მდე სიგანის. ჯამს აქვს მახვილი, წაგრძელებულ-ლანცეტა, კიდეებზე წვრილბუუსებანი კბილები; თანაყვავილები 4—6, უკუ-კვერცხისებრი, ერთბაშად წარზიდული წვეტად, ტყავისებრი, ჩვეულებრივ აღწევს ჯამის სიგრძის 1/4-ს ან 1/3-ს; გვირგვინის ფურცლების ფირფიტა თეთრია, ან იშვიათად ვარდისფერი შუაზე უფრო ღრმად ფოჩისებრ ჩაჭრილი ვიწრო ხაზურ ნაკეთებად. VI—VIII.

აწერილია სომხეთიდან, ტიბი დაცულია ენევაში.

იზრდება კლდეებზე, მშრალ ღორღიან ფერდობებზე; შედის მთის ქსეროფიტთა ზოგიერთ ასოციაციის შემადგენლობაში, ველის, ნახევრად უდაბნოს, ტყის და სუბალპურ სარტყლებში 2000 მ-მდე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: 9 — ქართლ.: ცხრა-წყარო (აკენფიევი); ტბა, კლდეებზე (კოზლოვსკი); ბორჯომი, წალღერის პლატო; წალღერი, ჩარხის წყლის მარჯვენა ნაპირი (ხინთიბიძე); წალღერი (შიშკინი); ბორჯომი (აკენფიევი); ბორჯომი, პეტრის ციხე; სადგ. ქსანი; ატენი (ზედელმეიერი); შიო-მღვიმის ქედის სამხრ. ფერდობი (კახიძე); თბილისი, გამარჯვების პარკი (ვაკე) (ღვინიაძე); ღრმადლე (ტროიცი); 12 — კახ.: ხარაძის მიხედვით I. c. (1947); 13 — ქიზ.: ელდარი (კაკულია); შირაქი (ზედელმეიერი); 14 — გარე კახ.: ხარაძის მიხედვით I. c. (1947); 15 — გარდაბ.: ყარაიაზი (ტროიცი); 18 — ჯავახ.: ახალქალაქი, სოფ. ბარალეთი (შიშკინი); ახალქალაქი (ზედელმეიერი); ახალქალაქსა და დელისკას შორის, ახალქალაქჩაის მარჯვენა ნაპირი (ხინთიბიძე, ლაჩაშვილი, ჩოლოყაშვილი); 19 — მესხ.: ახალციხეს და რუსთავს შორის; ასპინძა (ხინთიბიძე); ხერთვისსა და ვარძიას შორის; ასპინძა, მარგისტანსა და ვარძიას შორის; ახალციხე, გზად საფარის მონასტრისკენ; ახალციხე, სოფ. ურაველსა და ოხერას შორის, ასპინძა, ხერთვისი (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა); ახალციხე (სოსნოვსკი); სოფ. ხერთვისსა და მარგისტანს შორის (სოსნოვსკი, ქუთათელაძე, მანდენოვა); ახალციხე, საფარის მონასტერთან (ლორთქიფანიძე); ახალციხის და საფარის მონასტრის შორის, გრელთან; გრელსა და საფარას შორის (ხინთიბიძე, ლაჩაშვილი, ჩოლოყაშვილი); ვარძია (ხინთიბიძე, ივანიშვილი, მცხეთაძე); სოფ. ურაველის მიდამოები, მდ. ურაველ-სუს მარცხენა ნაპირი, მშრალ ფერდობებზე (ღვინიაძე).

სსრკ: ამიერკავკ.: აზერბ.; სომხ.

საერთო გავრცელ.: მც. აზ.; არმ.-ქურთ.; ირ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სახეობის შიგნით სშირია ეგზემპლარები (ქართლ., მესხ.) ვარდისფერი გვირგვინით, რომლებიც ა. ხარაძეს (I. c. 1947) მოყავდა var. *roseus* Schischk.-ად.

17. *D. orientalis* Adams in Weber et Mohr. Beitr. I (1805) 54; Sims. Bot. Mag. XXVII (1807) tab. 1069; Шишк. во Фл. Тифлиса I (1925) 209; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 427; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 854; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 294; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 315



(georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 560; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 382; Макашвили Флора окр. Тбилиси I (1952) 205 (georg.); Шницк. во Фл. Арм. 2 (1956) 209; Колак. Растит. мир Колх. (1961) 177; Reeve in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 120; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 245 (georg.); Тахт., Фед., Фл. Еравана (1972) 82. — *D. fimbriatus* Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 332; DC. Prodr. I (1824) 364; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 283; Boiss. Fl. Or. I (1867) 495, ex parte.

Ис.: Sims l. c. tab. 1069; Фл. СССР l. c. (1925) рис. 87; Гроссг. l. c. (1945) таб. 32, рис. 1—1а; Макашвили l. c. таб. XXVII Фл. Арм. l. c. таб. LXIV; Fl. Turkey l. c. fig. 2, p. 107.

Exs.: Herb. Fl. URSS n° 2860.

4. ღერო მრავალია, დატოტვილი, შიშველი, ქვედა ნაწილში გახევებულს, 10—30 სმ სიმაღლის; ფოთლები ვიწრო-ხაზურია; მახვილწვერიანი, ჩვეულებრივ მუხლთშორისებზე მოკლე, შიშველი, ქვედა ნაწილში ხაოიანი, ძირში შეზრდილი ვაგინად, რომლის სიგრძე 1—2 მმ აღწევს. ყვავილები თითო-თითოა ღეროებისა და ტოტების წვერში; ჯამი ვიწრო-ცილინდრულია, წვერში შევიწროებული, მახვილი წაგრძელებულ-ლანცეტა კბილებით [18] 20—23 მმ სიგრძის, 2,5—3 მმ სიგანის. თანაყვავილები კვერცხისებრია, მახვილი, რიცხვით 4—8, აღწევს ჯამის სიგრძის თითქმის 1/3-ს; გვირგვინის ფურცლების ფირფიტა წითელია, კიდებზე ღრმად ფოჩისებრ ჩაჭრილი. კოლოფი ცილინდრულია, ჯამის ტოლი, კოლოფის მომწიფებისას და გახსნისას ჯამის შევიწროებული წვერი ღრმად იყოფა.

აწერილია საქართველოდან. Typus: «In Iberia, circa Tiflisium locis cretaceus». დაცულია ლენინგრადში (LE).

იზრდება კლდეებზე მდინარეთა ხეობებში და ლორღიან ფერდობებზე; შედის მთის ქსეროფიტთა ზოგიერთი ასოციაციის შემადგენლობაში. ტყის სარტყელში 1900 მ-მდე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: 1—აფხ.: (კოლაკოვსკის მიხედვით l. c.); 9—ქართლ.: ბორჯომი (აბა-მელიკი); ბორჯომის რაიონი სოფ. ახალი უბნის მიდამოები (ხინთიბიძე); ატენი (რადე, ქიქოძე); მცხეთა, არმაზის ხეობა (გუბისი); მცხეთა (კენიონგი: როდიონოვი); მამკოდა, მონასტრის მახლობლად (ქუთათელაძე, ვაგნიძე, მიქელაძე); კოჯორი, (სმირნოვი) თბილისის მიდამოები, კოჯორის გზატკეცილთან (შტეპა); თბილისი (პაგირევი, ფედჩენკო, კენიგი); თბილისი, ბოტანიკის ინსტიტუტთან (ლვინიანიძე); კლდეები თბილისის ბოტანიკურ ბაღში (მიხაილოვსკი); თელეთი (სოსნოვსკი, კაფიევი); დაბახანა (სოსნოვსკი, ქუთათელაძე); თბილისი, ვერე (სოსნოვსკი); 12—კახ.: ყვარელი, წინაკლდეები (ლანაშვილი); 16—თრიალ.: მანგლისი რადე; ნიკოლაევი; მედევედვის პერბარიუმი; მანგლისის მახლობლად, მდ. ალგეთის ხეობა (ტროიციკაია, ზედელმეიერი); თეთრი წყარო (კოზლოვსკი); მდ. თეძამის მარცხენა ნაპირი, სოფ. რკონთან (ქუთათელაძე, შხიანი); სამშვილდე, ციხის ფერდობი (ლვინიანიძე); 17—ქვ. ქართლ.: ბორჩალო, მაშავერას ხეობა (შხიანი); შულავერი (ცაგარელი); 19—მესხ.: ასპინძის მიდამოები (ხინთიბიძე, მცხვეთაძე); მდ. ქობლიანის ხეობა, კლდოვან ფერდობებზე (დოლუხანოვი).

სსრკ.: ამიერკავკ.: აზერბ.

საერთო გავრცელ.: მც. აზ.; არმ.-ქურთ.; ირ.

18. D. Ketzkhoveli A. Makaschvili in Bull. Acad. Scien. Ge-
org. SSR VIII n° 7 (1947) 447; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 315 (georg.);
Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 560; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969)
245 (georg.).

Ис.: Makaschvili l. c. стр. 448.

24. მცენარე ძირში უხვად დატოტვილია და გახვეებული, ძირში დამოკ-
ლებული უნაყოფო ყლორტებით. ღერო მრავალია ხშირად შეფოთილი, შიშ-
ველი, მარტივი, 10—30 სმ სიმაღლის, უნაყოფო ყლორტების ფოთოლი ვიწრო-
ხაზურია, შიშველი, 2—5 სმ სიგრძის და 1—1,5 მმ სიგანის; ღეროზე განლაგე-
ბული ფოთლები ვიწრო-ლანცეტა-ხაზურია, შიშველი, თავწაწვეტებული, 1—
5 სმ სიგრძის და 1—2 მმ სიგანის, ძირთან კიდეზე ოდნავ ხაოიანი და მოკლე
(1—2 მმ სიგრძის) ვაგინად შეზრდილი. ყვავილები ღეროების წვერზე თითო-
თითოა ჯამი 20—25 სმ სიგრძისა, ცილინდრული ვიწრო-ლანცეტა კბილებიანი
ზოგჯერ მეწამული. თანაყვავილი რიცხვით 8—14, მოყვანილობით კვერცხი-
სებრი, ჯამის ქვედა მესამედზე შემოხვეული, თავში მოკლედ წაწვეტებული,
ნაპირგბზე მოკლე სიფრთხანა არშიით შემოვლებული. გვირგვინის ფურცლე-
ბი მოვარდისფრო-წითელია, 3 სმ სიგრძის ღრმად ფოჩისებრ ჩაჭრილია და
გადანაღუნის ძირში მუქი ლაქა თეთრი ბეწვით შემოსილი.

აწერილია აჭარიდან. Typus: RSS Georgicae, Adzharia, distr. Chulo, in-
ter pp. Chulo et Schuachevi, 700—900 mt. Leg. A. Makaschvili, 21 VIII
1947. fl. დატულია თბილისში (TBI).

იზრდება კლდეებზე, ტყის ქვედა სარტყელში.

საქ. სსრ: 7 — აჭარ.: მდ. აჭარის-წყლის ხეობა, სოფ. ხულოსა და შუახეც
შორის, კლდეებზე (ხინთიბიძე, გაგნიძე, ივანიშვილი, ჩუხრაუციძე); შუახევი,
მდ. აჭარის წყლის ხეობის კლდეებზე (დმიტრიევა). 19 — მესხ. აბასთუმნის
მიდამოები, მდ. აბასთუმან-ჩაის მარცხენა ნაპირი, კლდეებზე (ხინთიბიძე, ივა-
ნიშვილი, მცხვეთაძე); ბოლაჯური, ოქროს ციხის მახლობლად, კლდეებზე
(ხინთიბიძე); მდ. ჭობლიან-ჩაის მარცხენა ნაპირი, სოფ. ზარზმის პირდაპირ,
მშრალი, ქვიანი ფერდობი, ნაშალებზე (ქუთათელაძე. მანდენოვა, შხიანი).
(რუკა 17).

საერთო გავრცელ.: ა. მაყაშვილი (l. c.) მიხედვით სახეობა შესაძლებე-
ლია უფრო სამხრეთითაც იყოს გავრცელებული. ა. ხარაძეს მოყავს (l. c. 1947)
მც. აზია (ართვინის მხარე);

შ ე ნ ი შ ე ნ ა. ა. მაყაშვილმა მიხაკის ეს ახალი სახეობა აჭარიდან აწერა,
სადაც იგი საკმაოდ უხვადაა გავრცელებული მთის შუა სარტყლის გამეჩხერე-
ბულ ტყეებში, უფრო სამხრ. ექსპოზიციის კლდოვანსა და ქვიან ფერდობებ-
ზე. უფრო მოგვიანებით სახეობა საკმაოდ ფართოდ გავრცელებული აღმოჩნ-
და მესხეთის დასავლეთ ნაწილშიც. მახლობელი სახეობაა D. orientalis-თვის.

Sect. 5. Verruculosi (Boiss.) Шишк. во Фл. СССР VI (1936) 860 sine
auct. comb.; Weissmann-Kollmann, Israel Journ. Bot. 14 (1965), 149.

ჯამი წვრილი მეჭეჭებითაა დაფარული; თანაყვავილი 4, ქვედა ფოთლები ადრე ქვნიბა.

19. **D. Cyri** Fisch. et Mey. Ind. Sem. Hort. Petropol. IV (1838) 34; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 280; Boiss. Fl. Or. I (1867) 482; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 427; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 860; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 295; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 316 (georg.); Гроссг. Определ. раст. Кавк. (1949) 558; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 385; Шишк. во Фл. Арм. 2 (1956) 210; Дмитриева, Определ. раст. Аджар. (1960) 323; Коллак. Растит. мир Колх. (1961) 177; Reeve in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 104; Харадзе в Определ. раст. Груз. II (1969) 243 (georg.); Тахт., Фед. Фл. Ерев. (1972) 81.— *D. macrolepis* Boiss. Diagn. ser. I, 1 (1842) 18.

Is.: Фл. СССР I. с. табл. LIV, рис. 2; Фл. Азерб. I. с. табл. XXIX, рис. 2; Fl. Turkey I. с. fig. 1, p. 105.

Exs.: Herb. Fl. Cauc. n^o. 26.

⊙. ლეროები აღმავალია, შიშველი, დატოტვილი, 12—30 სმ სიმაღლის; ფოთლები ზაზურ-ლანცეტაა, მომახვილო, 2—4 მმ სიგანის, შიშველი, 3-მარ-ღვიანი, კიდეებზე წამწამებიანი, ბირში მოკლე ვაგინად შეზრდილი, რომელიც სიგრძით 1 მმ-მდეა; ფოთლები მუხლთშორისების სიგრძისაა ან ოდნავ მათზე გრძელი. ყვავილები თითო-თითოა, წვრილი ტოტების ბოლოებზე, გაფარჩხულ ყვავილედად შეკრებილი. ჯამი კვერცხისებრ-კონუსურია, სიგრძით 12—15 მმ-მდე, წვრილმეჭეჭებიანი; ჯამის კბილები ლანცეტაა; გრძლად წაწვეტებული, ბალახოვანი; თანაყვავილები 4, ფართო-კვერცხისებრი, სიფრიფანა. ერთბაშად წაწვეტებული გრძელ სადგისისებრ, ბალახოვან წვეტად, რომელიც აღწევს ჯამის სიგრძეს; გვირგვინის ფურცლების ფირფიტა სოსანია. 4—5 მმ სიგრძის, მოგრძო; წვერში არაღრმად არათანაბარზომიერად ამოკვეთილ-კბილებიანი. კოლოფი ჯამზე მოკლეა. VI.

აწერილია კავკასიიდან. Typus: «Hab. ad Cyrum fluvium in desertis districti Elisabethpol», Hohonak.

იზრდება ველებში, ტბების მახლობლად, იშვიათად ნათესებში. ველებისა და ნახევრად უდაბნოს სარტყელში.

საქ. სსრ: 4 — სამეგრ.: ფოთი (გროსჰეიმის მიხედვით I. ს. 1945); 7 — აჭარ.: ბობოყვათი (გროსჰეიმის I. ს. 1945 და დმიტრიევას მიხედვით I. ს.); 15 — გარდაბ.: ყარაიაზი (ტროიციკი; ტროიციკი, სტაროსელსკი; ვერზილოვი; ნე-ვოლოვსკი).

სსრკ: ამიერკავკ.; აზერბ.; სომხ.

საერთო გავრცელ.: მც. აზ.; არმ.-ქურთ.; სირიის უდაბნო, ავღანეთი, არაბ. (ეგვიპტე).

Sect. 6. *Armerium* Williams, Journ. of Bot. XXIII (1885) 340; Шишкин во Фл. СССР VI (1936) 812.

ერთწლოვანი ან ორწლოვანი მცენარეებია; თანაყვავილები ბალახოვანია, ფოთლები მჯდომარე.

20. **D. armeria** L. Sp. Pl. (1753) 410; Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 324; DC. Prodr. I (1824) 355; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 274; Boiss. Fl. Or. I (1867) 508; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 431; Шишк. во Фл. СССР VI

(1936) 812; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 281; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 305 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 557; Карягин, во Фл. Азерб. III (1952) 370; Макашвили, Фл. окр. Тбилиси I (1952) 204 (georg.); Колак. Растит. мир Колх. (1961) 176; Tutin in Fl. Europ. I (1964) 201; Reeve in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 124; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 243 (georg.).

Is.: Reichb. Ic. Fl. Germ. 6 (1844) tab. 249; Фл. СССР I. с. табл. LI, рис. 2; Фл. Кавк. I. с. (1945) табл. 29, рис. 10; Fl. Turkey I. с. fig. 2, p. 107; Fl. Rep. Romane (1953) t. 32, f. 1.

⊙ ან ⊙. ღეროები აღმავალია, 10—50 სმ სიმაღლის, მარტივი ან ზედა ნაწილში ცალმხრივად დატოტვილი, ირიბად ზევითკენ მიმართული ტოტებით, ქვედა ნაწილში შიშველი, ზედა ნაწილში გრძელი ბეწვით შებუსვლი; ფესვთანური ფოთლები ლანცეტაა; ღეროსეული ხაზურ-ლანცეტა ან ხაზური, მობლავგო, გრძელი ბეწვებით შებუსვლი, ძირში მოკლე ვაგინად შეზრდილი. ყვავილები თითქმის მჯდომარეა, ღეროებისა და ტოტების წვერში შეკრებილი ჯგუფად, უფრო იშვიათად ყვავილები მარტოულია; ჯამი ვიწრო-ცილინდრულია, ღარიანი, რბილბეწვებიანი, 17—20 მმ სიგრძის, გრძელი ლანცეტა-სადგისისებრი კბილებით; თანყვავილები ბალახოვანია, კვერცხისებრ-ლანცეტა, გრძლად სადგისისებრ წაწვეტებული, სქელბეწვებიანი, ძირში კიდებზე ვიწრო-სიფრიფანა, თითქმის ჯამის ტოლი; გვირგვინის ფურცლები მწწამული ფერისაა, გვირგვინის ფირფიტა ზედა მხარეზე უფრო მუქია, გაბნეულბეწვიანი, წვერში დაკბილული, 4—5 მმ სიგრძის. კოლოფი ჯამზე მოკლეა. VI—VIII. 2n=30.

აწერილია ევროპიდან. ტიპი დაცულია ლონდონში.

იზრდება მშრალ ფერდობებზე, განათებულ ადგილებში, ბუჩქნართა შორის. ტყის სარტყელში 1500 მ-მდე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: თითქმის მთელ რესპუბლიკაში.

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ., აზერბ.: სომხ.: ევრ. ნაწ. (სამხრ. ნაწ.).

საერთო გავრცელ.: ჩრდ. და შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ. (ბალკ.).

21. **D. pseudoarmeria** Bieb. Fl. Taur. -Cauc. I (1808) 323; DC. Prodr. I (1824) 355; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 275; Boiss. Fl. Or. I (1867) 508; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 431; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 812; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 281; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 306 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 557; Колак. Растит. мир Колх. (1961) 176; Tutin in Fl. Europ. I (1964) 201; Reeve in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 125; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 243 (georg.).

Is.: Фл. СССР I. с. табл. LI, рис. 3; Fl. Rep. Romane 2 (1953) t. 32, f. 3; Fl. Turkey I. с. fig. 2, p. 107.

Exs.: Herb. Fl. URSS n° 2988a.

⊙ ან ⊙. მთელი მცენარე სქლად შებუსვლია წვრილი ბეწვებით; ღერო რამდენიმეა ერთად, აღმავალი, მარტივი, უფრო იშვიათად ზედა ნაწილში დატოტვილი, დამოკლებული ტოტებით, 5—30 სმ სიმაღლის; ზოგჯერ ღეროს



ძირთან დამოკლებული ყლორტების კონებია. ფოთლები ხაზურია, წვერში შევიწროებული, მობლაგვო, ძირში ვაგინად შეზრდილი, რომელიც სიგრძელადაა ფოთლის სივანის ტოლია ან მასზე გრძელი. ყვავილეთი შეკრებილია კუმს თავაქისებრ, მრავალყვავილიან, უფრო იშვიათად მცირეყვავილიან ყვავილედებად, რომლებიც მოთავსებულია ღეროებისა და ტოტების წვერში; ჯამი ცილინდრულია, უმეტესად ლანცეტა-ხაზური წაწვეტებული კბილებით, 13—15 მმ სიგრძის; თანაყვავილები ფართოკვერცხისებრია, ტყავისებრი, ერთბაშად წარზიდული გრძელ სადგისისებრ წვეტად, რომელიც ჯამის წვერს აღწევს და ყვავილობის ბოლოსათვის გადაღუნულია; გვირგვინის ფურცლების ფირფიტა ვარდისფერია, ზევიდან გრძელ-გაბნეულბეწვიანი წვერში ღრმად მახვილად ამოკვეთილი. კოლოფი ცოტათი მოკლეა ჯამის კბილებზე. VI—VIII.

აწერილია ყირიმიდან. Typus: «In Tauriae siccis lapidosis». დაცულია ლენინგრადში (LE).

იზრდება მშრალ ქვიან ფერდობებზე.

საქ. სსრ: 9 — ქართლ.: გორი (გროსჰეიმის მიხედვით I. c. 1945).

სსრკ: იმიერკავკ.: ევრ. ნაწ. (შავი ზღვ. სანაპ., ქვემო დონი, ყირიმი).

საერთო გავრცელ.: სამხრ. აღმ. ევრ.

შენიშვნა: ა. კოლაკოვსკის (I. c.) აღნიშნული სახეობა აფხაზეთისათვის მოყავს, ლაგოვსკის მიერ შეგროვილი მასალის მიხედვით, თუმცა შენიშვნით, რომ სახეობის გავრცელება შემოწმებას მოითხოვს. ამის გამო ამ სახეობას არც ჩვენ ეუთითებთ აფხაზეთისათვის.

გვარი 28. SAPONARIA L.—საპონა*

ყვავილები შეკრებილია ფარისმაგვარ-საკველასებრ ყვავილედად. ჯამი ფოთლებშეზრდილია, მილისებრი, ცოტად თუ ბევრად გამობერილი ან ნაყოფობისას გაფართოებული, გვირგვინი თეთრია ან ვარდისფერი, გვირგვინის ფურცლები მთლიანია, ამოკვეთილი ან ორად გაყოფილი, ძირისკენ ფრჩხილად შევიწროებული. ზოგჯერ თანავიწიფიანით. მტვრიანა 10. მტვრის მარცვალი სფეროსებრია, ლარსმოკლებული, გაფანტული 12 ფორით, ფორები დიდი ზომისაა, ვიწრო არხით და ბორცვოვანი მემბრანით. ეგზინის ზედაპირი მსხვილ-ბორცვოვანია. სეკტი 2. კოლოფი 1-ბუდიაანია, იხსნება 4 კბილით. — მრავალწლოვანი, ერთწლოვანი ან ორწლოვანი მცენარეებია, შიშველი, მარტივი ან ჯირკვლოვანი შებუსვით.

* დამუშავა ზ. ლენინიძემ.



ევროპაში, ჩრდ. აფრიკასა და აზიაში გავრცელებულ 25 სახეობიდან **სასაქონლო გეგმირთქვა** პარტველოში მხოლოდ 4 სახეობა იზრდება.

1. მრავალწლოვანია; ღეროები 30—90 სმ სიმაღლისაა; ფოთლები დიდი ზომისაა, 5—12 სმ სიგრძის, მოგრძო ან ლანცეტა-ელიფსური; ჯამი 15—18 სმ სიგრძისაა და არათანაბარი კბილებით ხასიათდება

1. *S. officinalis* L.

— ერთ ან ორწლოვანი, უფრო დაბალი მცენარეებია 5—30 სმ სიმაღლის, ხასიათდება წვრილი, 0,5—2 სმ სიგრძის ფოთლებით 2.

2. ნასკვი და კოლოფი მოთავსებულია წაგრძელებულ ყუნწზე; ჯამი ნაყოფობისას პარკუჭისებრ-გამობერილია

2. *S. prostrata* Willd.

— ნასკვი და კოლოფი მჯდომარეა ან თითქმის მჯდომარე; ჯამი არ არის ძლიერ გამობერილი 3.

3. ჯამი 5—8 მმ სიგრძისაა; გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია; მათი ფირფიტა მთლიანია 3. *S. cerastoides* Fisch. ex C. A. Mey.

— ჯამი 7—10 მმ სიგრძისაა; გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია; მათი ფირფიტა ორადა ჩაჭრილი

4. *S. orientalis* L.

1. *S. officinalis* L. Sp. Pl. (1753) 408; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 300; Boiss. Fl. Or. I (1867) 524; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 434; Горшкова во Фл. СССР VI (1936) 863; Колак. Фл. Абх. II (1939) 115; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 296; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 317 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 561; Рзададе во Фл. Азерб. III (1952) 386; Макашвили, Фл. окр. Тбилиси I (1952) 206 (georg.); Шишк. и Аветишян во Фл. Арм. 2 (1956) 215; Дмитриева, Опред. раст. Адж. (1960) 324; Колак. Растит. мир. Колх. (1961) 180; Chater in Fl. Europ. I (1964) 184; Hedge in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 141; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 247 (georg.)

Ис.: Reichb. Ic. Fl. Germ. 6 (1844) t. 245, f. 4995; Hegi, Fl. Mitt.-Eur. III, 347, f. 597a-c et tab. 103, f. 4; Гроссг. l. c. (1945), таб. 32, рис. 5.

4. მცენარე ცოტად თუ ბევრად შებუსხვილია მოკლე, მარტივი, ბეწვით; ღეროები აღმავალია, მარტივი ან ზედა ნაწილში დატოტვილი 30—90 სმ სიმაღლის; ფოთლები დიდი ზომისაა, სიგრძით 5—12 სმ-მდე, მოგრძო-ელიფსური, ლანცეტა-ელიფსური, მომახვილო, ძირისაკენ შევიწროებული დამოკლებულ ყუნწად, 3 ამოწეული ძარღვით, ყვავილედში დაპატარავებული, ლანცეტა, შიშველი ან შებუსხვილი. ყვავილები მოთავსებულია დამოკლებულ ყუნწებზე და შეკრებილია ფარისმაგვარ-საკველასებრ ყვავილედად; თანყვავილები მეტად პატარა ზომისაა, ლანცეტა. წაწვეტებული, ჯამი ვიწრო-ცილინდრულია, ნაყოფობისას გაფართოებული, 16—18 [22] მმ სიგრძის, 5 არათანაბარი ზომის სადგისისებრ წვეტით, 1,5—2 მმ სიგრძის კბილით; გვირგვინის ფურცლები თეთრია ან ვარდისფერი, ჯამზე 1 1/2—2-ჯერ გრძელი, გვირგვინის ფურცლების ფირფიტა წვერში სუსტად ამოკვეთილია, უფრო იშვიათად მთლიანია, ძირში აქვს 2 ძაფისმაგვარი დანამატი, გვირგვინის ფრჩხილი ვიწროა. კოლოფი

თითქმის მკდომარეა ან ჯამს ოდნავ აღემატება, კბილებ გადალუნული. თესლი თირკმლისებრია, ბორცვიანი ზედაპირით VI—VIII.

აწერილია ევროპიდან. ტიპი დაცულია ლონდონში. (Hb. Linn. 580/1).

იზრდება ზღვის ნაპირებზე, ქვიშიან ადგილებში, ტყეებსა და ბუჩქნარებში, გზის პირებზე, მთის ქვედა ან შუა სარტყლამდე.

საქ. სსრ.: მთელ რესპუბლიკაში.

სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; აზერბ.; სომხ.; ევრ. ნაწ.; დას. ციმბ.

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.

სამეურნეო მნიშვნელობა: აშენებენ როგორც დეკორაციულ მცენარეს; მისი ფესვებიდან რომლებიც 35% საპონინს შეიცავს, იღებენ საპნის სუროგატს.

2. *S. prostata* Willd. Enum. plant. Hort. Bot. Berol. (1809) 465; DC. Prodr. I (1824) 366; Boiss. Fl. Or. I (1867) 529; Горшкова во Фл. СССР VI (1936) 867; Гросср. Фл. Кавк. 2, III (1945) 296; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 317 (georg.); Гросср. Опред. раст. Кавк. (1949) 561; Hedge, Notes Royal Bot. Gard. Edinb. 23 (1961) 550—555; *ibid.* in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 146 p.p.; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 247 (georg.).—*S. holopetala* Ledeb. Fl. Ross. I (1842) 301; Гросср. Фл. Кавк. II (1930) 434.—*S. atocioides* Boiss. Diagn. Pl. ser. I, I (1843) 16.—*S. atocioides* var. *Calverti* Boiss. Diagn. Pl. ser. II, 5 (1856) 50.—*S. prostata* β. *Calverti* (Boiss.) Boiss., Fl. Or. I (1867) 530;

Ис.: Гросср. I. с. (1945) Таб. 32, рис. 6.

⊙ ან ⊕. მთელი მცენარე სქლად არის შებუხვილი თეთრი კაუქისებრი ბეწვით: ღეროები ძირიდანვე დატოტვილია, გართხმული, 5—25 სმ სიმაღლის, წამოწეული ტოტებით; ფოთოლი პატარა ზომისაა, სიგრძით 1—2 სმ-მდე, მოგრძო-ხაზური, ნიჩბისებრი ან კვერცხისებრ-მომრგვალო, წარზიდული გრძელ ყუნწად. ყვავილი მრავალია, მოთავსებული ძლიერ დამოკლებულ ყუნწებზე და თითქმის ტოტების ძირიდანვე ქმნის კუმს ან შედარებით ფარჩხატ ყვავილედებს; ჯამი ვიწრო-ცილინდრულია, მისი კბილები კვერცხისებრ-მომრგვალებულია, წვერში მოკლენწვეტებიანი 10—12 მმ სიგრძის; ჯამი ნაყოფობისას გამოზერილია და ცოტათი წაგრძელებული; გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია და ჯამს 1/5-ით აღემატება; გვირგვინის ფურცლების ფირფიტა კიდემთლიანია და ძირში აქვს ჯაგრისმაგვარი დანამატები; ნასკვი და კოლოფი მოთავსებულია წაგრძელებული ყუნწზე. V—VII. (სურ. 22).

აწერილია მცირე აზიიდან. (თურქეთიდან). ტიპი ინახება ბერლინში. (ვილდენოვის ჰერბარიუმი).

იზრდება მშრალ, ლორლიან ფერდობებზე და რუდერალურ ადგილებში, 900 მ-მდე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ.: 9—ქართ.: ბაკურიანი (კოზლოვსკი); ბორჯომი, დაბა (ხინთიბიძე, ივანიშვილი); ბორჯომის ხეობა, სოფ. ქვაბისხევსა და აწყურს შორის, მშრალ, ბალახოვან ფერდობებზე (ხინთიბიძე); ბორჯომი (კოზლოვსკი; რადე), ბორჯომის მიდამოები, ქვაბისხევის ხეობა (კოზლოვსკი, ტროიცი); ბორჯომ-პარკი, მდ. ბორჯომულას მარცხენა ნაპირი (ხინთიბიძე, ივანიშვილი); 16—



თრიალ.; ძამას ხეობა, გვერძინეთის მიდამოები (ქუთათელაძე, შხიანი, ხინთიბიძე) თეძამის ხეობა, სოფ. რკონი (ქუთათელაძე, შხიანი, ხინთიბიძე, ღვინიაშვილი); 19 — მესხ. ადიგენსა და მლაშეს შორის (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა); ადიგენი, მშრალი ფერდობები (ღვინიაშვილი), აბასთუმანი (სევერიანი); ახალციხის მიდამოები (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა, ხინთიბიძე, ღვინიაშვილი); ახალციხე, გრელი (ხინთიბიძე, ლაჩაშვილი, ჩოლოყაშვილი); სოფ. ურაველი, მდ. ურაველ-სუს მარცხენა ნაპირი (ღვინიაშვილი, ხინთიბიძე, მუყბანიანი); სოფ. აწყურსა და ტისელს შორის, მშრალ, ქვიან ფერდობებზე (ხინთიბიძე, ღვინიაშვილი). აწყურსა და წნისს შორის (სოსნოვსკი, მანდენოვა); სოფ. ბოლაჯურის მიდამოები, ნაშალებზე ოქროს ციხესთან (ხინთიბიძე, ივანიშვილი); ოშორის ქედი, აწყურისკენ (ფინსენკო; ხინთიბიძე, ივანიშვილი).

საერთო გავრცელ.: მც. აზ.: არმ.-ქურთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : საქართველოს მასალა უნდა შეესაბამებოდეს Hedge-ის მიერ დადგენილ ქვესახეობას *S. prostata subsp. calverti* (Boiss.) Hedge (Hedge, l. c. 1961, 1967).

3. *S. cerastoides* Fisch. ex C. A. Mey. Verzeichn. Pfl.Cauc. (1831) 212; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 302; Boiss. Fl. Or. I (1867) 532; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 434; Горшкова во Фл. СССР VI (1936) 868; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 318 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 561; Рзазаде во Фл. Азерб. III (1952) 386; Колак. Растит. мир Колх. (1961) 180; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 247 (georg.); Hedge in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 144.

Is.: Фл. СССР l. c. Табл. IV, рис. 3; Гроссг. l. c. (1945) табл. 32, рис.7; Фл. Азерб. l. c. Табл. XXX, рис. 1.

⊙. ღეროები წამოწეულია; დატოტვილი, შიშველი, მოლეგო ან მხოლოდ ზედა ნაწილში ჯირკვალბუხუსიანი, 7—30 სმ სიმაღლის; ფოთლები მომრგვალო-ოვალური ან კვერცხისებრი, ყუნწად შევიწროებული; ზედა ფოთლები თითქმის მჯდომარეა, შიშველი, მოლეგო, 0,5—1,5 სმ სიგრძის. ყვავილები შეკრებილია მცირეყვავილიან ყვავილედად ღეროებისა და ტოტების წვერში, ჯირკვლებიან ყუნწებზე, რომლებიც ჯამის სიგრძეს არ აღემატებიან; ჯამი მოგრძოა, წვერში ცოტათი შევიწროებული, მოზღაგვო კბილებით, ჯირკვალბუხვებიანი, 5—8 მმ სიგრძის; გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია, ჯამზე ცოტათი გრძელი, მთლიანი ფირფიტით, უდანამატოდ. კოლოფი კვერცხისებრია, ჯამზე ცოტათი გრძელი, მჯდომარე. V—VII.

აწერილია თალიშიდან. Typus: «Talysh. Lenkoran, C. A. Mey.» დაცულია ლენინგრადში. (LE).

იზრდება მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარებს შორის, გზების მახლობლად, ტყის სარტყელში ნაშალებზე.

საქ. სსრ: 1 — აფხ.: (კოლაკოვსკის მიხედვით l. c.); 5 — იმერ.: კლდეებზე შორაპანთან (ლომაკინი); 7 — აჭარ.: ბათუმი (გროსკვიმი); 9 — ქართ.: ტბა; ბორჯომი (კოზლოვსკი).

სსრკ: ამიერკავკ.: აზერბ. (ლენქორანი).

საერთო გავრცელ.: მც. აზ.: ირ.

4. *S. orientalis* L. Sp. Pl. (1753) 409; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 301; Boiss. Fl. Or. I (1867) 531; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 435; Горшкова во Фл. СССР VI (1936) 869; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 296; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 318 (georg.); Pзазде во Фл. Азерб. III (1952) 387; Тхт., Фед., Фл. Еревана (1972) 82.

Ис.: Reichb. Ic. Fl. Germ. 6, tab. 244, f. 4994 [*Proteina orientalis* (L.) Ser.]; Гроссг. (1945) табл. 32, рис. 9—9а.

Exs.: J. Bornmüller Pl. Anatoliae or. n°1800.

⊙. მცენარე ძირიდანვე გაფარჩხულ-დატოტვილია და ხასიათდება შიშველი, მხოლოდ ზედა ნაწილში გაფანტულ-ჭირკვალბუსუსიანი, 6—10 სმ სიმაღლის ღეროებით: ფოთლები შიშველია, მოგრძო-ლანცეტა, ხაზურ-ლანცეტა, მახვილი, 12—15 მმ სიგრძის, ყუნწად წარზიდული. ყვავილები მრავალია და ქმნიან ფარჩხატ ყვავილედს ჭირკვალბუსუსებიან ყუნწზე, რომელიც ჯამის სიგრძეს არ აღემატება: ჯამი მოკლე ცილინდრულია, 7—10 მმ სიგრძის, ჭირკვალბუსუსიანი და ხასიათდება სამკუთხა-მოგრძო, მახვილ კიდეებზე ვიწრო თეთრსიფრთვანა კბილებით: გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია. ჯამზე ცოტათი გრძელი: მათი ფირფიტა პატარა ზომისაა, ორად ჩაჭრილი. უდანამატო. კოლოფი ძირში კვერცხისებრია, წაგრძელებული წვერით, რომელიც ჯამს ცოტათი აღემატება, მჯდომარეა. VI—VIII.

აწერილია აღმოსავლეთიდან, ტიბი დატულია ლონდონში (Hb. Linn 580/10).

იზრდება მშრალ, ლორღიან ფერდობებზე და ჩამონახვავებზე 1900 მ-მდე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ.: 9 — ქართ.: ბაკურიანი (კოზლოვსკი); 18 — ჯავახ.: ტაბაწყურის ტბა (კოზლოვსკი); 19 — მესხ.: სოფ. მინაძესა და რუსთავს შორის (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა); ახალციხის მიდამოები, სოფ. გრელი (ხინთიბიძე, ლაჩაშვილი).

სსრკ: იმიერკავკ. (დაღესტანი); ამიერკავკ.: აზერბ.; სომხ.; შუა აზ. (კოპეტდალი).

საერთო გავრცელ.: ხმელთაშუა ზღვ. მხრ.; მც. აზ.; არმ.-ქურთ.; ირ.

გვარი 29. VELEZIA L*.

ჯამი შეზრდილია, ვიწრო-ცილინდრული, 15 ძარღვიანი, 5 კბილიანი. გვირგვინის ფურცელი 5: ფირფიტა ორად გაყოფილი და ძირისკენ ფრჩხილად შევიწროებული. სვეტი 2. მტვრიანა 5, იშვიათად 10. მტვრის მარცვლი სფეროსებრია, ღარსმოკლებული, 20—22 მიზრდილი, გაფანტული ფორით; ფორი აშკარად შესამჩნევი არხით. ფორის მემბრანა მსხვილბორცვოვანია; ეგზონის ზედაპირი წვრილბორცვოვანია. კოლოფი ერთბუდინია, ჯამზე მოკლე, მომწიფებისას 4 კბილით იხსნება. თესლი კვერცხისებრია. — ბალახოვანი მცენარეებია მუხლისებრ დატოტვილი ღეროებით და ხაზურ-სადგისისებრი ფოთლებით.

* დაამუშავა ზ. ლეინანიძემ.

ხმელთაშუაზღვეთსა და დას. აზიაში გავრცელებულ 4 სახეობიდან, საქართველოში 1 სახეობა იზრდება.

I. V. rigida L. Sp. Pl. (1753) 332; Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 194; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. I (1842) 274; Boiss. Fl. Or. I (1967) 478; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 435; Горшкова во Фл. СССР VI (1936) 869; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 298; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 319 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 561; Харадзе во Фл. Азерб. III (1952) 387; Макашвили, Фл. Окр. Тбилиси I (1952) 208 (georg.); Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 216; Chater in Fl. Europ. I (1964) 204; Coode in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 137.

Ис.: Гроссг. I. с. (1945) табл. 32, рис. 10.

⊙. წვრილჭირკვალა-ბუსუსებიანი მცენარეა; ღეროები ძირიდანვე მუხლისებრ დატოტვილია, აღმავალი, 5—30 სმ სიმაღლის; ფოთლები დამოკლებულია, ხაზურ-სადგისისებრი, მახვილწვერიანი, კიდეებზე წვრილწამწამებიანი. ყვავილები ილღიურია, თითო-თითო ან 2 ერთად, ძლიერ გასქელებულ ყუნწზე, რომლის სიგრძე 2—4 მმ-მდეა; ჯამი 15-ძარღვიანია, წაწვეტილი კბილებით. 11—20 მმ სიგრძის; გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია, ჯამზე ცოტათი გრძელი, პატარა ორად გაყოფილი ფირფიტით, ზევიდან რამდენიმე ბეწვით. კოლოფი ჯამზე მოკლეა. V—VI. 2n=28.

აწერილია სამხ. ევროპიდან.

იზრდება ბორცვებზე, მშრალ და ღორღიან ფერდობებზე ველებსა და ნახევრად უდაბნოს სარტყელში, მთის სარტყელში.

საქ. სსრ.: 9 — ქართ.; 15 — გარდაბ.; 17 — ქვ. ქართ.

სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; აზერბ.; სომხ.; შუა აზ.

საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ., ირ.

ოჯახი 55. ILLECEBRACEAE LINDL*

ყვავილები პატარა ზომისაა პერიგინული; ხშირად შეკრებილი ციმოზურ ყვავილედებად ან კუმს თავაყებად, ზოგჯერ სიფრიფანა თანაყვავილებით. ჯამი 4—5 წვერიანია. ჩვეულებრივ გვირგვინის ფურცლები არა აქვს. მტვრიანა 5 [10], იშვიათად სტამინოდუმიები ვითარდება, ხან მტვრიანა 2—3 ნასკვი ერთბუდიანი სვეტი 1—2. თესლკვირტი 1. ნაყოფი ჩვეულებრივ უხსნადი, ერთთესლიანი, ჯამით შემოხვეული.—ერთწლოვანი ან მრავალწლოვანი ბალახები, იშვიათად ნახევარბუჩქები, აღმავალი ან გართხმული, ძლიერ დატოტვილი ყლორტებით. ფოთლები ჩვეულებრივ მოპირისპირე, პატარა ზომის, მარტივი, ხშირად ძირთან შეზრდილი, კიდეშლიანი, თეთრი სიფრიფანა თანაყვავილებით ან ვიწრო სიფრიფანა კიდეთ ფუძესთან.

ოჯახში ჩვენში გავრცელებული 3 გვარი ერთიანდება და „საქართველოს ფლორაში“ პირველადაა მოყვანილი.

1. ფოთლები თანაფოთლებითაა

2

* დაამუშავა ზ. ლენინიანიძემ.

- ფოთლებს თანაფოთლები არა აქვს, ვიწრო სიფრიფანა კილითაა ფუძესთან 3. **Scleranthus L.**
2. ყვავილები დიდი ზომის, თეთრი სიფრიფანა თანაყვავილებითაა შემოვლებული 1. **Paronychia Miller**
- ყვავილებს დიდი ზომის თანაყვავილები არ ახასიათებს 2. **Herniaria L.**

გვარი 1. SCLERANTHUS L.—წიბავა

ყვავილები პატარა ზომისაა, ფოთლების ილღიებსა და ტოტების ბოლოებში ჩგუფებდა შეკრებილი. ჯამი ზარისებრია, ჯამის ფოთლები ქვედა ნაწილში შეზრდილია ღარებიან მილად, რომელიც ზევით ბოლოვდება 5 მახვილი ან ბლაგვი, კიდევებზე თეთრი სიფრიფანა კბილით; კბილები ორჯერ აღემატება მილს. ჯამი და ნაწილობრივ ყვავილსაჯდომი, ნაყოფობისას მაგრდება, მჭიდროდ შემოხვეულია ნაყოფზე და მასთან ერთად ცვივა. გვირგვინის ფურცლები არა აქვს. მტკრიანა ჩვეულებრივ 10, ან ნაკლები (ნაწილი მათგანი ხშირად სტერილურია). მტკრის მარცვლები ღარს მოკლებულია, 12—14 გაფანტული ფორით; ფორა მრგვალია, განიერი არხით და წვრილწერტილოვანი მემბრანით; ეგზინის ზედაპირი მსხვილბორცოვანია. ნასკვი ნახევრად ქვედაა. სეკტი 2, ნაყოფი უხსნელია, 1-თესლიანი, თესლები თირკმლისებრია. ჩანასახი ნალისებრია. — ერთწლოვანი ან მრავალწლოვანი პატარა ზომის ბალახებია წვრილი, თითქმის მკდომარე ყვავილებით, ხაზურ-სადგისისებრი ან ხაზური ფოთლებით.

გვარის 10 სახეობიდან, რომლებიც ევროპაში, აფრიკაში, დას. აზიასა და ავსტრალიაშია გავრცელებული, ჩვენში 4 სახეობა იზრდება. გვარის წარმომადგენელთა ქრომოსომთა რიცხვი დადგენილია სხვადასხვა ავტორის მიერ, ევროპის მასალაზე. მათ დაადგინეს გვარის დიპლოიდური და ტეტრაპლოიდური სახეობები. ძირითადი რიცხვი $x=11$.

1. მრავალწლოვანია. ჯამის კბილები ბლაგვია, კიდევებზე ფართო თეთრ-სიფრიფანა, თითქმის მწვანე ნაწილის სიგანის 1. **S. perennis L.**
- ერთწლოვანია ან ორწლოვანი. ჯამის კბილები მახვილწვერიანია, კიდევებზე ვიწრო თეთრ სიფრიფანა, მწვანე ნაწილზე გაცილებით ვიწრო 2.
2. ჯამის კბილები წვერში კაუჭისებრადაა მოხრილი 4. **S. uncinatus Schur**
- ჯამის კბილები კაუჭისებრ არ არის მოხრილი 3
3. ჯამი 2—2,5 მმ სიგრძისაა, ზევითკენ აღმართული კბილებით. პატარა ზომის მცენარეა, 2—8 სმ სიმაღლის 3. **S. polycarpus L.**
- ჯამი სიგრძით 4 მმ-მდეა და გადაშლილი კბილებით ხასიათდება, უფრო დიდი ზომის მცენარეა, 5—15 სმ სიმაღლის 2. **S. annuus L.**

1. **S. perennis L.** Sp. Pl. (1753) 406; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. II (1843) 157; Boiss. Fl. Or. I (1867) 750; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 402; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 547; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 219;

Харадзе во Фл. Груз. III (1947) 253; (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 543; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 89; Колак. Растит. мир Колх. (1961) 181; Sell in Fl. Europ. I (1963) 148; Brummitt in Davis, Fl. Turkey II (1967) 263; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 229 (georg.).

Is.: Hegi, III Fl. Mittel.-Eur. III. t. 108; Фл. СССР I. с. табл. XXXI рис. 6; Фл. Арм. I. с. табл. XXVI.

Exs.: Herb. Fl. Ross. n° 836.

4. ღერო რამდენიმეა, ზედა ნაწილში დატოტვილი, მეჩხერ-ხუტუქა-ბეწვიანი, წამოწეული, 5—20 სმ სიმაღლის; ფოთლები ხაზურსადგისებრია, შიშველი, ძირთან გაფართოებული, კიდეებზე სიფრიფანა და წამწამებიანი. ყვავილები კენწრულია, უფრო იშვიათად ილიური და შეკრებილი კუმს ფარისებრ კონებად; ჯამი [3] 4—5 მმ სიგრძისაა, შიშველი, უფრო იშვიათად ოდნავ შებუსვლი, ხასიათდება მოგრძო, ბლავვი, კიდეებზე ფართო-სიფრიფანა, ნაყოფობისას ურთიერთთან მიახლოებული კბილებით. VI—VIII. 2n=22.

აწერილია ევროპიდან. ტიპი დაცულია ლონდონში.

იზრდება მშრალ ფერდობებზე, გზისა და ტყის პირებზე, სუბალპურ სარტყლამდე.

საქ. სსრ: 1 — აფხ. (კოლაკოვსკის მიხედვით I. ს.); 19 — მესხ.: ოშორის ქედი, აწყურთან (კოზლოვსკი); აბასთუმანი (ოვერინი);

სსრკ: ამიერკავკ.: სომხ.; ევრ. ნაწ.

საერთო გავრცელ.: შუა აზ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.; არმ.-ქურო.

2. *S. annuus* L. Sp. Pl. (1753) 406; Vieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 318; Boiss. Fl. Or. I (1867) 750; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 402; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 547; Колак. Фл. Абх. II (1939) 98; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 220; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 253 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 543; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 310; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 89; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 318; Колак. раст. мир Колх. (1961) 181; Sell in Fl. Europ. I (1964) 149 p.-p.; Brummitt in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 264 p.-p.; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 229 (georg.); Тахт., Фед., Фл. Еревана (1972) 75.

Is.: Hegi, III. Fl. Mittel.-Eur. III, t. 108; Фл. СССР I. с. табл. XXXI рис. 5; Гроссг. I. с. (1945) табл. 22 рис. 2.

⊕ ან ⊙. ღერო მარტოულია ან რამდენიმე, ჩვეულებრივ ძირიდანვე დატოტვილი, აღმავალი, 5—15 სმ სიმაღლის, ხუტუქბეწვიანი; ფოთლები ვიწრო ხაზურ-სადგისებრია, შიშველი ან მეჩხერბეწვიანი, ძირში წამწამებიანი. ყვავილედეები კენწრულია და ილიური. შეკრებილია კუმს კონებად; ჯამი შიშველია ან გაბნეულბეწვიანი, 3,5—4 მმ სიგრძის; ჯამის კბილები ნაყოფობისას ჩვეულებრივ გადაშლილია, კიდეებზე ვიწრო-სიფრიფანა, მახვილწვერიანი. V—VII. 2x=44.

აწერილია ევროპიდან. ტიპი დაცულია ლონდონში. (Hb. Linn. 578/1).

იზრდება მშრალ ფერდობებზე, სილნარ ადგილებში, გვხვდება როგორც სარეველა ტყის, ველებისა და ნახევრადუდაბნოების სარტყლებში.

საქ. სსრ: მთელ რესპუბლიკაში.

სსრკ: იმიერკავკ.; ანიერკავკ.; აზერბ.; სომხ.; ევრ. ნაწ.

საერთო გავრცელ.: ჩრდ. და შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ. მითითებულია როგორც გზადმოყოლილი ჩრდ. ამერიკისათვის.

3. *S. polycarpus* L. Cent. Pl. II (1756) 16; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 402; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 548; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 220; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 254 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 543; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 310; Макашвили, Фл. окр. Тбилиси I (1952) 191 (georg.); Шишк. и Аветисян во Фл. Арм-2 (1956) 89; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 318; Колак. Растит. мир Колх. (1961) 181; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 229 (georg.). — *S. verticillatus* Tausch in Flora XII, I Ergbl. (1829) 50; Boiss. Fl. Or. I (1867) 750. — *S. annuus* a. *verticillatus* Fenzl in Ledeb. Fl. Ross. II (1843) 156. — *S. annuus* subsp. *polycarpus* Thell. in Schinz and Keller, Fl. Schweiz. ed. 3, 2 (1914) 109; Sell in Fl. Europ. I (1964) 149; Brummitt in Davis, Fl. Turkey II (1967) 264.

Ис.: Cousin et Ansberge, Herb. Fl. Trans. IX (1868) t. 23.

Exs.: Pl. exs. Austr.-Hung. n° 570.

⊙. ღერო მარტოულია ან რამდენიმე, მარტივი ან დატოტვილი, აღმავალი, ხუჭუტებუწვიანი 3—8 [10] სმ სიმაღლის; ფოთლები ხაზურ-სადგისისებრია, შიშველი ან გაბნეული ბეწვით, ძირში. გაფართოებული, კიდეებზე წამწამებიანი. ყვავილები პატარა ზომისაა კუმს კონებში; უკანასკნელი შეკრებილია მტევნისებრ ან საგველასებრ ყვავილედად; ჯამი 2—2,5 მმ სიგრძისაა, შიშველი; ჯამის კბილები მახვილწვერიანია, კიდეებზე ვიწრო-სიფრიფანა, ნაყოფობისას ზვევითკენ აღმართული. V—VI [IX]. 2x=44.

აწერილია სამხრ. ევროპიდან. ტიპი ინახება ლონდონში (Hb. Linn. 578/3).

იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე, ველებისა და ნახევრადუდაბნოების აგრეთვე ტყისა და სუბალპურ სარტყლებში.

საქ. სსრ: 1—აფხ. (კოლაკოვსკის მიხედვით I. c.); 7—აჭარ. (დმიტრიევას მიხედვით I. c.); 9—ქართ.: ბაკურიანი (შიშკინი; აკინფიევი; ხინთობიძე, ლაჩაშვილი); გორის რ-ნი, სოფ. ნათლისმცემლის ზევით (ქიქოძე, ხარაძე); გორი (ქიქოძე, შიშკინი); ქვათახევი (ღვინიაძე); თბილისი, ბოტანიკური ბაღი (ვორონოვი; სოსნოვსკი); 11—თუშ-ფშავ-ხევსურ.: უკანა ფშავი, მდ. წაწალას გამოტანის კონუსი; გულამაყრის ქედი, აჭეხის მთა (ოჩიაური); 12—კახ.: გომბორი (ქიქოძე); ანმეტის რაიონი, ბაწარას ხეობა; მთა ჩაღმა მე-ლათკულა (მაღალაშვილი); 17—ქვ. ქართ. (ხარაძის მიხედვით I. c.).

სსრკ: იმიერკავკ.; ანიერკავკ.; აზერბ.; სომხ.

საერთო გავრცელ.: სკანდინავია; ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.

შენიშვნა. შესაძლებელია *S. polycarpus* L. სახეობა *S. annuus* L-ის ქვესახეობას წარმოადგენდეს.

4. *S. uncinatus* Schur in Verh. Siebenb. Ver. Naturw. I (1850) 107, 108, nom. nud.; II (1851) 10; Boiss. Fl. Or. I (1867) 750; Гроссг. Фл.



Кавк. II (1930) 402; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 548; Колак. Фл. Абх. II (1939) 99; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 220; Харадзе во Фл. Грузия II III (1947) 254 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 543; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 310; Макашвили, Фл. окр. Тбилиси I (1952) 192 (georg.); Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 89; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 318; Колак. Растит. мир Колх. (1961) 181; Sell in Fl. Europ. I (1964) 149; Brummitt in Dav's, Fl. Turkey II (1967) 265; Харадзе во Опред. раст. Груз. II (1969) 229 (georg.); Тахт., Фед., Фл. Еревана (1972) 25.—S. annuus *β. cymosus* Fenzl in Ledeb. Fl. Ross. II (1843) 157 ex parte. Ic.: Coste, Fl. Franc. II (1903) 105; Фл. СССР I. с. табл. XXXI рис. 7. Гроссг. I. с. (1845) табл. 22, рис. 3.

Exs.: Herb. Fl. Ross. n° 1112.

⊙. ღერო რამდენიმე, ძირიდანვე დატოტვილი, არათანაბარ ზომიერად ხუჭუტბეწვიანი, წამოწეული, 5—15 სმ სიმაღლის; ფოთლები თითქმის ზახურია; შიშველი, ძირში გაფართოებული, კიდეებზე წამწამებიანი. ყვავილები მოთავსებულია არამრავალყვავილიან კენწრულ ან ილლიურ კონებად, რომლებიც შეკრებილია მტევნისებრ ან ფარჩხატ-საგველასებრ ყვავილედად; ჯამი დაახლოებით 4 მმ სიგრძისაა, ნაყოფობისას დიდდება 5—6 მმ-მდე, შებუსვლია; ჯამის კბილები წაგრძელებულ-წაწვეტილია, წვერში კაუქისებრ მოხრილი, კიდეებზე ვიწრო-სიფრიფანა, ნაყოფობისას გადაშლილი. V—IX.

აწერილია რუმინეთიდან.

იზრდება დაბლობიდან 2400 მ-მდე მშრალ, ხრიოკ ადგილებში ზოგჯერ ნაჩხატებსა და ნათესებში.

საქ. სსრ: მთელ რესპუბლიკაში.

სსრკ: ამიერკავკ.: აზერბ.; სომხ.

საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.; არმ.-ქურთ.; ირ.

გვარი 2. HERNIARIA L.—ჯაფუნა

მცირე ზომის ორსქესიანი ან ერთსქესიანი ყვავილები შეკრებილია კონებად ფოთოლთა ილიებში. ჯამის ფოთოლი 5 (ძალიან იშვიათად 4 ან 6), ძირში შეზრდილი, ნაყოფობისას შენარჩუნებული. ბუტკოს ქვეშ ვითარდება დისკო, რომელზედაც მიმაგრებულია 2—5 მტვრიანა და გვირგვინის ფურცლები (სტამინოდლეუმები), რიცხვით 5, ან საერთოდ არ აქვს. მტვრის მარცვლი სფეროსებრია, ოდნავ ოთხწახნაგა, ღარს მოკლებული, ძალიან დიდი ზომის 8 გაფანტული ფორით; ფორის მემბრანა და ეგზინის ზედაპირი წვრილობრივანია. სვეტი 2 გაყოფილი დინგით. ნაყოფი 1-თესლიანია, უხსნელი, სიფრიფანა. — მრავალწლოვანი ან ერთწლოვანი მცენარეებია მრავალი გართხმული ღეროთი და წვრილი ფოთლებით, თეთრისიფრიფანა თანაფოთლებითა და თანაყვავილებით.

15 სახეობიდან, რომლებიც გავრცელებულია შუა და სამხრ. ევროპაში, დას. აზიაში ინდოეთამდე, ჩრდ. და სამხრ. აფრიკაში, ჩვენთან მხოლოდ 4 სახეობა იზრდება.

1. მცენარე ხასიათდება შიშველი ან სუსტად შებუსვლი ღეროებით, შიშველი ან მხოლოდ კიდეებზე წამწამებიანი ფოთლებით, თანაფოთლებითა და ჯამის ფოთლებით. 2.

- სქლად შებუსვილი მცენარეა.
2. სრულიად შიშველი მცენარეა წამწამებიანი თანაფოთლებით. ნაყოფი ცოტათი აღემატება ჯამს 1. **H. glabra** L.
- მცენარე ხასიადება სუსტად შებუსვილი ღეროებით, შიშველი ან მხოლოდ კიდებზე წამწამებიანი ფოთლებითა და ჯამის ფოთლებით. ნაყოფი ჯამზე მოკლეა 2. **H. caucasica** Rupr.
3. მრავალწლოვანია. მცენარე სქლად არის შებუსვილი ჩვეულებრივ მწოლარე მოთეთრო წვრილი ბეწვებით. ჯამის ფოთლები შებუსვილია წვრილი მწოლარე და გრძელი სწორმდგომი ბეწვებით, ფორმით კვერცხისებრ-ელიფსური 3. **H. incana** Lam.
- ერთწლოვანია. მცენარე შებუსვილია გრძელი, გაფარჩხული ბეწვებით. ჯამის ფოთლები უფრო ვიწროა, ვიდრე წინა სახეობაში, მოგრძო-ელიფსური ფორმისა 4. **H. hirsuta** L.

H. glabra L. Sp. Pl. (1753) 218; Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 178; DC. Prodr. III (1828) 367; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. II (1843) 159; Boiss. Fl. Or. I (1867) 740; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 401; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 567; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 225; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 260 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 544; Макашвили, Фл. окр. Тбилиси I (1952) 191 (georg.); Карягин во Фл. Азерб. III (1952) 315; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 105; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 319; Колак. Растит. мир. Колх. (1961) 178; Brummitt and Heywood in Fl. Europ. I (1964) 151; Brummitt in Davis, Fl. Turkey II (1967) 246; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 231; Тахт., Фед., Фл. Еревана (1972) 76.

Is.: Фл. СССР I. с. табл. XXXIV рис. 5.

⊙ ან ⊕, 4. შიშველი მცენარეა; ღეროები დატოტვილია, 5—15 მმ სიგრძის, ქვედა ნაწილში გახვევებული; ფოთლები ელიფსურია ან უკუ-კვერცხისებრი, ძირისკენ შევიწროებული 7×3,5 მმ; თანაფოთლები კვერცხისებრია, კიდებზე წამწამებიანი. ყვავილები 0,8 მმ-მდე სიგრძისაა, შეკრებილი კუმს კონებად, რომლებიც ქმნიან თავთავისებრ ყვავილედს, ჯამის ფოთლი 5, მობლაგვო, 5 მმ-დე, ნაყოფი ცოტათი აღემატება ჯამს. V—VIII. 2n = 18.

აწერილია ევროპიდან. ტიპი ინახება ლონდონში.

იზრდება ქვიან ფერდობებზე, მდინარეთა ხეობებში, მშრალ და დასარეველიანებულ ადგილებში ტყის სარტყელში.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: ბაკურიანი, ცხრაწყარო, საყოჭავი, ბორჯომი (კოზლოვსკი), ბაკურიანი (შიშკინი); თბილისი (რადე; სმირნოვი); 14 — გარე კახ.: სართიჭალა (ხარაძის მიხედვით I. ს.); 16 — თრიალ.: მდ. ძამას ხეობის ზედა წელი (ქიქოძე); მანგლისი (ზედელმეიერი); 18 — ჯავახ.: ტაბიწყურთან, წითელი საყდარი (შიშკინი).

სსრკ: იმიერკავკ.: ამიერკავკ.: აზერბ.; სომხ.; დას. ციმბ. შუა აზ.

საერთო გავრცელ.: ჩრდ. და შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.: მც. აზ.

სამეურნეო მნიშვნელობა. შესამიანი მცენარეა. გამოიყენება სახალხო მედიცინასა და ჰომეოპათიაში ცისტიტის დროს. წყალმანკით დაავადებისას იყე-

ნებენ როგორც შარდმდენს. შეიცავს საპონინის მსგავს გლუკოზიდს პარონინს 0,2%, ჰერნარია — საპონინს 0,9—0,8%, შხამიან ალკალოიდს პარონინს, კუმარინს და 0,585% ეთეროვან მყარ ზეთს, რომლის დნობის t° 36^o-ია.

2. *H. caucasica* Rupr. Mém. Acad. sci. Petersb. sér. 7, 15, 2 (18) 241; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 401; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 567; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 226; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 261 (georg.); Гроссг. Опред. Раст. Кавк. (1949) 544; Макашвили, Фл. окр. Тбилиси. I (1952) 191 (georg.); Карягин во Фл. Азерб. III (1952) 315; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 105; Дмитриева, Опред. раст., Аджар. (1959) 319; Харадзе во Опред. раст. Груз. II (1969) 231 (georg).

Is.: Фл. СССР I. с. табл. XXXIV рис. 1., Гроссг. I. с. (1945) табл. 22, рис. 10—10a; Фл. Арм. I. с. табл. XXXII.

4. მცენარე ხასიათდება ქვედა ნაწილში გახევებული, გართხმული, წაგრძელებული, სუსტად დატოტვილი, შიშველი ან მოკლებულსუსიანი, 2—25 სმ სიმაღლის ღეროებით; ფოთლები შიშველია ან კიდეებზე წამწამებიანი, ფართო-ელიფსური ან უკუკვერცხისებრი, თითქმის რომბისებრი, მობლავო, ძირისკენ შევიწროებული; თანაფოთლები კვერცხისებრია, კიდეებზე გრძელ ფოჩისებრ-წამწამებიანი. ყვავილები სიგრძით 1 მმ-მდეა და შეკრებილია არამრავალყვავილიან კონებად; ჯამის ფოთლები 5, წვერში მომრგვალებული, ქვედა ნაწილში მეჩხერად შებუსვილი, კიდეებზე გრძელწამწამებიანი. ნაყოფი ჯამზე მოკლეა. VII—VIII. (სურ. 24,2).

აწერილია კავკასიონის ალპური სარტყლიდან ტიბი ინახება ლენინგრადში (LE).

იზრდება კლდეებზე, ღორღიან ადგილებში და ჩამონახვავებზე სუბალპურსა და ალპურ სარტყლებში, 3000-მ-მდე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: 8—სამხ. ოს.: მთა ფიღარი, 3050—3100 მ (მანდენოვა, დოლუხანოვი); 11 — თუშ-ფშავ-ნევესურ.: ბორბალოს მთა, კომიტოს წვერი, დიკლოს მთა; 12 — კახ.: ლაგოდების ნაკრძალი (შტება, დოლუხანოვი); 16 — თრიალ.: (ხარაძის მიხედვით I. ს.): 19 — მესხ.: მდ. ოშორის ხეობა, სოფ. ზემო ოშორის ზევით (დოლუხანოვი).

სსრკ: იმიერკავკ. (ალმ. ნაწ.); ამიერკავკ.: აზერბ.; სომხ.: დას. ციმბ. (სამხ. ალტაი); შუა აზ. (პამირო-ალაი, ტიან-შანი).

3. *H. incana* Lam. Encycl. method. III (1789) 124; DC. Prodr. III (1828) 368; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. II (1843) 160; Boiss. Fl. Or. I (1867) 741; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 401; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 568; Колак. Фл. Абх. II (1939) 100; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 226; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 261 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 544; Макашвили, Фл. окр. Тбилиси I (1952) 191 (georg.); Карягин во Фл. Азерб. III (1952) 315; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 105; Колак. Растит. мир. Колх. (1961) 178; Brummitt and Heywood in Fl. Europ. I (1964) 152; Brummitt in Davis, Fl. Turkey II (1967) 248; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 231; Тахт., Фед., Фл. Еревана (1972) 76.

Is.: Фл. СССР I. с. табл. XXXIV рис. 3; Гроссг. I. с. (1945) табл. 22 рис. 11—11a; Фл. Арм. I. с. табл. XXXIII.



4. მთელი მცენარე სქლადაა შებუსვილი მოთეთრო წვრილი, (ღერძზე კაუჭისებრი) ბეწვით; ღეროები ქვედა ნაწილში ხევდება, ძლიერ დატოტვილია, 5—25 სმ სიმაღლისაა; ფოთლები ხაზურ-მოგრძოა, ვიწრო-ელიფსური, უკუკვერცხისებრი, ან ელიფსური, ძირისკენ შევიწროებული. სიგრძით დაახლოებით 3-ჯერ მეტი სიგანეზე; თანაფოთლები ფართო-კვერცხისებრია. ყვავილები სიგრძით 1,5—1,7 მმ-მდეა, შეკრებილია კონებად; ჯამის ფოთოლი 5, კვერცხისებრ-ელიფსური, შებუსვილი მოკლე მწოლარე და გრძელი, ზოგჯერ სწორმდგომი ბეწვით. ნაყოფი ჯამზე მოკლეა. V—VIII.

ტიპი აწერილია საფრანგეთიდან.

იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე, ბუჩქნარებს შორის, დასარეკლიანებულ ადგილებზე, ველების, ნახევრად უდაბნოებისა და ტყის სარტყელში.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: დაბა, (კოზლოვსკი); ბორჯომი (მედვედევო, კოზლოვსკი); ატენი (რადე, სოსნოვსკი); ქარელის მიდამოები, ხვედურეთის ხევი (ქიქოძე), ატენის ხეობა, დანახვისი (ქიქოძე, აბულაძე); მცხეთა, (შიშკინი; სოსნოვსკი); კარსანი (პოპოვსკაია); თელეთის ქედი, (სოსნოვსკი); თბილისი, (მედვედევის პერბარეუმი, სოსნოვსკი); თბილისი, ნავთლული, (კვარაცხელია); 13 — ქიზ.; 15 — გარდაბ.: (ხარაძის მიხედვით I. c.); 16 — თრიალ.: თრიალეთის ქედის აღ. ნაწილის ჩრდ. ფერდობები (დოლუხანოვი); მდ. ტანას სათავე, ჯამ-ჯამას ძირში, (ხინთიბიძე, ლენინიანიძე); სოფ. გვერძინეთთან (ქუთათელაძე, შხიანი); თეთრი წყარო, (კოზლოვსკი); მანგლისი, ალგეთის ხეობა (ზედელმეიერი); 18 — ჯავახ.: ტაბაწყური (კოზლოვსკი); ახალქალაქი (გროსპეიმი); აბული (ზამთარაძე); ახალქალაქის რაიონი, ზრესის ტბის ჩრდ. მხარე (დოლუხანოვი); 19 — მესხ.: ახალციხე (შიშკინი; სოსნოვსკი); კემულარია-ნათაძე, მანდენოვი; კოზლოვსკი); კლდეებზე ახალციხესა და აწყურს შორის, (კოზლოვსკი); ვარძიასა და თმოგვს შორის (ქუთათელაძე, შხიანი, ხინთიბიძე); ოშორის ქედი, აწყურისკენ (კოზლოვსკი).

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; აზერბ.; სომხ.; ევრ. ნაწ.; შუა აზ.;

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.; არმ.-ქურთ.; ირ.

ამ სახეობის ფარგლებში ა. ხარაძეს (I. c.) 1947) მოყავს 2 სახესხვაობა.

var. *latifolia* Fenzl. — ფოთლები უკუკვერცხისებრია ან ელიფსური, ყვავილეთი კუმსია, მრავალყვავილიანი, მტევნისებრ-საგველასებრი.

ჩვეულებრივი ფორმაა.

var. *angustifolia* Fenzl. — ფოთოლი მოგრძო ხაზურია ან ვიწრო-ელიფსური. ყვავილეთი წინამდებარე ფორმასთან შედარებით უფრო ფარჩხატია; კონები ყვავილედში ზოგჯერ ნათლად შესამჩნევ ყუნწებზეა მოთავსებული.

გვხვდება სახეობის არეალში ჩვეულებრივ ფორმაზე უფრო იშვიათად.

ეს სახესხვაობა ა. კოლაკოვსკის მოჰყავს (I. c. 1939). აფხაზეთისათვის ლავოვსკის მიერ შეკრებილი მასალის მიხედვით, წებელდას მიდამოებიდან, თუმცა შენიშვნით: „ადგილმდებარეობა საპირობებს შემოწმებას“.

4. *H. hirsuta* L. Sp. Pl. (1753) 317; Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 179; idem. III (1819) 173; DC. Prodr. III (1828) 367; Fenzl in Ledeb. Fl. Ross. II (1843) 160; Boiss. Fl. Or. (1967) 740; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 401; Шишк. во Фл. СССР VI (1936) 571; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945)

226; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 262 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 544; Макашвили, Фл. окр. Тбилиси, I (1952) 191; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 316; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 105; Brummitt and Heywood in Fl. Europ. I (1964) 152; Brummitt in Davis, Fl. Turkey II (1967) 248; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 231 (georg.); Тахт., Фед., Фл. Еревана (1972) 76.

⊙. მცენარე შებუსევილია თეთრი, გრძელი, გაფარჩხული ბეწვით; ღეროები ქვედა ნაწილში არ ხევედება, გართხმულია ან წამოწეული, დატოტილი, 3—8—12 სმ სიმაღლის; ფოთლები ვიწროელიფსურია, თანდათანობით შევიწროებული ძირისაკენ, დაფარული უხეში ბეწვით ან მხოლოდ წამწამებით; თანაფოთლები კვერცხისებრლანცეტაა, წამწამებიანი; ყვავილები სივრცით 1—1,2 მმ-მდეა, შეკრებილია კონებად; ჯამის ფოთოლი 5, არათანაბარი ზომის, მოგრძო-ელიფსური; ჯამი შებუსევილია გრძელი სწორმდგომი ბეწვით. კოლოფი ცოტათი უფრო მოკლეა, ვიდრე ჯამი. IV—VIII. 2n=36.

აწერილია ევროპიდან.

იზრდება მშრალ ფერდობებზე და დასარეველიანებულ ადგილებში; ველებისა და ნახევრად-უდაბნოების სარტყელში.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: ბორჯომი (რადე; სმირნოვი); თბილისი, ბოტანიკური ბაღი (კენიგი); თბილისი, მამადავითის მთა; ვერეს ხეობა, კლდოვანი ფერდობი (შიშკინი); 13 — ქიზ. (ხარაძის მიხედვით I. ც.).

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ.; სომხ.; შუა აზ.

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.; არმ.-ქურთ.; ირ.

სამეურნეო მნიშვნელობა. შხამიანი მცენარეა. შეიცავს შხამიან გლიკოზიდს ჰერნიარინს.

გვარი 3. PARONYCHIA MILLER

ყვავილები შეკრებილია თავაკისებრ ყვავილედად, გარშემორტყმულია თეთრი-სიფრიფანა თანაყვავილებით. ჯამის ფოთოლი 5, ძირში შეზრდილი. სტამინოდოში 5, აფისებრი. მტკრიანა 5, სტამინოდოუმებთან ერთად დისკოზეა მიმაგრებული. მტკრის მარცვალი სფეროსებრია, მომრგვალო ექვსწახნაგოვანი, ღარს მოკლებული, 12 გაფანტული ფორით, ფორა ძალიან ვიწრო არხითაა. ფორის მემბრანა და ეგზინის ზედაპირი წვრილობორცვოვანია. სვეტი 2-ად გაყოფილია. ნაყოფი 1-თესლიანია, მომწიფებისას სკდება. — ერთწლოვანი მცენარეებია თეთრი სიფრიფანა თანაფოთლებით.

40 სახეობიდან, რომლებიც გავრცელებულია ხმელთაშუაზღვეთში, არაბეთში, წინა და ცენტრალურ აზიაში, ზომიერ და ტროპიკულ ამერიკაში, ჩვენთან მხოლოდ 1 სახეობა იზრდება. ამ გვარის სახეობები და განსაკუთრებით *P. kurdica* დეკორაციულია, სასურველია მისი გამოყენება მშრალ ქვიანი და ღორღიანი ადგილების დეკორირებისათვის.

I. *P. kurdica* Boiss. Diagn. ser. I, III (1843) 10; idem, Fl. Or. I (1867) 744; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 400; idem, 2, III (1945) 224; Харадзе во Фл. Груз. III (1947) 259 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 544; Макашвили, Фл. Окр. Тбилиси I (1952) 190 (georg.); Карягин во Фл. Азерб. III



(1952) 314; Шишк. и Аветисян во Фл. Арм. 2 (1956) 98; Chaudhri in Davis, Fl. Turkey 2 (1967) 254; Харадзе в Опред. раст. Груз. II (1969) 231 (georg.). — *P. capitata* β. *pubescens* Fenzl in Ledeb. Fl. Ross. II (1843) 163. Ic.: Grossh. A., D. Sosnov. et B. Schischk. Fl. Tiphlis. I, fig. 82. Фл. Арм. I. с. табл. XXXI.

Exs.: Herb. Fl. Cauc. n° 176; HF URSS n° 2973.

©. მცენარე ხასიათდება მრავალი, ქვედა ნაწილში გახევებული, წვრილბუსუსებიანი, სქლადშეფოთილი, 2—10 [12] სმ სიმაღლის ღეროთი; ფოთლები მოგრძო-ხაზურია მობლაგვო, წვრილბუსუსებიანი, თანაფოთლები მახვილწვერიანია, ლანცეტა, თეთრი და პრიალა. ყვავილები პატარა ზომისა და შეკრებილია თავაკისებრ კონებად, რომლებიც ჩაფლულია თეთრიფერანა მახვილწვერიან თანაყვავილებში; ჯამის ფოთლები ხაზურ-ლანცეტაა, წვრილბუსუსებიანია, არათანაბარი ზომის, 2—3 მმ სიგრძის, წვერში გარეთეკნ გადალუნული. VI—VII. (სურ. 24,1).

აწერილია ქურთისტანიდან. ტიპი ექნევაშია.

იზრდება მშრალ, ღორღიან ფერდობებზე, კლდეებზე მთის შუა სარტყელში.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: ბორჯომი ქვების ხევი (შიშკინი), ბორჯომი (რადე, კოზლოვსკი), თბილისი, (სმერნოვი; ლიპსკი; ტრაუტვეტერი), თბილისის ბოტანიკური ბაღი (ვორონოვი; სოსნოვსკი); 19 — მესხ.: სოფ. დამალასა და კობარეთის სატყეოს შორის, (ხინთიბიძე, მუყებანიანი); ახალციხესა და აწყურს შორის (კოზლოვსკი); ოშორის ქედი, აწყურთან (კოზლოვსკი); ახალციხე (ხინთიბიძე, ღვინიაიანიძე, ივანიშვილი); სოფ. მინაძის მიდამოები, მდ. მტკვრის მარჯ. ნაპირი (ღვინიაიანიძე, მარდალეიშვილი).

სსრკ: ამიერკავკ.: აზერბ.; სომხ.

საერთო გავრცელ.: მც. აზ.; არმ.-ქურთ.; ირ.

6იზი PAPAVERALES

ოჯახი 56. PAPAVERACEAE A. L. DE JUSSIEU*

ყვავილი მარტოულია, იშვიათად შეკრებილია ციმოზურ ან რაცემოზურ ყვავილედებად, ჩვეულებრივ დიდი ზომისაა, აქტინომორფული. ჯამის ფოთლები 2, უფრო იშვიათად 3, ჩვეულებრივ ცვენია. გვირგვინის ფურცელი ჩვეულებრივ 4 ან 6, უფრო იშვიათად 8—12, თავისუფალი. მტკრიანები მეტწილად მრავალია, იშვიათად [4] 6—12, თავისუფალი. გინეცეუმი შედგება ორი ან მეტი ნაყოფის ფოთლისაგან. ნასკვი ჩვეულებრივ ზედაა, ერთბუდიანი. სვეტიცე ერთია, ძოკლე ან სვეტი არ არის; დინგი დისკოსებრი ან თაქსისებრი. ნაყოფი კოლოფია, ან კოტისებრია. — მრავალწლოვანი ან ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია შეფერილი ან უფრო იშვიათად უფერული წვენით, იშვიათად ნახევარბუჩქებია ან ბუჩქები. ფოთლები მორიგებითია; უფრო იშვიათად მოპირისპირე.

* დაამუშავა ა. შხიანმა.

1. ჯამის ფოთოლი 3. ფოთლები ქიცივებიან-დაკბილულია 4 **Argemone** L.
- ჯამის ფოთოლი 2. ფოთლები ქიცივებიანი არ არის. 2.
2. კოლოფი სფეროსებრია, გურზასებრი ან მოგრძო კვერცხისებრი, იხსნება პატარა ზომის ნაჩერეტებით, რომელიც მოთავსებულია დისკოსებრ ვარსკვლავისებრი დინგის ქვეშ 5. **Papaver** L.
- კოლოფი მოგრძო ცილინდრულია, ჭოტისებრი, იხსნება საგდულეებით. 3.
3. კოლოფი ძალიან გრძელია (25 სმ-მდე სიგრძის), ყოველთვის იხსნება ორი საგდულით 2. **Glaucium** Adams
- კოლოფი 8—9 სმ სიგრძეს არ აღემატება, იხსნება 2—6 საგდულით 4
4. ყვავილები წითელია ან იისფერი. კოლოფი იხსნება თავიდან ძირამდე სამი ან ოთხი, იშვიათად 2—6 საგდულით; თესლებს დანამატები არ აქვს 3. **Roemeria** Medic.
- ყვავილები ყვითელია. კოლოფი იხსნება ძირიდან წვერამდე 2 საგდულით; თესლები თანათესლებითაა 1. **Chelidonium** L.

გვარი 1. CHELIDONIUM L.—ჰრისტისისხლა

ყვავილები აქტინომორფულია შეკრებილი ჭოლგისებრი კენწრულ ყვავილედებად. ჯამის ფოთოლი ორია, ადრე ცვივა. გვირგვინის ფურცელი 4, ყვითელი; მტვრიანა საკმაოდ მრავალია; სამტვრები მოგრძოა, წვრილი ზემოთკენ გაფართოებული ძაფებით. მტვრის მარცვალი სფეროსებრია, 26—30 მიკრონი დიამეტრში, სამი განიერი მერიდიონალურად განლაგებული ღარით; ღარის მემბრანა მარცვლოვანია, ეგზინის ზედაპირი მსხვილწერტილოვანია. ნასკვი ცილინდრულია ერთბუდინანი, შემდგარი ორი ნაყოფის ფოთლისაგან, წვერზე გადადის მოკლე მომსხვილო სვეტში; დინგი პატარა ზომისაა სუსტად გამოსახული 2 ნაკვით. კოლოფი ჭოტისებრია, იხსნება 2 საგდულით. თესლები დიდი ზომისაა, პრიალა, მთელ სიგრძეზე თანათესლებიანი. — მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია, ყვითელი რმეწვენითა და დიდი ზომის ჩანგისებრ-ფრთხილსებრ დაკვეთილი ფოთლებით.

1. **Ch. majus** L. Sp. Pl. (1753) 505; Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 2; DC. Prodr. I (1824) 123; Ledeb. Fl. Ross. I (1841) 91; Boiss. Fl. Or. I (1867) 124; Busch in Fl. Cauc.-Crit. III, 4 (1905) 7; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 128; Попов во Фл. СССР VII (1937) 582; Колак. Фл. Абх. II (1939) 162; Тер-Хачат. во Фл. Груз. IV (1948) 114 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 360; Гроссг. Фл. Кавк. 2, IV (1950) 86; Макашвили, Фл. окр. Тбилиси I (1952) 212 (georg.); Халилов во Фл. Азерб. IV (1953) 118; Тахт. Фл. Арм. I (1954) 235; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 211; Колак. раст. мир. Колх. (1961) 370; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. II (1969) 10 (georg.)
 Ic.: Reich. Fl. Germ. (1844) tab. III fig., 4466; Фл. СССР VII (1937) табл. XI, I; Фл. Арм. I (1954) табл. LXVI.
 Exs.: Herb. Fl. Ross. n° 154.



4. ღერო ღარებიანია, სწორი 30—100 სმ სიმაღლის, ზედა ნაწილში ტოტვილი, შიშველი ან რამდენადმე ბეწვებიანი; ფოთლები შიშველი ან გაფანტულბეწვებიანი. ჩანგისებრ ფრთისებრ დაკვეთილი, 5—7 ოვალური ან კვერცხისებრი მრგვალები ნაკეთებიანი სეგმენტებით. საყვავილე ღერობი 10 სმ-მდე სიგრძისაა. გამოდის ღეროს ზედა ფოთლების იდლებიდან. ყვავილები 3—8, შეკრებილია კენწრულ ქოლგისებრ ყვავილედად; გვორგონის ფურცლები კაშკაშა ყვითელია, მოგრძო უკუკვერცხისებრი. კოლოფი ქოტისებრია, 2—5 სმ სიგრძისა და 2 მმ-მდე სიგანის; თესლები შავია, მოყვითალო თეთრი დანამატი. IV—IX. $2n=10$.

აწერილია ევროპიდან. ინახება ლონდონში (Herb. Linn.).

რუდერალური მცენარეა, გავრცელებულია ზღვის დონიდან ტყის ზედა სარტყლამდე. იზრდება უპირატესად ტყეებში, ბუჩქნარებში, მდინარეთა ნაპირებზე, ბალებში, ბოსტნებში, მინდვრებზე, დანაგვიანებულ ადგილებზე, საცხოვრებელ ბინებთან.

საქ. სსრ: 1 — აფხ. ფსირცხა (ნ. ალბოვი); ჩხალთა (ალბოვი). 2 — სვან.: ხაიში — ნენსკრა (კემულარია-ნათაძე, ხარაძე); მდ. ცხენის წყალი, ჩოლურის საზოგადოება (შელკოვნიკოვი). 4 — სამეგრ. სოფ. ინჩხურის მიდამოები (მანდენოვა, ქუთათელაძე). — 5 იმერ.: გელათი (კემულარია-ნათაძე); ყვირილას მახლობლად (ლომაკინი). 6 — გურ. ოზურგეთი, ბახვი, მდ. დურგანას სანაპირო (ქიქოძე). 8 — სამხრ.-ოს.: სოფ. ალის მიდამოები, მცხეთის ჭვარი (ქიქოძე). 9 — ქართ.: ბორჯომი, ბანისხევის ხეობა (კოზლოვსკი); პატარა ცემის მიდამოები (კოზლოვსკი); წალვერი (კოზლოვსკი); საკოჭავი (კოზლოვსკი); მდ. ბორჯომულას ხეობა (კოზლოვსკი); ბორჯომი (მედევედვის ჰერბარიუმიდან); ატენი (ქუთათელაძე, ხინთიბიძე, შხიანი; ატენი (ქიქოძე); მცხეთა (პავიერევი); მდ. დაბახანის ხეობა (სოსნოვსკი); თელეთის ქედი (სოსნოვსკი); თელეთის სატყეო კაფიევი); ბოტანიკური ბაღი (კოენიგი); თბილისი, წავისი (რადეს ჰერბარიუმიდან). 10 — მთიულ.: მდ. არავის ხეობა, სოფ. ფასანაურთან (ოჩიაური; მელიქიშვილი); ანანური (პაპავა). II — თუშ-ფშავ-ხევსურ.: თიანეთი, სოფ. პანკისი (მოლჩანოვი); თიანეთი ეგბოტა (მელიქიშვილი); ჭურჭელაური (მელიქიშვილი); შატილი, მდ. არღუნის ხეობა (ბაიერნი); შატილის წყალი (ოჩიაური); ბარისახო (ოჩიაური). 12 — კახ.: გომბორი (ტროფიმოვი); კაკაბეთი (ყანჩაველი); თელავი (ყანჩაველი); ბოდბის მონასტერთან (ყანჩაველი); თელავი, ლაფანყური (მაღალაშვილი, ოჩიაური); ჭერათ-ხევი (ყანჩაველი); ფიჯინსტრა (ყანჩაველი); 16 — თრიალ.: მანგლისი (ზედელმეიერი); ს. ალექსეევკასა და მენკალის შორის (ქუთათელაძე, ხინთიბიძე, ლვინიანიძე, შხიანი); მდ. ხრამის მარცხენა სანაპირო, სოფ. ახკალაფას მიდამოები (ქუთათელაძე, მანდენოვა, შხიანი). 17 — ქვ. ქართლ.: ეკატერინეფელდის მიდამოები (კირხგოფერი); 19 — მესხ.: აბასთუმანი, მდ. ორპირის ხეობა (სოსნოვსკი); არაზინდო (ფარცხალაძე); სოფ. ურაველის მიდამოები (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა); აწყური, აბანოს-ხევი (სოსნოვსკი).

სსრკ: იმერკავკ.: ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ.; ციმბ.; შუა აზ.

საერთო გავრცელ.: ევროპა; ცენტრ. აზ.; აღმ. აზ.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა : გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.



ყვავილი აქტინომორფულია, მარტოული, გაწყობილია გრძელ კენწრულ ახ ილიურ საყვავილე ღერძზე. გვირგვინის ფურცელი 4, ჩვეულებრივ ყვითელი უფრო იშვიათად წითელი. მტვრიანები მრავალია, ყვითელი, ძლიერ წვრილი, წაგრძელებული ხაზური სამტვრეებით. მტვრის მარცვალი სფეროსებრია, სამი განიერი მერიდიონალურად განლაგებული ღარით; ღარის მემბრანა მარცვლოვანია, ეგზინის ზედაპირი ბადისებრია. ნასკვი შედგება ორი ნაყოფის ფოთლი-საგან. სვეტი შეუმჩნეველია, დინგი მჯდომარეა, დიდი ზომისაა. ჯირკვლოვანი, 2-ნაკვთიანი. ნაყოფი გრძელი ჭოტისებრ 2-ბუდიანი კოლოფია, რომელიც იხსნება ორი საგდულით. თესლი საკმაოდ დიდი ზომისაა, ბადისებრ-ფიჭისებრი ზედაპირით — ერთი-ორ იშვიათად მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე-ბია, მხოლოდ ფესვები შეიცავს რძეწვეს.

1. ნაყოფები უბეწვია, მოფენილია წვრილი თეთრი მახვილწვერიანი ბორცვებით; მცენარე ლევაა 3. **G. flavum** Crantz

— ნაყოფები მოფენილია ხშირი მიტკეცილი ბეწვებით; მცენარე მწვანეა ან მოლევია. 2.

2. ჯამის ფოთლები 1—2,5 სმ სიგრძისაა; გვირგვინის ფურცლები 1,5—3 სმ სიგრძის; ყვავილის ყუნწები ნაყოფობისას იმ ფოთლებზე მოკლეა რომლის ილიებიდანაც ისინი გამოდიან; მცენარე 10—20 სმ სიმაღლისა 1. **G. corniculatus** (L.) I. H. Rudolph

— ჯამის ფოთლები 3,5—5 სმ სიგრძისაა; გვირგვინის ფურცლები 3—6 სმ სიგრძის; ყვავილის ყუნწები ნაყოფობისას სიგრძით ფოთლებს აღემატება. მცენარე უფრო დიდი ზომისაა, 30—50 სმ სიმაღლის

2. **G. grandiflorum** Boiss. et Huet

1. **G. corniculatum** (L.) Rudolph Fl. Jen. Pl. (1781) 13; Mowat in Fl. Europ. I (1964) 251; Cullen in Davis Fl. Turkey I (1965) 215.— **G. corniculatum** (L.) Curt. auct.: DC. Prodr. I (1824) 122; Ledeb. Fl. Ross. I (1841) 92; Boiss. Fl. Or. I (1967) 119; Busch in Fl. Cauc.-Crit. III, 4 (1905) 10; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 129; Попов во Фл. СССР VII (1937) 588; Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 360; Гроссг. Фл. Кавк. 2, IV (1950) 87; Халилов во Фл. Азерб. IV (1953) 119; Тахтаджян Фл. Арм. I (1954) 236; Коллак. Раст. мир Колх. (1961) 372; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. II (1969) 10 (georg.).— **Chelidonium corniculatum** L. Sp. Pl. (1753) 506.— **Glaucium corniculatum** var. **phoeniceum** (Crantz) DC. Prodr. I (1824) 122; Тер-Хачат. во Фл. Груз. IV (1948) 116. (georg.)— **Glaucium phoeniceum** Crantz Stirp. Austr. ed. 1., II (1763) 133; — Попов во Фл. СССР VII (1937) 588 pro syn.

Ис.: Фл. СССР VII (1937) табл. XL 3; Фл. Арм. I (1954) табл. LXVI

⊙. ღერო 10—40 სმ სიმაღლისაა, წახნაგოვანი, ღარებიანი, ჩვეულებრივ გაფარჩხულ დაბრტყილი, ისევე როგორც ფოთლები წვრილი ჯაგრულებით მოფენილი; ფოთლები ღრმად ფრთისებრ დანაკეთულია უთანაბრო მოგრძო ბასრხერხებილა სეგმენტებად; ფესვთანური ფოთლები ყუნწებიანია, ღეროსეული-მჯდომარე. კოკრები 1—2 [3]. სმ სიგრძისაა; გვირგვინის ფურცლები



1,5—3 სმ სიგრძისაა, უქუქვერცხისებრი ან მომრგვალებული, ჩვეულებრივ ღვინისფერწითელია ძირთან მოშავო-იისფერი ლაქით. კოლოფი ბურბუშულა-სებრი, სწორი ან ოდნავ მოხრილი, ცოტად თუ ბევრად ზმირ მიტყევილ ბეწვებთან 20—25 სმ სიგრძის IV—VIII. $2n=12$.

აწერილია უნგრეთიდან, ბოჰემიასა და მონპელიეიდან.

იზრდება მშრალ ფერდობებზე და ნათესებში მთის შუა სარტყლამდე.

საქ. სსრ: ა. კოლაკოვსკის (1961) მოყავს აფხაზეთისათვის (სოხუმ-გალის მიდამოები). 5 — იმერ.: იმერეთი (ბაიერნი); 9 — ქართლ.: ბორჯომი (რადე) ბაკურიანი (კოზლოვსკი); ლიკანი (კოზლოვსკი); ბორჯომი ახალციხის გზაზე (მედვედვის ჰერბარიუმიდან); ბორჯომი, „სტრანსი ოკოპ“ (კოზლოვსკი); ბაკურიანი (კოზლოვსკი); ატენი (ზეზემანი); ატენის ხეობა (ქიქოძე); ატენ-სა და ბობნევეს შორის (ქიქოძე); ს. ბობნევესა და ზემო ბოშურს შორის (ქიქოძე); დანახვისი (ქიქოძე); მცხეთა (ვერესოვი); შიო მღვიმის ქედი (ვართა-პეტიაწცი); კუს ტბა (მირზოევა; ხინთიბიძე); თბილისი (ოვერინი; პაგირევი; რადე; კოზლოვსკი); საგურამო (ალექსანდროვი); თბილისი, სანაპირო (რადე; კოზლოვსკი); ვერა (სოსნოვსკი); ოქროყანა (კაფიევი); მახათა (სოსნოვსკი); თელეთი (მედვედვის ჰერბარიუმი); თელეთის სატყეო (კაფიევი); ბოტანიკური ბაღი (კოენიგი); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ყანჩაველი); მამადავითის მთა (ყანჩაველი). 12 — კახ.: კაკაბეთი (ყანჩაველი); 13 — ქიზ.: ელდარის ველი, ელიარ-ოული (სოსნოვსკი); 15 — გარდაბ.: ყარაიზი, (პასენკო; ვერზილოვი); 17 — ქვ. ქართლ.: ბოლნისი, მდ. ხაჩინ-ჩაის ქვედა მდინარე (შხიანი). 19 — მესხ.: ახალციხე (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა); ბორცვები მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე (სოსნოვსკი, ქუთათელაძე, მანდენოვა); ახალციხე, აწყურის მიმართულებით მდ. ფოცხოვის მარცხენა სანაპირო (ხინთიბიძე); ს. ბენარას მიდამოები (ხინთიბიძე).

სსრკ: იმიერკავკ.: ამიერკავკ.: აზერბ.: სომხ.: ევრ. ნაწ.

საერთო გავრცელ: შუა ევრ.:

ხმელთაშუაზღვ. მზრ.: მც. აზ.: არმ.-ქურთ.: ირ.

2. *G. grandiflorum* Boiss. et Huet in Boiss. Diagn. Ser. 2, V (1856) 15; Boiss. Fl. Or. I (1867) 121; Busch in Fl. Cauc.-Crit. III, 4 (1905) 13; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 129; Попов во Фл. СССР VII (1937) 591; Тер.-Хачат. во Фл. Груз. IV (1948) 116 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 360; Макашв. Фл. окр. Тбил. I (1952) 213 (georg.); Тахт. во Фл. Арм. I (1954) 241; Халилов во Фл. Азерб. IV (1953) 120; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. II (1969) 10 (georg.).

Is.: Fedde, Pflanzenf. IV, 104 (1909) f. 28, E—F.

⊙. ღერო უფრო დიდი ზომისაა, 30—50 სმ სიმაღლის, მსხვილი, დატოტვილი, ისევე როგორც ფოთლები ზშირი მოკლე მიტყევილი ბეწვით შებუხვილი; ფოთლები ფრთისებრ დაკვეთილია, უქუქვერცხისებრი ბასრკბილა ნაკვეთებით; ფესვთანური ფოთლები მოკლე ყუნწებზე სხედან, ღეროსეული — მჯდომარეა და ღერომხვევი. კოკრები დიდი ზომისაა, 2,5—4 სმ-მდე სიგრძის, გვირგვინის ფურცლები 3—5 სმ სიგრძისაა, ფართო, მომრგვალებული, ნარინჯისფერი, შუა ნაწილში წითელია ანდა ძირთან მოშავო-იისფერი ლაქით.

ნაყოფი სწორია, ზემოთკენ ამვერილი, 10—12 სმ სიგრძის, მიტკეცილ თეთრ ბეწვებიანი; ნაყოფის ყუნწი ფოთლებს აღემატება. IV—VIII.

აწერილია მცირე აზიიდან (ერზერუმში).
იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე მთის შუა სარტყელში.

საქ. სსრ.: 9 — ქართ.: გლდანსა და მამკლადს შორის (ქუთათელაძე და სხვა); კოჯრის გზაზე (ქუთათელაძე); სოფ. წაკვისთან (ქუთათელაძე).

სსრკ: ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.
საერთო გავრცელ.: მც. აზ.; მესოპოტამია; ირ.

შენიშვნა: ჩვენს განკარგულებაში მყოფი ნ. ბუშის მიერ ციტირებული ეგზემპლარი საქართველოდან, რომელიც შეგროვებული იყო რადეს მიერ თბილისიდან, სინამდვილეში *G. corniculatum*-ის იდენტური აღმოჩნდა.

3. *G. flavum* Crantz, Stirp. Austr. ed. 1, II (1763) 133; DC. Prodr. I (1824) 122; Busch in Fl. Cauc.-Crit. III, 4 (1905) 14; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 129; Попов во Фл. СССР VII (1937) 592; Колак. Фл. Абх. II (1939) 162; Тер-Хачат. во Фл. Груз. IV (1948) 115; (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 360; Гроссг. Фл. Кавк. 2, IV (1950) 88; Дмитриева, Опред. раст. Adjар. (1960) 211; Колак. Раст. мир Колх. (1961) 372; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. II (1969) 10 (georg.). — *Chelidonium glaucium* L. Sp. Pl. (1753) 506; Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 2. — *Glaucium luteum* Scop. Fl. Carn. ed. 2, I (1772) 369; Bieb. Fl. Taur.-Cauc. III (1819) 362; Ledeb. Fl. Ross. I (1841) 92; Boiss. Fl. Or. I (1867) 122.

Is.: Гроссг. 1. c. (1950) табл. IX, 7, 7a.

⊕. ღერო 20—50 [80] სმ სიმაღლისაა, შიშველი ისე როგორც ფოთლები ძლიერ ლეგაა. ფოთლები ჩანგისებრ-ფრთისებრ დაკვეთილია; ფესვთანური ფოთლები ურთიერთშიახლოებული ნაკვეთებითაა, რომლებიც თითქმის ერთმანეთს ფარავენ, ხშირ შებუსხვილია დაკლანკილი თეთრი ბეწვებით, ყუნწში შევიწროებულია; ღეროსეული ფოთლები მჯდომარეა, ტყავისებრი, ღრმად დაკვეთილია მოკლე დაკბილულ ნაკვეთებად, ზედა ფოთლები ღერომსხვევია ხშირად მოფენილია სადგისისებრი ჯაგრებით. კოკრები შიშველია ან სადგისისებრ-ჯაგრებიანი, მახვილ-წვერიანი; გვირგვინის ფურცლები ყვითელია ან ნარინჯისფერი, 1—3 სმ დიამეტრის. კოლოფი ჭოტისებრია, 15—25 სმ-მდე სიგრძის სწორი, გრძელ ყუნწიანი, მოფენილია წვრილი თეთრი წვეტიანი ბორცვებით. V—VIII $2n=12$.

აწერილია ევროპიდან.

იზრდება ზღვისპირა ქვიშებზე შავი ზღვის გასწვრივ და ასევე ზღვისკენ მიმართულ ქვიან-ლორლიან ფერდობებზე.

საქ. სსრ.: 1 — აფხ.: აფხაზეთი (სმირნოვი); ბიჭვინთა (გუსევი); გავრის მიდამოები, მდ. ბზიბის შესართავთან (გუსევი); სოხუმი, სოხუმსა და ახალ ათონს შორის (რადე, კონიგი); 7 — აჭარ.: ციხის-ძირი (როლოვი); ბათუმი მე-3 ტბა (ტლეიერი); 9 — ქართლ.: თბილისი, ბოტანიკური ბაღი ლედვა ხევი (გაგნიძე).

სსრკ: ევრ. ნაწ. (ყირიმი).

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; ხმელთაშუა ზღვ. მხრ.; მც. აზ.



ყვავილები სწორია, მარტოული, ილიური ან კენწრული გრძელი ყვავილებით. გვირგვინის ფურცელი 4, წითელია ან იისფერი. მტვრიანა მრავალწრილი სამტვრე ძაფებითა და ოვალური პარკებით. მტვრის მარცვალი სფეროსებრია, დიდი ზომის, ექვსი მრგვალი ფორით; ფორის მემბრანა მსხვილწრილოვანია; ეგზონის ზედაპირი წერტილოვანია. ნასკვი ზაზურია, შედგება 2—6 ნაყოფის ფოთლისაგან; დინგი გურზასებრია, 3 [2—4] ქვევითკენ დახრილი ნაკეთებით. ნაყოფი გრძელი ჭოტისებრი კოლოფია, იხსნება საგდულებით წვერიდან ძირამდე. — ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია ყვითელი რბე-წვენით, ჯაგრისებრ ბეწვებიანი შებუხვითა და ორჯერ ფრთისებრი და ნაკეთული ფოთლებით.

I. *R. refracta* DC. Syst. II (1821) 93; idem. Prodr. I (1824) 122; Ledeb. Fl. Ross. I (1841) 92; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 130; Попов во Фл. СССР VII (1937) 597; Тер-Хачат. во Фл. Груз. IV (1948) 116 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 360; Гроссг. Фл. Кавк. 2, IV (1950) 90; Макашв. Фл. окр. Тбил. I (1952) 213 (georg.); Халилов во Фл. Азерб. IV (1959) 121; Тахт. Фл. Арм. I (1954) 242; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. II (1969) 11 (georg.). — *R. rhoeadiflora* Boiss. Diagn. Pl. Nov. Ser. I, VI (1855) 7; Boiss. Fl. Or. I (1867) 119; Busch in Fl. Cauc.-Crit. III, 4 (1905) 19. — *Glaucium refractum* Stev. in litt. sec. DC. Prodr. I (1884) 22 in Syn.

Is.: Dessert, Is. Pl. 2 (1823) t. 8; Фл. СССР VII (1937) табл. XI, 7; Гроссг. I. c. (1950) табл. X, 3; Фл. Арм. I (1954) табл. LXX.

⊙. ღერო 10—15 სმ სიმაღლისაა, ჩვეულებრივ დატოტვილი, შებუხვილი ჯაგრისებრი ან რბილი თეთრი ბეწვებით, უფრო იშვიათად ღერო შიშველია; ფოთლები 2—3-ჯერ ფრთისებრ დაკვეთილია მოგრძო ნაკეთებად; ფესვთანური და ღეროსეული ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, ზედა ფოთლები მჯდომარეა. კოკრები კვერცხისებრია, შიშველია ან ბეწვიანი; გვირგვინის ფურცლები კაშკაშა წითელია, ძირთან შავი ლაქით, მომრგვალებული, მარაოსებრი. ნაყოფი ჩვეულებრივ შიშველია ან მიტკეცილი ჯაგრისებრი ბეწვებით, წვერისკენ თანდათან შევიწროებული, იხსნება საგდულებით, რომლებიც წვერში მახვილ წვეტებად გადადის და სიგრძით ტიხარზე დარჩენილ დინგს აღემატება IV—VI. $2n=14$.

აწერილია დალესტნიდან (დერბენტი).

იზრდება მთის წინების მშრალ თიხნარ ფერდობებზე, როგორც სარეველა ნათესებს და ბალებში მთის შუა სარტყლამდე.

საქ. სსრ.: 9 — ქართ.: თბილისი (ოვერინი); მოყვანილია ქიზიყისათვის (შირაქი).

სსრკ: იმიერკავკ. (დალესტანი); ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; შუა აზ.

საერთო გავრცელ.: ირ.; ავღანისტ.; მც. აზ.; ინდ.-მალ. (პაკისტანი).



ყვავილები კენწრულია. განწყობილია რამდენიმე ერთად ან ციმბირული ყვავილედად. ყვავილსაჯდომი ვიწრო კონუსურია. ჯამის ფოთოლი 3, თავისუფალი, ადრე ცვივა. გვირგვინის ფურცელი 6 ორ რიგად განწყობილი. თეთრია, ყვითელი, ნარინჯისფერი, უფრო იშვიათად ვარდისფერი. მტვრიანა მრავალია: მტვრიანის ძაფი ბეწვისებრია ზედა ნაწილში გაფართოებული, წვერზე სადგისისებრი; სამტვრეები ხაზურია. ნასკვი შემდგარი [3] 4—6 ნაყოფის ფოთლისაგან, კვერცხისებრია ან ცილინდრულ-კვერცხისებრი; სვეტი მოკლეა ან სულ არ არის; დინგი იმდენივეა რამდენიც ნაყოფის ფოთოლია, კვერცხისებრი, წაწვეტებული. კოლოფი ჩვეულებრივ უკუკვერცხისებრია ერთბუდინი; თესლი მრავალია. სფეროსებრი. — ერთ, ორ უფრო იშვიათად მრავალწლოვანი დატოტვილი ბალახოვანი მცენარეებია სწორი ან წამოწეული ღეროებითა და ფრთისებრ განკვეთილი ფოთლებით.

1. *A. mexicana* L. Sp. Pl. (1753) 502; DC. Prodr. I (1824) 120; Fedde in Engler Pflanzenreich IV, 104 (1909) 273; Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 360; Гроссг. Фл. Кавк. 2, IV (1950) 91; Колак. раст. мир. Колх. (1961) 370; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. II (1969) II (georg.).

©. ღერო 45—90 სმ სიმაღლისაა, დატოტვილი ლევა, შიშველი ფოთლები დიდი ზომისაა, 8—20 სმ სიგრძის, ამოკვეთილ ნაკვეთიანი, მის ნაკვეთები ქიცვისებრკბილებიანია თეთრძარღვიანი. გვირგვინის ფურცლები ყვითელია ან ნარინჯისფერი, უკუ კვერცხისებრი; კოლოფი უკუკვერცხისებრია. $2n=28, 112$.

აწერილია მექსიკიდან, იამაიკიდან, და სამხრეთ ევროპიდან.

იზრდება ზღვისპირა ქვიშებზე; გზადმოყოლილია.

საქ. სსრ.; 7 — აჭარ. (ჩაქვი) მოყვანილია ა. მაყაშვილის მიერ შეგროვებული მასალის მიხედვით.

საერთო გავრცელ.: ცენტრალური და ტროპიკული ამერიკა, შუა და სამხრეთ ევროპაში ნატურალიზირებულია.

გვანი 5. PAPAVER L. ყაყაჩო

ყვავილები მარტოულია. განწყობილი ცოტად თუ ბევრად გრძელ ყუნწებზე, იშვიათად ყვავილები შეკრებილია საგველა ან მტევნისებრ ყვავილედებად. ჯამის ფოთოლი 2, თავისუფალი, ადრე ცვივა. გვირგვინის ფურცელი 4, უკუ-კვერცხისებრი, მეტწილად წითელი, უფრო იშვიათად თეთრი, მოყვითალო ან სხვა შეფერილობის, ხშირად ძირთან მუქი ლაქით. მტვრიანა მრავალია, წვრილი ზოგჯერ წვერზე გურზასებრ გაფართოებული ძაფითაა; სამტვრეები ყვითელია ან იისფერი, მომრგვალო ფორმიდან ხაზურამდე. მტვრის მარცვალი სფეროსებრია, სამი განიერი, მერიდიონალურად განლაგებული ღარი; ეგზინის ზედაპირი მარცვლოვანია ან მარცვლოვან-ბორცვოვანი. ნასკვი ჩვეულებრივ 4—10 ნაყოფის ფოთლისაგან შედგება: დინგი 3—22 სხივიანია, რომლებიც ბრტყელ ამოზნექილ ან კონუსურ დისკოზე სხედან. კოლოფი ერთბუდინია; მოგრძო, გურზასებრი, უკუკვერცხისებრია ან სფეროსებრი, მკდომარეა ან მოკლეყუნწიანი, იხსნება დისკოს ქვეშ მოთავსებული ნაჩრებტებით. თეს-



ლი წვრილია, თირკმლისებრი. — ერთ, ორ ან მრავალწლოვანი ბალახოვანი რძეწვენიის შემცველი მცენარეებია ჩვეულებრივ განვითარებული ღეროვნება და ფრთისებრ დაკვეთილი ფოთლებით.

- 1. კოლოფი მოფენილია ბეწვებით ან ჭაგრებით 2.
- კოლოფი შიშველია. 3.
- 2. გვირგვინის ფურცლები 2,5—4 სმ სიგრძისაა, კამკაშა წითელი, ძირთან შავი ლაქით, რომლის შიგნით მოთავსებულია წითელი თვალი; კოკრები თითქმის სფეროსებრია, გაფარჩხულ ქანგისფერ-მურა ჭაგრებით მოფენილი. კოლოფი ძირთან ფართო რგოლისებრი საწელოვანია 7. **P. ocelatum** G. Wor.

- გვირგვინი 1,5—2 სმ სიგრძისაა, ვარდისფერია ან ღვინისფერწითელია ძირთან შავი ლაქით; კოკრები თეთრი ნახევრად მიტკეცილი ჭაგრებითაა მოფენილი. კოლოფს ძირთან რგოლისებრი საწელოვანი არა აქვს 6. **P. hybridum** L.

- 3. მტკრიანათა ძაფები ზედა ნაწილში გაფართოებულია 4.
- მტკრიანათა ძაფები ზედა ნაწილში გაფართოებული არ არის 6.
- 4. ერთწლოვანი ლეგა თითქმის შიშველი მცენარეა, ღერომხვევი ზედა ფოთლებით. ყვავილები ხშირად ბუთხუზაა; გვირგვინის ფურცლები თეთრია ან იისფერია. გავლურებულია, გვხვდება კულტურულ ნაკვეთებზე მთის ქვედა და შუა სარტყელში 13. **P. somniferum** L.

- მრავალწლოვანი მწვანე მცენარეა, ცოტად თუ ბევრად ხშირ შემთხვევაშია ხეშეში ჭაგრისებრი ბეწვებით; ფოთლები არ არის ღერომხვევი, ყვავილები ბუთხუზა არ არის, გვირგვინის ფურცლები კამკაშა წითელია, ნარინჯისფერი. მცენარე იზრდება ტყის ზედა და სუბალპურ სარტყელში 5.

- 5. ღერო შეფოთლილია მხოლოდ მის ქვედა ორ მესამედში ისე რომ ფოთლები ღეროს ზედა მესამედამდე ვერც კი აღწევენ. კოკრები თავჩაქინდრულია, უთანაყვავილებო; გვირგვინის ფურცლები ჩვეულებრივ ულაქია ან უფრო იშვიათად მკრთალად შეფერილი ლაქითაა 1. **P. orientale** L.

- ღერო თითქმის ბოლომდეა შეფოთლილი. კოკრები სწორმდგომია ყვავილები ძირითადად თანაყვავილებითაა; გვირგვინის ფურცლები ძირიდან დამორებით აღქურვილია ოთხკუთხა ლაქით, უფრო იშვიათად ულაქია 2. **P. pseudo-orientale** (Fedde) Medw.

- 6. დისკო პირამიდულია, 3—6 სხივით, მოლევო, მცენარე ზედა ნაწილში ძლიერ დატოტვილი ღეროებითაა. ყვავილეთი მრავალყვავილიანია საგველასებრ-მტკენისებრი 5. **P. fugax** Poir.

- დისკო ბრტყელია ან მხოლოდ ოდნავ ამობურცული უფრო მეტი სხივებით. მწვანე მცენარეა მარტივი ან სუსტად დატოტვილი ღეროებით. 7.

- 7. ფოთლები ორჯერ ფრთისებრგანკვეთილია მეტწილად ვიწრო ნაკვეთებად კოკრები წვეროზე აღქურვილია პატარა ზომის ორი რქით. მტკრიანათა

ძაფერი სამტკრეების ქვეშ შევიწროებულია

12. *P. arenarium* Bieb.

— ფოთლები ერთჯერ ფრთად განკვეთილია ან ფრთისებრ ჩაჭრილია უფრო ფართო ნაკეთბად. კოკრებს წვერზე რქები არ აქვს; მტერიანათა ძაფები სამტკრეების ქვეშ შევიწროებულია არ არის 8.

8. მრავალწლოვანი მცენარეებია ცოტად თუ ბევრად ამკარად შესამჩნევი ფესვთანური ფოთლების როზეტით; მაღალმთის მცენარეებია 9.

— ერთწლოვანი მცენარეებია, ფესვთანური როზეტი არ აქვს; მცენარე იზრდება ველებში, ნახევრადუდაბნოებსა და ქვიან ადგილებზე მთის ქვედა სარტყელში 10

9. საყვავილე ღეროები უფოთლოა. კოკრები მოფენილია ხშირი მიტკეცილი თეთრი ბეწვებით, წვერზე ფოჩებია 9.

4. *P. monanthum* Trautv.

— საყვავილე ღეროები ყოველთვის შებუხვილია. კოკრები მოფენილია გაფარჩხული წითური ბეწვებით, წვერზე უფოჩია.

3. *P. oreophilum* Rupr.

10. მტერიანები წვერზე ნარინჯისფერ სფეროსებრ დანამატებითაა. დისკოს სხივები სავარცხლისებრ ამალღებულია და კოლოფის წვერის ირგვლივია შემოხვეული.

9. *P. macrostomum* Boiss. et Huet

— მტერიანებს წვერზე სფეროსებრი დანამატები არ აქვს. დისკოს სხივები დაბალია და კოლოფის წვერზე შემოხვეული არ არის 11.

11. კოლოფი მომრგვალო უკუ კვერცხისებრია და ძირთან მკვეთრად გადადის ამკარად გამოსახულ ყუნწში. 12.

— კოლოფი ურფო ეწროა, მოგრძო გურზასებრი, ქვევითკენ თანდათანობით შევიწროებული, უყუნწო 11. *P. dubium* L.

12. ყვავილის ყუნწები გაფარჩხულბეწვებიანია; გვირგვინის ფურცლები ფართოა, გარეთა ფურცლები თავის სიგრძეზე განიერი; შავი ლაქა თუ აქვს გვირგვინის ფურცლის ძირთანაა მოთავსებული

9. *P. rhoeas* L.

— ყვავილის ყუნწები მიტკეცილ ჯაგრისებრბეწვებიანია; გვირგვინის ფურცლები თავის სიგრძეზე განიერი არ არის; მუქი ლაქა გვირგვინის ფურცლის ძირის ზევითაა მოთავსებული, ზოგჯერ იგი ფურცელს მთელს სიგრძეზე გაჰყვება და ამავ დროს მთლიანი არ არის

10. *P. commutatum* Fisch. et Mey.

Sect. 1. *Oxytona* Bernh.

მრავალწლოვანი მაღალი მცენარეებია მსხვილი ღეროებითა და ხშირი ჯაგრისებრი ბეწვებით. ყვავილები მარტოულია, დიდი ზომის, 9 სმ-მდე სიგრძის, წითელი, ხშირად შავი ლაქით. მტერიანათა ძაფები ზევითკენ გაფარჩხულია. კოლოფი თითქმის სფეროსებრია ან უკუ კვერცხისებრი; დისკო და კოლოფი ერთი სიგანისაა, 8—20 სხივით.

1. *P. orientale* L. Sp. Pl. (1753) 508; Goldblatt, Ann. Missouri Bot. Gard. 61, 2 (1974) 288. — auct. cauc. p.p.: Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 5; DC. Prodr. I (1824) 119; Ledeb. Fl. Ross. I (1841) 90 excl. var. *bracteatum*; Boiss. Fl. Or. I (1867) 107; Busch in Fl. Cauc.-Crit. III, 4 (1905) 41; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 133; Попов во Фл. СССР VII (1937) 619; Шхиян во Фл. Груз. IV (1948) 120 (georg.); Гроссг. Фл. Кавк. 2, IV (1950) 93; Гроссг. Определ. раст. Кавк. (1949) 362; Макашв. Фл. окр. Тбил. I (1952) 215 (georg.); Халилов во Фл. Азерб. IV (1953) 123; Тахт. Фл. Арм. I (1954) 251; Тер.-Хачат. в Определ. раст. Груз. II (1969) 12 (georg.). — *P. orientale* var. *paucifolium* Trautv. Acta Horti Petropol. IV (1876) 346. — *P. orientale* var. *parviflora* N. Busch., Fl. Cauc.-Crit. III, 4 (1905) 41. — *P. paucifolium* (Trautv.) Fedde in Engler Pflanzenreich IV, 104 (1909) 366; Попов во Фл. СССР VII (1937) 620; Гроссг. l. c. (1950) 95; Шхиян во Фл. Груз. IV (1948) 123 (georg.).

lc.: Goldblatt, l. c. f. 7. 3; Фл. Груз. IV (1948) рис. 141 (sub. *P. paucifolium* (Trautv.) Fedde).

2. ღერო 90 სმ-მდე სიმაღლისაა, მსხვილი ჩვეულებრივ მარტოული შუამდე ან უფრო ქვემოდ შეფოთილი, ქვედა ნაწილში გაფარჩხული ზედაში თეთრი მიტკეცილი ჯაგრულებითაა; ფოთლები ხეშეში ჯაგრისებრი გაფარჩხული ბეწვითაა მოფენილი, ღრმად ვრთისებრ განკვეთილია მრავალ მოგრძო ან ლანცეტა ხერხს ან ბასრებილა ნაკვეთად და ბოლოვდება გრძელი ჯაგრებით. საყვავილე ღერძები წაგრძელებულია, მსხვილი მიტკეცილ ხშირჯაგრისებრ-ბეწვებიანი. კოკრები თავჩაქინდრულია; ჩვეულებრივ ფართო კვერცხისებრია 3 სმ-მდე სიგრძის; ყვავილები უთანაყვავილოა, დიდი ზომის; გვირგვინი 5—9 სმ სიგრძისაა, გვირგვინის ფურცლები 4 ან 6, ნარინჯისფერ-ალისფერ წითელი, ულაქო ან უფრო იშვიათად მკრთალად შეფერილი ძირიდან დაშორებული ლაქითაა; მტკრიანათა ძაფები ზემოთენ გაფართოებულია. კოლოფი შიშველია, უქუქვერცხისებრი 3 სმ-მდე სიგრძის, დისკო ბრტყელია 12—15-სხვიანი, კიდებზე ბლაგვი მოკლე კბილებით. VI—VII. $2n=28,42$.

აწერილია აღმოსავლეთიდან.

იზრდება ბუჩქნარებსა და მდელოებზე ტყის ზედა და სუბალპურ სარტყელში.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: ბაკურიანი, შუღლიანთ-უბნის ქედი (კოზლოვსკი); იმერლების ქედი (კემულარია); იმერლების ქედი (კოზლოვსკი) კოდიანას მთა (ქუთათელაძე, შხიანი, ხინთიბიძე); ცხრა წყარო (სოსნოვსკი; კოზლოვსკი; გროსპეიმი; კაბელერი), 12 — კახ.: თელავი, ცივის მთა (ლაჩაშვილი); 14 — გარე კახ.: გომბორის ქედი (ქიქოძე); გომბორი (ცხაკაია); 16 — თრიალ.: თრიალეთის ქედის სამხრ. ფერდობი (სახოკია); ქვაჯვარსა და კენჭყაროს შორის (ტროიციკი); მანგლისი (ზედელმეიერი; ჩერმაკი); მდ. ხრამის სათავეები, მდ. ჯუჯიანის მარჯვენა შენაკადი დოლულხანოვი, მანდენოვა, შხიანი; ნადარბაზევთან ახლოს (ხარაძე, ქიქოძე); ბედენის ქედი (ქუთათელაძე, ლვინიანიძე, მცხვეთაძე, ხინთიბიძე); ნადარბაზევის მახლობლად (ქიქოძე, ხარაძე); მდ. ტანას აუზი მშრალი ხევი (ქუთათელაძე, შხიანი, ხინთიბიძე, ლვინიანიძე); ატენის



ხეობა, მთა ჯამ-ჯამა (ქიქოძე); საწვებელას ქედი (გუბისი); 17 — ქვ. ქართლი; ილირასა და არჯევან სარვანს შორის (სახოკია); ყარაბულაღი (კეცხოველი); სომხეთის ქედის ჩრდილო ფერდობი, მთა შინდლიარი (შხიანი); 11 — თუმ-ფშავ-ხევისურ.: თიანეთი, ერწო (მელიქიშვილი); 18 — ჯავახ.: გორგელგვის მიდამოები (ტროიცი); ტაბიწყურის მახლობლად (შიშვინი; კოზლოვსკი); 19 — მესხ.: ოშორის ქედი, ს. ოშორს ზემოდ (ხინთიბიძე, ჩოლოყაშვილი); დაღ-მართი ს. აწყურისაკენ (კოზლოვსკი); ადიგენი (სოსნოვსკი, კემულარია-ნათა-ძე, მანდენოვა).

სსრკ-ის დანარჩ. ნაწ.: ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.

საერთო გავრცელ.: მც. აზ (ჰანეთი); არმ.-ქურთ.; ირ.

2. *P. pseudo-orientale* (Fedde) Medw. Изв. Кавк. Муз. XI, 3—4 (1918) 207; Гросср. Фл. Кавк. II (1930) 133; Goldblatt, Ann. Missouri Bot. Gard. 61, 2 (1974) 292. — *P. bracteatum* var. *pseudoorientale* Fedde in Engler Pflanzenreich IV, 104 (1909) 365. — *P. intermedium* DC. Mem. Soc. Phys. Geneve 7 (1836) 301 non Becker, Fl. Franzf. I (1828) 386; Попов во Фл. СССР VII (1937) 618. — *P. bracteatum* auct. non Lindl.: Гросср. Фл. Кавк. II (1930) 133; Шхиян во Фл. Грузии IV (1948) 120 (georg.). Is.: Гросср. I. c. (1950) табл. X, 4 (sub *P. orientale* L.); Фл. Арм. I (1954) табл. LXXI (sub *orientale* L.); Goldblatt I. c. f. 7, 2.

4. ღერო საშუალო ზომისაა 40—60—80 სმ სიმაღლის: ფოთლები ხე-შეში ჯაგრებიანია, ფრთისებრ განაკეთილი კიდებზე უთანაბროდ დაკბილული, და განლაგებულია ღეროს ზედა მესამედამდე. კოკრები სწორმდგომა, იშვიათად თავჩაქინდრულია; ყვავილთანური ფოთლები ვიწროა 1—4, უფრო იშვიათად ყვავილთანური ფოთლები არ არის; გვირგვინის ფურცლები მუქი ნარინჯისფერია 4—6, ძირიდან დამორებული ფართო ოთხკუთხა მუქი ლაქით, უფრო იშვიათად ულაქოა. VI—VIII.

აწერილია ანატოლიიდან (გუმუშხანეს სანჯაყი).

იზრდება მთის ზედა სარტყელში 1600—2200 მ, მთის ველების დაჯგუფებებში.

საქ. სსრ.: 9 — ქართ.: ბაკურიანი (კოზლოვსკი); ცხრაწყარო (კოზლოვსკი); მშრალი ხევი (ქუთათელაძე, შხიანი, ხინთიბიძე, ლეონიანიძე); 18 — ჯავახ.: თეთრობის ქედი (სოსნოვსკი, მანდენოვა, ქუთათელაძე; ხინთიბიძე); 19 — მესხ. სოფ. ველსენდის მიდამოები (სოსნოვსკი). (რუკა 19).

სსრკ.: ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.

საერთო გავრცელ.: სამხრ.-აღმ. ანატოლია; ირ.

Sect 2. *Pilosa Prantl*


მრავალწლოვანი მცენარეებია ხეშეში ჯაგრისებრი ბეწვებით, უფრო იშვიათად მცენარე შიშველია. ყვავილები მარტოულია, ზოგჯერ სამ-სამი ერთად, ნარინჯისფერ-წითელი; მტერიანათა ძაფები ხაზურია. კოლოფი ცოტად თუ ბევრად გურზასებრია მოგრძობდე. დისკო კოლოფის სიგანის ტოლია 4—7 სხვიანი.

©. 3. *P. oreophilum* Rupr. in Mémoires Acad. Sci. Petersb. (Sci. Phys. Math.) ser. 7. XV. 2. 1869, 51; Busch in Fl. Cauc.-Crit. III, 4 (1905)

44; Fedde in Engler Pflanzenreich 14, 104 (1909) 362; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 132; Попов во Фл. СССР VII (1937) 622; Колак. Фл. Абх. II (1939) 163; Шхиян во Фл. Груз. IV (1948) 124 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 361; Гроссг. Фл. Кавк. 2, IV (1950) 94; Колак. Раст. мир Колх. (1961) 372; Тер.-Хачат. в Опред. раст. Груз. II (1969) II (georg.).

Is.: Фл. Груз. IV (1948) рис. 143.

4. ღერო მრავალა 10—20 სმ სიმაღლის, შუამდე დატოტვილი, შებუს-ვილი. მოკლე მოთეთრო ჩვეულებრივ გაფარჩხული ბეწვებით, ფესვთანური ფოთლები ყუნწიანია, წაგრძელებული, ფრთისებრ განკვეთილი; ღეროსეული ფოთლები უფრო ღრმად ჩაპრილი ქვედა წყვილი ფოთოლაკითაა. საყვავი-ლე ღერძი თითქმის სამჯერ აღემატება ღეროს, 40—60 სმ სიმაღლისაა; კოკ-რები ხშირ გაფარჩხულ მწითურ ბეწვებიანია, უფოჩო; გვირგვინი 4—6 სმ სიგრძისაა; გვირგვინის ფურცლები აგურისფერ-წითელია, ძირთან მუქი ლაქა არ აქვს; მტვრიანათა ძაფები წვრილია. სამტვრეებთან ერთად ყვითელია. კო-ლოფი გურზასებრია, მოლევო ლურჯი, შიშველი; დისკო ამობურცულია კო-ლოფზე ვიწრო, 5—7-სხივიანი. VI—IX. 2n=14. (სურ. 6).



რუკა 19 *Dianthus imereticus* (Rupr.) Schischk.

აწერილია რაჭიდან — მამისონის გადასავლიდან.

იზრდება სუბალპურ და ალპურ სარტყელში 1700—3000 მ-მდე ზღვის დონიდან, მშრალ ქვიან და ასევე ბალახოვან ფერდობებზე.

საქ. სსრ.: 2 — სვან.: მდ. ყორულდაშის სათავეები (ხინთიბიძე, გავნიძე, ლაჩაშვილი, მიქელაძე); მდ. ხელრას სათავეები (შელკოვნიკოვი); მდ. ხალდეს ხეობა (ოჩიაური). შხარა (ოჩიაური); მდ. წილდას მარჯვენა სანაპირო, ანდრიანის ქედი (სახოკია), გვალდას ქედი (ხარაძე); სვანეთის ქედი იოანიდი); უშგული (სახოკია); ივარი, ბოგრეშის მახლობლად (სოსნოვსკი); 5 — რაჭა: მამისონი (აკინფიევი; კემულარია-ნათაძე; დოლუხანოვი, მანდენოვა); ს. ლეხის მიდამოები (კემულარია-ნათაძე); შოვის ზემოდ (დოლუხანოვი, მანდენოვა); შოვის სანატორიუმსა და ბუბას მყინვარს შორის (კემულარია-



ნათამე): ბუბას მყინვარის მორენებზე (კაბეღერი); მამისონის ვაღსაველო (მარკოვიჩი); მდ. ჭანჭახის სათავეები (დოლუხანოვი, მანდენოვა); მდ. მამისონ-დონის ხეობა, (დოლუხანოვი, მანდენოვა); სამხრ.-ოს.: მდ. კუდარ-დონის ხეობა, ს. თამაჯინის პირდაპირ (ე. და ნ. ბუში); 10 — მთიულ.: მთა ხევესა (მე-ლიქიშვილი).

სსრკ: იმერკავკ.

4. *P. monanthum* Trautv. in Bull. Acad. Sci. Petersb. X (1866) 293; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 132; Попов во Фл. СССР VII (1937) 622; Шни-ян во Фл. Гр. IV (1948) 123 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 361; Гроссг. Фл. Кавк. 2, IV (1950) 94; Халилов во Фл. Азерб. IV (1953) 124; Тахт. Фл. Арм. I (1954) 252; Дмитриева Опред. раст. Аджар. (1960) 212; Колак. Раст. мир Колх. (1961) 372; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. II (1969) 11 (georg.). — *Papaver orientale* var. *monantha* Trautv. Acta Horti Pet-ropol. IV, 2 (1876) 346. — *P. oreophilum* var. *monantha* Busch in Fl. Cauc. Crit. III, 4 (1905) 45. — *P. lateritium* γ. *subcaule* Boiss. Fl. Or. Supplem. (1888) 23.

Is.: Фл. Груз. IV (1948) Рис. 124.

Exs.: Herb. Fl. Cauc. n° 360.

24. საყვავილე ღერო რამდენიმეა. უფოთლო, ფოთლებთან ერთად ხეშე-ში თეთრი ჭაგრისებრი ბეწვებით შებუხვილი; ყველა ფოთოლი ფესვთანურ როზეტადაა შეკრებილი, მოყვანილობით მოგრძო-ლანცეტა, ფრთისებრ განკვე-თილი ხაზურ-ლანცეტა სეგმენტებად, რომლებიც ჭაგრებით ბოლოვდება; ზოგ-ჯერ ფოთლები მთლიანია და კიდებზე მრგვალკბილა. ყვავილები მარტოულია განწყობილი გრძელ, 25—24 სმ სიგრძის ღერძზე; ყვავილის ყუნწები ქვე-და ნახევარში გაფარჩხულ, ხოლო ზედა ნახევარში მიტკეცილ ჭაგრისებრ ბეწვებიანი. გვირგვინის ფურცლები მკრთალი წითელი ფერის ან ნარინჯის-ფერ-ვარდისფერია, 3,5—4 სმ სიგრძის, ძირთან ულაქო; მტვრიანათა ძაფები ძალიან წვრილია. ყვითელი; კოკრები ხშირ თეთრ მიტკეცილბეწვებიანია, წვერზე ჭაგრებით. კოლოფი მოგრძო უკუკვერცხისებრი; დისკო რამდენადმე ამოზნექილია, 6—9 კბილით. VI—VIII. (სურ. 25).

აწერილია მთა შამბოზელიდან (შაბანიბელი) ახალციხის რაიონიდან.

Isotypus: Шамбозель Radde (TBI)

იზრდება მშრალ ღორღიან ფერდობებზე სუბალპურ და ალპურ სარტყელ-ში.

საქ. სსრ.: 7 — აჭარ.: მოყვანილია დმიტრიევას, გროსჰეიმის და კოლა-კოვსკის მიერ. 6 — გურ.: ბახმაროდან შენაბადისაკენ (ქიქოძე); 9 — ქართ.: ბაკურიანი (აბა-მელიკი); იმერლების ქედი (კოზლოვსკი); კოდიანა (კოზ-ლოვსკი); მთა კენჭიყარო (ტროიცი); ცხრა-წყარო (აკინფიევი; კოზლოვსკი; ზედელმეიერი; კაბეღერი; ხინთიბიძე); (ხინთიბიძე, ივანიშვილი; ხინთიბიძე, ლა-ჩაშვილი). 18 — ჯავახ.: მადა-თაფა (ხინთიბიძე, ივანიშვილი, მცხეთაძე); გო-რელოვკა (გროსჰეიმი); მდ. ქცია (კოზლოვსკი); 19 — მესხ.: საბადურის ქედი (კეცხოველი); ზეკარის ვადასავალი (მედვედვის ჰერბარიუმიდან).

სსრკ.: ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.
საერთო გავრცელ.: აღმოსავლ. ანატოლია.



Sect. 3. *Miltantha Bernh.*

ორწლოვანი მცენარეებია ფესვთანური როზეტითა და გაფარჩხულ ჯაგრისებრი შებუსვით; ღერო ზედა ნაწილში ძლიერ დატოტვილია და ბოლოვდება მრავალყვავილიანი მტევნისებრ-საგველა ყვავილედებით; გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია შავი ლაქის გარეშე. მტვრიანები ყვითელია. კოლოფი თავსა და ბოლოში შევიწროებულია; დისკო კოლოფზე ვიწროა, უფრო სწორად პირამიდული ფორმის, უფრო იშვიათად დისკო თითქმის ბრტყელია. კავკასიურ-წინააზიური სექციაა.

5. *P. fugax* Poiret in Lam. Encycl. 5 (1804) 118; Fedde in Engler Pflanzenreich IV, 104 (1909) 350; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 134; Гроссг. Определ. раст. Кавк. (1949) 362; Гроссг. Фл. Кавк. 2, IV (1950) 95; Макашв. Фл. окр Тбил. I (1952) 215 (georg.); Халилов во Фл. Азерб. IV (1953) 125; Тахтаджян, Фл. Арм. I (1954) 252; Дмитриева, Определ. раст. Аджар. (1960) 212; Колак. Раст. мир Колх. (1961) 372; Cullen in Davis Fl. Turkey I (1965) 228; Тер.-Хачат. в Определ. раст. Груз. II (1969) 13 (georg.). — *P. caucasicum* Vieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 5; DC. Prodr. I (1824) 120; Ledeb. Fl. Ross. I (1841) 90; Boiss. Fl. Or. I (1867) 109 p.p. (excl. syn. *P. armeniacum*); Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 134; Шхиян во Фл. Груз. IV (1948) 127 (georg.). — *P. armeniacum* Busch in Fl. Cauc.-Critt. III, 4 (1905) 37, non Lam. Ic.: Bot. Mag. 40 (1814) t. 1675; Гроссг. I. c. (1950) табл. X, 5, 5a.

⊕. ლევა მცენარეა ცოტად თუ ბევრად ჯაგრისებრბეწვებიანი, ჯაგრები ზოგჯერ ნემსისებრია; ღერო 15—40 სმ სიმაღლისაა, წვერზე მრავალი მოკლე გვერდითი ტოტებით, რომლებზედაც განწყობილია ყვავილები, ეს უკანასკნელები თავის მხრივ ქმნის საგველა-მტევნისებრ ყვავილედებს; ფოთლები ფრთისებრგანკვეთილია მოგრძო კვერცხისებრი წვერზე ჯაგრებიან სეგმენტებად. გვირგვინი პატარა ზომისაა 3 სმ-მდე სიგრძის; გვირგვინის ფურცლები მოყვითალო-მოვარდისფერია, ფართო უკუკვერცხისებრი, შავი ლაქა არა აქვს;

მტვრიანათა ძაფები გაფართოებული არ არის და სამტვრეებთან ერთად ყვითელია. კოლოფი თითქმის სფეროსებრ კვერცხისებრიდან მოგრძო გურზასებრამდე ფორმისაა, ყუნწიანია; დისკო პირამიდულ-კონუსურია, კოლოფზე მოკლე 3—6 (უფრო იშვიათად 7—8) სხივით. VI—VIII. $2n=14$.

აწერილია ირანიდან (მთა ელვენდი დეკანდოლის მიხედვით).

იზრდება მშრალ ადგილებზე, ნახევარებზე, კლდეებსა და ქვიან ფერდობებზე მთის შუა და ზედა სარტყელში.

საქ. სსრ.: მოყვანილია სვანეთისა და აჭარისათვის. 3 — რაჭა: უწერა (კემულარია-ნათაძე); უწერასა და ონს შორის (კემულარია-ნათაძე); 9 — ქართლ.: ქვაბისხევის ხეობა (კობლოვსკი), ბორჯომი (რადე); ატენი (ქიქოძე, შიშკინი); რუსისხევი ტუხანთ უბნის ახლოს (ქიქოძე, ყარა-მურზა), მცხეთა (ზედელმეიერი; შიშკინი); 10 — მთიულ.; დარიალის ხეობა (პრიხოდკო); ყაზბეგი (ბაიერნი; ხარაძე); ყუროს ხეობა (ზამთარაძე); გუდამაყარი, ს. კითოხთან (მელიქიშვილი); მაკარტო (მელიქიშვილი); 11 — თუშ-ფშავ-ხევსურ.:

ს. პარემას მიდამოები (ბუში); ჯვარი-ბოსელი (რადე); მდ. არღუნის ხეობა, ს. არღონთან (ოჩიაური); შატილი (ოჩიაური); არხოტი (ოჩიაური); ლასთან (ოჩიაური); ახიელი (ოჩიაური); 16 — თრიალ.; მთა ობოლი კლდე; მანგლისი ქვაბთახევის მონასტერთან (ზედელმეიერი); მდ. ხრამის აუზი, ს. მენკალისსა და თრიალეთს შორის (ქუთათელაძე, ხინთიბიძე, ლვინიანიძე, მცხეთაძე); 17 — ქე. ქართლ.: ს. ბარმაკისიზის მიდამოები (სახოკია); ს. ბუზუკალას მახლობლად (კეცხოველი); 18 — ჯავახ. მთა შავნაბადა (კოზლოვსკი); თავშან-თაფა (სოსნოვსკი); 19 — მესხ.: ს. ოხეროსა და ურაველს შორის (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა); ს. სუფლისის მიდამოები (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა); ს. ხერთვისის მიდამოები (ხინთიბიძე); ქ. ახალციხის მიდამოები (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა); ასპინძა, ს. მარგისტანსა და ვარძიას შორის (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა).

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.

საერთო გავრცელ.: მც. აზ.; ირ; ერაყი.

Sect. 4. *Argemonidium* Spach

ერთწლოვანი მცენარეებია, ბეწვებით ან ჯაგრისებრი ბეწვებით შებუხვლი; ღერო ცოტად თუ ბევრად დატოტვილია. ყვავილები მარტოულია, გრძელყუნწიანი, განწყობილია ტოტების ბოლოებზე. მტვრიანები შავია, ზევითკენ გაფართოებული ხოლო სამტვრეების ქვეშ უცბად შევიწროებული. კოლოფი ჩვეულებრივ ჯაგრისებრი ბეწვებითაა მოფენილი. დისკო ამოწეპილია.

6. *P. hybridum* L. Sp. Pl. (1753) 506; Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 3; DC. Prodr. I (1824) 118; Ledeb. Fl. Ross. I (1841) 88; Boiss. Fl. Or. I (1867) 117; Busch in Fl. Cauc.-Crit. III, 4 (1905) 33; Fedde in Engler Pflanzenreich IV, 104 (1909) 332; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 131; Попов во Фл. СССР VII (1937) 629; Шхиян во Фл. Груз. IV (1948) 128 (georg.); Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 361; Гроссг. Фл. Кавк. 2, IV (1950) 96; Макашв. Фл. окр. Тбил. I (1952) 214 (georg.); Халилов во Фл. Азерб. IV (1953) 126; Тахт. Фл. Арм. I (1954) 255; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. II (1969) 11 (georg.).

Is.: Фл. СССР IV (1948) табл. XIII, 3.

